

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ზვიად ვანოს ძე ელიზბარაშვილი

**სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბანდიტიზმისათვის**

დისერტაცია წარმოდგენილია სამართლის დოქტორის (PhD)

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: გიორგი თოდრია

სამართლის დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2014

## შინაარსი

შესავალი	4
<b>თავი I ბანდიტიზმის შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ისტორია და მდგომარეობა</b>	<b>17</b>
§1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბანდიტიზმისათვის საბჭოთა პერიოდამდელ დოქტრინასა და კანონმდებლობაში.	17
§2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბანდიტიზმისათვის საბჭოთა პერიოდის დოქტრინასა და კანონმდებლობაში.	21
§3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბანდიტიზმისათვის საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში	46
3.1. ზოგადი დებულებანი.	46
3.2 “ბანდიტიზმის” ცნების საკითხი ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში.	47
3.3. “ბანდიტიზმის” ცნების საკითხი რომანული სამართლის სისტემის ქვეყნებში.	59
3.4. “ბანდიტიზმის” ცნების საკითხი გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში.	64
<b>თავი II ბანდიტიზმის ობიექტური შემადგენლობა</b>	<b>71</b>
§1. წინასწარი შენიშვნები.	71
§2. ბანდიტიზმის ობიექტური შემადგენლობის თავისებურებანი.	76
2.1. ქმედების ობიექტის (სამართლებრივი სიკეთის) თავისებურება.	76

2.2. მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა. -----	80
2.3. ბანდის ხელმძღვანელობა. -----	103
2.4. ბანდაში მონაწილეობა. -----	111
2.5. ბანდის თავდასხმებში მონაწილეობა. -----	114

**თავი III ბანდიტიზმის სუბიექტური შემადგენლობა ----- 117**

§1. საკითხის დასმა.-----	117
§2. განზრახვა. -----	121
§3. მიზნის და მოტივის პრობლემა ბანდიტიზმის სუბსუმციის დროს. -----	130

**თავი IV ბანდიტიზმის სუბსუმციის სპეციალური საკითხები ----- 147**

§1. ბანდიტიზმის გამიჯვნა მსგავსი დანაშაულების შემადგენლობათაგან.-----	147
§2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი. -----	158

**თავი V ბანდიტიზმის მართლწინააღმდეგობა და ბრალი ----- 166**

§1. ბანდიტიზმის მართლწინააღმდეგობა. -----	166
§2. ბრალი ბანდიტიზმის დროს. -----	171

დასკვნა და რეკომენდაციები. -----	183
ბიბლიოგრაფია -----	203

## შესავალი

### ნაშრომის აქტუალობა

მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ და საერთაშორისო კავშირების გამყარებამ საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სფეროს წინსვლა განაპირობა. ამასთანავე, პროგრესის კვალობაზე კაცობრიობის ისტორიაში მანამდე არარსებული ნეგატიური მოვლენები წარმოიშვა. მათ რიცხვს მიეკუთვნება ორგანიზებული დანაშაულის რთული ფორმების წარმოქმნისა და განვითარების ტენდენცია. XX საუკუნეში სახელმწიფოთა წინაშე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების სამართლებრივი რეგლამენტაციის პრობლემა დადგა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მწვავე იყო ჯგუფურ დანაშაულთა ზუსტი აღწერისა და გამიჯვნის საკითხი.

მსოფლიოს ქვეყნებში სისხლის სამართლის განვითარებამ გამოავლინა არაერთი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტაზედაც დამოკიდებული იყო სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების მიზანდასახულობა. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბანდიტიზმისა და ჯგუფური დანაშაულის გამიჯვნის საკითხი. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის ფარგლებში წინა პლანზე ბანდიტიზმის არსის გარკვევის პრობლემამ წამოიწია.

ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და კანადაში) ორგანიზებული დანაშაულის სახეების გამიჯვნის საკითხს ნაკლები ყურადღება ექცევა. არც კანონმდებლობაში და არც სასამართლო პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება ჯგუფის სიმყარეს: ერთ სიბრტყეზე განიხილება მრავალი დანაშაულის

ჩადენისათვის შექმნილი კრიმინალური ჯგუფი და ჯგუფი, რომელიც ერთი დანაშაულის ჩასადენად შეიქმნა. გამოძიებისათვის საკმარისია დადგინდეს ბანდის წევრთან კავშირის ნებისმიერი ფაქტი. ასეთი მიდგომის შედეგად თანამონაწილეობის ინსტიტუტი ჩრდილშია მოქცეული. აღნიშნულ სამართლებრივ სისტემაში ბანდიტიზმის ცნება არ არსებობს და შესაბამისად, ამ ქვეყნების კანონმდებლობა არ იცნობს ბანდიტიზმის ცალკე შემადგენლობას; ამიტომ ბანდიტიზმის შემადგენლობის გარკვევის საკითხი ღიად რჩება.

საპირისპირო პოზიცია უკავიათ სისხლის სამართლის რომანულ-გერმანული სისტემის ქვეყნებს, სადაც ბანდიტიზმის შემადგენლობისადმი ასევე განსხვავებული მიდგომა არსებობს.

ევროპის ქვეყნებში ბანდის ცნება ცალკე შემადგენლობის სახით კი არ არის წარმოდგენილი, არამედ განისაზღვრება, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი. თუმცა ამ ქვეყნების სამართლებრივ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში ბანდის სპეციფიკური ნიშნები უარყოფილი არ არის.

დასავლური მიდგომისაგან განსხვავებით, ბანდიტიზმი ცალკე შემადგენლობის სახით მხოლოდ ყოფილ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში გამოიყოფა. მაგრამ ბანდიტიზმის ნიშნების ინტერპრეტაციისას მკვლევართა შორის არ არის ერთსულოვნება. სადავოა ისეთი საკითხები როგორცაა: ბანდას უნდა ახასიათებდეს ჯგუფის სტაბილურობა, თუ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბანდა ერთზე მეტი დანაშაულის ჩადენისათვის იქმნება? რას ნიშნავს ბანდის სიმყარე? ბანდის “შეიარაღების” ნიშანი მარტო ცეცხლსასროლი იარაღის ტარებას მოიცავს, თუ ის ნებისმიერი ტიპის საშუალებაზე ვრცელდება, რომლითაც შესაძლებელია თავდასხმა? თავდასხმა ძალადობას ნიშნავს, თუ მოიცავს მას? და ა.შ.

1995 წელს მიღებულმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა შეინარჩუნა ბანდიტიზმის შემადგენლობა (მუხლი 224). თეორიულად მისი განმარტების ფუნქცია სახელმძღვანელოებმა იტვირთეს, სადაც არსებული ინფორმაცია მეტად

მწირია და არ ასახავს პრობლემის მთელ სირთულეს. ღიად რჩება კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილების ურთიერთკავშირის საკითხი. დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის შემოღებამ არსებითად შეცვალა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმებში აღწერილ ქმედებათა ნიშნების ინტერპრეტაციის საკითხი.

სხვადასხვა ქვეყნის “ბანდის” არაერთგვაროვანმა საკანონმდებლო მოდელმა გაართულა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სწორი პოლიტიკის დასახვა. ნაშრომში აღნიშნულია, რომ საკანონმდებლო განმარტებებში არსებულმა წინააღმდეგობებმა აიძულა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი სტრასბურგში, რათა 1996 წლის 5 სექტემბერს მიეღო სპეციალური რეკომენდაცია R/96/8, რომელსაც ერქვა “დანაშაულობასთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის პოლიტიკა შეცვლილ ევროპაში”. რეკომენდაციაში აღინიშნა, რომ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა რთულდება, რადგანაც “ბანდის” გაგება არ არის ნათლად განსაზღვრული და ორგანიზებულ კრიმინალურ ჯგუფებსა და “ბანდებს” შორის მკაფიოდ არ არის გავლებული ზღვარი.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში დაგროვილი პრობლემატიკა და საქართველოში ბანდიტიზმის შესახებ სპეციალური გამოკვლევის არარსებობა, აქტუალურს ხდის ბანდიტიზმის სისხლისსამართლებრივი გამოკვლევის აუცილებლობას.

## **კვლევის მიზანი და ამოცანები**

კვლევის მიზანია დანაშაულის ცნების სტრუქტურაში ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარეების, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის დადგენა, მათი ურთიერთკავშირის გარკვევა; ბანდიტიზმის ცნებისადმი კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ზოგიერთ ქვეყანაში არსებული მიდგომების დახასიათება.

კვლევის ამოცანებია შემდეგი საკითხების ანალიზი:

- ბანდიტიზმის შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობა;
- ბანდიტიზმის ობიექტური შემადგენლობის აგების თავისებურება;
- ქმედების ობიექტი (სამართლებრივი სიკეთე);
- ბანდის ძირითადი ნიშნები: სიმყარე, შეიარაღება და თავდასხმა, როგორც ბანდის ნიშანი;
- ბანდის შექმნა ან ხელმძღვანელობა;
- ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობა;
- განზრახვის პირველი კომპონენტი – განზრახვის ინტელექტუალური მომენტი; მეორე კომპონენტი – ნებელობა; მესამე კომპონენტი – მართლწინააღმდეგობის შეგნება, რომელიც ბრალის დონეზე დგინდება;
- მოტივის პრობლემა ბანდიტიზმის სუბსუმციის დროს;
- ბანდიტიზმის გამიჯვნა მსგავს დანაშაულთა შემადგენლობებისაგან;
- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება;
- მართლწინააღმდეგობა და ბანდიტიზმის ჩამდენი პირის ინდივიდუალური ბრალის ნორმატიული კომპონენტები.

### კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანია ბანდიტიზმის შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის იურიდიული ანალიზი, მათი თავისებურებების გამოკვეთა და

მნიშვნელობის გაანალიზება; საკითხის ისტორია და მისი თავისებურება მსოფლიოს ქვეყნების კანონმდებლობებში.

### **კვლევის ობიექტია:**

- ბანდიტიზმისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ისტორიული ასპექტი;
- ბანდიტიზმის ძირითადი საკანონმდებლო კონსტრუქციები საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის თანამედროვე კანონმდებლობაში;
- ბანდიტიზმის ობიექტური შემადგენლობა;
- ბანდიტიზმის სუბიექტური შემადგენლობა;
- ბანდიტიზმის გამიჯვნა მსგავს დანაშაულთა შემადგენლობებისაგან;
- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება;
- ბანდიტიზმის მართლწინააღმდეგობა;
- ბრალი ბანდიტიზმის დროს.

### **კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი**

სადისერტაციო კვლევა აგებულია სისხლის სამართალში გაბატონებული ნორმატიული თეორიის ლოგიკურ-ფორმალური მოთხოვნების შესაბამისად. ამ მიმართულებით აიგება ბანდიტიზმის კვლევის სტრუქტურა. კერძოდ, მისი ნიშნების დასადგენად დანაშაულის ცნების სამნიშნოვანი სტრუქტურა (ქმედების



შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი) გამოიყენება. შესაბამისადაა აგებული კვლევის სტრუქტურაც.

კვლევაში გამოყენებულია ასევე ისტორიული მეთოდი, რომლის მეშვეობით დგინდება საკითხის ევოლუციის თავისებურება, ვლინდება თეორიული მიმართულებები, დგინდება მათი როლი საკითხის განხილვისათვის.

კვლევაში გამოიყენება პრაქტიკის ანალიზის მეთოდი, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ზოგიერთი სასამართლო გადაწყვეტილების უარყოფითი და დადებითი დასკვნები.

ცალკეული საკითხების განხილვისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ანალიზის და სინთეზის გამოყენებას.

### **კვლევის მეცნიერული სიახლე**

1. უარყოფილია მცდარი შეხედულება ბანდიტიზმის ცნების ე.წ. საბჭოურ წარმოშობაზე და გამოვლენილია მისი ნამდვილი ისტორიული ფესვები. ამ კუთხით, ბანდიტიზმის მკვლევართა უმრავლესობისაგან განსხვავებით, ყურადღება იმ გარემოებაზეა გამახვილებული, რომ ბავარიის, ჰანოვერის, ესენის, ბრაუნშვაიგის პარტიკულარული გერმანული კოდექსები ზოგად ნაწილში, ითვალისწინებდნენ ე.წ. შაიკის ცნებას, რომელშიც ხანგრძლივი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის შექმნილი ორგანიზებული ჯგუფი იგულისხმებოდა.

2. კრიტიკულად არის განხილული ზოგიერთი ამერიკელი მეცნიერისა და იურისტის (ჯ. ფრანკლინის, პ. ტეგიდის, ჯ. ბეროუსის და სხვ.) ბანდისა და ორგანიზებული ჯგუფის გაიგივების მცდელობა, რაც სასამართლო პრაქტიკას სამართლის ანგლო-ამერიკული ტრადიციისაკენ აბრუნებდა. ამ საკითხის

ანალიზისას დეტალურად განიხილება ის უარყოფითი შედეგი, რომელიც შეიძლება “სიმყარის” ნიშნის უგულვებელყოფას მოჰყვეს.

3. სამართლებრივი სიკეთის გამოკვლევისას “საზოგადოებრივი უშიშროების”, “სახელმწიფო უშიშროების”, “საზოგადოებრივი უსაფრთხოების”, “მოქალაქეთა უსაფრთხოების”, “იარაღის” და საქართველოს კანონმდებლობაში არსებული სხვა ტერმინების დეტალურ ანალიზს დიდი ყურადღება ექცევა, რათა დაზუსტდეს სისხლის სამართლის კანონის ადრესატი და სწორად მოხდეს ბანდიტიზმის ნიშნების ინტერპრეტაცია.

4. ბანდიტიზმის სსკ-ს 224-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის დასადგენად შემოთავაზებულია დებულებათა შემდეგი სისტემა: 1) ბანდიტიზმის შემადგენლობა ფორმალური ხასიათისაა, 2) ქმედების შემადგენლობაში შედის მიზანი, როგორც კონსტიტუციური ნიშანი.

5. საქართველოს სსკ-ს 224-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური მხარის ელემენტებს მიეკუთვნება: ბანდის, როგორც ორგანიზებული ჯგუფის, სპეციფიკური თვისებები: ჯგუფის სიმყარე, ჯგუფის შეიარაღება, ბანდის შექმნა ან ხელმძღვანელობა, ბანდაში ან მის მიერ ჩადენილ თავდასხმებში მონაწილეობა. ჩამოყალიბებულია ობიექტური შემადგენლობისადმი ნორმატიული კონცეფტუალური მიდგომა. დასაბუთებულია, რომ ამსრულებლის ასაკი, ფსიქიკური მდგომარეობა და სხვა თვისებების საკითხი ზემოაღნიშნულ თემატიკაში არ უნდა იქნეს განხილული, რადგან ის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირდება და არა ქმედების შემადგენლობას.

6. გამოვლენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ანგლო-ამერიკული ელემენტის არსებობა, რაც საქართველოს კანონმდებლობის რომანულ-გერმანულ ტრადიციას ეწინააღმდეგება; კერძოდ, კრიტიკულად განიხილება სსკ-ის 27-ე მუხლის შენიშვნა, რომელიც კანონმდებელმა 2006 წლის 25 ივლისს შემოიღო.

დადგენილია, რომ ამ შენიშვნის მოდელი გადმოტანილ იქნა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მეორე მუხლიდან, რომელმაც პრაქტიკულად რიკოს (RICO – The Racketeer Influenced and Corrupt Organization Act) კანონი გაიმეორა. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ შენიშვნას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და იგი ზედმეტია, რადგან სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილი სრულად მოიცავს ისეთ ჯგუფს, რომლის წევრთა შორის როლები ფორმალურად არ არის განაწილებული. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი კი განსაზღვრავს ორგანიზებული ჯგუფის ფორმას, რომელშიც იგულისხმება როლების განაწილება და სხვა. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს აქვს მძლავრი ბერკეტი – თანამონაწილეობის ინსტიტუტი, რომელიც სასამართლოს პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის განხორციელების საშუალებას აძლევს.

7. ნაშრომში სხვადასხვა პრობლემური საკითხია გამოვლენილი, რომლებიც ბანდის სპეციფიკური ნიშნის, “სიმყარის” ინტერპრეტაციისას წარმოიშობა. ამ საკითხის ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, რიკოს კანონი “სიმყარის” შინაარსს კრიმინალური ჯგუფის სტრუქტურას უკავშირებს და არა ქმედებას, რაც საფრთხეს უქმნის კანონიერების პრინციპის თანამიმდევრულ განხორციელებას. საკითხის კრიტიკულად განხილვისას აღსანიშნავია, რომ “ჯგუფთან კავშირის” ინსტიტუტი ხელს უწყობს გამოძიების თვითნებობას და ძირს უთხრის ქმედების მოძღვრებას, რომელიც სასამართლოსთვის ერთადერთი საზომი გახლავთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად. დისერტაციის ავტორისათვის ეს მიდგომა მიუღებელია, რადგან საერთო შეთანხმებისა და შეპირების შესახებ მტკიცებულებათა შეგროვების ნაცვლად, პროკურორისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ იმის მტკიცება, რომ ეს პირი დანაშაულებრივ ჯგუფს მიეკუთვნება და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულში; ამიტომ

სიმყარის ცნება რიკოს კანონში ინტერპრეტირებულია, როგორც ჯგუფთან კავშირი და არა დანაშაულის უწყვეტად ჩადენა.

8. ჩვენ ვიზიარებთ ცნობილი ქართველი მეცნიერის ო. გამყრელიძის პოზიციას იმის შესახებ, რომ ჯგუფის “სიმყარე” სწორედ თავდასხმათა სიმრავლეს გულისხმობს. ჯგუფი მყარია, ე.ი. ის ერთი დანაშაულის ჩადენის შემდეგ კი არ დაიშლება, არამედ იგი თავის დანაშაულებრივ საქმიანობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში განაგრძობს. დისერტაციის ავტორის აზრით, “სიმყარე” ობიექტურად ასახავს ბანდიტიზმს და არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი იმის გამო, რომ მისი დადგენისას გამოძიება გარკვეულ სიმწელებებს აწყდება; აქედან გამომდინარე დისერტაციაში უარყოფილია რიკოს კანონის არგუმენტაცია, რომლის თანახმად:

- 1) თანამონაწილეობის ინსტიტუტი კრიმინალების სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას აძნელებს;
- 2) დანაშაულებრივი დაჯგუფების რთული სტრუქტურა ხშირად საგამომიებო ორგანოებს მისი ორგანიზატორის ან ხელმძღვანელის დადგენის საშუალებას არ აძლევს. მეტად გაუგებარი და კონსპირაციულია დაჯგუფების წევრთა კავშირები;
- 3) კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ბრალდებას უნდა დაამტკიცოს, რომ პირს კავშირი აქვს კრიმინალურ ჯგუფთან, რომელმაც რამდენიმე რეკეტული აქტი უნდა განახორციელოს.

9. “სიმყარის” ინსტიტუტის შერეული კონცეფციის (პ. გრიშაევის, გ. კრიგერის, ვ. კომისაროვის და სხვ.) ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ “სიმყარე” ნიშნავს თანამონაწილეთა შორის ხანგრძლივ, მყარ კავშირს, აგრეთვე ჯგუფის ყველა წევრის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ჩადენილ იქნეს განუსაზღვრელი რაოდენობის დანაშაული. დისერტაციის ავტორის აზრით, ასეთი მიდგომა სასამართლო

პრაქტიკისათვის ღიად ტოვებს საკითხს: როგორ უნდა გავიგოთ “სიმყარე”, თუ ჯგუფი განუსაზღვრელი რაოდენობის დანაშაულის ჩასადენადაა შექმნილი, მაგრამ მისი წევრები დროთა განმავლობაში იცვლებიან. აღნიშნული კონცეფციის კრიტიკული განხილვის შედეგად დისერტაციაში კეთდება დასკვნა იმის შესახებ, რომ აქ წარმოდგენილი იდეა არის რიკოს კანონის მოდიფიცირებული მოდელი, რომელიც შესაბამისად უარყოფილ უნდა იქნას.

10. ბანდის სპეციფიკური ნიშნის, “შეიარაღების”, განმარტებისას შემოთავაზებულია დებულებათა სისტემა, რომელიც, ჩვენი აზრით, სასამართლოების მიერ ბანდიტიზმის სწორი სუბსუმციის განხორციელებას შეუწყობს ხელს. ამ მხრივ დადგენილია, რომ შეიარაღების ხერხად მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღი არ უნდა მოიაზრებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თავდასხმის სხვა საშუალებები “შეიარაღების” ნიშნის გარეთ იქნება გატანილი და ამის გამო ბანდიტიზმის სუბსუმცია ვერ განხორციელდება. გარდა ამისა, დადგენილია, რომ ბანდის შეიარაღება დამახასიათებელია მხოლოდ მეორე ნიშანთან – სიმყარესთან ერთად; ამიტომ გასათვალისწინებელია არა მარტო ის ფაქტი, რომ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს აქვს იარაღი, არამედ ისიც, რომ ეს იარაღი მრავალჯერადი თავდასხმის განხორციელებისთვისაა გამიზნული.

11. კვლევის შედეგად დასაბუთებულია სასამართლო პრაქტიკისათვის იმ კონცეფციის მანკიერება, რომლის თანახმად, “შეიარაღების” ნიშანი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა ზიანი მიადგა პირის ჯანმრთელობას. დისერტაციაში შემოთავაზებულია საპირისპირო დებულება იმის შესახებ, რომ “შეიარაღების” ნიშანი არ განისაზღვრება მიყენებული ზიანის ხარისხით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო იძულებული იქნება, ბანდის შეიარაღებაზე მხოლოდ მაშინ იმსჯელოს, როდესაც მან იარაღი გამოიყენა. ისეთი შემთხვევა კი, როდესაც ბანდამ იარაღი თავდასხმის მიზნით შეიძინა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამოუყენებია, ბანდიტიზმის სუბსუმციის გარეთ დარჩება. აღნიშნულ კონცეფციას ყურადღება ბანდის მიერ ჩადენილ დანაშაულზე გადააქვს, რაც დისერტაციის ავტორის აზრით, მცდარია.

ამასთან დაკავშირებით ნაშრომში აღნიშნულია, რომ ბანდიტიზმის სუბსუმციის დროს არ უნდა დადგეს იმ საკითხის გარკვევის აუცილებლობა, რომელიც ბანდის მიერ ჩადენილ დანაშაულს ეხება.

12. ბანდიტიზმის სისხლისსამართლებრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილია სასამართლო პრაქტიკის ისეთი პრობლემა, როდესაც ბანდამ იარაღი შეიძინა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამოუყენებია. ამ საკითხის გადაწყვეტისას დგინდება, რომ ბანდის წევრებს შესაძლოა იარაღი შემდგომ ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის ჩასადენად ჰქონოდათ. მათ შეუძლიათ იარაღი თავდასხმისას გამოიყენონ. მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, გამოყენებულ იქნა თუ არა იგი ადამიანთა სიცოცხლის მოსასპობად ან ტრანსპორტის გასაჩერებლად, ხიდის ან/და რაიმე ობიექტის ასაფეთქებლად და სხვა. ჩვენი აზრით, “შეიარაღების” ნიშანი ყველა შემთხვევას მოიცავს და ამიტომ სსკ-ის 236-ე მუხლით დამატებით სუბსუმციას არ საჭიროებს.

13. ბანდიტიზმის სისხლისსამართლებრივი კვლევის საფუძველზე ასევე გამოვლინდა ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი იარაღს ბანდაში შესვლამდეც ატარებს. ამ საკითხთან დაკავშირებით დადგენილია, რომ იარაღის ტარება განგრძობადი დანაშაულია და შეიძლება შეწყდეს პირის სურვილისამებრ ან სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის შედეგად. თუ პირი აგრძელებს იარაღის ტარებას, როგორც ბანდის წევრი, მაშინ საქმე გვაქვს “შეიარაღების” ნიშანთან, რომელიც სსკ-ის 224-ე მუხლითაა გათვალისწინებული და შესაბამისად ქმედებათა ერთობლიობით კვალიფიკაციის მიცემა გამორიცხულია.

14. დისერტაციის სიახლეების ნაწილში აგრეთვე შემოთავაზებულია დებულებათა სისტემა, რომელიც ბანდის თავდასხმის ცნების დახვეწას შეუწყობს ხელს. ამ მხრივ დადგენილია, რომ “თავდასხმაში” უნდა იგულისხმებოდეს ობიექტურად და სუბიექტურად საშიში გარემოს შექმნა (სამალავიდან დამიზნება, უკნიდან დანით მიპარვა და სხვა), რომელსაც შესაძლოა რეალურად მოჰყვეს ფიზიკური ძალადობა დაზარალებულის მიმართ. სხვა მსგავს შემთხვევაში ძალადობა ჯერ კიდევ არ არის

გამოყენებული, არაა არც მუქარა, რომელსაც დაზარალებული რეალურ საშიშროებად აღიქვამდა, ხოლო თავდასხმა, მიუხედავად ყველაფრისა, რეალურად მაინც არსებობს; ამიტომ, დისერტაციის ავტორის აზრით, თავდასხმისა და ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულის ცნებები ერთმანეთს არ უნდა ემთხვეოდეს.

15. დისერტაციაში უარყოფილია თავდასხმისა და ძალადობის გაიგივების კონცეფცია და შემოთავაზებულია საპირისპირო კონცეპტუალური მიდგომა, რომლის თანახმად, ძალადობა შესაძლებელია ადამიანის და არა ორგანიზაციის მიმართ. შენობის ან დაწესებულების წინააღმდეგ ძალადობის გამოყენება ნონსენსია, ორგანიზაციაზე თავდასხმა კი შესაძლებელია. თავდასხმა შეიძლება განხორციელდეს ძალადობით, ან არც განხორციელდეს. გარდა ამისა, შესაძლებელია საშიში გარემოს შექმნის ისეთი შემთხვევა, რომელსაც რეალურად შეიძლება მოჰყვეს დაზარალებულის მიმართ ფიზიკური ძალადობა; ამიტომ თავდასხმა ძალადობას რეალურად არ ემთხვევა.

16. დისერტაციაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ბანდის მიერ ჩადენილ დანაშაულის საკითხს. ამ მიმართულებით ჩვენ ვავითარებთ მოსაზრებას, რომლის თანახმად, ზოგიერთ შემთხვევაში კრიმინალურმა წარმონაქმნმა შეიძლება ნებისმიერი დანაშაული ჩაიდინოს. ბანდისთვის არ არის დამახასიათებელი რომელიმე სახის დანაშაულის ჩადენა. ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაული ბანდიტური “თავდასხმის” შემადგენლობის გარეთ უნდა იქნეს განხილული. დისერტანტის მიერ გამოთქმული პოზიციის გასამყარებლად გამოყენებულია ასევე საკითხის შედარებითი-სამართლებრივი ანალიზი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე მუხლის მიხედვით, თავდასხმა (Angriff) არის შეგნებული საშიშროება სამართლებრივი სიკეთის მიმართ.

17. კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა ბანდის შექმნისა და ხელმძღვანელობის გამიჯვნის საკითხი. დადგინდა, რომ მათ გამიჯვნას სუბსუმციისათვის

მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ იგი მეტად მნიშვნელოვანია სასჯელის დანიშნისათვის, რადგან საშიშროების მიხედვით, საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლში აღნიშნულია ჯერ “ბანდის შექმნა”, ხოლო შემდეგ კი “ბანდის ხელმძღვანელობა”.

18. შემოთავაზებულია ბანდის მიერ განხორციელებულ თავდასხმებში მონაწილეობის ცნება. ამ მხრივ აღნიშნულია, რომ თავდასხმის აქტი შესაძლებელია განხორციელდეს ჩასაფრებით, სამალავიდან დამიზნებით, უკნიდან დანით მიპარვით და სხვა; ამიტომ საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა თავდასხმის აქტით სრულდება; მაგრამ ხშირად თავდასხმა უეცრად კონკრეტულ დანაშაულში გადადის, რაც სსკ-ის 224-ე მუხლით არ არის გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულის დასრულების მომენტი მისი შემადგენლობის ბუნებაზეა დამოკიდებული. ყველა მოცემული საკითხი იქიდან გამომდინარე წყდება, თუ რა სახის დანაშაულს სჩადიოდა ბანდა.

19. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით ბანდიტიზმის შემადგენლობა – ბანდის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, თავდასხმაში მონაწილეობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხორციელდება. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ბანდაში მონაწილეობის დადგენისათვის მოტივს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

20. ნაშრომში გაზიარებულია პროფ. ო. გამყრელიძის მოსაზრება, რომ სსკ-ს 224-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება მხოლოდ თანამონაწილეობით შეიძლება. ბანდის მიერ განხორციელებული უმართლობა ერთიანი მიზნით არის დეტერმინირებული.

21. ნაშრომში დასაბუთებულია ბანდიტური ჯგუფის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხი. ამ მიმართულებით გათვალისწინებულია, რომ საქართველოს



სსკ-ის 24-ე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისთვის ან ხელმძღვანელობისთვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მისი განზრახვა მოიცავდა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაში იგი მონაწილეობდა.

22. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ბანდაში მონაწილეობის დადგენისთვის მოტივს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამრიგად, სსკ-ის 224-ე მუხლში განსაზღვრულია უმართლობის ის ტიპი, რომელსაც აფუძნებს მიზანი და არა მოტივი.

23. ნაშრომში განხილულია ბანდიტიზმის მართლწინააღმდეგობის საკითხი. დანაშაულის ეს ელემენტი პოსტსაბჭოთა ყოფილ რესპუბლიკებში ბანდიტიზმის მკვლევართა მიერ არ განიხილება. ამ მიმართულებით აღნიშნულია, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობა სამართლის სხვა დარგების ნორმებისა და კულტურის ნორმების (Kulturnormen) საფუძველზე უნდა დგინდებოდეს. მაგალითად, ბანდიტური ჯგუფის შეიარაღების მართლწინააღმდეგობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც “იარაღის შესახებ” კანონი, ისე რელიგიურ-კულტუროლოგიური აკრძალვა “არა კაც კლა”, რომელიც სიცოცხლის მოსპობის ნებისმიერი საშუალების გამოყენებას კრძალავს და ა.შ.

24. ნაშრომში განხილულია ბანდიტიზმის ბრალის საკითხი. დანაშაულის ეს მესამე ელემენტი პოსტსაბჭოთა ყოფილ რესპუბლიკებში ბანდიტიზმის მკვლევართა მიერ არ განიხილება. ამ მიმართულებით აღნიშნულია, რომ ბრალის დასადგენად უმართლობა პერსონალურ დონეზე ფასდება. ქმედების შემადგენლობის დადგენის დროს განზრახვის დადგენა ფაქტობრივი გარემოებების ცოდნისა და სურვილის სახით ხდება.

## **დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა**

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა განპირობებულია კვლევის მიზნებით, ამოცანებითა და შინაარსით. დისერტაცია შეადგენს დადგენილი სტანდარტებით ნაბეჭდ 202 გვერდს (გამოყენებული ლიტერატურის გარეშე) და შედგება შესავლის, 5 თავის, 12 პარაგრაფისა და დასკვნისაგან. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

## **თავი I**

### **ბანდიტიზმის შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ისტორია და მდგომარეობა**

#### **§1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბანდიტიზმისათვის საბჭოთა პერიოდამდელ დოქტრინასა და კანონმდებლობაში**

ბანდის ცნების ისტორიული ფესვები გერმანული სამართლის დოქტრინიდან მომდინარეობს, რომელიც XIX საუკუნეში მუშავდებოდა. როგორც გამოჩენილი რუსი მეცნიერი ნ. ტაგანცევი აღნიშნავს, კ. კესტლინის და იმ პერიოდის სხვა გერმანელ მეცნიერთა ნაშრომებში თანამონაწილეობის განსაკუთრებით მძიმე ფორმა იყო გამოყოფილი. როგორც მეცნიერები ვარაუდობდნენ, ჯგუფს სიმყარეს სძენდა ის ფაქტი, რომ ყოველი თანამონაწილე წამქეზებელიც იყო და წაქეზებულიც. ამიტომ ყოველი მონაწილე წინასწარი განზრახვით მოქმედებდა [48.65-68].

ბავარიის 1813 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მომზადებისას პროექტის ავტორმა, გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა და იურისტმა ანსელმ ფოიერბახმა, ურთიერთწაქეზების კონცეფცია შეაფასა, როგორც პრაქტიკულად უსარგებლო. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა იმ გარემოებას, რომ ურთიერთ წაქეზება ჯგუფებში ყოველთვის არ ხდებოდა და ჯგუფი მყარი შეიძლება სხვადასხვა მიზეზის გამო ყოფილიყო. მაგალითად, შეთანხმებისას შესაძლოა ისეთი პირებიც ყოფილიყვნენ, რომლებიც დანაშაულის ასრულების პროცესში არანაირ მონაწილეობას არ იღებდნენ, პასუხისმგებლობა კი შეიძლება მაშინაც დამდგარიყო, როდესაც თანამზრახველები ჩანაფიქრის განხორციელებას არ შესდგომიან, ანუ წაქეზება არ განხორციელებულა. XIX საუკუნის ბოლოს გერმანული სისხლის სამართლის დოქტრინა შეეცადა უარი ეთქვა ამ სადავო კონცეფციაზე. კრიტიკული გააზრების საფუძველი ა. ფოიერბახისა და კ. გროლმანის იდეები იყო [48.65-68].

როგორც ცნობილ მეცნიერს ნ. ტაგანცევს მიაჩნია, სწორედ ა. ფოიერბახმა და შემდგომ მოგვიანებით კ. გროლმანმა გამოყო თანამზრახველობის განსაკუთრებული სახე – “შაიკა” (ბანდა). მოცემული ცნება ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაშიც აისახა და ამჟამადაც დამოუკიდებელ ადგილს ინარჩუნებს. ამ კონცეფციის თანახმად, წინასწარი შეთანხმების ძირითადი მიზანი დანაშაულებრივი საქმიანობაა. ჯგუფი სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს ორგანიზებული, მაგრამ “შაიკა” ითვალისწინებს შეთანხმებას რამდენიმე დანაშაულებრივ ქმედებაზე, ამასთანავე, შეთანხმებას მუდმივ დანაშაულებრივ საქმიანობაზე [48.65-68].

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის რეფორმის შესახებ მეორე კანონი, რომელიც 1975 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, უარს აცხადებს ბანდის ცნებაზე. §244ა-ში “ბანდის” კონსტრუქცია ქმედების კონკრეტულ სახეს ქურდობას მიემა და “ბანდა” განისაზღვრა, როგორც ჯგუფი, რომელიც ხანგრძლივ პერიოდში ქურდობებისა და ძარცვების ჩასადენადაა შექმნილი. როგორც გამოჩენილი მეცნიერი ა. ჟალინსკი აღნიშნავს რუსეთის კანონმდებლობისაგან განსხვავებით თანამედროვე გერმანიის კანონმდებლობა უარს

აცხადებს ბანდის ცალკე ცნებაზე [23.431]. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გერმანიის კოდექსის §244ა-ში ბანდის განმარტებაში ა. ფოიერბახის იდეის გარკვეულ ზეგავლენას მაინც ვხედავთ, რადგან ბანდა განმარტებულია როგორც ჯგუფი, რომელიც იქმნება იმისათვის, რომ მომავალში რამდენიმე დანაშაული ჩაიდინოს.

1902 წლის სისხლის სამართლის ახალი სჯულდების შედგენისას გერმანულ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა გამოცდილება მეფის რუსეთის დროინდელმა მეცნიერებმაც გაითვალისწინეს [86.263-300]. უპირველეს ყოვლისა, კრიტიკულად შეფასდა და გადამუშავდა 1845 წლის კანონი – სისხლის სამართლის სჯულდება. აღნიშნული წყაროს პრობლემების აღწერისას ნ. ტაგანცევი წერდა, რომ კანონის ხარვეზი, უპირველეს ყოვლისა, თვით დასახული ამოცანისაგან მომდინარეობდა. ამ კანონის ავტორები ახალი კანონის შექმნას კი არ ითვალისწინებდნენ, არამედ მხოლოდ ორი ასეული წლის განმავლობაში დაგროვებულის ერთ კანონში გაერთიანებაზე ფიქრობდნენ [48.65-68].

ნ. ტაგანცევი სვამს კითხვას: შესაძლებელი იყო თუ არა ისეთი ამოცანის შესრულება, როდესაც ერთ აქტშია გაერთიანებული პეტრე I-ის, ეკატერინე II-ისა და ალექსანდრე I-ის კანონები, რომლებიც სხვადასხვა ეპოქას ასახავს? ასეთი კომპილაციური მიდგომის შედეგად არაერთი შეცდომა წარმოიშვა:

- დანაშაულის ცნებასა და დასჯადობის არსებით პირობებზე არსებული შეხედულებები მკვეთრად განსხვავდებოდა და ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს;

- დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას რაიმე ზუსტი მასშტაბი არ არსებობდა, რაც “სჯულდების” სხვადასხვა კარის, ზოგჯერ კი ერთი და იმავე კარის მუხლების შედარებისას ვლინდება [48.65].

1845 წლის სისხლის სამართლის სჯულდების მითითებული ნაკლოვანებები, თავის მხრივ, “შაიკის” ცნებაშიც გამოიხატა. კერძოდ, “სჯულდება” არ განსაზღვრავდა ამ ცნებას, თუმცა 923-ე და 924-ე მუხლებში (1885 წლის გამოცემა) მიუთითებდა

“შაიკაზე”, როგორც სხვადასხვა დანაშაულის ჩასადენად შექმნილ თანამოაზრეთა ჯგუფზე, შემდეგ სხვა მუხლებში (1633-ე, 1639-ე და 1645-ე მუხლები) იხსენიებოდა “შაიკები”, რომლებიც მოცემული სახის ამა თუ იმ დანაშაულისთვის შეიქმნა. ასეთი წინააღმდეგობრივი მიდგომის შედეგად რთული იყო იმის გაგება, “შაიკა” განსაზღვრული დანაშაულებრივი ქმედებების ჩასადენად იქმნებოდა თუ განუსაზღვრელის. პრაქტიკაში გაჩნდა ცნება „შაიკის“, რომელიც ერთი დანაშაულის ჩასადენად შეიძლება შექმნილიყო [48.65-68].

აღნიშნული საკითხებით დაინტერესდნენ ნ. ტაგანცევი, ი. ფონინცი და იმ პერიოდისათვის ცნობილი სხვა რუსი ავტორები. ისინი კვლავ დაუბრუნდნენ ა. ფოიერბახისა და კ. გროლმანის იდეას “შაიკის” შესახებ. ამასთანავე, მათ კრიტიკულად განიხილეს ა. ბერნერის, კ. კესტლინის, ფ. ლისტის, გ. მაიერისა და სხვა გერმანელ მეცნიერთა შეხედულებები, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ “შაიკა” კონკრეტულად მხოლოდ განუსაზღვრელი დანაშაულის ჩასადენად იქმნება [47.584; 55.121].

ნ. ტაგანცევის აზრით, საკითხის ამგვარად დასმა მთლად მართებული არ იყო, რადგანაც “შაიკას” შეეძლო როგორც მრავალფეროვანი, ისე ერთგვაროვანი დანაშაულების ჩადენა. მაგალითად “შაიკამ” ერთ ქალაქში შეიძლება მარცვები ჩაიდინოს, ხოლო მეორეში – ცეცხლის წაკიდება და ა.შ. მეცნიერი აღნიშნავდა, რომ “შაიკის” სტრუქტურა შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს აგებული. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. ტაგანცევი განიხილავდა საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 266-ე მუხლს, რომელსაც ძირითადი ყურადღება არა ქმედებაზე, არამედ ჯგუფის სტრუქტურაზე გადაჰქონდა. [48.65-68] აღსანიშნავია, რომ ამ ტრადიციას დღემდე ავითარებენ იტალიის (კანონი მაფიის შესახებ) და აშშ-ის (რიკოს კანონი) კანონმდებლობაში.

ნ. ტაგანცევი “შაიკის” ცნების შემუშავებისას გამოყოფდა “შაიკის” დამახასიათებელ ისეთ ნიშნებს, როგორებიცაა: ა) ჯგუფის მუდმივი ხასიათი; ბ) მისი წევრების დანაშაულებრივი საქმიანობისაკენ სწრაფვა; გ) “შაიკის” მიერ განუსაზღვრელ

დანაშაულთა ჩადენის შესაძლებლობა. იგი “შაიკას” განსაზღვრავდა, როგორც ჯგუფს, რომელიც შეიქმნა რამდენიმე პირის შეთანხმებით, რომ ისინი რამდენიმე განსაზღვრულ ან განუსაზღვრელ, ერთგვაროვან თუ სხვადასხვაგვარ დანაშაულებრივ ქმედებას ჩაიდენენ [48.65-68]. ამრიგად, მისი აზრით, “შაიკის” არსი ჯგუფის მუდმივ ხასიათში უნდა ვეძიოთ, ხოლო დანაშაულებრივი საქმიანობა ბანდის წევრებმა ისე უნდა აღიქვან, როგორც ხელობა, პროფესია.

ნ. ტაგანცევი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დანაშაულის ჩადენაში ხანგრძლივი და სისტემატური თანამონაწილეობა “შაიკის” (ბანდის) ყველაზე ტიპური ნიშანია. ჯგუფი არის ორგანიზებულად მჭიდრო და მყარი კოლექტივი, რომლის წევრი შინაგან რეგლამენტს ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, ნ. ტაგანცევი ასკვნიდა, რომ ბანდა არ არსებობს, თუ ჯგუფში არ არის ორგანიზებული სტრუქტურა და თუ თანამონაწილეთა ჯგუფი ერთი დანაშაულის ჩასადენად შეიქმნა.

XX საუკუნის დასაწყისში პროფესიული დამნაშავეობის ზრდის ტენდენცია შეიმჩნეოდა. დ. რიჟოვის შრომიდან მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს იმ პერიოდის სასამართლო პრაქტიკიდან:

- ჩერნიგოვის გუბერნიაში 1907–1909 წლებში სავიცკის “შაიკა” მოქმედებდა, რომელმაც 32-ზე მეტი შეიარაღებული თავდასხმა და 4 მკვლელობა ჩაიდინა. დაკავების მომენტში “შაიკის” შემადგენლობაში მყოფი 8 ადამიანიდან 4 ათი თვის განმავლობაში “შაიკის” ბირთვი იყო;

- სანკტ-პეტერბურგსა და მის შემოგარენში მოქმედებდა 68-კაციანი “შაიკა”, რომელმაც 1907 წლის 10 აგვისტოდან 1908 წლის 21 დეკემბრამდე 22 შეიარაღებული ძარცვა ჩაიდინა. ყველაზე თავხედური თავდასხმისას მათ შენობაში შესაღწევად პოლიციის ოფიცრის ფორმა გამოიყენეს. “შაიკა” სარგებლობდა მუდმივი ე.წ. “პრიტონებით”, აგრეთვე მას ჰყავდა ინფორმაციის მიმწოდებლები და ნაქურდალის გამსაღებლები;

- მოსკოვის გუბერნიაში არსებულმა 18-კაციანმა “შაიკამ” 1906 წლის 28 ივნისიდან 21 აგვისტომდე 7 მსხვილი მარცვა ჩაიდინა [106.50-52].

ამიტომ კვლავ დადგა ორგანიზებული დანაშაულის საკითხი. ორგანიზებული ჯგუფების კლასიფიკაციის ცდა “მებნის ქვედანაყოფის ორგანიზების შესახებ” 1908 წლის 6 ივლისის კანონში და რუსეთის შსს-ოს მიერ 1910 წლის 9 აგვისტოს მიღებული “სამძებრო განყოფილებების ჩინოვნიკთათვის ინსტრუქციის” 56-ე პარაგრაფში აისახა. ამ აქტებში მკვლელების, ქურდების, თაღლითების და სხვა ტიპის კრიმინალური გაერთიანებების ფორმები იყო ჩამოთვლილი [99.26]. მაგრამ აღნიშნულ ჩამონათვალში შეიარაღებული “შაიკა” (ბანდა) ცალკე არ ყოფილა მოცემული. იმ პერიოდის კანონმდებლობა არ იცნობდა “შაიკის” შემადგენლობას, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში ეს დანაშაულებრივი ფენომენი მაინც არსებობდა.

## **§2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბანდიტიზმისათვის საბჭოთა პერიოდის დოქტრინასა და კანონმდებლობაში**

საბჭოთა საქართველოს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის შექმნის პროცესი. მან მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ბანდიტიზმის ცნების ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული პერიოდი მოიცავს რეფორმას, რომელიც დაწყებულია „სასამართლოს შესახებ“ რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 20 ივლისის დეკრეტით და სრულდება საქართველოს სსრ 1921 წლის “სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებების მიღებით. მოკლედ შევხვით აღნიშნული პერიოდის რუსეთის კანონმდებლობის ევოლუციის საკითხს.

პირველად „ბანდიტიზმის“ კონსტრუქცია „სასამართლოს შესახებ“ რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 20 ივლისის დეკრეტით ადგილობრივი სახალხო სასამართლოებისა და საოლქო სახალხო სასამართლოების განსჯადობის დადგენისას

იქნა გამოყენებული. შემდგომ “ბანდიტიზმი” ნახსენები იქნა “სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შესახებ” რსფსრ-ის საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) 1919 წლის 17 თებერვლის დადგენილებაში, რომელშიც “ბანდიტიზმი” კონტრრევოლუციურ და სხვა სახის დაჯგუფებათა შორის ბრძოლის ობიექტად იყო დასახელებული, მაგრამ მისი განმარტება არ ყოფილა მოცემული.

“ბანდიტიზმის” პირველი განსაზღვრება მოცემული იყო რსფსრ-ს საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) 1919 წლის 20 ივნისის დეკრეტის მე-2 კარის მე-7 პუნქტში, რომელშიც აღნიშნულია, რომ “ბანდიტიზმი” – ეს არის იმ “შაიკაში” მონაწილეობა, რომელიც მკვლელობის, ყაჩაღობისა და ძარცვისთვის არის შექმნილი, აგრეთვე ასეთი “შაიკის” ხელშეწყობა და დაფარვა. ასე რომ, რსფსრ-ს საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1919 წლის 20 ივნისის დეკრეტმა იმ პერიოდისათვის არსებული “შაიკის” ტრადიციული გაგება დატოვა [190].

ასეთივე კაზუსტური მიდგომა იყო რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 20 ივლისის დეკრეტის მე-15 მუხლში [191].

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში “შაიკის” ცნებისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობდა. ზოგიერთი იურისტის, მაგ. ტ. ერმაკოვას გამოკვლევაში “შაიკასა” და “ბანდას” შორის განსხვავება არ არსებობს. ზოგიერთს კი, მაგ. ტ. ზელინგერს მიაჩნდა, რომ “შაიკის” ძირითადი ნიშანი კრიმინალების პროფესიონალიზმი უნდა ყოფილიყო [93.18-80].

ამასთანავე, საინტერესოა ის ფაქტი, რომ რსფსრ-ს მეცნიერები სპეციალურად არ მსჯელობდნენ ბანდიტიზმის ობიექტზე. მაგალითად თავის ადრინდელ ნაშრომში ნ. დურმანოვი სოციალისტურ საკუთრებას, როგორც ხელყოფის ობიექტს, სპეციალურად არ განიხილავდა. თუმცა აღნიშნავდა, რომ “შაიკას” შეუძლია ზიანი მიაყენოს როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ინტერესებს [89.14].



გარკვეული უთანხმოება შეიმჩნეოდა იმ პერიოდის საბჭოთა ლიტერატურაში. ხულიგნური დაჯგუფების დახასიათებისას ნ. დურმანოვი “შაიკისთვის” ჩვეულ ნიშნად ჯგუფის წევრთა მყარ ურთიერთობას ასახელებდა. აქ სიმყარის ცნება განუსაზღვრელი ქმედების ჩადენის ფაქტთან არ იყო დაკავშირებული [90.39-40].

ცალკეულ ავტორებს “სიმყარის” გაგება კუროიზებამდე დაჰყავდათ. მაგალითად, ვ. ოშეროვი წერდა, რომ “შაიკა” განსაკუთრებული ორგანიზაციაა, რომელიც ხშირად “დამფუძნებლური კრების” სახით, თავისი კონსტიტუციით, ქცევის კოდექსით ხასიათდება [101.69]. გამოჩენილი რევოლუციამდელი პოლონელი მეცნიერის და იურისტის ს. ბუძინსკის აზრით კი “შაიკა” “სახელმწიფოა სახელმწიფოში” [17.221].

უნდა აღინიშნოს, რომ რსფსრ-ს საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) 1919 წლის 20 ივნისის დეკრეტი და არც მომდევნო კანონმდებლობა 1922 წლამდე არ განასხვავებდა კონტრევოლუციურ აჯანყებას, მასობრივ არეულობას და ბანდიტიზმს [19.186-187]. ამ დანაშაულთა გამიჯვნის საკითხი პრობლემური იყო 1919 წლის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისების მიღების შემდეგაც. ამ მომენტზე ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ „საწყისები” საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ 1921 წლის „სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებებს” და შესაბამისად გასაბჭოების პერიოდიდან საქართველოს კანონმდებლობაში ის პრობლემატიკა აისახა, რომელიც რსფსრ-ს კანონმდებლობას ახასიათებდა. „საწყისებთან” ერთად ბანდიტიზმის საკითხს უფრო დეტალურად განსაზღვრავდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1920 წლის 8 აპრილის “დეზერტირობასთან ბრძოლის კომისიების შესახებ” დეკრეტი, რომლის მეშვიდე პუნქტი ითვალისწინებდა „დეზერტირებს, რომლებიც გაერთიანდნენ შეიარაღებულ ბანდაში”. როგორც ლ. სურგულაძე აღნიშნავს „საწყისები” რედაქციის გარეშე მოქმედებდნენ საქართველოში, საქართველოს რევკომის 1921 წლის 26 დეკემბრის ბრძანების მიღებამდე. მარტო ამ ბრძანებაში იყო პირველად ჩამოთვლილი ის დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებთან ბრძოლის მიზნით შეიქმნა

განსაკუთრებული კომისია. ბრძანების თანახმად კონტრევოლუციის ცნება ფართოდ იყო ინტერპრეტირებული და ბანდიტიზმზეც ვრცელდებოდა. ანალოგიური მიდგომა ახასიათებდა 1921 წლის 3 აპრილის რევოლუციური ტრიბუნალების დებულებას. აღნიშნული დებულება ბანდიტიზმს განიხილავდა, როგორც ქმედებას, რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის საბჭოთა საქართველოს წესწყობილობას [19. 186-187;9.37-67].

საბჭოთა საქართველოს კანონმდებლობაში ბანდიტიზმის ცნებამ გარკვეული ცვლილება 1922 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის მიღების შემდეგ განიცადა. საქართველოს სსკ-ს 76-ე მუხლი [178] იმეორებდა რსფსრ-ს 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლით გათვალისწინებულ ბანდიტიზმის ცნებას. რსფსრ-ს 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლში “ბანდიტიზმი” განისაზღვრებოდა, როგორც “ბანდების ორგანიზება და ბანდებში (შეიარაღებულ “შაიკებში”) და ბანდიტების მიერ ორგანიზებულ ყაჩაღურ თავდასხმებსა და ძარცვებში მონაწილეობა, საბჭოთა დაწესებულებებსა და ცალკეულ მოქალაქეებზე თავდასხმა, მატარებლების გაჩერება და სარკინიგზო ლიანდაგების განადგურება, მიუხედავად იმისა, თან ახლდა თუ არა ამ თავდასხმებს მკვლელობა და ძარცვა. 76-ე მუხლი ხელყოფის ობიექტად ხელისუფლების ძალაუფლებასაც განიხილავდა [150]. ანალოგიურად სსკ-ს 76-ე მუხლში მოცემულია ბანდიტიზმის შემდეგი განმარტება: ბანდის (შეიარაღებული შაიკის) ორგანიზაცია და ბანდაში მონაწილეობა, აგრეთვე მონაწილეობა ბანდის ყაჩაღურ თავდასხმასა და ძარცვაში, საბჭოთა დაწესებულებებზე და ცალკეულ მოქალაქეებზე თავდასხმაში, მატარებლის გაჩერებასა და რკინის გზის ლიანდაგის დაზიანებაში, სულ ერთია, იყო თუ არა ვინმე ამ დროს მოკლული ან გაძარცვული.

რსფსრ-ს კოდექსის 76-ე მუხლში ჩამოთვლილი ქმედებებისათვის სოციალური დაცვის ღონისძიების სახით დადგენილი იყო დახვრეტა, ქონების კონფისკაციით. სასჯელის შემცირება დაშვებული იყო არანაკლებ 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით – მკაცრი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით, მხოლოდ

შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობისას. ბანდისთვის ხელის შეწყობა და მისი წევრების და მთლიანად ბანდის დაფარვა, აგრეთვე ნამარცვისა და დანაშაულებრივი კვალის დამალვა ისევე ისჯებოდა, როგორც ბანდიტიზმი. სასჯელის შემცირება დაშვებული იყო არანაკლებ 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით – მკაცრი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად კი სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება დაწეულ იქნეს თავისუფლების აღკვეთამდე არა ნაკლებ ორი წლისა.

ორივე კოდექსი ითვალისწინებდა ქმედების სამ ელემენტს: ბანდების ორგანიზებას, ბანდების მიერ ორგანიზებულ თავდასხმებში მონაწილეობას და ბანდებში მონაწილეობას. თითოეული მათგანი საკმარისი იყო ბანდიტიზმისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად:

- 1) პირი შეიძლება იყოს ბანდის ორგანიზატორი, მაგრამ არ იყოს ბანდის შემადგენლობაში და არც მის თავდასხმებში მონაწილეობდეს;
- 2) პირი შეიძლება იყოს ბანდის შემადგენლობაში, მაგრამ არ იყოს ბანდის ორგანიზატორი და არ მონაწილეობდეს მის მიერ ჩადენილ თავდასხმებში;
- 3) პირი შეიძლება არ იყოს ბანდის ორგანიზატორი ან მონაწილე (მუდმივი წევრი), მაგრამ მონაწილეობდეს მის მიერ ორგანიზებულ თავდასხმებში. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა დგებოდა ჯგუფის ხელმძღვანელობისათვის, ჯგუფში ან მის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობისათვის.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ პერიოდის ბანდიტიზმის სპეციალური თეორიული გამოკვლევა არ ჩატარებულა, რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში კი რამდენიმე მოსაზრება იქნა გამოთქმული. ასე მაგალითად, ა. ტრანინის თვალსაზრისით: „თუ სამი მონაწილე გეგმავს ორი დანაშაულის ჩადენას, მაგალითად, სიყალბის ან თაღლითობის, და ამით შემოიფარგლება, მაშინ გაბატონებული თეორია აქ უთუოდ შეიცნობს ბანდას. ხოლო თუ სხვა პირები, რომლებიც შეკრულ შეიარაღებულ ჯგუფს ქმნიან, განიზრახავენ მხოლოდ ერთ

თავდასხმას, მაგალითად, სახელმწიფო ბანკზე, მაშინ ეს თეორია ამბობს: “აქ არ არის ბანდის ნიშნები”. ამიტომ რამდენიმე დანაშაულის ჩადენა არ შეიძლება გავიგოთ, როგორც “შაიკის” ერთადერთი ძირითადი ნიშანი. ბანდის ძირითადი ნიშანია ბანდის ორგანიზება და ერთი პირის მიერ მეორის ხელმძღვანელობა. ეს ნიშანი ყურადღებას ამახვილებს არა ისეთ ფორმალურ ნიშანზე, როგორცაა დანაშაულთა რიცხვი, არამედ მატერიალურზე – ბანდის, როგორც ორგანიზებული ერთეულის, თავისებურებაზე [112.21-29].

ამ პერიოდის რსფსრ-ს და საბჭოთა საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი შემდეგ ტენდენციას გვიჩვენებს:

1. აღნიშნული პერიოდის ორივე რესპუბლიკის კანონმდებლობამ ბანდიტური თავდასხმისა და ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამიჯვნის საკითხი ღიად დატოვა. როგორც რსფსრ-ს, ასევე საქართველოს კოდექსების თანახმად, ბანდას შეუძლია განუსაზღვრელად ყველა შესაძლო მოქმედება ჩაიდინოს. მეორე მხრივ, კანონში კაზუსტურად იყო მოცემული ქმედებათა ჩამონათვალი – საბჭოთა დაწესებულებებსა და ცალკეულ მოქალაქეებზე თავდასხმა, აგრეთვე მატარებლების გაჩერება და სარკინიგზო ლიანდაგების განადგურება.

2. იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით რსფსრ-ს სსკ-ის 76-ე და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლები განსხვავდებიან. რსფსრ-ს სსკ-ის 76-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას “ბანდიტების ხელშეწყობისათვის და ბანდებისა და მათი ცალკეული მონაწილეების დაფარვისათვის, აგრეთვე ნაძარცვისა და დანაშაულის კვალის დამალვისათვის”. პასუხისმგებლობა ვრცელდებოდა ნებისმიერ პირზე, ბანდის მონაწილეთა მეუღლეებისა და ახლო ნათესავების ჩათვლით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლი კი ამ საკითხს მეორე ნაწილის სახით არ ითვალისწინებდა. თანამონაწილეობის საკითხი მოცემული იყო სსკ-ს მე-18 მუხლში, სადაც სოციალური დაცვის ღონისძიება უნდა შეეფარდოს დანაშაულის ყველა თანამონაწილეს: წამქეზებელს, ამსრულებელს და დამხმარეს. ახასიათებს რა იმ

პერიოდში არსებულ თანამონაწილეობის ინსტიტუტს, თ. წერეთელი აღნიშნავს: „1922 წლის კოდექსი თანამონაწილეობად (დახმარებად) თვლის არა ყოველგვარ დაფარვას, არამედ მარტო ისეთს, რომელიც წინასწარ იყო შეპირებული. მეორე მხრივ, თუ 1922 წლის კოდექსი წინასწარ შეუპირებლად დაფარვას თანამონაწილეობად არ თვლიდა, მაშინ მას განსაკუთრებულ ნაწილში უნდა გაეთვალისწინებინა წინასწარ აღუთქმელი დაფარვა, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, მიმართული მართლმსაჯულების წინააღმდეგ. ამიტომ გასაგებია, რომ ზემოაღნიშნულმა მუხლებმა საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. სასამართლო პრაქტიკა ერთ გარკვეულ გზას დაადგა, სახელდობრ, მან უარყო რაიმე პრინციპული განსხვავება წინასწარ აღუთქმულ და წინასწარ აღუთქმელ დაფარვას შორის” [12.25]

1928 წელს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მიღებას წინ უძღოდა 1924-1927 წწ. რსფსრ-ში განხორციელებული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის რეფორმა. ამ პერიოდის მკვლევარის რ. ტაიძის თვალსაზრისით 1926 წლამდე ბანდიტიზმის ცნების მიმართ კანონმდებლის პოზიცია არ შეცვლილა, მაგრამ გარკვეული ცვლილებები მოხდა სასჯელების ნაწილში. 1924 წლის 31 ოქტომბერს მიღებული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების შესაბამისად, სისხლის სამართალში “სასჯელის” ცნება ჩანაცვლებულ იქნა “სოციალური დაცვის ღონისძიებების” ცნებით, რაც სასამართლო-გამოსასწორებელი და სამედიცინო ხასიათის ღონისძიებებს ითვალისწინებდა. ეს ნოვაცია იმ მუხლშიც აისახა, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ბანდიტიზმისათვის [109.64-66].

ბანდიტიზმისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის განვითარების მომდევნო ეტაპია რსფსრ-ს 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიღება. ამ კოდექსის 59.3 მუხლმა ბანდიტიზმის ცნება უცვლელად დატოვა. კოდექსმა

საბოლოოდ უარი თქვა ტერმინზე “შიკა” და დაამკვიდრა ტერმინი “ბანდა” [197]. ამ მუხლის თანახმად, ბანდიტიზმი შეიარაღებული ბანდის შექმნა და ბანდაში მონაწილეობაა, რომელიც ახორციელებს ყაჩაღურ თავდასხმას, მარცვას, საბჭოთა დაწესებულებებზე თავდასხმას, მატარებლების გაჩერებას, რკინიგზის ლიანდაგების, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის სხვა საშუალებათა განადგურებას, მიუხედავად იმისა თავდასხმას თან სდევდა მკვლელობა, მარცვა თუ არა.

საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) 1927 წლის 25 თებერვლის დადგენილებით დამტკიცებული, სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ დებულების მე-17 მუხლი ბანდიტიზმის შემადგენლობას შემდეგნაირად განსაზღვრავდა: „ბანდიტიზმი, ე.ი. შეიარაღებული ბანდების ორგანიზება და მათში მონაწილეობა და მათ მიერ საბჭოთა დაწესებულებებზე ან ცალკეულ მოქალაქეებზე ორგანიზებულ თავდასხმებში მონაწილეობა, მატარებლების გაჩერება და სარკინიგზო ლიანდაგების ან კავშირის სხვა საშუალებათა განადგურება“. ადრე მოქმედ ნორმასთან შედარებით, გამოირიცხა მარცვა, როგორც ბანდიტური თავდასხმების მიზანი, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ბანდიტებს შეიძლება სხვა მიზნებიც ჰქონდეთ, მაგ. (მკვლელობა, გაუპატიურება, ხულიგნობა და სხვ.) [142].

საქართველოს 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსი იმეორებდა რსფსრ-ს სსკ-ს. 58<sup>17</sup>-ე მუხლში აღნიშნულია: ბანდიტიზმი, ე.ი. შეიარაღებული ბანდის მოწყობა და ამ ბანდაში მონაწილეობა, მონაწილეობა აგრეთვე ბანდის თავდასხმაში საბჭოთა დაწესებულებაზე ან ცალკე მოქალაქეზე, მატარებლის გაჩერება, რკინიგზის ლიანდაგისა და მიმოსვლის სხვა საშუალებათა, აგრეთვე კავშირგაბმულობის განადგურება [179].

აღსანიშნავია, რომ რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 59.3 –ე მუხლი ცალკე აღარ ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას დანაშაულის დახმარებისთვის ან დანაშაულის დაფარვისთვის და მათ თანამონაწილეობის სახეობად განიხილავდა. როგორც თ. წერეთელი აღნიშნავს, „რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის ამ პოზიციას ადგენენ დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებიც, გარდა

უზბეკეთის სსრ 1926 წლის, უკრაინის სსრ 1927 წლის და საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსებისა. აღნიშნული კოდექსები მკვეთრად განასხვავებდნენ ერთმანეთისგან დაფარვას, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას და დაფარვას, რომელიც დანაშაულის ჩადენას ხელს არ უწყობს. პირველი სახის დაფარვად ითვლებოდა წინასწარ შეპირებული დაფარვა. იგი განიხილებოდა როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში. მეორე სახის დაფარვად ითვლებოდა ისეთი დაფარვა, რომელიც წინასწარ შეპირებული არ იყო. ეს უკანასკნელი განიხილებოდა არა როგორც დანაშაულში თანამონაწილეობა, არამედ როგორც დამოუკიდებელი ქმედება, რომელიც იწვევდა პასუხისმგებლობას მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით საგანგებოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში” [12.25-26].

1933 წლის 4 აგვისტოს რსფსრ-ს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა წამოაყენა წინადადება, რომ რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 59.3-ე მუხლის ანალოგიით დაკვალიფიცირებულიყო საველე სამუშაოებზე მყოფ კოლმეურნეთა შინაური პირუტყვის ქურდობა, თუ ამ ქურდობას მტრული კლასობრივი ე.წ. (კულაკური) ელემენტები, ან სისტემატურად ორგანიზებული ჯგუფები სჩადიოდნენ [115.208-210].

ამ მიმართულებით ბანდიტიზმის ცნების “გაფართოებას” საფუძვლად ედო კოლექტივიზაციის განვითარების პოლიტიკა, რომელმაც თავის მხრივ ხელი შეუწყო საქართველოში (ისევე, როგორც რუსეთში) გასული საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიების მასშტაბურობას.

ვ. ანტონოვ-სარატოვსკის აზრით, XX საუკუნის 30-იან წლებში ბანდიტიზმთან ბრძოლის პრაქტიკაში ვლინდება ბანდიტიზმის ნორმის გამოყენების შეზღუდვის ტენდენცია. როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ მიმართულებით ბანდიტიზმის ნორმის გამოყენება იმიტომ იზღუდებოდა, რომ ყოველგვარი შეიარაღებული ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც განსაკუთრებით რკინიგზის და კავშირის სხვა საშუალებათა განადგურებასთან იყო დაკავშირებული, სახელმწიფო

დანაშაულთა შესახებ სხვა მუხლებით, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 58.9 მუხლით (დივერსია) და 58.11 მუხლით (კონტრრევოლუციური ორგანიზაცია), კვალიფიცირდებოდა [82.17-19].

ყურადსაღებია კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც სისხლის სამართლის პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. 1932 წლის 7 აგვისტოს მიღებულ იქნა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ერთობლივი დადგენილება „სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და კოოპერატივების ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ“. ამ დადგენილების შესაბამისად, ბანდის მიერ ჩადენილი სოციალისტური საკუთრების დატაცება დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიცირდებოდა – სოციალისტური საკუთრების დატაცება (1932 წლის 7 აგვისტოს კანონი) და ბანდიტიზმი (რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 59-3 მუხლი). ასეთი ერთობლიობის პრაქტიკული მნიშვნელობა განპირობებული იყო 1932 წლის 7 აგვისტოს კანონის სანქციით, რომელიც არ უშვებდა ამნისტიას იმ პირთა მიმართ, რომლებიც სასჯელს ამ კანონით იხდიდნენ. ამ მიმართულებით გრძელდებოდა სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრება. 1936 წლის 14 თებერვალს რსფსრ-ს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა თავისი დადგენილებით, დიდი ოდენობით ნივთის ყაჩაღურ დაუფლებაზე, რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 59-3 მუხლის მოთხოვნა გაავრცელა. შესაბამისად, ნელ-ნელა მზადდებოდა ნიადაგი ბანდიტიზმის ცნების გაუმართლებელ გაფართოებისათვის [188;33.78].

XX საუკუნის 30–40-იანი წლების ბოლოს “ბანდის” განსაზღვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა ისეთმა ნიშნებმა, როგორებიცაა სიმყარე და შეიარაღება. „სამხედრო (საომარ) პირობებში მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის ზოგიერთი სახეობის კვალიფიკაციის შესახებ” სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1942 წლის 8 იანვრის დადგენილებით დატაცებისთვის ან სხვა დამამძიმებელ გარემოებებში არაერთგზის ჩადენილი ან ადრე გასამართლებულ



პირთა ჯგუფის ან პირთა მიერ ჩადენილი მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა მტრის საჰაერო თავდასხმის დროს, მტრის გამოჩენასთან ან მოახლოებასთან დაკავშირებით დასახლებული პუნქტის დატოვებისას, ევაკუირებულ მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა გზაში ან ადრინდელ საცხოვრებელ ადგილას რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 59-3 მუხლის ანალოგიით (ბანდიტიზმი) და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით კვალიფიცირდებოდა [141]. როგორც დადგენილების ტექსტიდან ჩანს საბჭოთა საქართველოსთვის აღნიშნული დადგენილება სავალდებულო იყო.

1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების გამოცემამდე “შაიკა” განისაზღვრებოდა, როგორც დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი სახე, როგორც “შეკრული დანაშაულებრივი კოლექტივი, ერთგვარი ორგანიზაციული ერთობა”. ა. ტრანინი აღნიშნავდა, რომ “შაიკა” – ეს არის პირთა მჭიდრო კავშირი, რომლებიც საერთო მიზნისაკენ ისწრაფვიან და რომელთა მოქმედებაც ერთიანია. ამგვარად, “შაიკა” ხანგრძლივი, შეკრული თანამონაწილეობაა, საზოგადოებისათვის საშიში ქმედებების ჩასადენად [50.374].

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კანონმდებლობის ისტორიაში პირველად ტერმინი “ორგანიზებული ჯგუფი” გამოჩნდა “სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ” სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებაში, რომლის მე-2 და მე-4 მუხლებში დატაცების მაკვალიფიცირებელ ნიშნად ორგანიზებული ჯგუფის (შაიკის) მიერ დატაცების ჩადენა იყო გათვალისწინებული. ამ ტერმინის შინაარსის განუსაზღვრელობამ წინააღმდეგობრივი სასამართლო პრაქტიკა წარმოქმნა: ზოგ შემთხვევაში სასამართლოები ასეთი ჯგუფის არსებობას აღიარებდნენ წინასწარი შეთანხმებით ყოველგვარი თანამონაწილეობისას, ზოგში კი – დატაცების მხოლოდ მყარი ორგანიზაციული ფორმების მქონე ჯგუფის მიერ ჩადენისას. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ წილად დაცული იყო “ბანდიტიზმის” განსაზღვრის მოთხოვნა. მაგრამ, ბრძანებულების მე-4 პუნქტში ბანდიტიზმის

ცნებაში ბუნდოვანი ელემენტი შემოჰქონდათ – ჯგუფის მიზნად რატომღაც მხოლოდ დატაცების ჩადენა მიიჩნეოდა [154].

ამ პოზიციას ისიც ამყარებდა, რომ “მოქალაქეთა პირადი ქონების დაცვის გაძლიერების შესახებ” სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების პირველ მუხლში, დანაშაულის დამამძიმებელი გარემოების სახით, “შაიკის” მიერ ქურდობის ჩადენა იყო მითითებული [154]. როგორც ლ. პროზუმენტოვი აღნიშნავს, ორგანიზებული ჯგუფის (შაიკის) ცნების გაურკვეველობამ სასამართლო პრაქტიკაში ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები წარმოშვა: ზოგიერთ სასამართლოში ორგანიზებულ ჯგუფად მიიჩნევდნენ პირთა გაერთიანებებს, რომლებიც წინასწარ თანხმდებიან თანამონაწილეობით ქმედების ჩადენის თაობაზე. მისი აზრით, ზოგიერთ სასამართლოს მიაჩნდა, რომ ორგანიზებულ ჯგუფს უნდა გააჩნდეს მყარი ორგანიზებული ფორმა. ამ შემთხვევაში გაუგებარი იყო, ბანდა იქმნება ერთი თუ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად [104.132-134].

სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებამ “შაიკის” ცნებისადმი დამოკიდებულება შეცვალა. ამ ბრძანებულების გამოცემის ერთ-ერთი მიზანი სოციალისტური საკუთრების და მოქალაქეთა პირადი ქონების დატაცების ხელყოფასთან ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობა გახდა. მან მოითხოვა “შაიკის” ცნების მკაფიო ფორმულირება, რამდენადაც ბრძანებულებაში აღნიშნული იყო, რომ “შაიკის” მიერ ჩადენილი დანაშაული ბრალეულ პირთა მიმართ სასჯელის დანიშვნის არაერთგვაროვან პრაქტიკას იწვევდა.

1947 წლის 4 ივნისის სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოცემამდე “შაიკის” ცნებამ გარკვეული ცვლილება განიცადა. ამასთან დაკავშირებით, ნ. დურმანოვი 1947 წელს წერდა, რომ ქურდული “შაიკა” უნდა გავიგოთ როგორც მყარი, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც ქურდობების ჩასადენად შეიქმნა [90.39-40]. ნ. დურმანოვის კონცეფციაში, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, ბოლომდე გაურკვეველია შაიკის (ჯგუფის) “სიმყარის” ცნება,

რადგან სიმყარე მას ესმის როგორც ჯგუფის მონაწილეთა შორის არსებული მყარი კავშირები. გარდა ამისა, ის სიმყარეს დანაშაულის მართო ერთ სახეს (ქურდობას) უკავშირებს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

სსრკ-ს იუსტიციის მინისტრის, სსრკ-ს გენერალური პროკურორისა და სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თათბირის დადგენილებაში გაკრიტიკებულ იქნა ნ. ღურმანოვის მტკიცება “შაიკის” სიმყარის შესახებ. დადგენილების არგუმენტაცია იმ გარემოებას ემყარებოდა, რომ სასჯელის გამკაცრებისათვის “შაიკის” აღნიშნული ნიშანი არსებით როლს არ ასრულებს. როგორც ცნობილია, 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების სანქციები საშუალებას იძლეოდა, სოციალისტური საკუთრების დანაშაულებრივი ხელყოფა საკმაოდ მკაცრად დასჯილიყო, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ამას რამდენიმე პირი ახორციელებდა, რომლებიც სიმყარისა და ორგანიზებულობის ყოველგვარი ნიშნების გარეშე მოქმედებდნენ [90.39-40].

მოგვიანებით, ერმოშინისა და სხვათა საქმეზე სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 7 მაისის დადგენილებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორგანიზებული ჯგუფის ცნებისათვის სულაც არ არის საჭირო მყარი ჯგუფის არსებობა, რომელიც არა ერთი, არამედ რამდენიმე დატაცების ჩასადენადაა შექმნილი; საკმარისია, ჯგუფი წინასწარ თუნდაც ერთი დატაცების ჩასადენად გაერთიანდეს [110.320-325]. ასეთი მიდგომა დამკვიდრდა სასამართლო პრაქტიკაში, სადაც “შაიკად” ისეთ ჯგუფებსაც აკვალიფიცირებდნენ, რომლებიც არ იყვნენ ორგანიზებული ჯგუფები.

“სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ” 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებისა და სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 19 მარტისა და 1954 წლის 28 მაისის დადგენილებების მიხედვით, “შაიკის” აღიარებისათვის მის მონაწილეებს შორის წინასწარი შეთანხმების არსებობა არ იყო საკმარისი. ამრიგად, “შაიკის”

ცნების გაფართოებამ ხელი შეუწყო რეპრესიული პოლიტიკის განხორციელებას, რადგან ნებისმიერი ჯგუფი “შაიკად” მიიჩნეოდა [102.106-115].

სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 28 მაისის დადგენილების თანახმად, “შაიკა” – ეს არის დატაცების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ორგანიზებული პირთა ჯგუფი, მაგრამ რამდენიმე დანაშაულის ჩადენისათვის ჯგუფის შექმნას ყურადღება არ ექცეოდა [186].

სსრკ-ს უზენაესი სასამართლო ტერმინების “ორგანიზებული” და “წინასწარი შეთანხმება” გამოყენებისას დიდ სიმკაცრეს არ იჩენდა. სასამართლოების განაჩენებში “შაიკის” თავისებურების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მონაწილეთა შორის წინასწარი შეთანხმების არსებობაზე იყო დამოკიდებული. სხვა საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში უზენაესი სასამართლო ჯგუფის ორგანიზებულობაზედაც მიუთითებდა, მაგრამ “შაიკის” ცნების გაფართოების ტენდენცია ამით არ იცვლებოდა [186].

ლ. პროზუმენტოვის შეფასებით, ზოგიერთი მეცნიერი არ კმაყოფილდებოდა “შაიკის” ცნების გაფართოებით. სანქციების გამკაცრების მიზნით ისინი მაკვალიფიცირებელი ნიშნის სახით ჯგუფის წევრების სპეციალური ნიშნის შემოღებას ცდილობდნენ. ასეთ ნიშნებად აცხადებდნენ “საბჭოთა სამეურნეო აპარატში შეღწეულ პარაზიტულ ელემენტებს”, “გახრწნილ რეციდივულ ელემენტებს” და სხვა [104.132-134].

როგორც ა. პიონტოვსკი და ვ. მენშაგინი აღნიშნავენ, ომის შემდგომ წლებში რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 59-3 მუხლის გამოყენების ყველაზე ფართო პრაქტიკა იყო დასავლეთ უკრაინასა და ბალტიისპირეთში შეიარაღებულ ფორმირებებთან ბრძოლაში. გარდა ამისა, ხსენებულ ავტორთა შეფასებით, სასამართლო პრაქტიკაში შეიმჩნეოდა “ბანდიტიზმის” ცნების თვითნებური განმარტების ტენდენცია, რაც ხელს უწყობდა რეპრესიების უმტკივნეულად გატარებას [40.163]. ამას ადასტურებს „გამოსასწორებელ-შრომით ბანაკებში პატიმართა შორის ბანდიტიზმის განსაკუთრებით ბოროტ გამოვლინებებთან

ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებების შესახებ” სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 13 იანვრის ბრძანებულება, რომელშიც “ბანდიტიზმის” ცნება არ იყო განმარტებული, რაც ხელს უწყობდა მის ფართო გამოყენებას [155].

დასავლეთ უკრაინასა და ბალტიისპირეთში შეიარაღებულ ფორმირებათა წინააღმდეგობის ჩახშობის შემდეგ რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 59-3 მუხლის გამოყენება მკვეთრად შემცირდა. XX საუკუნის 50-იან, 60-იან წლებში ბანდიტიზმთან ბრძოლის პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე პ. გრიშანიანი ასკვნის, რომ ბანდიტიზმი პრაქტიკულად აღმოფხვრილია [88.5-20].

“შაიკისათვის” დამახასიათებელი ნიშნების გარკვევის ცდა მოცემულია ა. ტრაინინის ნაშრომში, რომელიც 1957 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ “სოციალისტურ კანონიერებაში”. ა. ტრაინინს მიაჩნდა, რომ ჯგუფი (შაიკა) არის თანამონაწილეობის დამოუკიდებელი სახე, რომელიც უფრო მეტად არის შეკრული, ვიდრე წინასწარი შეთანხმებით უბრალო თანამონაწილეობა, და უფრო ნაკლებად, ვიდრე ბანდა [112.25]. როგორც აღნიშნავს ი. ტიშუნინა, აღნიშნული მოსაზრება მეცნიერებაში მეტად კრიტიკულ დამოკიდებულებას იწვევდა. ა. ტრაინინის განმარტება იმიტომ იყო სადავო, რომ ორი ან რამდენიმე პირის მიერ დანაშაულის ჩადენის სურვილის შესახებ უბრალოდ აზრთა გაცვლაც კი რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 59-3 მუხლის ამოქმედებას გამოიწვევდა [111.3-35].

“შაიკის” ცნების არასწორი განმარტება, ზოგჯერ უარყოფით გავლენას ახდენდა სასამართლო პრაქტიკაზეც, რასაც ვ. პინჩუკის მიერ მოყვანილი მაგალითი მოწმობს. ლენინგრადის საქალაქო სასამართლომ 1955 წლის 9 სექტემბრის განაჩენით, პეტროვი და პალმოვი “სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის გაძლიერების შესახებ” 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით გაასამართლა და თითოეულს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რსფსრ-ს უზენაესი სასამართლოს, სასამართლო კოლეგიამ განაჩენი ძალაში დატოვა. როგორც განაჩენში აღინიშნა განსასჯელები, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფნი, წინასწარი შეთანხმებით, მოქალაქე კ.-ს ერთ-ერთი სახლის კიბეზე შეჰყვნენ და

“დანის მსგავსი მბრწყინავი საგნის” მუქართ შესთავაზეს მას გაეხადა და საათი მიეცა მათთვის, შემდეგ გამოსტაცეს ჩანთა ფულითა და დოკუმენტებით და მიმალვას შეეცადნენ, მაგრამ მოგვიანებით ისინი დააკავეს. მეტად მკაცრი სასჯელის გამოტანას სასამართლო შემდეგი არგუმენტაციით ასაბუთებდა: წინასწარი შეთანხმების არსებობა იმით მტკიცდება, რომ პეტროვი და პალმოვი მისდევდნენ კ.-ს, რომელსაც გზა გადაუღობეს კიბის უჯრედზე. მას ორივე უცენზურო სიტყვებით ლანძღავდა. პალმოვმა კ.-ს ფარნით გაუნათა სახე, ხოლო პეტროვი დანის მსგავს ლითონის საგანს იქნევდა. მათი მოქმედება ორგანიზებული იყო. ამიტომ განსასჯელები მოქმედებდნენ, როგორც “შაიკა” [102.106-115].

ამის გარდა ვ. პინჩუკს მიაჩნია, რომ აღნიშნული პერიოდის სასამართლო პრაქტიკა ყურადღებას არ აქცევდა წინასწარ შეთანხმებას როგორც განზრახვის თავისებურ ფორმას. ამასთან დაკავშირებით ის აღნიშნავს: რასაკვირველია, “შაიკისათვის” (ბანდისათვის) მნიშვნელოვანი თვისებაა ჯგუფის ორგანიზებულობა, თუმცა თანამონაწილეობის მოცემული ფორმა ამ თვისებით არ შემოიფარგლება. სწორედ ეს მომენტი, რომ ჯგუფი სხვადასხვა დანაშაულის ჩასადენადაა შექმნილი, დაკარგული იყო თვალთახედვიდან. მისი აზრით, ამ არსებით შეცდომას სასამართლო პრაქტიკაც გვიდასტურებს, მაგალითად ლუჩნიკოვის საქმე. ლუჩნიკოვმა თავის ხელქვეითებს, პისკლოვსა და მიტკოს ორი შეკვრა მავთულხლართისა და ერთი ყუთი მინის მოპარვა დაავალა. დავალება შესრულდა და მინა მიტანილ იქნა ლუჩნიკოვის სახლში. სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს ქმედება ორგანიზებულმა ჯგუფმა ჩაიდინა, და ყველა ბრალდებული 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-2 მუხლით გაასამართლა. სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ მიიჩნია, რომ დატაცება მხოლოდ ლუჩნიკოვმა ჩაიდინა, ხოლო პისკლოვი და მიტკო დამხმარეებად გამოიყენა. ლუჩნიკოვის ქმედება 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების პირველი მუხლით გადააკვალიფიცირა, ხოლო პისკლოვისა და მიტკოს ქმედება – რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლით და იმავე ბრძანებულების პირველი მუხლით. სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1950 წლის 4 მაისის დადგენილებით გააუქმა კოლეგიის განჩინება და მიუთითა, რომ ყველა

მსჯავრდებულის ქმედებანი ლუჩნიკოვის ინიციატივით შექმნილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ ქმედებებად უნდა იქნეს განხილული [102.106-115].

ამასთანავე, გასული საუკუნის 50-იანი წლების იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ვ. პინჩუკი აღნიშნავს, მტკიცდებოდა აზრი, რომ “შაიკა” არის მყარი, ორგანიზებული დანაშაულის ჩასადენად ორი ან მეტი პირისგან შემდგარი ჯგუფი. მეცნიერთა აზრით, ჯგუფის ყველა წევრს დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მათთვის ცნობილია ჩადენილი დანაშაულის ფაქტი, თუ ისინი ეხმარებოდნენ სხვებს დანაშაულის ჩადენაში და ა.შ. [102.106-115].

ვ. მენშაგინი და ა. პიონტოვსკი გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებულ ნაწილში გათვალისწინებული უნდა იქნეს “შაიკის” მიერ ჩადენილ დანაშაულთა მაკვალიფიცირებელი გარემოებანი, საბჭოთა კანონმდებლობა მისწრაფოდა “ბანდიტიზმისათვის” ერთი, დამოუკიდებელი დეფინიცია მიეცა [36.223-230]. ამიტომ “შაიკის” შესახებ ყოველგვარი დავა ფაქტობრივად ამ გზით მიდიოდა. თუმცა ამგვარი მიდგომა უცებ არ განხორციელებულა. ამ საკითხთან დაკავშირებით პ. გრიშაევი და გ. კრიგერი აღნიშნავდნენ, რომ სსრ კავშირის 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 34-ე მუხლის მე-2 პუნქტში და რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტში “ორგანიზებული ჯგუფი” მითითებული იყო, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. პრაქტიკაში ეს გარემოება, როგორც ჩანს, ორი მიზეზით არ გამოიყენებოდა: ჯგუფურ დანაშაულთან ბრძოლის რეალური წარმატებებისა და მისი ცნების შინაარსობრივი გაურკვევლობის გამო [21.200-240].

რსფსრ-ს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლი ითვალისწინებდა ბანდიტიზმისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას „სახელმწიფო დანაშაულთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ” კანონის მე-14 მუხლის რედაქციით. ამ ნორმაში “ბანდიტიზმი” განისაზღვრებოდა, როგორც „სახელმწიფო, საზოგადოებრივ დაწესებულებებზე ან საწარმოებზე ან/და ცალკეულ

პირებზე თავდასხმის მიზნით შეიარაღებული ბანდების ორგანიზება, ისევე, როგორც ამგვარ ბანდებში და მათ მიერ ჩადენილ თავდასხმებში მონაწილეობა” [151]. ანალოგიურად იყო ჩამოყალიბებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლიც “ბანდიტიზმი”: შეიარაღებული ბანდების ორგანიზაცია სახელმწიფო, საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და საწარმოებებზე ან ცალკეულ პირებზე თავდასხმის მიზნით, აგრეთვე ასეთ ბანდებში და მათ მიერ მოწყობილ თავდასხმებში მონაწილეობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტი წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით [180].

1960 წლის რსფსრ-ს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსებში მოცემული დანაშაულის ჩადენის სამი ხერხი დარჩა, კერძოდ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებზე ან საწარმოებზე ან/და ცალკეულ მოქალაქეებზე თავდასხმის მიზნით შეიარაღებული ბანდების ორგანიზება, ბანდაში მონაწილეობა, ბანდის მიერ ჩადენილ თავდასხმებში მონაწილეობა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის (1960 წლის 17 ივნისის) დადგენილებაში მითითებული იყო, რომ „ბანდა არის ორი ან მეტი პირისგან შემდგარი მყარი შეიარაღებული ჯგუფი, რომლებიც წინასწარ გაერთიანდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებზე ან საწარმოებზე ან/და ცალკეულ პირებზე თავდასხმებისათვის” [187.14-15]. უნდა ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვნად ესმოდათ “სიმყარის” ნიშანი. ჯერ კიდევ 1947 წელს საკავშირო უმაღლეს სასამართლოს მიაჩნდა, რომ ბანდა იქმნება რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად [184.14-17]. მაგრამ უკვე 1959 წელს უზენაესი სასამართლო თავის დადგენილებაში მიუთითებდა, რომ ბანდა შეიძლება შეიქმნას ერთი დანაშაულის ჩასადენადაც [185.1].



1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა ბანდის ისეთი ნიშანი გამოყო, როგორცაა ჯგუფის (ორი ან მეტი პირი) არსებობა - “ბანდებში და მათ მიერ მოწყობილ თავდასხმებში მონაწილეობა.”

ბანდის შემდეგი ნიშანია შეიარაღება. შეიარაღებაში იგულისხმება ბანდის განკარგულებაში ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღის არსებობა, რომელიც თავდასხმების განსახორციელებლად არის განკუთვნილი. აუცილებელი არ არის, რომ იარაღი ბანდის თითოეულ წევრს ჰქონდეს; საკმარისია, იარაღს თუნდაც ერთ-ერთი მათგანი ფლობდეს. სსრ კავშირის უზენაესი სასამართლო ამ დროს მიუთითებდა, რომ „იარაღში” უნდა გავიგოთ ის საგნები, რომლებიც მხოლოდ ცოცხალი მიზნის დასაზიანებლადაა განკუთვნილი და რომლებსაც არა აქვთ სხვა სამეურნეო დანიშნულება, ამასთანავე, საგნები, რომელთა სარგებლობისთვის, აგრეთვე ტარებისა და შენახვისთვის სპეციალური ნებართვებია საჭირო. “იარაღად” არ შეიძლება განვიხილოთ ისეთი საგნები, როგორებიცაა ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის მაკეტები, ვინაიდან მათ არანაირი რეალური მომაკვდინებელი ძალა არა აქვთ [187.14-15].

ბანდის მნიშვნელოვან ნიშნად აგრეთვე გამოყოფილია ჯგუფის სიმყარე. იმ პერიოდში საბჭოთა რესპუბლიკებისათვის რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს მითითებები მათთვის გარკვეულ ორიენტირს წარმოადგენდა. აღნიშნულ ნიშანთან მიმართებაში სასამართლო აღნიშნავდა, რომ სიმყარე პირთა ჯგუფის გაერთიანებას გულისხმობს დანაშაულებრივი ქმედებების ჩასადენად. ბანდიტიზმისთვის საჭიროა, რომ მონაწილეები ვარაუდობდნენ არა მარტო დასახული თავდასხმის აქტის ჩადენას, რის შემდეგაც ჯგუფმა არსებობა უნდა შეწყვიტოს, არამედ მუდმივ ან დროებით საქმიანობას, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების არაერთგზის ჩადენაზეა გათვლილი. ამგვარად, ბანდიტიზმი გულისხმობს ისეთ ჯგუფს, რომელიც შექმნილია არა ერთი დანაშაულებრივი ქმედების, არამედ დანაშაულებრივი საქმიანობის განსახორციელებლად [184.14-17].

საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წ.) 78-ე მუხლი, ბანდის ნიშნად ითვალისწინებდა ბანდების ორგანიზაციასაც. ამ პერიოდის ლიტერატურაში დავას არ იწვევდა ის ფაქტი, რომ ორგანიზება შეიძლება გამოიხატებოდეს თანამონაწილეთა მოძიებითა და შერჩევით, თავდასხმების გეგმის შემუშავებით, იარაღის შეძენით და ისეთი ქმედებებით, რომლებიც მყარი შეიარაღებული ჯგუფის შექმნისკენ არის მიმართული [12.151]. მიუხედავად ამისა სადავო იყო ისეთი სიტუაცია, როდესაც ორგანიზატორი წმინდა ორგანიზაციულ საქმიანობას ეწევა. თ. წერეთელი არ ეთანხმებოდა მ. კოვალიოვის მოსაზრებას, რომლის თანახმად ორგანიზატორი პასუხს აგებს როგორც შუალობითი ამსრულებელი. თ. წერეთელს ეს მოსაზრება მართებულად არ მიაჩნდა. როგორც ის აღნიშნავს, სსკ-ს მე-19 მუხლი სპეციალურად ითვალისწინებს ორგანიზატორს, როგორც თანამონაწილის ერთ-ერთ სახეს, ამიტომ მოსამართლემ ამ მომენტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს [12.152].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლი ითვალისწინებს აგრეთვე ბანდაში მონაწილეობის საკითხს. XX საუკუნის 60-იანი წლების ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს საკითხი სპეციალურად არ განიხილებოდა. საბჭოთა კავშირში ბანდაში მონაწილეობის პრობლემატიკა რსფსრ-ს იურისტთა მიერ განიხილებოდა. ასე მაგალითად დ. იაკუშევი იმ გარემოებაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომ ამ პერიოდის სასამართლო პრაქტიკა ბანდიტურ თავდასხმას და ბანდის მიერ ჩადენილ დანაშაულს აიგივებდა. აღინიშნებოდა, რომ ბანდიტიზმის დროს თავდასხმები შესაძლებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებებზე ან/და საწარმოებზე განხორციელდეს. ისინი შეიძლება დაკავშირებული იყოს ქონების დატაცებასთან, დაზიანებასთან ან განადგურებასთან. ამ დაწესებულებათა თანამშრომლების მიმართ ძალადობის გამოყენებასთან, დაპატიმრებულთა პატიმრობიდან გათავისუფლებასთან და სხვა. მოქალაქეებზე თავდასხმებს შესაძლებელია თან ახლდეს მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება, გაუპატიურება, ძარცვა. ყველა აღნიშნული ქმედების ჩადენას ბანდიტიზმის ცნება (თავდასხმები ბანდიტიზმის დროს) მოიცავდა და საჭირო არ

იყო დამატებითი სუბსუმცია იმ მუხლებით, რომლებიც ამ დანაშაულთა ჩადენისათვის სპეციალურ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა [114.3-24].

რ. ტაიძასოვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ 60-იან წლებამდე კანონი არ ახდენდა ბანდის წევრთა პასუხისმგებლობის დიფერენცირებას ჩადენილ დანაშაულში, მათი როლის მიხედვით. ბანდიტური ჯგუფის ყველა წევრს პასუხი უნდა ეგო ბანდის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულთა მთელი ერთობლიობისათვის, რომელთა განხორციელებაც ბანდის დანაშაულებრივ გეგმაში შედიოდა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საგამომიებო ორგანოებსა და სასამართლოს ზუსტად უნდა განესაზღვრათ, რით გამოიხატა ამა თუ იმ მონაწილის დანაშაულებრივი საქმიანობა, რადგან ამ გარემოებას შეიძლება არსებითი გავლენა მოეხდინა სასჯელის ზომის დანიშვნაზე [110.320-325].

1960 წლის რედაქციის საქართველოს სსკ-ს მე-12 მუხლის თანახმად, ბანდიტიზმის ამსრულებელი შეიძლება ყოფილიყო პირი, რომელმაც თექვსმეტი წლის ასაკს მიაღწია. თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე ასაკის პირებს, რომლებმაც შექმნეს ბანდა ან მონაწილეობა მიიღეს ბანდის მიერ ორგანიზებულ თავდასხმებში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისთვის.

ადრე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსებთან შედარებით, საქართველოს სსრ-ს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი ცვლილება იქნა შეტანილი. ბანდიტიზმის მუხლიდან გაქრა მოცემული დანაშაულის ჩადენის ისეთი ხერხები, როგორებიცაა „მატარებლების გაჩერება და სარკინიგზო ლიანდაგებისა და კავშირის სხვა საშუალებათა განადგურება“.

როგორც ა. ნაუმოვი აღნიშნავდა, ბანდიტიზმის მუხლში სასჯელის ახალი სახე გაჩნდა. “სახელმწიფო დანაშაულთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ” კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 18 მაისის ბრძანებულებით ბანდიტიზმისათვის დამატებით სასჯელად შეიძლება დანიშნულიყო გადასახლება

ორიდან ხუთ წლამდე ვადით. ბანდიტიზმის საზოგადოებისათვის საშიშ სხვა ქმედებებთან, მაგ. მკვლელობასთან ან დატაცებასთან, შეფარდების საკითხი დროთა განმავლობაში სხვადასხვაგვარად წყდებოდა. კერძოდ, „ბანდიტიზმის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პლენუმის 1959 წლის 25 ოქტომბრის დადგენილებაში სპეციალურად იყო აღნიშნული, რომ ბანდიტური თავდასხმის დროს მკვლელობის, გაუპატიურების ან ძარცვის ჩადენის შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ როგორც ბანდიტიზმი, შესაბამის მუხლებზე მითითების გარეშე, რომლებიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას პიროვნებისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის, რამეთუ ბანდიტიზმის ობიექტური მხარე ასეთ დანაშაულთა ჩადენასაც მოიცავს [38.508].

XX საუკუნის მომდევნო 90-იან წლებში ერთ-ერთი პრობლემური საკითხი იყო ქმედებათა ერთობლიობით ბანდიტიზმის სუბსუმციის საკითხი. როგორც ქვემოთ ავლნიშნავთ, რსფსრ-ს სასამართლო პრაქტიკაში თანდათან ფეხს იკიდებდა კონცეფცია, რომლის თანახმადაც იმ შემთხვევაში, თუ ბანდიტური თავდასხმა დაკავშირებულია ყაჩაღობასთან, გაუპატიურებასთან და სხვა დანაშაულთან, დამნაშავის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედებათა ერთობლიობით. მომდევნო წლების ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებში, როგორც ჩვენ ამას შემდგომ ვაჩვენებთ ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხილვისას, აღნიშნული პოზიცია უცვლელი დარჩა.

სულ სხვა სურათს ვხედავთ რუსეთის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში. როგორც ე. კობურნევი აღნიშნავს, სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს ეს პოზიცია დადასტურდა „განზრახი მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 27 ივნისის დადგენილებაში, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ბანდიტური თავდასხმების დროს ჩადენილ მკვლელობას ბანდიტიზმის ნიშნები მოიცავს და რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლით და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით დამატებით სუბსუმციას არ საჭიროებს. თუმცა

რსფსრ-ს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1992 წლის 22 დეკემბერს „განზრახი მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ დადგენილებაში წამოაყენა წინადადება, რომ ბანდის მონაწილეთა მიერ თავდასხმისას ჩადენილი განზრახი მკვლელობა დანაშაულთა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ბანდიტიზმი და განზრახი მკვლელობა [139].

გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს პლენუმმა „ნარკოტიკულ საშუალებებთან, ძლიერმოქმედ საშუალებებთან და შხამიან ნივთიერებებთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ 1993 წლის 27 აპრილის დადგენილებაში დაადგინა, რომ ბანდის მიერ ჩადენილი ნარკოტიკულ საშუალებათა დატაცება დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირებულიყო, რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე და 224-1 მუხლებით [145].

“ბანდიტიზმის” განსაზღვრისას პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისათვის საკანონმდებლო მოდელად რუსეთის სამართლებრივი დოქტრინა იყო აღიარებული. 1994 წელს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში 17-1 მუხლის მიღების შემდეგ, რომელშიც ბანდიტური ჯგუფი განისაზღვრებოდა, როგორც პირთა მყარი ჯგუფი, რომლებიც წინასწარ გაერთიანდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. ბანდა, როგორც ორგანიზებული ჯგუფი, რუსეთის სისხლის სამართლის თეორიაში სწორედ სიმყარის ნიშნის მიხედვით ხასიათდებოდა [98.120-121].

ბანდიტიზმის ცნების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ორგანიზებული ჯგუფის ინსტიტუტი. საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კოდექსის 27-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერ არის ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად [181]. 25.08.2006 წლის რედაქციის თანახმად, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია

პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება [183]. საქართველოს სსკ-გან განსხვავებით რუსეთის 1996 წ. სსკ-ს “სიმყარის” განმარტება შემოაქვს: ორგანიზებული ჯგუფი, როგორც თანამონაწილეობის ფორმა, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილით იყო გათვალისწინებული. დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად იყო აღიარებული, თუ იგი ჩადენილი იქნებოდა პირთა მყარი ჯგუფის მიერ, რომლებიც წინასწარ გაერთიანდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. ამრიგად რუსეთის კანონმდებლობის თანახმად კანონი ორგანიზებული ჯგუფის იმ ოთხ ნიშანს განსაზღვრავდა, რომელიც ბანდიტურ ჯგუფს ახასიათებდა. მათ მიეკუთვნებოდა:

1. ჯგუფი რამდენიმე პირისგან შედგება;
2. პირები ჯგუფში წინასწარ გაერთიანდნენ;
3. ჯგუფს აქვს სიმყარე;
4. ჯგუფის მიზანია ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენა [152].

უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წლამდე რუსეთში “სიმყარის” ცნების საკანონმდებლო განმარტება არ იყო მოცემული. ამ ნიშნის განმარტების “მისიას” რუსეთის სასამართლოები თავის თავზე იღებდნენ. ასე მაგ. “გამოძალვის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ” რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1990 წლის 4 მაისის 3 დადგენილების მე-14 პუნქტის დებულების მიხედვით, ორგანიზებულ ჯგუფად “გაგებული უნდა იქნეს ორი ან მეტი პირისგან შემდგარი მყარი ჯგუფი, რომლებიც ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენის განზრახვით არიან გაერთიანებული. როგორც წესი, ასეთი ჯგუფი გულდასმით ამზადებს და გეგმავს დანაშაულს, ანაწილებს როლებს თანამონაწილეებს შორის, აღიჭურვება ტექნიკურად და ა.შ.” [143].

“ბანდიტიზმის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ” რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1993 წლის 21 დეკემბრის 9 დადგენილების მე-3

პუნქტში მითითებული იყო, რომ ბანდის სიმყარეს შეიძლება მოწმობდეს, კერძოდ, ისეთი ნიშნები, როგორებიცაა მისი შემადგენლობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სტაბილურობა, მისი წევრების შეკრულობა, დანაშაულებრივი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების მუდმივობა [146]. “სასამართლოების მიერ ბანდიტიზმისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ” რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1997 წლის 17 იანვრის 1 დადგენილების მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ ბანდის სიმყარეს შეიძლება მოწმობდეს, კერძოდ, ისეთი ნიშნები, როგორებიცაა მისი შემადგენლობის სტაბილურობა, მისი წევრების მჭიდრო ურთიერთკავშირი, მათი ქმედებების შეთანხმებულობა, დანაშაულებრივი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების მუდმივობა, მისი არსებობის ხანგრძლივობა და ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა [147].

“სიმყარის” ანალოგიურ განმარტებას ჩვენ ვხედავთ საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებაში. ასე, მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წ. 6 ივლისის 58 განჩინებაში აღნიშნულია: გორის რაიონის სოფ. ... მცხოვრები მ. მთვარაძე, გორის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 11 მარტის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სსკ-ის 238-ე მუხლის მე-4 ნაწილით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლისა და ექვსი თვის ვადით. რუსთავის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მ. მთვარაძემ გაიცნო ს. ჭკადუა, რომელიც ამავე დაწესებულებაში სასჯელს იხდიდა ყაჩაღობისათვის. ს. ჭკადუა სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლდა 2002 წლის 13 დეკემბერს და ქ. გორში შეხვდა მ. მთვარაძეს, რომელსაც შესთვავა პირსა და ორგანიზაციებზე თავდასხმის მიზნით მყარი შეიარაღებული ჯგუფის - ბანდის შექმნა, რომელსაც ხელმძღვანელობას თვითონ გაუწევდა, ხოლო მ. მთვარაძე ასეთ ჯგუფში და მის მიერ მოწყობილ თავდასხმებში მიიღებდა მონაწილეობას, რაზედაც ეს უკანასკნელი დათანხმდა. ს. ჭკადუამ მის მიერ ორგანიზებულ ბანდიტურ დაჯგუფებაში გააწევრიანა ადრე სხვადასხვა დანაშაულისათვის ნასამართლევი ზ. შოშიაშვილი, ზედმეტ სახელად „ბაჯო“, შ. ჭკადუა, ლ. სუხიტაშვილი, დაუდგენელი

ვინმე დ., ს. და გ., რომლებიც წარმოადგენდნენ საერთო მიზნით გაერთიანებულ პირთა მყარ ჯგუფს, რათა გარკვეულ ტერიტორიაზე, სახელდობრ, ქ. გორში და გორის რაიონში ჩაედინათ რამდენიმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ბანდიტური თავდასხმებისა და კერძო პირებისაგან მატერიალური გამორჩენის მიღების გაადვილებისა და განხორციელებისათვის, დანაშაულებრივმა ჯგუფმა მართლსაწინააღმდეგოდ, დაუდგენელ ვითარებაში შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღები [138].

ჯგუფის სიმყარის ცნების კვლევისას ლ. პრეზუმენტოვმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ რფ-ს უზენაესმა სასამართლომ სიმყარის ცნების შინაარსი კი არ განმარტა, არამედ შეეცადა გაეზარდა იმ ნიშნების რაოდენობა, რომლებიც ხსნის ამ ცნებას ან მის არსებობაზე მიუთითებს. თუმცა ნიშნები, რომლებიც სიმყარეზე მიუთითებს, ისეთ შეფასებით კატეგორიულად მოიცავს, რომლებსაც სიმყარესთან კავშირი არა აქვს (მაგ. “შეკრულობა”, “დანაშაულებრივი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების მუდმივობა” და სხვა). აქ, რასაკვირველია, იგრძნობა ანგლო-ამერიკული სამართლის ზეგავლენა, რომელიც მეტ ყურადღებას ჯგუფის იერარქიას უთმობს [148].

შემდგომ წლებში იყო “სიმყარის” ერთიანი განსაზღვრების ფორმულირების ცდები. რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის 2003 წლის 12 მარტის დადგენილების (“რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს 2002 წლის მეოთხე კვარტალის სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა”) მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ ჯგუფის სიმყარეს მოწმობს დანაშაულის ჩადენის მიზნით ორი ან მეტი პირის შედარებით ხანგრძლივი დროით გაერთიანება, რასაც თან სდევს ხანგრძლივი ერთობლივი მომზადება. როგორც წესი, ასეთი ჯგუფი გულდასმით გეგმავს დანაშაულის ყველა დეტალს, წინასწარ ამზადებს მისი ჩადენის იარაღს [140].

როგორც საკითხის ისტორიული ექსკურსი გვიჩვენებს, ბანდიტიზმის მკვლევართა შორის ჯგუფის სიმყარის ცნება სადავოდ რჩება. მაგალითად, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ო. გამყრელიძის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბანდა მყარი



დანაშაულებრივი ჯგუფია, რადგან ის ერთზე მეტი დანაშაულის ჩასადენად იქმნება [1.290]. ანალოგიურ პოზიციას იზიარებენ რუსი მეცნიერები ი. მელნიკოვა და ტ. უსტინოვა. მათ სიმყარე ესმით, როგორც მუდმივი ან დროებითი დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელიც გათვლილია არაერთგზისი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზე და დანაშაულებრივ ქმედებათა ჩადენის, შედარებით უწყვეტობაზე [35. 12].

იურიდიულ ლიტერატურაში საპირისპირო მიდგომაც შეინიშნება. პ. გრიშაევის და გ. კრიგერის აზრით სიმყარის კრიტერიუმად შეიძლება აღიარებულ იქნას არა რამდენიმე, არამედ ერთი დანაშაულის ფაქტიც. მაგალითად, პ. გრიშაევსა და გ. კრიგერს მიაჩნდათ, რომ მყარი ერთობლივი საქმიანობა შეიძლება ერთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც იყოს [21.111].

რუს მეცნიერს ტ. ერმაკოვას მიაჩნია, რომ სიმყარე არ ნიშნავს ორგანიზებული ჯგუფის აბსოლუტურად მუდმივ შემადგენლობას. ორგანიზებული ჯგუფის საქმიანობის საკმარისად ხანგრძლივი პერიოდის შემთხვევაში მისი შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს. მოცემულ ჯგუფს შესაძლოა ახალი წევრები დაემატოს, ზოგიერთმა მონაწილემ სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება შეწყვიტოს დანაშაულებრივი საქმიანობა; ამ შემთხვევაში ორგანიზებული ჯგუფის სიმყარე გამოიხატება მოცემული ჯგუფის უნარით, შეინარჩუნოს თავისი სტრუქტურა და მოქმედებების მიმართულება [91.6-9].

შეიმჩნევა ისეთი მიდგომაც, რომელიც “სიმყარის” ანგლო-ამერიკულ მოდელს იზიარებს და რომელშიც პირითადი ყურადღება ბანდიტური ჯგუფის სტრუქტურაზეა გადატანილი. მაგალითად, ვ. კომისაროვი სიმყარის მაჩვენებლებს ორგანიზებულობის მაღალ ხარისხს, შემადგენლობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სტაბილურობას, დანაშაულებრივი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ფორმებისა და მეთოდების არსებობას, ამ ფორმებისა და მეთოდების მუდმივობას უწოდებს [25.43].

რ. გალიაკბაროვი გვთავაზობს, ორგანიზებული ჯგუფის სიმყარის ფორმალური მაჩვენებლის სახით გამოვიყენოთ ისეთი ნიშანი, როგორცაა დანაშაულებრივი ხელყოფის ჩადენის სისტემა: სისტემატურობა არ დაიყვანება დანაშაულის გამეორებამდე (არაერთგზის ჩადენამდე). ის უკვე ხელყოფის დიდ რაოდენობას გულისხმობს – სამს ან მეტს, რომელიც სუბიექტების ქმედებათა ანტისოციალურ მიმართულებას ასახავს, გაერთიანების საშიშროების დონის სერიოზულ გაზრდას... ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, ჯგუფი ერთი ტიპის, ერთნაირ ხელყოფას სჩადის თუ სხვადასხვაგვარს [86.41].

ი. პროხოდოვის და ა. შესლერის აზრით, ორგანიზებული ჯგუფის (ბანდის) სიმყარის ხასიათი სუბიექტურ-ობიექტური ნიშნების მეშვეობით უნდა განვიხილოთ. სუბიექტური გაგებით “სიმყარე” ნიშნავს ჯგუფის მონაწილეთა დანაშაულებრივი მისწრაფებების სიმყარეს, მტკიცე განზრახვას, მუდმივად ან დროებით ახორციელებდნენ დანაშაულებრივ საქმიანობას [105.12-15].

სიმყარის სუბიექტურ კრიტერიუმს იგი აგრეთვე მიაკუთვნებს თანამონაწილეობის წევრთა წინასწარ შეთანხმებას საერთო პიროვნულ კავშირებზე, დანაშაულებრივ ინტერესებზე. ასეთი შეთანხმება, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია თანამონაწილეთა პირადი ძალისხმევის გაერთიანებისაკენ, რათა მიღწეულ იქნეს ჯგუფის ფსიქოლოგიური და ორგანიზაციული სიმყარე. ა. შესლერს მიაჩნია, რომ ობიექტურად სიმყარე შემდეგი ნიშნების ერთობლიობით გამოიხატება:

- 1) ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობის სტაბილური ხასიათი;
- 2) მატერიალური ბაზის ელემენტების არსებობა;
- 3) ჯგუფის მონაწილეთა თანაორგანიზებულობა (ერთობლივი ორგანიზებულობა) [59.12-15].

**§3.სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბანდიტიზმისათვის საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში**

### 3.1. ზოგადი დებულებანი.

საკითხის ზოგადი მდგომარეობის შეფასებისას ამერიკელი მეცნიერი ლოურენს ტროსტლი აღნიშნავს, რომ “ბანდის” განმარტება შეიძლება, ერთი შეხედვით, შედარებით იოლად მოგვეჩვენოს. თუმცა, როგორც “ბანდის” მრავალი განმარტების ანალიზი გვიჩვენებს, ეს არც ისე იოლი საქმეა. უფრო მეტიც, ეს განმარტებები არ ითვალისწინებს “ბანდების” ფუნქციონირების მრავალ ასპექტს, მათ ნიშნებს [129. 18].

ამჟამად აშშ-ი მოღვაწე გერმანელი მეცნიერი კლაუს ფონ ლამპე შექმნილ მდგომარეობას კიდევ უფრო მკაცრად აფასებს. იგი წერს, რომ დღეს ბანდის გაგება ორგანიზებული დანაშაულის კონცეფციებში, თუ მხედველობაში მივიღებთ სისხლის სამართლის პოლიტიკური დისკუსიების შესაბამისი განცხადებების მთელ სპექტრს, არაერთგვაროვანი და ურთიერთსაპირისპიროა. მაგრამ როდესაც ყურადღების კონცენტრაციას მოცემულ საკითხზე ვახდენთ, ვხედავთ, რომ მეცნიერები ბანდის ცნებაში ორგანიზებულ ჯგუფს მოიაზრებენ, რომელიც ეთნიკურად ერთგვაროვანი, ფორმალურად სტრუქტურირებული, მრავალფუნქციო- ნალურია და ცდილობს მწყობრიდან გამოიყვანოს, დაიმორჩილოს საზოგადოების სამართლებრივი ინსტიტუტები. როგორც ავტორი ვარაუდობს, “ბანდის” ასეთი განმარტება აგებულია ორგანიზებული დანაშაულის გაგებაზე, რომელიც იტალიურ-ამერიკულ განგსტერულ კლანებთან ბრძოლის პროცესში შემუშავდა [124].

“ბანდის” საკანონმდებლო განმარტებებში არსებულმა დაბნეულობამ აიძულა, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი სტრასბურგში, 1996 წლის 5 სექტემბერს მიეღო სპეციალური რეკომენდაცია R/96/8 “დანაშაულობასთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის პოლიტიკა შეცვლილ ევროპაში”. ხსენებულმა კომიტეტმა მოცემულ რეკომენდაციას განმარტებითი მემორანდუმიც დაურთო.

რეკომენდაციაში აღინიშნა, რომ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა რთულია, რადგანაც “ბანდის” გაგება არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და ორგანიზებულ კრიმინალურ ჯგუფებსა და “ბანდებს” შორის საზღვარი გავლებული არ არის. ეს განმარტება აუცილებელია საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის

უზრუნველსაყოფად [64. 9-14]. აღსანიშნავია, რომ ასეთი მიდგომის აუცილებლობა საქართველოსაც შეეხო. კერძოდ, 1996 წლის რეზოლუციის მე-7 პუნქტში მოცემული პრობლემა მრავალი სახელმწიფოს პრობლემაა, ისეთი ასოცირებული წევრების ჩათვლით, როგორებიც არიან სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია და საქართველო [172].

### **3.2 “ბანდიტიზმის” ცნების საკითხი ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში**

3.2.1. ბანდიტიზმის განმარტების საკითხი აშშ-ს კანონმდებლობაში. აშშ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იცნობს ბანდის ცნებას. ჩვეულებრივ, “ბანდად” მიჩნეულია მეექვსე ხარისხის შეთანხმება, უკანონო თავშეყრა. ნიუ-იორკის სანიმუშო სისხლის სამართლის კოდექსის §105,00 მეექვსე ხარისხის შეთანხმებას ასე განსაზღვრავს. იმისათვის, რომ პირი პასუხისგებაში მიეცეს ამ მუხლით, საკმარისია, რამდენიმე პირმა მოილაპარაკოს დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობაზე. დანაშაულებრივი ჯგუფის სტრუქტურას ან დანაშაულის მრავალგზის ჩადენას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი პირობა, პირთა ნდობა და დანაშაულის რეალურად ჩადენაა.

აშშ-ის კანონმდებლობის შემდგომი მუხლები მხოლოდ “შეთანხმების” ხარისხს განიხილავს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ შტატების კანონები შეთანხმების ცნების ინტერპრეტაციას ახდენს, თუმცა სამართლებრივი მიდგომის ბუნება არ იცვლება [170].

აღსანიშნავია, რომ ქართველი მკითხველისათვის ამერიკელი კანონმდებლის ამგვარი დეფინიცია რამდენადმე უცნაურია. ამიტომ მოცემული კონსტრუქცია პირობითად შეიძლება “ბანდიტიზმს” მივაკუთვნოთ. მაგალითად, მოცემული ნორმა შეიძლება იმ პირებზე გავრცელდეს, რომლებიც რამდენჯერმე სჩადიან დანაშაულს, თუმცა შესაძლებელია იგი იმ პირებზედაც გავრცელდეს, რომლებიც შეთანხმდნენ, მაგალითად, ერთხელ ბანკი დააყაჩაღონ. ამ დროს დაცული უნდა იქნეს შემდეგი პირობა – ერთ-ერთმა მათგანმა ბანკი აშკარად, ღიად უნდა დააყაჩაღოს.

ბანდიტიზმთან ბრძოლის ამგვარი სამართლებრივი უზრუნველყოფა დიდ სირთულეებს აწყდება.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის კანონმდებლობაში ამგვარი ბუნდოვანი ცნება მეტად მისაღებია სწორედ ბრალდების მხარისათვის, რადგან პროკურატურის ყურადღება დამნაშავეთა შეთანხმების მტკიცების ფაქტზეა კონცენტრირებული. შეთქმულების ბირთვი სწორედ უკანონო შეთანხმებაა. შეთანხმების არსებობის დასამტკიცებლად პროკურორს ფართო უფლებები ეძლევა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ შეთქმულების ბრალდება პროკურორებისათვის მეტად გამოყენებადი ძლიერი ინსტრუმენტია, რადგანაც მათ ადვილად შეუძლიათ ააგონ ბრალდება ინფორმატორის ჩვენებებზე დაყრდნობით და პასუხისგებაში მისცენ პირთა განუსაზღვრელი რაოდენობა. რადგანაც ხშირად მონაწილეებისათვის უცნობია ორგანიზატორი, შეთანხმებაზე აგებული ბრალდება გვერდს უვლის ბანდის ორგანიზატორებს. მეორე მხრივ, ბრალდება შეიძლება იმ პირებსაც შეეხოს, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენიათ.

შეთანხმების კონცეფციის უკეთ გასაგებად განვიხილოთ შემდეგი სცენარი: როჯერი და სინდი გადაწყვიტენ, რომ მომდევნო კვირაში ბანკი დააყაჩაღონ. ისინი თანხმდებიან, რომ სინდომ ავტომანქანა უნდა მართოს, ხოლო როჯერი შევა ბანკში პისტოლეტით, დაემუქრება მოლარეს და ფულს მოსთხოვს მას. ქართველი მკითხველისათვის ნათელია, რომ სინდომ და როჯერმა ყაჩაღობა უნდა ჩაიდინონ – სხვისი ქონების მისაკუთრება მოლარის სიცოცხლისათვის ან/და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს ქმედება აშშ-ის კანონმდებლობის მიხედვით, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ე.წ. ბანდიტური თავდასხმა [119.693-69].

ბრალდება შემდეგნაირად აიგება: როჯერმა იცის, რომ აქტიურ ქმედებას სჩადის: ყიდულობს ნიღაბს, იძენს იარაღს, ემუქრება მოლარეს და ა.შ. მეტიც, იგი მარტო არ არის, რადგანაც სინდის მოელაპარაკა. რა თქმა უნდა, ორივე პასუხისმგებელია ჩადენილ დანაშაულში შეთანხმებული მონაწილეობისათვის, თუმცა შეთანხმების

ხარისხის დადგენისას დამატებითი პირობებია საჭირო. კერძოდ, სინდი შეიძლება მიჩნეულ იქნეს შეთანხმებაში დამნაშავედ თუნდაც იმიტომ, რომ როჯერი აშკარად იდენს დანაშაულს. კანონი ხომ იმას ითხოვს, რომ შეთანხმების ერთ-ერთმა მონაწილემ აშკარად უნდა ჩაიდინოს დანაშაულებრივი აქტი (ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 105,20).

მაშასადამე, თუ პირობითად იქნება მიღებული “ბანდიტიზმის” განსახილველი კონსტრუქცია, შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ბანდის შეთანხმების გზით შექმნა საკმარისი აღმოჩნდება პირის პასუხისგებაში მისაცემად, თუ მისი ერთ-ერთი წევრი დანაშაულს ჩაიდენს. როგორც შემდგომ ვნახავთ, აღნიშნულ განსაზღვრებაზე რიკოს კანონმა უარი განაცხადა და ჯგუფის შექმნა ფორმალურ შემადგენლობად მიიჩნია. თუმცა მოცემულ შემთხვევაში რთულია ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის კოდექსის (სანიმუშო კოდექსი) მიხედვით ისაუბრო “ბანდიტიზმის” ფორმალურ შემადგენლობაზე, რადგანაც ბრალდების წასაყენებლად მნიშვნელოვანი მომენტი დანაშაულის ჩადენა.

მეტად პრობლემურია, აგრეთვე “ბანდიტიზმის” მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების შეფასება. ამ მიმართულებით შეიძლება მრავალი კითხვა დაიბადოს. მაგალითად, ჩაითვლება თუ არა ბანდიტური თავდასხმის მომზადებად როჯერის მიერ ნაყიდი პისტოლეტი იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა იარაღის შექმნაზე აკრძალვის არსებობა და ა.შ. [71.12].

ბანდიტიზმის ცნება ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი ხნის განმავლობაში გარკვეულწილად ეთნიკურ, განსაკუთრებით იტალიურ-ამერიკულ დაჯგუფებებთან ასოცირდებოდა. “უცხოური დანაშაულებრივი შეთანხმების” კონცეფცია (Alien-conspiracy model) “ბანდიტიზმს” განიხილავს, როგორც უცხოური ეთნიკური ჯგუფების საიდუმლო თანამეგობრობას, რომლებიც გაერთიანებული არიან ოჯახების ერთიან ზოგად ეროვნულ იერარქიულ სტრუქტურად, რომელსაც საფუძვლად ერთგულება და კონსპირაცია უდევს. როგორც ცნობილია, ეს სტერეოტიპი მეოცე საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს 60-იანი წლების დასაწყისის

ხმაურიანი მოვლენების, მათ შორის, 1957 წელს აპალაჩინსა და ნიუ-იორკში ორგანიზებული დანაშაულის სავარაუდო ეთნიური ლიდერების დაპატიმრებების, აგრეთვე 1963 წელს მაფიოზური ჯგუფის ყოფილი წევრის, ჯოზეფ ვალაჩის, როგორც მოწმის, მიერ მნიშვნელოვანი ჩვენებების მიცემის შედეგად ჩამოყალიბდა. იმ დროს “ბანდიტიზმი” განიხილებოდა, როგორც ერთიანი ზოგად ეროვნული, იერარქიულად სტრუქტურირებული ჯგუფი, რომელმაც ლეგალურ ბიზნესში შეაღწია [119.675-703].

აშშ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობა უფრო მეტ ყურადღებას უთმობს შეთანხმებას, ჯგუფის სტრუქტურას. აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ “სიმყარე” გაგებულია, როგორც ჯგუფის თავისებურება და არა როგორც დანაშაულის ჩადენის მრავალგზისობა.

აშშ-ის კანონმდებლობაში “ბანდის” ინსტიტუტი დამოუკიდებლად არ გამოიყოფა და ორგანიზებული ჯგუფის ფორმად განიხილება. ამ შემთხვევაში საკითხს ნათელი უნდა მოვფინოთ. ამერიკელი კანონმდებელი სწორედ “ორგანიზებულ დანაშაულზე” საუბრობს და ამ ცნებაში “ბანდიტიზმსაც” მოიაზრებს.

სანიმუშო კოდექსი დანაშაულის ჩადენაზე “შეთანხმების” განსაზღვრებას შემდეგნაირად იძლევა. 5.03 პარაგრაფის თანახმად, პირი დამნაშავეა სხვა პირთან ან სხვა პირებთან დანაშაულის ჩადენაზე შეთანხმებაში, თუ მის ჩადენაში ხელის შეწყობის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით იგი:

ა) სხვა პირთან ან სხვა პირებთან მოილაპარაკებს იმაზე, რომ ეს პირები, ან ერთ-ერთი მათგანი, ან მათგან ერთზე მეტი განახორციელებს ისეთ ქცევას, რომელიც შეადგენს ამგვარ დანაშაულს, ან მისი ჩადენის მცდელობას, ან მისი ჩადენისკენ წაქეზებას.

ბ) მოელაპარაკება, დაეხმაროს ასეთ პირს ან სხვა ასეთ პირებს ამგვარი დანაშაულის დაგეგმვაში ან ჩადენაში, ან მისი ჩადენის მცდელობაში, ან მისი ჩადენისკენ წაქეზებაში.

იმავე მუხლშია ფორმულირებული შეთანხმებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. შეთანხმებასთან დაკავშირებული კავშირის ფარგლები;
2. შეთანხმება მრავალი დანაშაულის ჩადენაზე;
3. საქმეთა გაერთიანება და შეთანხმებაში ბრალდების თაობაზე საქმეების განხილვის ადგილი;
4. შეთანხმების ხანგრძლივობა, აგრეთვე შეთანხმებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ზოგიერთი პირობა.

აშშ-ს “სანიმუშო” კოდექსის ძირითადი დებულებები საფუძვლად დაედო მრავალი შტატის სისხლის სამართლის კოდექსებს. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი ავითარებს და აკონკრეტებს სანიმუშო კოდექსის ნორმებს შეთანხმების შესახებ და 105-ე მუხლში ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შეთანხმებისათვის. §§ 105.00–105.17-ში მოცემულია შეთანხმების კლასიფიკაცია მისი სიმძიმის ხარისხის მიხედვით (რომელიც სასჯელის ზომას შეესაბამება): მეექვსე ხარისხის შეთანხმებიდან პირველი ხარისხის შეთანხმებამდე. §§105.20, 105.25 და 105.30-ში ფორმულირებულია შეთანხმების შესახებ საქმეებზე მტკიცებისა და საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურებები, ხოლო §105.35-ში – დანაშაულებრივი თანასაზოგადოების მონაწილეობით კორუფციის ჩადენის მიზნით შეთანხმებისათვის პასუხისმგებლობის და მისგან გათავისუფლების თავისებურებები.

ამერიკელ ექსპერტთა მონაცემების მიხედვით, აშშ-ში ბანდიტური დაჯგუფებების წევრთა ყოველწლიური შემოსავალი ასეულობით მილიონ დოლარს აჭარბებს [164]. 1970 წლამდე ბანდიტური დაჯგუფებების წევრებთან მიმართებაში მხოლოდ “შეთანხმების” ინსტიტუტი მოქმედებდა, რომელიც სანიმუშო კოდექსის 5.03 პარაგრაფით იყო გათვალისწინებული.



სანიმუშო კოდექსი შემდგომ მრავალი შტატის კოდექსებში იქნა აღდგენილი. ამ პერიოდისათვის დანაშაულის სუბსუმციის საკითხში მნიშვნელოვან როლს “შეთანხმების” ინსტიტუტი ასრულებდა. 1970 წელს აშშ-ი მიიღეს “კანონი ამერიკის შეერთებულ შტატებში ორგანიზებული დანაშაულის კონტროლის შესახებ”. ამ კანონის IX კარი – “კანონი გამომძალველთა გავლენის ქვეშ მოქცეულ და კორუმპირებულ ორგანიზაციათა შესახებ” (The Racketeer Influenced and Corrupt Organizations Act) – მთლიანად იქნა ჩართული აშშ-ის კანონთა კრებულის მე-18 კარში 96-ე თავის სახით. ჩვენთან იგი ცნობილი გახდა, როგორც რიკოს კანონი. დღეისათვის 29 შტატს აქვს მიღებული საკუთარი რიკოს კანონები [173].

რიკოს კანონი მთლიანად მიმართულია სწორედ დანაშაულებრივი ორგანიზაციების და არა მათი ცალკეული წევრების წინააღმდეგ. აქცენტი არა დანაშაულის ჩადენის მრავალგზისობაზე, არამედ თვით ბანდის განსაკუთრებულ სტრუქტურაზე კეთდება. წევრები შესაძლოა იცვლებოდნენ, მაგრამ კრიმინალური ორგანიზაცია შეიძლება დარჩეს. დანაშაულს სჩადიან არა ფიზიკური პირები, არამედ სწორედ კრიმინალური ორგანიზაცია. ამიტომ რიკოს კანონის მიზანია “კრიმინალური ორგანიზაციის, როგორც ასეთის, განადგურება” და არა მხოლოდ ცალკეულ დანაშაულთა აღკვეთა [160].

ბანდიტური ჯგუფების გამოძიება ხშირად აწყდება ორგანიზატორის დადგენის პრობლემას. ორგანიზატორის გამოვლენას ხელს უშლის ორი ფაქტორი: 1) თანამონაწილეთა შეთანხმება ბანდის წევრების დაცვის შესახებ და 2) ბანდის რთული სტრუქტურა; ზოგიერთი ბანდის წევრი არც იცნობს ორგანიზატორს. ამიტომ აშშ-ს კანონმდებლობის არსენალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება RICO-ს კანონს, რომელიც საგამოძიებო ორგანოებს საშუალებას აძლევს დაადგინონ კრიმინალური ჯგუფის ორგანიზატორი.

მაგალითად “რეკეტული საქმიანობის” განმარტებისას RICO-ს კანონი ყურადღებას ამახვილებს მთელ რიგ ქმედებებზე, რომელი უნდა იყოს გათვალისწინებული ბანდიტური თავდასხმის სუბსუმციის დროს. მათ მიეკუთვნება:

(ა) ნებისმიერი ქმედება (ან მისი მუქარა), კერძოდ, მძიმე მკვლელობა, გატაცება გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით, ცეცხლის წაკიდება, ძარცვა ძალადობით ან ყაჩაღობა და თავდასხმის სხვა ფორმები, რომლებიც შტატის კანონმდებლობით ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ისჯება;

(ბ) ნებისმიერი ქმედება, რომელიც ისჯება აშშ-ის კანონთა კრებულის მე-18 კარის მიხედვით: ძალადობა, ძარცვა ძალადობით ან ყაჩაღობა, ან/და გამოძალვა, რეკეტული საქმიანობა, მკვლელობის დაკვეთა და თავდასხმის სხვა ფორმები.

(გ) ნებისმიერი ქმედება, რომელიც აშშ-ის კანონთა კრებულის 29-ე კარის მიხედვით საბრალდებო აქტით დევნის საფუძველია [66.4-18].

რიკოს კანონს არ შემოაქვს ახალი შემადგენლობები; იგი მხოლოდ ამკაცრებს სასჯელს იმ პირთათვის, რომლებმაც მანამდე ჩაიდინეს გარკვეული დანაშაული კრიმინალური ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობასთან ერთად. ეს, ე.წ. ერთობლივი პასუხისმგებლობის კონცეფცია ამერიკულ სისხლის სამართალში შედარებით ახალია და მიმართულია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წევრთა უფრო მკაცრად დასასჯელად, ვინაიდან ისინი დიდ საშიშროებას უქმნიან საზოგადოებას.

რიკოს კანონით (§1962) შემოღებულია დანაშაულის ოთხი დამოუკიდებელი შემადგენლობა:

(ა) პუნქტი - შტატებს შორის ან საზღვარგარეთ კომერციაში ან საქმიანობაში ჩართულ საწარმოში რეკეტული საქმიანობა ან ვალების არამართლზომიერი გზით მიღებული ნებისმიერი შემოსავლის გამოყენება;

(ბ) პუნქტი - ნებისმიერი საწარმოს მართლსაწინააღმდეგო შექმნის ან მისი დანაშაულებრივი კონტროლის მხარდაჭერა;

(გ) პუნქტი - უკანონოდ აღიარებს “საწარმოს ხელმძღვანელობას ან საწარმოს საქმეების მართვაში პირდაპირ ან ირიბ მონაწილეობას რეკეტული საქმიანობის

გზით”. ამდენად, მნიშვნელობა არა აქვს, ეს საწარმო კანონის საფუძველზეა შექმნილი თუ ე.წ. ფაქტობრივი ასოციაციაა. პროკურორებს შეუძლიათ მოცემული მუხლი დანაშაულებრივი ორგანიზაციის ნებისმიერი სახესხვაობის მიმართ გამოიყენონ, მიუხედავად კანონიერ ბიზნესთან მისი კავშირისა. თუმცა ეს დებულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მათ მიმართ, ვინც ხელმძღვანელობს ან მართავს საწარმოს საქმეებს. კანონის ზემოხსენებული პუნქტის დამრღვევი დანაშაულებრივი ორგანიზაციების სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებულ საქმეებში საწარმო, შესაბამისად, გამოდის არა როგორც დაზარალებული, არამედ როგორც დამრღვევი.

(დ) პუნქტი - უკანონოდ აღიარებს შეთანხმებას (ა), (ბ) ან (გ) პუნქტის ნებისმიერი დებულების დარღვევის მიზნით [171].

როგორც ამერიკელი იურისტები ვარაუდობენ, ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც რიკოს კანონი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში მეტად წარმატებული აღმოჩნდა, არის შეთანხმებასთან დაკავშირებული ფედერალური ნორმების ახალი კონცეფციის შემუშავება. შეთანხმება, ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით, ყოველთვის ორგანიზებული დაჯგუფების ხელმძღვანელთა სისხლის-სამართლებრივი დევნის მნიშვნელოვანი ელემენტი იყო, რადგანაც, მართალია ისინი კრიმინალურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობენ, თუმცა თვითონ იშვიათად არღვევენ კანონს [128.12-14].

რიკოს კანონმა იმგვარად მოახდინა შეთანხმების შესახებ ნორმების ჩამოყალიბება, რომ პასუხისგებაში მიეცათ ნებისმიერი პირი, რომელიც ფაქტობრივად ახორციელებს ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელობას. ამ მოდელის თანახმად მნიშვნელოვანია შეთანხმება ორ ან მეტ პირს შორის, რომელსაც ახასიათებს საერთო დანაშაულებრივი მიზანი ან ამოცანა. ამ კანონის თანახმად, შეთანხმების ყოველი მონაწილე პასუხს აგებს თანამონაწილეობაზე იმ დროის განმავლობაში, როდესაც ჯგუფის წევრები ჩართულ იქნენ დანაშაულებრივ შეთანხმებაში. მაგრამ,

რიკოს კანონის თანახმად თვით შეთანხმების ფაქტი დამოუკიდებელ დასრულებულ დანაშაულად არის მიჩნეული, თანამონაწილეთა შემდგომი ქმედებების მიუხედავად.

აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამერიკელი კანონმდებელი უშვებს ე.წ. ბანდიტიზმს ერთი დანაშაულის ჩადენის დროსაც, ქართველი კანონმდებელი კი ასეთ მიდგომაზე უარს აცხადებს. თუმცა შესაძლებელია ეს საკითხი სადავო გახდეს, რადგან სსკ-ს 224-ე მუხლში ლაპარაკია “თავდასხმაში მონაწილეობაზე” და არა “თავდასხმებში მონაწილეობაზე”, როგორც ეს იყო გათვალისწინებული 1960 წლის კოდექსში. მაგრამ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ აქ ადგილი აქვს 1960 წლის კოდექსის ნორმაში მოცემული დეფინიციის გრამატიკულ შესწორებას, რადგან ქართულ ენაში, ზოგიერთ შემთხვევაში, მრავლობითი ხასიათის მოვლენა მხოლოდით რიცხვში გამოიხატება.

აშშ-ის ფედერალური კანონებისაგან განსხვავებით, ცალკეული შტატების კანონებში მოცემულია განმარტებები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება. მაგალითად, ალაბამის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ბანდიტური ჯგუფი გაგებულია, როგორც შეთქმულების ქსელი, რომელიც რომელიმე მონაწილის მეშვეობით მოქმედებს [162]. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ტერორიზმისა და მისი აღკვეთის შესახებ 1988 წ. კალიფორნიის კანონში (Step Act) და ა.შ. [156].

ამ დროიდან ანალოგიური კანონები სულ ცოტა 28 შტატში იქნა მიღებული. ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა ჩიკაგო და ლოს-ანჯელესი, სხვადასხვა დადგენილება მიიღეს, რამაც საშუალება მისცა სამართალდამცავებს, ამ ქალაქებში ქუჩის ბანდებთან (Street gangs) საბრძოლველად აქტიური პოზიცია დაეკავებინათ [158]. ბოსტონმა, რომელმაც თავისი ისტორიის განმავლობაში ყველაზე მეტი მკვლელობა და ბანდიტური გარჩევა გადაიტანა, 1990 წელს შეიმუშავა კანონების მიღების სტრატეგია (The Law Enforcement Strategy), თუმცა ზემოაღნიშნული ქალაქებისაგან განსხვავებით, ბოსტონში ბანდიტიზმისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირება ქუჩის დანაშაულის აღკვეთის შესახებ კანონთან იყო მიბმული [202.3-17].

ამ მიმართულებით 1997 წელს აშშ-ის კონგრესმა განიხილა კანონპროექტი სახელწოდებით “ბრძოლა ბანდიტიზმთან და ახალგაზრდებს შორის ძალადობასთან” (S.362, HR 810, 105 Cong.), თუმცა მან ვერ შეძლო ბანდიტიზმთან ბრძოლის ყოვლისმომცველი კანონის მიღება, რადგან შტატების კანონების სხვადასხვაობას დაუპირისპირდა. მაგალითად, ჯორჯიის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი, ფედერალური კანონებისაგან განსხვავებით, “ბანდიტიზმის” ფართო განმარტებას იძლევა. პირი შეიძლება მიეცათ პასუხისგებაში, თუნდაც იმისთვის, თუ დაქირავებული იყო ბანდიტური დაჯგუფების მიერ, როგორც მძღოლი, მუშა და ა.შ. [125.619-640].

ზოგიერთ შტატში უფრო შორს წავიდნენ: ნიუ-ჯერსიში პირმა შეიძლება ბანდიტიზმისათვის პასუხი აგოს, თუ იგი ატარებს აქსესუარებს, რომლებიც რაიმე სახით გვახსენებს ბანდიტური დაჯგუფების სიმბოლოებს (Stat. §18A:11-9.1999). ამ და სხვა პრობლემატურ საკითხებზე ამერიკულ იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე მიმდინარეობს დისკუსია მაგ. ნეონაციტურ ბანდებთან ე.წ. (Skin head)-თან, კუ-კლუქს-კლანთან დაკავშირებით და ა.შ., თუმცა ერთიანი საკანონმდებლო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული [72.18;125.619-640].

როგორც ბ. ნიკიფოროვი და ფ. რეშეტნიკოვი აღნიშნავენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ტერმინი “ორგანიზებული დანაშაული” მხოლოდ ორგანიზებული გამოძალვის (რეკეტის), ნარკოტიკებით ვაჭრობის, აზარტული თამაშების ორგანიზების, მევახშეობის, პროსტიტუციის აღსანიშნავად გამოიყენება. პროფესიონალი ქურდებისგან შემდგარი ჯგუფები, ქურის მძარცველთა “შაიკები”, ბაიკერთა ბანდები მოტოციკლეტებით ე.წ. „ვანდალები,” ზოგად სისხლის-სამართლებრივ (ქურის) დამნაშავეობას მიეკუთვნებიან. თუმცა ოჰაიოს შტატის 1974 წლის კანონით, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ორგანიზებულ დამნაშავეთა გაერთიანებების საქმიანობაში მონაწილეობისათვის, გათვალისწინებულია სასჯელი იმ პირთათვისაც, რომლებიც დანაშაულებრივი სინდიკატის შემადგენლობაში მარცვას სჩადიოდნენ. იგივე ოჰაიოს შტატის სისხლის

სამართლის კოდექსის 2923.04 მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც დანაშაულებრივი სინდიკატის დაარსების ან საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით კანონში ჩამოთვლილ სხვადასხვა ქმედებას ახორციელებს, დამნაშავეა ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილეობისათვის, რაც კვალიფიცირდება, როგორც პირველი ხარისხის მძიმე დანაშაული. დანაშაულებრივი სინდიკატი – ეს არის ხუთი ან მეტი პირის გაერთიანება, რომლებიც მუდმივად თანამშრომლობენ შემდეგი დანაშაულების ჩადენაში: გამოძალვა, სუტენიორობა, ნებისმიერი ქურდობა, უკანონო აზარტული თამაშები, ნარკოტიკებითა და ცეცხლსასროლი იარაღით ვაჭრობა, მევახშეობა, ან სარგებლის მიღების მიზნით სხვა დანაშაულის ჩადენა [39.193].

შემადგენლობის “ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობა” უფრო ფართო განსაზღვრება მოცემულია ტეხასის შტატის სისხლის სამართლის კოდექსში (მუხლი 71.022). ასეთი დანაშაული მაშინ გვაქვს, როდესაც ვინმე “გაერთიანების” დაარსების, მისი ხელმძღვანელობის, მასში ან მის მოგებაში მონაწილეობის განზრახვით სჩადის ან დებს შეთანხმებას ამ მუხლში ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენის მიზნით (ამ დანაშაულთა ჩამონათვალი თითქმის ემთხვევა ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსის 2923.04 მუხლში მითითებულ დანაშაულებებს). კოდექსში ასევე აღნიშნულია, რომ ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილე ბრალეული პირები უფრო მკაცრად უნდა ისჯებოდნენ, ვიდრე მარტო მოქმედი დამნაშავეები [39.193].

“ბანდიტიზმის” კონსტრუქციისადმი არსებული მიდგომა რ. ჰაფის, ს. რონალდის და სხვა ამერიკელი მეცნიერების კრიტიკას იწვევს. ისინი არგუმენტად იშველიებენ აშშ-ის კონსტიტუციის მეოთხე შესწორებას, რომელიც კრძალავს დაუსაბუთებელ ჩხრეკებსა და დაპატიმრებებს. “ორგანიზებული ჯგუფის” (ე.წ. ბანდის) გაურკვეველი განსაზღვრებები სამართალდამცავ ორგანოებს ნებას რთავს, დანაშაულთან ბრძოლის ანტიკონსტიტუციური მეთოდები გამოიყენონ. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთი შეფასებითი ნიშნების ბუნდოვან განმარტებას, რაც სამართალდამცავ სტრუქტურებისათვისაა ხელსაყრელი, კერძოდ პოლიციისათვის.

სწორედ ასეთ ფაქტზე მიუთითა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ საქმეში “ქოუთსი ცინცინატის წინააღმდეგ” [65.43].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ილინოისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე “ჩიკაგო მორალესის წინააღმდეგ” [158]. საკითხის ისტორია შემდეგში მდგომარეობს: 1992 წელს ჩიკაგოს საქალაქო სასამართლომ ბანდების წინააღმდეგ მიიღო დადგენილება, რომელიც ბანდის წევრებს ქუჩაში ხეტიალს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უსაქმოდ ყოფნას და ერთმანეთთან ურთიერთობას უკრძალავდა.

დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ სამართალდარღვევის ჩადენა გულისხმობს ოთხ მომენტს:

- 1) პოლიციის თანამშრომელს რეალური საფუძველი უნდა ჰქონდეს, ივარაუდოს, რომ უკიდურეს შემთხვევაში, ერთი პირი მაინც იყოს ბანდის წევრი;
- 2) აღნიშნული პირები “ნებისმიერ ადგილას უმიზნოდ” უნდა დახეტიალობდნენ;
- 3) თანამდებობის პირმა უნდა ბრძანოს ამ პირთა დარბევა;
- 4) ადამიანი წესრიგს უნდა დაემორჩილოს. ნებისმიერი პიროვნება, რომელიც წესრიგს არ ემორჩილება, არღვევს დადგენილების მოთხოვნებს. ილინოისის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული დადგენილება არაკონსტიტუციურად ცნო, რადგანაც ტერმინი “უმიზნოდ” მეტად ბუნდოვანია და საშუალებას იძლევა, ნებისმიერი პირი, სერიოზული საფუძველის გარეშე, პასუხისგებაში მიეცეს ბანდიტიზმისათვის.

*3.2.2. ბანდიტიზმის ცნების საკითხი ინგლისის კანონმდებლობაში.* ინგლისის კანონმდებლობა დიდატ არ განსხვავდება აშშ-ის კანონმდებლობისაგან. მთლიანობაში, ყველა ტენდენცია, რომლებიც აშშ-ის კანონმდებლობის ანალიზისას გამოვყავით, ინგლისის კანონმდებლობისთვისაც ტიპიურია. ამიტომ მოკლედ შევხებით თვით კანონის ზოგიერთ ტიპიურ ნიშანს.

ბანდიტიზმის შესახებ ტიპიურ ნორმებს ინგლისის კანონმდებლობაში ვერ შევხვდებით. 1981 წელს მიღებული კანონი “სისხლისსამართლებრივად დასჯადი მცდელობისათვის” (Criminal Attempts Act 1981) ზოგადად განსაზღვრავს პასუხისმგებლობას “შეთანხმებისათვის”. ეს ნორმა ბანდიტურ თავდასხმებზედაც ვრცელდება. აღნიშნული კანონის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბანდასთან საქმე გვაქვს:

ა) თუ პირი რომელიმე სხვა პირთან ან პირთა ჯგუფთან დებს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ უნდა განახორციელოს ქმედება მათი განზრახვის შესაბამისად;

ბ) აუცილებლად ჩაიდენს დანაშაულს ან დანაშაულის ჩადენაში რომელიმე ერთ მხარეს ჩაითრევს;

გ) პირი ბრალეულია შეთანხმებაში მაშინაც კი, თუ იყო გარემოებები, რომლებმაც ხელი შეუშალა დანაშაულის ჩადენაში [161].

როგორც ვხედავთ, ეს კანონი გარკვეულწილად ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის კოდექსის დებულებებს იმეორებს. პირობითად შეიძლება ითქვას, რომ ამ კანონში დადგენილია ფორმალური შემადგენლობა, მაგრამ ასეთი დასკვნა მცდარი იქნება, რადგან დანაშაულის დამთავრების მომენტად მიჩნეულია ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობის შესრულება. ეს ურთიერთწინააღმდეგობა დღემდე შენარჩუნებულია.

### **3.3. “ბანდიტიზმის” ცნების საკითხი რომანული სამართლის სისტემის ქვეყნებში**

3.3.1. ბანდიტიზმის ცნების საკითხი საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. დანაშაულებრივი ქმედების “ორგანიზებული ბანდის” მიერ ჩადენა მაკვალიფიცირებელი გარემოებაა საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსშიც, რომელიც 1994 წლიდან მოქმედებს [196]. კოდექსის მესამე წიგნის (“ქონებრივი დანაშაულებისა და გადაცდომების შესახებ”) 311-9 მუხლის შესაბამისად, ქურდობა, ჩადენილი ორგანიზებული ბანდის მიერ, ისჯება



თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთით და ჯარიმით 1 მლნ. ფრანკის ოდენობით.

ამასთანავე, საფრანგეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს სასჯელებს ორგანიზებული გამოძალვისათვის – ოცი წლით პატიმრობა და ჯარიმა 1 მლნ. ფრანკის ოდენობით (მუხლი 312-6);

თაღლითობისათვის – შვიდ წლამდე პატიმრობა და ჯარიმა 5 მლნ. ფრანკის ოდენობით (313-2 მუხლის მე-5 პუნქტი);

დაფარვისათვის – ათი წლით პატიმრობა და ჯარიმა 5 მლნ. ფრანკის ოდენობით (321-2 მუხლის მე-2 პუნქტი);

სხვა პირის კუთვნილი ქონების განადგურება, დაზიანება ან გაფუჭება აფეთქების, ცეცხლის წაკიდების ან ნებისმიერი სხვა საშუალების გამოყენებით, რომელსაც შეუძლია ადამიანებს საფრთხე შეუქმნას, – ოცი წლით პატიმრობა და ჯარიმა 1 მლნ. ფრანკის ოდენობით (322-8 მუხლის პირველი პუნქტი);

ფულის გათეთრებისათვის – ათი წლით პატიმრობა და ჯარიმა 5 მლნ. ფრანკის ოდენობით (324-2 მუხლის მე-2 პუნქტი).

“ორგანიზებული ბანდის” ცნება საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში განმარტებული არ არის, თუმცა მეოთხე წიგნში (“ერის, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი სიმშვიდის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისა და გადაცდომების შესახებ”) სასჯელის სახით გათვალისწინებულია 10 წლით პატიმრობა და ჯარიმა 1 მლნ. ფრანკის ოდენობით “ბოროტმოქმედი ორგანიზაციაში” მონაწილეობისათვის, ე.ი. ნებისმიერ ფორმირებულ, სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ დაჯგუფებაში მონაწილეობისათვის, ან ნებისმიერ დადებულ შეთანხმებაში მონაწილეობისათვის, ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ან/და ერთი ან რამდენიმე გადაცდომის მომზადების მიზნით (450-1 მუხლი).

კოდექსით ასევე გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა “საბრძოლო ჯგუფის” ორგანიზებისათვის და მასში მონაწილეობისათვის, ე.ი. იმ პირთა ნებისმიერი გაერთიანების ორგანიზებისათვის და მასში მონაწილეობისათვის, რომლებიც ფლობენ იარაღს ან აქვთ მასთან წვდომა, რომელსაც აქვს იერარქიული ორგანიზაცია და შეუძლია დაარღვიოს საზოგადოებრივი წესრიგი. ამასთანავე, შეიარაღებულ ჯგუფში მონაწილეობა ისჯება 3 წლით პატიმრობით და ჯარიმით 300 ათასი ფრანკის ოდენობით, ხოლო ასეთი ჯგუფის ორგანიზება – 5 წლით პატიმრობით და ჯარიმით 500 ათასი ფრანკის ოდენობით (შესაბამისად, 431-14 და 431-16 მუხლები) [196].

ამდენად, ფრანგი კანონმდებელი ასევე ითვალისწინებს თანამონაწილეობის ერთ-ერთ ფორმას – ორგანიზებულ ბანდას, მაგრამ ისიც ყურადღებას ბანდის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ამახვილებს. ამასთანავე, არ არის განმარტებული “ბანდის” ცნება, მისი განსხვავება სხვა დანაშაულებრივი ჯგუფებისაგან, თუმცა განსაზღვრებაში მითითებულია ნიშანი “ორგანიზებულობა”. კანონმდებლის აზრით, ბანდის ქმედებები მხოლოდ საკუთრების წინააღმდეგ შეიძლება იყოს მიმართული. ეს ქმედებებია: დატაცება, გამოძალვა, თაღლითობა, დაფარვა, ქონების განადგურება, დაზიანება ან გაფუჭება, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი სახსრების გათეთრება. ბანდის ორგანიზატორებს, ხელმძღვანელებსა და მონაწილეებს ერთნაირი პასუხისმგებლობა აკისრიათ. მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ფრანგული კანონმდებლობა, ისევე, როგორც გერმანული, არ იძლევა “ბანდის” დეფინიციას და აქცენტს ბანდის მიერ ჩადენილ ქმედებაზე აკეთებს. ინგლისელ მეცნიერს კეტრინ ელიოტს მიაჩნია, რომ ამ ბოლო პერიოდში საფრანგეთის კანონმდებლობაზე საერთო სამართლის (Common law) ზეგავლენა იგრძნობა, რაც პრაქტიკაში ხშირად პრობლემურ სიტუაციას წარმოშობს [63.11].

3.3.2. ბანდიტიზმის ცნების საკითხი იტალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. იტალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, ორგანიზებული

დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნისათვის, ხელმძღვანელობისათვის და მასში მონაწილეობისათვის. თუმცა იტალიის კანონმდებლობაში ასეთი პასუხისმგებლობა განსაკუთრებით დეტალურადაა კონსტრუირებული, რაც შემთხვევითი არ არის, რადგანაც არც ერთი ქვეყანა არ მოიცვა ორგანიზებულმა დანაშაულმა ისე, როგორც იტალია. სწორედ ამ ქვეყანაში წარმოიშვა ორგანიზებული დანაშაულის ისეთი განსაკუთრებით საშიში ფორმა, როგორც არის მაფია. (მაგ., სიცილიური მაფია Cosa Nostra, ნეაპოლიტანური – Camorra, კალაბრიული – 'Ndrangheta და აპულიური – Sacra Corona Unita; – ზ.ე.) [62.31-35].

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, დასჯადია სამი ან მეტი წევრის გაერთიანება დანაშაულების ჩადენის მიზნით, მათ შორის, არა მარტო მათი, ვინც ქმნის ან ორგანიზებას უწევს ასეთ გაერთიანებას, არამედ მათიც, ვინც ხელს უწყობს ამას. ისჯება ასევე დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობა. სასჯელი მნიშვნელოვნად მკაცრდება გაერთიანების მონაწილეთა შეიარაღებისას, აგრეთვე თუ მის მონაწილეთა რაოდენობა 10 ან მეტია.

დამოუკიდებელი დანაშაულია შეიარაღებული ბანდის ორგანიზება, მისი ხელმძღვანელობა და მასში მონაწილეობა (306-ე მუხლი). ეს მუხლი მოთავსებულია სახელმწიფოს სამართალსუბიექტურობის თავში (241-ე–313-ე მუხლები) (Titolo I – Dei delitti contro la personalita dello stato). დანაშაულებრივი გაერთიანების პირველი სახესხვაობისაგან ბანდა იმით განსხვავდება, რომ იქმნება არა ყველა დანაშაულის, არამედ მხოლოდ 306-ე მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულების ჩასადენად (ბანდა – ეს არის მომზადება და მონაწილეობა; (Banda armata: formazione e partecipazione) [159].

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი “ბანდას” საერთოდ არ განმარტავს, მაგრამ მას მაფიოზური ტიპის საზოგადოებისაგან განასხვავებს. ზემოაღნიშნული მუხლით პასუხისმგებლობა იმ პირობით დგება, თუ კოდექსის 302-ე მუხლში ჩამოთვლილი მძიმე დანაშაულების ჩასადენად შეიარაღებული ბანდა იქმნება. პასუხისმგებლობა დგება მათთვისაც, ვინც პროპაგანდას უწევს ბანდის იდეებს ან ეხმარება მას. კანონი ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შეიარაღებულ ბანდაში მონაწილეობის ფაქტი ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ცხრა წლამდე ვადით.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე მუხლით გათვალისწინებულია შეთანხმებაში მონაწილეობა ან შეიარაღებული ჯგუფებისათვის დახმარების გაწევა – (Assistenza ai partecipi di cospirazione o di banda armata). კოდექსის 306-ე მუხლის თანახმად, ის, ვინც ეხმარება დანაშაულის ჩადენაში, აძლევს თავშესაფარს, საკვებს, სასტუმრო ბიზნესს, ტრანსპორტს, კავშირის საშუალებას ვინმეს იმ პირთაგან, რომლებიც ასოციაციაში ან ჯგუფში მონაწილეობდნენ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით. მათ ჯარიმა ეკისრებათ, თუ დახმარება ხანგრძლივია. ქმედება არ არის დასჯადი, თუ იგი ახლო ნათესავების სასარგებლოდაა ჩადენილი [159].

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 416-1 მუხლი ითვალისწინებს სამი ან მეტი პირისგან შემდგარ მაფიოზური ტიპის გაერთიანებაში მონაწილეობის, აგრეთვე ასეთი გაერთიანების შექმნის ან ხელმძღვანელობის თაობაზე (Chiunque fa parte di un'associazione di tipo mafioso formata da tre o più persone, è punito con la reclusione da sette a dodici anni). გაერთიანება მაფიოზურად არის მიჩნეული, როცა იგი ეკონომიკური საქმიანობის, კონცესიების, ნებართვებისა და საზოგადოებრივი სამსახურების პირდაპირი ან ირიბი ხელმძღვანელობის ან/და სხვაგვარი კონტროლისათვის ან თავისთვის ან/და მესამე პირებისთვის უკანონო შემოსავლების ან უპირატესობების მიღების მიზნით იქმნება.

ამასთანავე, გაერთიანების მონაწილეები შებოჭილნი არიან დამნაშავეთა სამყაროს “კანონებით”. სასჯელი მნიშვნელოვნად იზრდება, თუ ეკონომიკური საქმიანობა, რომლის მიმართაც გაერთიანების მონაწილეებს განზრახული აქვთ დაამყარონ ან შეინარჩუნონ კონტროლი, მთლიანად ან ნაწილობრივ დანაშაულების ჩადენით მიღებული სახსრებით ან მოგებით ფინანსდება. სასჯელის მოხდის შემდეგ იმ პირებზე, რომლებიც იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 416-ე და 416-1

მუხლებით გასამართლდნენ, აუცილებლად წესდება პოლიციის ზედამხედველობა [159].

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ იტალიის სისხლის სამართლის კოდექსში არ არის განსაზღვრული თანამონაწილეობა, მისი ფორმები და სახეები. მაგრამ კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია დანაშაულის ჩასადენად შექმნილი ორგანიზაციისა და მაფიოზური ტიპის ორგანიზაციის ცნებები.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 416<sup>ბ</sup>-მ მუხლი განსაზღვრავს მაფიოზური ტიპის ორგანიზაციას და ადგენს პასუხისმგებლობას მისი მონაწილეებისათვის. კოდექსი კატეგორიულად არ მოითხოვს ორგანიზაციის საქმიანობის მართლწინააღმდეგობის დადგენას; საკმარისია, დამტკიცდეს მისი მაფიოსადმი დამოკიდებულება.

შედარებისათვის კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ, მაგალითად, გერმანელი კანონმდებელი არ იძლევა თანამონაწილეობის ცნებას, მაგრამ, იტალიური კოდექსისაგან განსხვავებით, გერმანულ კოდექსში გათვალისწინებულია ოთხი პარაგრაფი, რომლებიც დეტალურად ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ორგანიზებული საქმიანობისათვის: გაერთიანების აკრძალვის დარღვევა (§85), შეიარაღებული ჯგუფების შექმნა (§127), დანაშაულებრივი საზოგადოების შექმნა (§129), ტერორისტული საზოგადოების შექმნა (§129 a).

3.3.3. ბანდიტიზმის ცნების საკითხი ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში მოცემულია სისხლისსამართლებრივად დასჯადი შეთანხმების ცნება. მე-17 მუხლის შესაბამისად, შეთანხმება მაშინ არსებობს, როცა ორი ან მეტი პირი მოილაპარაკებს დანაშაულის ჩადენაზე და გადაწყვეტს მის ასრულებას.

შეთანხმება განსხვავდება დანაშაულის ჩადენის წინადადებისაგან (ეს უკანასკნელი მაშინ არსებობს, როცა პირი, რომელმაც დანაშაულის ჩადენა გადაწყვიტა, სხვას ან სხვა პირებს სთავაზობს მის ასრულებას). შეთანხმება (ისევე, როგორც წინადადება)

მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში ისჯება. ესენია: შეთანხმება მკვლელობის ჩასადენად (141-ე მუხლი), უკანონო დევნა და გატაცება (168-ე მუხლი), უკანონო გაერთიანებების შექმნა (519-ე მუხლი), ამბოხება (548-ე მუხლი), ტერორიზმის სხვადასხვა ვარიანტი (578-ე მუხლი) [195].

გარდა ამისა, დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობად (515-ე მუხლი) გამოიყოფა უკანონო გაერთიანებების შექმნა (შეიარაღებული ბანდების, ფორმირებების ან ტერორისტული ჯგუფების სახით.), აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ პირებს, რომლებმაც მიზნად დაისახეს ძალადობრივი მეთოდები, დაშინება და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები [118.131-152].

3.3.4. ბანდიტიზმის ცნების საკითხი ჰოლანდიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ჰოლანდიის პარლამენტის საგამოძიებო კომისიის გამოკვლევაში აღინიშნა, რომ ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა ჯერ ვერ პასუხობს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ამოცანას. ორგანიზებული დანაშაულის ახალი ფორმების წარმოშობამ მათი საკანონმდებლო გამიჯვნის საკითხი დასვა, რაც დღემდე არ არის გადაწყვეტილი. ამაზე მიუთითებს ჰოლანდიის სისხლის სამართლის კოდექსის თავისებურება [122.32].

ჰოლანდიის სისხლის სამართლის 1996 წლის კოდექსის, 1997 წლის რედაქციაში არ არის “ბანდის” ცნება, თუმცა გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა “იმ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის, რომლის მიზანია დანაშაულების ჩადენა” – პატიმრობა არა უმეტეს ხუთი წლის ვადით ან ფულადი ჯარიმა (V კარის – “დანაშაული საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ” – 140-ე მუხლი).

აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებულია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იმ პირთათვის „რომლებიც საჯაროდ და ერთობლივად სჩადიან ძალადობის აქტებს პირთა ან საკუთრების წინააღმდეგ”, პიროვნებისთვის მიყენებული კონკრეტული ზიანის – სხეულის დაზიანება, სხეულის მძიმე დაზიანება ან სიკვდილი –

შესაბამისად პატიმრობა 6 წლამდე, 9 წლამდე და 12 წლამდეა გათვალისწინებული (მუხლი 141) [194].

### **3.4. “ბანდიტიზმის” ცნების საკითხი გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში**

#### 3.4.1. ბანდიტიზმის ცნების საკითხი გერ-ს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი სათავეს იღებს გერმანიის იმპერიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსიდან. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი თავის არსებობის წლებში მუდმივად განიცდიდა ცვლილებებს დროის მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე კოდექსის ზოგადი ნაწილის რეფორმა 1975 წელს შეჩერდა, განსაკუთრებული ნაწილის რეფორმა კი უწყვეტად გრძელდებოდა ახალი კანონების მიღების გზით.

“ბანდის” ცნება აღნიშნულ კოდექსში არ არის განმარტებული [23.528], თუმცა მითითებულია მისი შექმნის მიზნები: პორნოგრაფიის წარმოება, რეკლამა და გავრცელება (§184-ის მე-4 აბზაცი); ბავშვებით ვაჭრობა (§236-ის მე-4 აბზაცი); ქურდობისა და ყაჩაღობის ჩადენა (§244-ის პირველი აბზაცი და §250-ის პირველი აბზაცი); გამომძალველობა (§253-ის მე-4 აბზაცი); მართლსაწინააღმდეგო გზით მოპოვებული ქონების დაფარვა (§260-ის პირველი აბზაცი); ფულის გათეთრება (§261-ის მე-4 აბზაცი); თაღლითობა (§263-ის მე-3 აბზაცი); დოკუმენტების გაყალბება (§267-ის მე-4 აბზაცი); აზარტული თამაშების ორგანიზება (§284-ის მე-3 აბზაცი); მოსყიდვა (§300). ამასთანავე, ბანდის წევრებისათვის, პასუხისმგებლობის დიფერენცირების გარეშე, გათვალისწინებულია სასჯელები:

1) პორნოგრაფიასთან დაკავშირებული მანიპულაციები, ბავშვებით ვაჭრობა, ქურდობა, ქონების დაფარვა, ფულის გათეთრება, თაღლითობა, დოკუმენტების გაყალბება – თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვიდან ათ წლამდე;

2) აზარტული თამაშების ორგანიზება და მოსყიდვა – თავისუფლების აღკვეთა სამი თვიდან სამ წლამდე;

3) ყაჩაღობა – თავისუფლების აღკვეთა სამიდან თხუთმეტ წლამდე;

4) გამოძალვა – თავისუფლების აღკვეთა ერთიდან თხუთმეტ წლამდე.

გარდა ამისა, ნარკოტიკებით არალეგალურ ვაჭრობასა და ორგანიზებული დანაშაულის გამოვლინების სხვა ფორმებთან ბრძოლის შესახებ 1992 წლის კანონმა ორგანიზებულ დანაშაულთან უფრო მტკიცე ბრძოლისათვის შეავსო და ახლებურად ჩამოაყალიბა ბანდის მიერ ჩადენილი ქურდობის განსაკუთრებით საშიში შემთხვევები (§244-ა) და მართლსაწინააღმდეგო გზით მიღებული ქონების დაფარვა (§260-ა). ამასთანავე, გამკაცრდა სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა ერთიდან ათ წლამდე.

როგორც ჩანს, გერმანელი კანონმდებელი არ განმარტავს, რით განსხვავდება ბანდა თანამონაწილეობის სხვა ფორმებისაგან, მაგრამ ეს ორგანიზაცია იმიჯნება შეიარაღებული ჯგუფისაგან (§127) და დანაშაულებრივი გაერთიანებისაგან (§129). გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ბანდა არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, მაგრამ არა აუცილებლად შეიარაღებული, რომელიც პიროვნებისა და საკუთრების წინააღმდეგ მრავალჯერადი დანაშაულის ჩასადენადაა შექმნილი. ამასთანავე, ბანდის წევრებისათვის სასჯელი არ არის დიფერენცირებული.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში კონსტრუირებულია ორი სახის სისხლისსამართლებრივი დანაშაულებრივი გაერთიანება: დანაშაულებრივი საზოგადოებები და დანაშაულებრივი ჯგუფები.

პირველი სახეობა მოიცავს ორგანიზებული დანაშაულის ყველაზე საშიში გამოვლინების ორ სახესხვაობას:



კოდექსის §129-1 ითვალისწინებს სასჯელს დანაშაულებრივი საზოგადოების შექმნისათვის, ანუ იმ გუნდის ორგანიზებისათვის, რომლის მიზნები და საქმიანობა მიმართულია დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისაკენ, ასეთ გუნდში მონაწილეობისაკენ, აგრეთვე ასეთ გაერთიანებაში გადმოხირებისაკენ ან მისი საქმიანობის მხარდაჭერისაკენ.

კოდექსის §129-ა<sup>1</sup> დამოუკიდებელ შემადგენლობად გამოყოფს ტერიტორიული დანაშაულებრივი საზოგადოების შექმნას, რომლის მიზნები და საქმიანობა მიმართულია მძიმე მკვლელობის, მკვლელობის ან გენოციდის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა, ამ პარაგრაფში მითითებული, პიროვნული თავისუფლების ხელყოფის ან საზოგადოებისათვის საშიში ქმედების ჩადენისაკენ.

მეორე სახესხვაობა მდგომარეობს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში, რომელსაც თან სდევს პირთა ჯგუფის ძალადობრივი ქმედებები (§125, §125-ა), შეიარაღებული ჯგუფის შექმნა და მასში მონაწილეობა (§127), აგრეთვე ბანდის მიერ ჩადენილი ქურდობები (§244-ის მე-3 ნაწილი, §244-ა), ყაჩაღობა (§250-ის მე-4 ნაწილი), გამოძალვა (§253-ის მე-4 ნაწილი), დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაფარვა (§260-ის მე-2 ნაწილი), ფულის გათეთრება (§261-ის მე-3 ნაწილი), ნებადაურთველი აზარტული თამაშების ორგანიზება (§284-ის მე-3 ნაწილი) [192].

“ბანდის” კონსტრუქციასთან მიმართებით ყურადღება გერმანული დოქტრინის ერთ თავისებურებაზე უნდა გამახვილდეს. ცნობილი რუსი მეცნიერი ა. ჟალინსკი აღნიშნავს, რომ პრაქტიკულად ბანდის ნიშნები ძირითადად დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით ვლინდება [23.431]. მთლიანობაში, გერმანელი კანონმდებელი მიისწრაფვის, გაატაროს პრინციპი, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის კოდექსი ქმედების კანონია. მაგრამ ეს პრინციპი გერმანიის კანონმდებლობაში თავისებურად არის გატარებული ანუ “ბანდა” გარკვეული დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნად იგულისხმება [23.431].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს ისეთ კონსტრუქციას, როგორც არის, მაგალითად, “ბანდის მიერ ჩადენილი ქურდობა.”

ბანდაში მონაწილეობა – ფორმალური შემადგენლობაა. მაგრამ, თუ ბანდის წევრმა ჩაიდინა ქურდობა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქმედების ერთობლიობასთან: ჯგუფურად ჩადენილ ქურდობასთან და ბანდაში მონაწილეობასთან. ანალოგიურად საკითხი წყდება სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად, ბანდის წევრის მიერ მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში ქმედება კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით: 224-ე მუხლი – ბანდიტიზმი და 109-ე მუხლის მეორე ნაწილის “ე” ქვეპუნქტი და ა.შ

როგორც ცნობილი მკვლევარი ა. ჟალინსკი აღნიშნავს, გერმანულ მეცნიერებაში არის ცდები, ყურადღება თვით “დაჯგუფების” განმარტებაზე გადაიტანონ. დავები მიმდინარეობს ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობაზე, კავშირის ტიპზე და ა.შ. თუმცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს დიდი სენატი სისხლის სამართლის საქმეებზე ბანდის ამგვარი ინტერპრეტაციის წინააღმდეგ გამოდის. კერძოდ, როგორც იგი თავის დადგენილებაში აღნიშნავს, ბანდის ცნება მოიაზრებს, ორი ან მეტი პირის თავისი ნებით გაერთიანებას, რათა მათ მომავალში გარკვეული დროის განმავლობაში (Dauer-ხანგრძლივობა) მრავალი დამოუკიდებელი, დეტალებში ჯერ კიდევ უცნობი დანაშაული ჩაიდინონ [23.431]. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს გერმანული სამეცნიერო დოქტრინისაგან განსხვავებით, გერმანიის უზენაესი სასამართლო “ბანდას” განმარტავს ისევე, როგორც საქართველოს კანონმდებლობა.

3.4.2. ბანდიტიზმის ცნების საკითხი შვეიცარიის კანონმდებლობაში. შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლში (“ყაჩაღობა”) აღნიშნულია: თუ პირი სჩადის ყაჩაღობას მაშინ, როდესაც არის ბანდის წევრი, რომელიც ყაჩაღობების ან ქურდობების მუდმივად ჩასადენად იქნა ორგანიზებული, თუკი ის ყაჩაღობის ჩადენისას რაიმე სხვა ფორმით ავლენს, რომ განსაკუთრებით საშიშია, ისჯება ციხით არანაკლებ ორ წლამდე ვადით [201]. კოდექსის 260-ე მუხლში (“დანაშაულებრივი ორგანიზაცია”) კი მითითებულია: ვინც მონაწილეობს იმ ორგანიზაციის საქმიანობაში, რომელიც საიდუმლოდ ინახავს ჯგუფის აგებულებას

და პირად შემადგენლობას და რომელიც მიზნად ისახავს ძალადობრივი დანაშაულების ჩადენას ან დანაშაულებრივი სახსრებით გამდიდრებას, ვინც მხარს უჭერს ასეთ ორგანიზაციას დანაშაულებრივ საქმიანობაში, ისჯება ციხით ხუთ წლამდე ვადით ან პატიმრობით [201].

3.4.3. ბანდიტიზმის ცნების საკითხი თურქეთის კანონმდებლობაში. თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლში მითითებულია, რომ პირი, რომელმაც ორგანიზება გაუწია შეიარაღებული საზოგადოების ან ბანდის შექმნას, თავის თავზე აიღო ხელმძღვანელობა ან ბრძანება, ან ცალკეული ვალდებულებანი 125-ე, 131-ე, 146-ე, 147-ე, 149-ე და 156-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში, ისჯება თხუთმეტ წლამდე პატიმრობით. ასეთი დანაშაულებრივი საზოგადოების ან ბანდის სხვა წევრები მკაცრად ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით ათიდან თხუთმეტ წლამდე ვადით [198].

ამასთანავე, პასუხისმგებლობა ასეთი ბანდის ორგანიზებისათვის და მასში მონაწილეობისათვის დიფერენცირებულია. თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 313-ე მუხლში ცალ-ცალკეა გათვალისწინებული სასჯელი დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზებისათვის, მასში მონაწილეობისათვის და მისი ხელმძღვანელობისათვის, ისეთ დანაშაულთა ჩადენისათვის, როგორებიც გახლავთ მკვლელობა, ყაჩაღობა, ადამიანთა გატაცება [198].

თურქეთის კანონმდებლობის ანალიზისას ყურადღება ექცევა ერთ მომენტს. როგორც აღნიშნული კოდექსის 168-ე მუხლის ტექსტიდან ჩანს, კანონმდებელს “ორგანიზებული შეიარაღებული საზოგადოება” ესმის, როგორც “ბანდა”. ამასთანავე, 313-ე მუხლს ცვლილება შეაქვს და ზოგიერთი დანაშაულის ჩადენაზე მიუთითებს. მაშასადამე, თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია ბანდის ცნების ერთგვარი ანალოგი, რომელიც პირობითად შეიძლება ბანდის ცნებად განვიხილოთ.

3.4.3. ბანდიტიზმის ცნების საკითხი ზოგიერთი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების კანონმდებლობაში. ევროპის ქვეყნების უმრავლესობისაგან განსხვავებით, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების კანონმდებლობებში არსებობს ცალკე მუხლი –

„ბანდიტიზმი“ ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ სამი საკანონმდებლო კონსტრუქცია, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ ბანდიტიზმის ცნების უარყოფის ტენდენცია:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ბანდიტიზმის მოდელი ანალოგიურია იმ მოდელისა, რომელიც რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლით (ბანდიტიზმი) არის შემუშავებული. ამ მოდელში ბანდიტიზმის აუცილებელი ნიშნებია მოცემული. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოსა და რუსეთში გაბატონებული მიდგომები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლში ბანდიტიზმის ნიშნებად მითითებულია:

1. მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა მოქალაქეებზე ან ორგანიზაციებზე თავდასხმის მიზნით, ასეთი ჯგუფის (ბანდის) ხელმძღვანელობა;
2. მყარ, შეიარაღებულ ჯგუფში (ბანდაში) მონაწილეობა ან მის თავდასხმებში მონაწილეობა.

ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები უარს ამბობს ბანდიტიზმის ამ ცნებაზე. ლატვიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში თავდასხმის მიზანი დანაშაულის ჩადენის მიზნითაა შეცვლილი. კერძოდ, 224-ე მუხლის “ბანდიტიზმის” შემდეგ განმარტებას იძლევა:

1. ორი ან მეტი პირის ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფში (ბანდაში) გაერთიანება დანაშაულის ჩადენის მიზნით;
2. ბანდის მიერ ჩადენილ დანაშაულებში მონაწილეობა ან მისი ხელმძღვანელობა [168].

ესტონეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსმა საერთოდ უარი თქვა ბანდიტიზმის ნორმაზე. “ბანდა” გაიგივებულია “დანაშაულებრივ საზოგადოე-

ბასთან”, რომელიც 1961 მუხლით განისაზღვრება. ნორმის კონსტრუქციის თანახმად, დანაშაულებრივი საზოგადოება მყარია და შედგება სამი ან მეტი პირისგან, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ვალდებულებათა გადანაწილებით. საზოგადოების მიზანია პირველი ან მეორე ხარისხის დანაშაულის ჩადენა. კანონის თანახმად, ისჯება:

1. საზოგადოების ორგანიზება ან მისი ხელმძღვანელობა;
2. დანაშაულებრივი საზოგადოების წევრობა;
3. დანაშაულის მომზადებასა და მცდელობაში, დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა [153].

## თავი II

### ბანდიტიზმის ობიექტური შემადგენლობა

#### §1. წინასწარი შენიშვნები

ქართველი მეცნიერები დანაშაულის ობიექტური მხარის დახასიათებისას სხვადასხვა სქემას გვთავაზობენ. მაგალითად, მ. ტურავას სქემის მიხედვით, დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: 1) ქმედების ამსრულებელი, 2) ქმედების ობიექტი, 3) ქმედება, 4) შედეგი, 5) მიზეზობრივი კავშირი, 6) შედეგის ობიექტური შერაცხვა, 7) ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტური ნიშნები: დრო, ვითარება, საშუალება და ა.შ. [10. 65].

ო. გამყრელიძის სქემის თანახმად, გვაქვს შემდეგი ელემენტები: 1) ქმედება, 2) შედეგი და 3) მიზეზობრივი კავშირი მათ შორის [1.163]. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება.

განვიხილოთ შემდეგი საკითხი: რომელი ელემენტი უნდა იყოს ობიექტურ შემადგენლობაში. უპირველეს ყოვლისა, უნდა შევვხვით სამართლებრივი სიკეთის ანუ ობიექტის საკითხს.

კანონმდებელი “ბანდიტიზმს” განიხილავს, როგორც “დანაშაულს საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ”, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXX თავშია მოცემული. მაშასადამე, დასაწყისშივე განისაზღვრება საკითხთა მთელი წრე, რომელიც დანაშაულის ობიექტის აღწერას მოითხოვს. ზოგ შემთხვევაში მოსამართლემ ბანდიტიზმის ობიექტი მთელი სისრულით უნდა წარმოადგინოს. ბანდიტიზმის ობიექტის შესახებ არასწორმა წარმოდგენამ დანაშაულის სუბსუმციისას შეიძლება შეცდომები გამოიწვიოს. მაგალითად, ბანდის მიერ ჩადენილი განზრახი მკვლელობა არ შეიძლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებად განვიხილოთ. ამ შემთხვევაში მკვლელობა ბანდიტური თავდასხმის ჩადენის საშუალებაა. ამიტომ ჩადენილი მკვლელობით ბანდა ხელყოფს სამართლებრივ სიკეთეს, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXX თავშია განსაზღვრული.

რასაკვირველია, დგება დანაშაულთა ერთობლიობის საკითხი. საწყის წერტილად აქ მაინც სწორედ ბანდიტიზმის ობიექტი უნდა მივიჩნიოთ. ანალოგიურად შეგვიძლია ვისაუბროთ ყველა სხვა დანაშაულზე, რომლებიც ბანდიტური თავდასხმის პროცესშია ჩადენილი. აქედან გამომდინარე, ბანდიტიზმის ობიექტური მხარის ანალიზისას დამოუკიდებელ ელემენტად უნდა გამოვყოთ დანაშაულის ობიექტი და სამართლებრივი სიკეთე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შევხვით ე.წ. დანაშაულის სუბიექტის პრობლემას.

ობიექტური შემადგენლობის დახასიათებისას ამსრულებლის ასაკის, ფსიქიკური მდგომარეობისა და სხვა თვისებების საკითხი არ განიხილება, რადგან ის უკავშირდება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და არა ქმედების შემადგენლობას. ამით გაზიარებული მიდგომა არსებითად განსხვავდება საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში გაბატონებული დოქტრინისაგან, რომელშიც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. დანაშაულის სუბიექტის ცნება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამსრულებლის პრობლემა მაშინ წარმოიშობა, როცა ვიწყებთ მაკვალიფიცირებელი ნიშნების განხილვას, კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო მითვისებისას, როდესაც, მაგალითად, მძლოლი საწყობის გამგეს სახლში ქარხნისათვის განკუთვნილი აგურის გადატანაში ეხმარება. აქ ამსრულებლის პასუხისმგებლობის საკითხი მითვისების ობიექტური შემადგენლობის თავისებურებაზეა დამოკიდებული.

ყურადღება კიდევ ერთ გარემოებაზე უნდა გამახვილდეს: “ბანდიტიზმის” კონსტრუქცია განსაკუთრებული აგებულებისაა. კანონმდებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის პირველივე ნაწილში მიუთითებს ბანდის შემქმნელზე ან ხელმძღვანელზე. ბანდიტიზმის ობიექტური მხარის ანალიზი თითქოს ამსრულებლიდან უნდა იწყებოდეს, თუმცა ეს ასე არ არის, რადგანაც, თუ დადგენილი არ არის ბანდის გაგება, საეჭვოა ვისაუბროთ ფართო გაგებით დანაშაულის ამსრულებლის თავისებურებებზე. შესაბამისად, დანაშაულის ამსრულებლის საკითხი წარმოებული ხასიათისაა და სწორედ ქმედების ობიექტური

მხარის თავისებურებებიდან გამომდინარე განიხილება. ეჭვს არ იწვევს, რომ ბანდიტიზმის ობიექტური მხარის ანალიზისას სწორედ ბანდისათვის დამახასიათებელი თვისებები უნდა გამოვყოთ. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება მიზანშეწონილი, განვიხილოთ ამსრულებელთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

ბანდიტიზმის შემადგენლობა ფორმალური ხასიათისაა. ამიტომ აქ მიზეზობრივი კავშირის საკითხი არ დგას, რადგან ბანდის შექმნით ან მისი წევრობით დანაშაულის ფორმალური შემადგენლობის მოთხოვნები შესრულებულია. ამ პუნქტში დასრულებულია მხოლოდ ერთი კრიმინალური ეპიზოდი. მაგრამ მიზეზობრივი კავშირის საკითხი იმ შემთხვევაში წარმოიშობა, როდესაც გამოძიების წინაშე ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულის სუბსუმციის პრობლემა დგას.

იურიდიულ-ტექნიკური თვალსაზრისით კი, მიზეზობრივი კავშირის საკითხის გადაწყვეტა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გაიგება ტერმინი “ბანდიტური თავდასხმა”. როგორც შემდგომ ვნახავთ, ბანდიტური თავდასხმისათვის სულაც არ არის სპეციფიკური რაიმე სახის ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე ნორმით. ვერ ვიტყვით, რომ ბანდიტური თავდასხმა მხოლოდ მკვლევლობების ან სხეულის მძიმე დაზიანების გზით ხორციელდება. შესაძლებელია თავდასხმა ბანდის მიერ ყაჩაღობით ან სხვა ძალადობრივი დანაშაულის გზით განხორციელდეს. შესაბამისად, მიზეზობრივი კავშირი კანონმდებლის მიერ ბანდიტიზმის ობიექტური მხარის ფარგლების გარეთაა გატანილი.

მართლაც ამ შემთხვევებში უნდა გავითვალისწინოთ ჩვენ ყველა ის მოთხოვნა, რომელიც არსებობს მიზეზობრივი კავშირის დადგენისათვის. თეორიათა მრავალფეროვნება გვიჩვენებს, რომ ისევე როგორც მოქმედების ცნებამ, მიზეზობრივი კავშირის თეორიამაც განიცადა განვითარება.

ეკვივალენტურობის თეორიის მიხედვით, ნებისმიერი პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და შედეგისათვის თანაბარ მნიშვნელოვანს (“ეკვივალენტურს”) წარმოადგენს, თუკი დადგინდა, რომ ამ პირობის გარეშე შედეგი თავისი



კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა (*condicio sine qua non*), დგინდება მოქმედება და შედეგი არიან თუ არა ბუნებრივი კანონზომიერებით ერთმანეთთან დაკავშირებული. მარტო პირობათა თეორიას არ შეუძლია სამართლიანი ობიექტური შერაცხვა უზრუნველყოს, რადგან ამ დროს შეიძლება მნიშვნელოვანი ნორმატიული ასპექტები დარჩეს უყურადღებოდ.

ადეკვატურობის თეორია შეეცადა ეკვივალენტურობის თეორიის უსაზღვროდ ფართო ფარგლები მიზეზობრიობის ეტაპზე შეეზღუდა. მიზეზობრივი შეიძლება იყოს მხოლოდ ქმედების შემადგენლობის ადეკვატური პირობა. ადეკვატურობის თეორიით მიზეზობრივი კავშირის დადგენისათვის აუცილებელია დადგინდეს ის მომენტი, რომ ამა თუ იმ ქმედების ჩადენის დროს შეიძლებოდა თუ არა გარკვეულწილად სავარაუდებელი დამდგარი შედეგის გამოწვევა. ამ თეორიით, მიზეზობრივი კავშირების შემთხვევებში, რომლებიც ემყარებიან მოვლენათა განვითარების სრულიად ატიპიურ დამთხვევას, რომელთა განჭვრეტა ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილებით არ არის შესაძლებელი, ობიექტური შერაცხვა შესაძლებელია უკვე მიზეზობრიობის ეტაპზე იქნეს გამორიცხული.

რელევანტურობის თეორიაც დამდგარი შედეგის ობიექტური შერაცხვის შესაძლებლობის უარყოფას მიზეზობრიობის ეტაპზე ცდილობს. იგი ეკვივალენტურობის თეორიას იმეორებს და მას უმატებს კიდევ ერთ პირობას, რომ ქმედება სისხლისამართლებრივი კრიტერიუმებით აგრეთვე რელევანტური უნდა იყოს, რომ მოხდეს მისი ობიექტურად შერაცხვა. ამ თეორიის მიხედვით, ყოველი პირობა, რომელმაც გამოიწვია შედეგი, არ წარმოადგენს სისხლისამართლებრივად რელევანტურს, რადგან ობიექტური შერაცხვა, გარდა შედეგის გამოწვევისა, სხვა კრიტერიუმებსაც ეფუძნება, რა დროსაც გაითვალისწინება როგორც ნორმის დაცვის მიზანი, ასევე ცალკეული შემადგენლობების თავისებურებანი. ამდენად იგი წარმოადგენს ეკვივალენტურობისა და ადეკვატურობის თეორიების ერთგვარ კომბინაციას. განსხვავებით ამ თეორიებისაგან, რელევანტურობის თეორიის

მიხედვით, “შერაცხვა” არის მიზეზობრიობის ქვეკუნქტი და არ წარმოადგენს კაზუალობისაგან დამოუკიდებელ შეფასების მასშტაბს.

როგორც თ. წერეთელი აღნიშნავდა, “ადამიანის ქცევა მაშინ უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშ შედეგის აუცილებელ პირობად, როდესაც ქმედების გარეშე შედეგი არ განხორციელდებოდა, ხოლო იმის დასადგენად, განხორციელდებოდა თუ არა საზოგადოებრივად საშიში შედეგი მოქმედების გარეშე, შეიძლება გამოვიყენოთ ქმედების აზრობრივი გამორიცხვის მეთოდი, ე.ი. ჩვენს წარმოდგენაში დავუშვათ, რომ ეს ქმედება ადამიანს არ ჩაუდენია. თუ ასეთი აზრობრივი გამორიცხვისას აღმოჩნდება, რომ შედეგი მაინც დადგებოდა, თანაც დადგებოდა სწორედ იმ დროსა და იმ სახით, როგორც იგი სინამდვილეში განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მოქმედება არ ყოფილა მიზეზობრივ კავშირში შედეგთან. ხოლო პირიქით თუ აღმოჩნდა, რომ მოქმედების არსებობის შემთხვევაში ან სრულიად არ დადგებოდა, ან სხვა დროს თუ სხვა წესით დადგებოდა, ვიდრე იგი სინამდვილეში განხორციელდა, ეს იმას ადასტურებს რომ ადამიანის მოქმედება იყო საზოგადოებრივად საშიში შედეგის აუცილებელი პირობა, მისი *conditio sine qua non*.... აზრობრივი გამორიცხვის მეთოდი მხოლოდ დამხმარე, ტექნიკური ხერხია იმის დასადგენად, განხორციელდებოდა თუ არა შედეგი ადამიანის მოქმედების გარეშე...” [11.267].

და ბოლოს, ბანდიტიზმის ობიექტური მხარის დახასიათებისას აუცილებლად უნდა განისაზღვროს „თავდასხმის“, როგორც ბანდის მიზანი, მისი როლი ქმედების შემადგენლობაში. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქმედების ფინალურ შემადგენლობასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობაში მიზანი შედის, როგორც კონსტიტუციური ნიშანი. ფინალური შემადგენლობის საკითხი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დაწვრილებითაა აღწერილი [10.79-84]. ამიტომ ამ შემთხვევაში თავდასხმა, როგორც ბანდის მიზანი, ბანდიტიზმის შემადგენლობის ელემენტად უნდა განიხილებოდეს.

მაშასადამე, დანაშაულის ობიექტური მხარის ანალიზის სქემა უნდა მოიცავდეს:

1. ბანდის ძირითად თვისებებს. ამასთანავე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის პირველი ნაწილის დეფინიციიდან გამომდინარე, ბანდის თვისებებია: 1) ჯგუფის სიმყარე, 2) ჯგუფის შეიარაღება, 3) ბანდის შექმნა ან ხელმძღვანელობა, 4) ბანდაში ან მის მიერ ჩადენილ თავდასხმებში მონაწილეობა.

წინასწარ უნდა შევხვით ე.წ. ბანდიტიზმის ცნების განსაზღვრის პრობლემასაც. ამ ცნების განსაზღვრისა და შემდეგ ბანდიტიზმის ძირითადი შემადგენლობის დახასიათების ცდები, რუსულ ლიტერატურაში გვხვდება. მაგალითად, ა. ხაძეგოვი წერს, რომ ბანდიტიზმის კვლევის ლოგიკა მოითხოვს ისეთი საკითხების დადგენას, როგორცაა: ა) ბანდის ცნება; ბ) მისი განთავსება თანამონაწილეობის ფორმებში; გ) ბანდის ნიშან-თვისებები; დ) ბანდა და ბანდიტიზმი; ე) ბანდიტური ხელყოფის ცალკეული აქტები ან/და მოვლენები, ე.ი. სისტემატური საქმიანობა [56.65].

ასეთი მიდგომა საფუძველშივე არასწორია, რადგან ბანდიტიზმის ძირითად შემადგენლობაში მოცემული აღწერა იმავდროულად ცნების განსაზღვრებაა. ეს პოზიცია არასწორია, რადგან “ბანდიტიზმის” განსაზღვრება, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლშია მოცემული, არის სწორედ დანაშაულის ცნება და სხვა, რაღაც განსაკუთრებული ცნება არ არსებობს.

## **§2. ბანდიტიზმის ობიექტური შემადგენლობის თავისებურებანი**

ბანდიტიზმის ობიექტური შემადგენლობა მოიცავს: ა) ქმედების ობიექტს, ბ) მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნას, გ) მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) ხელმძღვანელობას, დ) ჯგუფში (ბანდაში) მონაწილეობას, ე) ჯგუფის (ბანდის) თავდასხმაში მონაწილეობას.

### **2.1. ქმედების ობიექტის (სამართლებრივი სიკეთის) თავისებურება.**

ბანდიტიზმის გვარეობითი ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი. საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის ცნებებს სისხლის სამართლის

კოდექსი არ იძლევა. „საზოგადოებრივი უშიშროება წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ნორმების მარეგულირებელ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ სიმშვიდეს, სიცოცხლის ხელშეუხებლობას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, მოქალაქეთა ნორმალურ შრომით საქმიანობასა და დასკვნებს, სახელმწიფო, კერძო და პირად სამეწარმეო ორგანიზაციების ნორმალურ საქმიანობას“ [3.152].

სისხლის სამართალში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საზოგადოებრივი უშიშროების ცნება განსხვავდება საზოგადოებრივი საშიშროების ანუ საფრთხის ცნებისაგან. მაგალითად პ. დაუთაშვილს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი უშიშროების ცნება თავის შინაარსში, საზოგადოებრივ საშიშროებასაც მოიცავს. როგორც ის აღნიშნავს, „საზოგადოებრივი საშიშროება კონკრეტულად ანუ უშუალოდ გამოხატავს ქმედების შინაგან სოციალურ არსს, რომელიც არღვევს საზოგადოების ფუნქციონირების პირობებს. მათი ცნობა ანუ აღიარება დანა- შაულებად ან სხვა სამართალდარღვევად განსაზღვრული და გამაგრებულია კანონში, როგორც ასეთი სოციალური არსის შეფასების ფიქცია და ა.შ. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულებები დალაგებულია სწორედ საზოგადოებრივად საშიშროების სიმძიმის, ხასიათისა თუ სოციალური და სამართლებრივი შედეგების მნიშვნელობის ნიშნის მიხედვით [3.153].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წერს პ. დაუთაშვილი, „საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობების სპეციფიკა და განსაკუთრებულობა გამოიხატება იმაში, რომ ისინი ზიანს ან ზარალს აყენებენ არა კონკრეტული პიროვნების ინტერესებს, არამედ მთლიან საზოგადოებრივად მნიშვნელობის მქონე ინტერესებს; მთელი საზოგადოების ან მისი ცალკეული მიკროჯგუფის ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმალურ და უსაფრთხო პირობებს. [3.153].

ბანდიტიზმის ობიექტი “საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი”, თავდაპირველად ჩამოყალიბებული იყო ცალმხრივად, როგორც “სახელმწიფო უშიშროება”.

აქ აისახებოდა საბჭოთა მოდელი, რომელიც საზოგადოებასა და სახელმწიფოს აიგივებდა. “სახელმწიფო უშიშროების” ინსტიტუტი 1936 წელს ოფიციალურად იქნა შეტანილი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-2 თავის მე-14 მუხლის ტექსტში [14.23]. 1960 წელს მიღებულმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა, შესაბამისად, ბანდიტიზმის ობიექტად “სახელმწიფო უშიშროება” გამოაცხადა.

მსოფლიოს ქვეყნების განვითარებამ ისტორიულად უარყო საზოგადოებაზე ტოტალიტარული სახელმწიფოს თვალთახედვა. დემოკრატიული სახელმწიფოს მიდგომის ფარგლებში სახელმწიფოს ინტერესი საზოგადოებრივი ინტერესის ნაწილად განიხილება. ტერმინი უშიშროების ცნება თავდაპირველად აისახა ეროვნული უშიშროების ცნებაში, რომელიც პანამის კრიზისთან დაკავშირებით 1904 წელს შემუშავდა აშშ-ის პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის მიერ კონგრესში გაგზავნილ მიმართვაში. ამასთანავე, ეროვნული უშიშროების ცნებაში მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიის დაცულობა იგულისხმებოდა. მომდევნო წლებში ეროვნული უშიშროების ცნება აშშ-ის 1947 წლის “ეროვნული უშიშროების” კანონში დაიხვეწა. თანამედროვე ქვეყნების კანონმდებლობებში “სახელმწიფო უშიშროების” კონცეფცია “ეროვნული, ანუ საზოგადოებრივი უშიშროების” კონცეფციით შეიცვალა [169].

პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში ბანდიტიზმის ობიექტად “საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი” პირველად 1996 წელს მიღებულ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში (შესაბამისად, სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების კანონმდებლობაშიც) განისაზღვრა, ხოლო საქართველოში კი – 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსში.

საქართველოს კანონმდებლობა “საზოგადოებრივ უშიშროებას” სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 22-ე, 24-ე და 41-ე მუხლებში გამოყენებულია ტერმინები „სახელმწიფო უშიშროება“ და “საზოგადოებრივი უსაფრთხოება“; ზოგიერთ აქტში გამოიყენება „ეროვნული უსაფრთხოება“, „სახელმწიფო უსაფრთხოება“, “საზოგადოებრივი უსაფრთხოება”, “ქვეყნის, საზოგადოებისა და პიროვნების უსაფრთხოება”, “სახელმწიფოს,

საზოგადოებისა და მოქალაქეთა უსაფრთხოება” [136;174;176], ზოგიერთ აქტში კი – “უშიშროება” [177], მაგრამ მათ შორის არსებითი ცნებითი განსხვავება არ არის.

ჯერ კიდევ 2005 წლის 8 ივლისის “საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში” იყო აღნიშნული, რომ სახელმწიფოს უშიშროება უნივერსალური დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების დანერგვით მიიღწევა მათ საფუძველზე საქართველო ამკვიდრებს მმართველობის დემოკრატიულ სისტემას, სადაც სახელმწიფოს ძალაუფლება კანონით არის განსაზღვრული და განაწილებული სახელისუფლებო შტოებს შორის. საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში გარანტირებულია სასამართლო ხელისუფლების სიძლიერე და დამოუკიდებლობა. საქართველო ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და უზრუნველყოფს მასმედიის დამოუკიდებლობას [136].

აღნიშნული მოდელის თანახმად, საზოგადოებრივი უშიშროება ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას გულისხმობს. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად, საქართველო აშენებს საზოგადოებას, რომელიც ეფუძნება პლურალიზმის, შემწყნარებლობის, სამართლიანობის, სოლიდარობისა და ანტიდისკრიმინაციულობის პრინციპებს. საქართველო ესწრაფვის, საკუთარ მოქალაქეებს განუმტკიცოს კონსტიტუციისადმი პატივისცემა და უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქედ მათი თვითიდენტიფიკაცია [136].

პიროვნების უსაფრთხოება იმ სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების, საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ფორმირებით მიიღწევა, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურად მნიშვნელოვანი შესაძლებლობებისა და მოთხოვნების ჩამოყალიბებას.

საქართველოს კონსტიტუციისა და 23.12.2011 წ. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის გათვალისწინებით, ბანდიტიზმის ობიექტად საქართველოს სახელმწიფოს, ინსტიტუტებისა და მოქალაქეების უსაფრთხოება უნდა მივიჩნიოთ. ეროვნული უსაფრთხოება მოიცავს საზოგადოებრივი უშიშროების

ცნებას. პრინციპში მოქმედი კანონმდებლობა მიუთითებს ერთი და იგივე სამართლებრივ სიკეთეზე, მაგრამ იყენებს განსხვავებულ ტერმინოლოგიას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXX თავი დანაშაულის ობიექტად საზოგადოებრივ წესრიგსაც ითვალისწინებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეცხრე კარით გათვალისწინებული ყველა დანაშაული (გარდა შემდეგი მუხლებით გათვალისწინებულისა: მუხლი 225 – “ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა”, მუხლი 239 – “ზულიგნობა”, მუხლი 259 – “ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა”) ხელყოფს საზოგადოებისა თუ მისი ცალკეული წევრების უშიშროებასა და უსაფრთხოებას. რაც შეეხება ზემოხსენებულ სამ მუხლს, ისინი ხელყოფენ საზოგადოებრივ წესრიგს, რამეთუ საზოგადოებრივი წესრიგის ცნება, ვიწრო გაგებით, მოიცავს პიროვნებისა და მოქალაქის უფლებებს, მორალსა და საზოგადოებრივ სიმშვიდეს, საზოგადოებრივ ადგილებსა და ყოფა-ცხოვრებაში მოქალაქეთა დისციპლინის უზრუნველყოფას.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებრივი უშიშროების საკითხი სხვადასხვა ნორმითაა რეგლამენტირებული. მათი მეშვეობით წესრიგდება ურთიერთობათა მრავალი ასპექტი. ფართო გაგებით, საზოგადოებრივი უშიშროებაც საზოგადოებრივი წესრიგის ფორმაა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი უშიშროების ცნება წესრიგის კომპონენტებსაც მოიცავს. ამ მოსაზრებას იზიარებს რუსი მეცნიერი ტ. ერმაკოვა [92.190-195].

ბანდიტიზმის უშუალო ობიექტები არიან ორგანიზაციები და ცალკეული პირები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბანდა მიზნად უნდა ისახავდეს პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმას.

საკითხის სრულყოფილად გაშუქებისათვის საჭიროა აგერთვე გავითვალისწინოთ, რომ ფორმალურ შემადგენლობაში შედეგი არ არის შემადგენლობის ნიშანი. მასში, ჩვეულებრივ, მითითებულია ობიექტის მხოლოდ ერთი ნიშანი – “სამართლებრივი გარსი”, ე.ი. სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად არის დადგენილი. ამ დანაშაულთა სუბსუმციისას

ობიექტის დადგენა ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის გზითაა უზრუნველყოფილი [29.132].

ამიტომ შედეგის საკითხი არ დგება. მაგალითად, ბანდაში მონაწილეობა ქმედების დასრულებული შემადგენლობაა. მნიშვნელობა არ აქვს, ბანდის წევრმა მკვლელობა ჩაიდინა თუ ვინმეს ჯანმრთელობა დააზიანა. ბანდიტიზმის სუბსუმციისას ეს საკითხი მნიშვნელოვანი არ არის, ვინაიდან ბანდიტიზმი ფორმალურ შემადგენლობას მიეკუთვნება. ამიტომ მისგან მიყენებული “ზოროტების” “პრეზიუმირება” არ ეხება ბანდიტიზმის ობიექტურ შემადგენლობას.

**2.2. მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა.** საქართველოს სსკ-ს 224-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულია რთული ბუნების ქმედება – „მყარის შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა“. მისის სირთულე განპირობებულია შემადგენელი ელემენტებით. მათ მიეკუთვნება ისეთი კონსტრუქტები, როგორცაა: „ბანდა“, „სიმყარე“, „შეიარაღება“ და „ბანდის შექმნა“. განვიხილოთ დეტალურად აღნიშნული კონსტრუქტები.

**2.2.1. „ბანდის“ საერთო ნიშნები.** ბანდიტიზმის ობიექტური შემადგენლობა ორგანიზებული ჯგუფის ყველა ნიშანს მოიცავს. ბანდიტური დაჯგუფება არის ორგანიზებული ჯგუფის სახესხვაობა, რომლის საერთო ნიშნებიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილშია აღწერილი.

სსკ-ს 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

როგორც აღნიშნავს ო. გამყრელიძე, ორგანიზებული ჯგუფი ისეთი ჯგუფია, რომელიც დროის განსაზღვრულ პერიოდში უნდა მოქმედებდეს, რაც იმას ნიშნავს,



რომ ეს ჯგუფი არ არის შემთხვევით, უეცრად შექმნილი. ორგანიზებული ჯგუფი, როგორც კანონის ტექსტიდან ჩანს, მყარი არ არის და შეიძლება შეიქმნას ერთი დანაშაულის ჩადენისათვის. ორგანიზებული ჯგუფი შედგება წინასწარ შეთანხმებული ჯგუფისა და თანამსრულებელთა ჯგუფისაგან, რომლებიც გათვალისწინებულია 27-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით. მხოლოდ სიმყარის ნიშნით განსხვავდება ბანდა ამ ჯგუფისაგან [1.210]

ამრიგად, ბანდიტურ ჯგუფს აქვს ორგანიზებული ჯგუფის შემდეგი ზოგადი თვისებები:

- 1) ჯგუფი არ არის უეცრად შექმნილი;
- 2) ჯგუფი წინასწარ შეთანხმებულია და თანამონაწილეებისგან შედგება;
- 3) ჯგუფი შესაძლოა რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად შეიქმნას. ამით ამოიწურება ბანდის, როგორც ორგანიზებული ჯგუფის, ზოგადი ნიშნების დახასიათება, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლიდან გამომდინარეობს.

ბანდის დახასიათებისას მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ არის ორგანიზებული ჯგუფი. ის შეიძლება ორი ან უფრო მეტი პირისაგან შედგებოდეს. “ბანდის” განსაზღვრაში რაოდენობრივ ნიშანზე მითითება აუცილებელი არ არის. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ტ. პოსობინას, რომელსაც “ბანდის” დეფინიციაში შეაქვს სიტყვები “შედგება ორი ან მეტი პირისაგან” [103.4-22]. თავისთავად ისმის კითხვა: განა ბანდას, როგორც ჯგუფს, შეიძლება სხვა აგებულება ჰქონდეს? ბანდის ამგვარი განსაზღვრება ზედმეტია.

ზოგჯერ ბანდის დახასიათებისას მიმართავენ ე.წ. “გადატვირთულ” განსაზღვრებას. მაგალითის სახით ვ. კაზაკოვას მოჰყავს “სასამართლოების მიერ ბანდიტიზმისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ” რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1997 წლის 17 იანვრის 1 დადგენილება, სადაც აღნიშნულია: “ბანდად” მიჩნეული უნდა იქნეს

ორგანიზებული, მყარი, შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც შედგება ორი ან მეტი პირისგან, რომლებიც წინასწარ არიან გაერთიანებული მოქალაქეებზე ან ორგანიზაციებზე თავდასხმის განსახორციელებლად [24.838].

ე.წ. “გადატვირთულ” განსაზღვრებას ჩვენ ვხედავთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის შენიშვნაში, რომელიც 2006 წლის 25 ივლისის კანონმა შემოიღო. შენიშვნაში აღნიშნულია: “ამ მუხლის მესამე ნაწილის მიზნებისათვის, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა”. თავად 27-ე მუხლის მესამე ნაწილში კი მითითებულია: “დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება”.

აღნიშნული შენიშვნის მოდელი გადმოტანილ იქნა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მეორე მუხლიდან: “სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი” ნიშნავს ჯგუფს, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა” [131]. ამ კონვენციამ გარკვეულწილად გაიმეორა რიკოს კანონი, რომელიც ყურადღებას ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების (ბანდის) ხელმძღვანელებზე ამახვილებდა, ხოლო ჯგუფური ურთიერთობების (სტრუქტურის) დადგენისას ე.წ. შემხებლობის

ინსტიტუტით შემოიფარგლებოდა. ამ მიმართულებით საკმარისი იყო შემდეგი დებულება: არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები დაჯგუფების წევრთა შორის.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შენიშვნა ზედმეტია შემდეგი გარემოების გამო: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილი მთლიანად მოიცავს ისეთ ჯგუფს, რომელშიც ფორმალურად არ არის განაწილებული როლები მის წევრთა შორის. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილი კი განსაზღვრავს ორგანიზებული ჯგუფის ფორმას, რომელშიც იგულისხმება როლების განაწილება და ა.შ. გარდა ამისა, კოდექსს აქვს მძლავრი ბერკეტი – თანამონაწილეობის ინსტიტუტი, რომელიც სასამართლოს საშუალებას აძლევს, პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია განახორციელოს. ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ კონვენცია არ აზუსტებს სიმყარის ცნებას და ზოგადად იძლევა “ორგანიზებული ჯგუფის” დეფინიციას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლი, პირველ რიგში, ჩასადენ დანაშაულთა განუსაზღვრელობას გამოყოფს. აქედან გამომდინარეობს, რომ ორგანიზებულ ჯგუფში შეიძლება არ იყოს ჩამოყალიბებული ისეთი სტრუქტურა, რომელსაც უწყვეტი ხასიათი უნდა ჰქონდეს. შესაძლებელია ბანდაში წევრთა გარკვეული წრე იცვლებოდეს. უფრო მეტიც, ბანდა შესაძლოა შეიქმნას, მაგრამ დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩადენა არ ჰქონდეს მიზნად დასახული. შეიძლება ბანდაში ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, მაგრამ უცვლელი იყოს ორგანიზატორი და ჯგუფის უცვლელმა მონაწილეებმა რამდენიმე დანაშაული ჩაიდინონ. მთავარია ის გარემოება, რომ 224-ე მუხლი სპეციალურად ადგენს ორგანიზებული ჯგუფის ისეთ ნიშანს, როგორცაა სიმყარე. მნიშვნელოვანია ასევე ქმედების სუბიექტური მხარე: დამნაშავეებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ ჯგუფი ბანდაა.

აღნიშნული საკითხის საილუსტრაციოდ მივმართოდ გ. ბ-ძის და სხვების სისხლის სამართლის საქმეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატამ 2004 წლის 27 იანვრის განჩინებით ძალაში დატოვა განაჩენი, რომლითაც მას მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლით. გ. ბ-მეს ბრალად ედებოდა თავდასხმის ათი ეპიზოდის ხელმძღვანელობა, ბანდებსა და ორგანიზებულ ჯგუფებში მონაწილეობა. ჯგუფური დანაშაულის ეს ორი ფორმა სპეციალურად გამოვყავით, რადგან მომდევნო ანალიზი გვიჩვენებს სასამართლოს სწორ გადაწყვეტილებას, რომელმაც მართებულად გამოყო მათ შორის არსებული განსხვავება.

გ. ბ-მემ შექმნა ბანდა და ხელმძღვანელობდა მას. ბანდის უცვლელი მონაწილე იყო ლ. გ., თუმცა დანარჩენ ეპიზოდებში გ. ბ-მე სხვა პირებთან ერთად მონაწილეობდა. ბ-მის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით უკანონოდ იქნა შეძენილი და დამზადებული იარაღი (ლ.გ-სთან ერთად). სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით ბანდა იმავე შემადგენლობით, 2001 წლის 8 ოქტომბერს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით დაეუფლა სოფელ მათხოჯის მკვიდრის ავტომანქანას. გ.ბ-მემ და ლ. გ-მ პოლიციის მუშაკებს წინააღმდეგობა გაუწიეს და ცეცხლი გაუხსნეს.

სსკ 27-ე მუხლის (ჯგუფური დანაშაული) შენიშვნის თანახმად სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა. აღნიშნული მოთხოვნა გარკვეულად შეესაბამება ბანდის თავისებურებას, რადგან ბანდისათვის ჯგუფის ჩამოყალიბების სტრუქტურას არ აქვს მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, მოყვანილი მაგალითისათვის დანაშაულის სუბსუმცისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან გ. ბ-მის მიერ შექმნილ ჯგუფს ბანდის ყველა ნიშანი აქვს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, გ.ბ-მემ სხვა ბანდიტური დაჯგუფებაც შექმნა. პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მან ორგანიზება გაუწია პირებსა და

ორგანიზაციებზე თავდასხმის მიზნით მყარი შეიარაღებული ჯგუფის (სტილი დაცულია – ზ.ე.) – ბანდის შექმნას, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ დ. გ-ი, ნ. ბ-ძე, გ. ქ-ა და სხვები, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა და რომლის მიერ მოწყობილ თავდასხმებშიც მონაწილეობდა. დანაშაულებრივი ჯგუფი მან უკანონოდ შეძენილი სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღითა და დიდძალი საბრძოლო მასალით უზრუნველყო. გ. ბ-ძის ხელმძღვანელობითა და მითითებით, რასაც იგი პატიმრობაში ყოფნისას მობილური ტელეფონის საშუალებით ახერხებდა, ორგანიზებულმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ დ. გ-ი და სხვები, ანგარებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით, 2001 წლის 3 ნოემბერს მძევლად ხელში ჩაიგდო ხონის შს განყოფილების უფროსის, პ. ხ-ძის, შვილი, დ. ხ-ძე, და მისი გათავისუფლების სანაცვლოდ გ. ბ-ძისათვის პატიმრობის უფრო მსუბუქით აღკვეთის ღონისძიებით შეცვლა მოითხოვა. ბოროტმოქმედებმა მიზანს მიაღწიეს და 2001 წლის 4 ნოემბერს გ.ბ-ძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

2002 წლის 7 იანვარს, დაახლოებით 11 საათზე, გ.ბ-ძე ბანდის წევრებთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით თავს დაესხა ქ.თბილისში, ი.....-ში მცხოვრებ ლ.გ-ს ოჯახს, სადაც ამ უკანასკნელისა და მისი მეუღლის, მ. თ-ს, მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა გამოიყენეს და ბინიდან სულ 348200 ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობანი გაიტაცეს. 2002 წლის 18 იანვარს, დილით, იგი ბანდის სხვა წევრებთან ერთად, შეიარაღებული დაესხა თავს ქ. თბილისში, .....-ში მცხოვრებ თ. ხ-ს ოჯახს, საიდანაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით სულ 2955 ლარის მატერიალური ფასეულობანი გაიტაცა. ამასთანავე, ის მომდევნო დღეებში ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით თ. ხ-ს 10000 აშშ დოლარს სძალავდა.

გ. ბ-ძე სხვა პირებთან ერთად მონაწილეობდა შეიარაღებულ თავდასხმებში. მაგრამ სასამართლომ ეს ქმედება სწორად არ დააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის 224-ე მუხლით, რადგან ამ შემთხვევაში ჯგუფები ერთი დანაშაულის ჩასადენად იქმნებოდა.

მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოება, რომ სასამართლომ ბანდიტური თავდასხმის ცნებისადმი სწორი პოზიცია დაიკავა და გ. ბ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლთან ერთობლიობაში განიხილა. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით სუბსუმცია ზედმეტია, რადგან 224-ე მუხლი მოიცავს ამ შემადგენლობას.

2.2.2. *ბანდის სიმყარე.* ბანდის უმნიშვნელოვანესი სპეციფიკური ნიშანია სიმყარე. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული ნიშანი არაერთგვაროვნად არის გაგებული. ამიტომ მასზე უფრო დეტალურად შევჩერდებით.

ბანდის სიმყარის ცნების გარკვევისას მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხის ანალიზი: რა იგულისხმება “სიმყარეში”: ჯგუფური ურთიერთობების სტაბილურობა

თუ არაერთგვარის დანაშაულის ჩადენა?

ეს საკითხი დღემდე სადავოა. მაგალითად, რუს მეცნიერს ლ. პროზუმენტოვს სასამართლო პრაქტიკიდან მოჰყავს საინტერესო მასალა. როგორც ის აღნიშნავს, რუსეთის უმაღლესი სასამართლოს 1993 წ. პლენუმის დადაგენილებაში “სიმყარე” გაგებულია, როგორც “ჯგუფური ურთიერთობების სტაბილურობა”, ხოლო 1997 წ. პლენუმის დადაგენილებაში კი ბანდის სიმყარე ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი შეიქმნა მრავალი დანაშაულის ჩასადენათ [148].

აშშ-ში განვითარდა ჯგუფის სტრუქტურის კონცეფცია, რომელსაც ძირითადი ტვირთი გადააქვს ჯგუფური ურთიერთობების სტაბილურობაზე. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, ნებისმიერი შემხებლობა ბანდის საქმიანობასთან საკმარისია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.

ჯგუფის სტრუქტურის კონცეფცია პირველად რიკოს კანონში განვითარდა. როგორც ცნობილი ამერიკელი იურისტი კრისტინ ფინკლი აღნიშნავს, კანონის ძირითადი მიზანი კრიმინალური ორგანიზაციების განადგურებაა. ამ კანონის თანახმად, თანამონაწილეობის ინსტიტუტის ყველა მოთხოვნის დაცვის საფუძველზე ძნელდება მტკიცებულებათა შეგროვებისა და კრიმინალების სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხის დროული გადაწყვეტა. დაჯგუფების რთული სტრუქტურა ხშირად საგამომიებო ორგანოებს არ აძლევს საშუალებას, დაადგინონ ორგანიზატორი ან ხელმძღვანელი. მეტად დახლართული და დაფარულია წევრთა კავშირები.

რიკოს კანონმა ეს პრობლემა სხვა გზით გადაჭრა. კანონის მიხედვით, საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, იცოდა თუ არა ბრალდებულმა ჯგუფის სტრუქტურისა და დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. ამ კონცეფციის შესაბამისად, ორგანიზაციის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა პირს, რომლებიც გარკვეულწილად არიან დაკავშირებული ჯგუფთან. მიჩნეულია, რომ რიკოს კანონით დადგენილი შემხებლობის ცნება საგამომიებო ორგანოებს საშუალებას აძლევს, დააკავონ ნებისმიერი პირი, თუ დადგინდა, რომ ის გარკვეულწილად დაკავშირებულია კრიმინალურ ჯგუფთან [123.4-8].

როგორც ამერიკელი მეცნიერი მაიკლ კორმნი აღნიშნავს, ბრალდებამ უნდა დაამტკიცოს, რომ პირს კავშირი აქვს კრიმინალურ ჯგუფთან, რათა რამდენიმე რეკეტული აქტი განახორციელოს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯგუფთან კავშირის ცნება მეტად ბუნდოვანია და მისი დადგენა მთლიანად სასამართლოს თვალთახედვაზეა დამოკიდებული. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, ნებისმიერი პირი, მათ შორის, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი, პასუხისმგებელია ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულებისათვის. საერთო შეთანხმებისა და შეპირების შესახებ მტკიცებულებათა შეგროვების ნაცვლად, პროკურორის მიერ აუცილებელია მხოლოდ იმის მტკიცება, რომ ეს პირი დანაშაულებრივ ჯგუფს მიეკუთვნება და

თანახმაა, გარკვეული მონაწილეობა მიიღოს ამ ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულებში [160].

აღსანიშნავია, რომ საქმის გადაწყვეტის სწორედ ანალოგიური პრინციპი მოქმედებდა საქართველოში, როდესაც 1960 წლის სსკ-ის 78-ე და 242<sup>2</sup> მუხლებით დაედო მსჯავრი ვ. ჩხიკვაძეს, რომელიც, განაჩენის შესაბამისად, დახვრიტეს [74.7-8].

რიკოს კანონის თანახმად, პირის პასუხისმგებლობაში მისაცემად აუცილებელია შემდეგი მტკიცებულებები:

- 1) კრიმინალური ორგანიზაციის არსებობის მტკიცებულება;
- 2) მტკიცებულება, რომ მოცემული პირი დანაშაულებრივ ჯგუფს მიეკუთვნება. აქედან გამომდინარეობს, რომ “სიმყარის” ინსტიტუტი კანონს ქმედებიდან თვით ჯგუფზე გადააქვს [160].

აღნიშნული მიდგომა თავს იჩენს სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, რუსი მეცნიერის ნ. ივანოვის თანახმად ბანდის სიმყარე ნიშნავს დაჯგუფებაში არსებულ ურთიერთობათა სტაბილურობას [94.47-48]. ანალოგიურ მიდგომას სასამართლო პრაქტიკაში სხვა მეცნიერი ლ. პროზემუნტოვიც იზიარებს: “სასამართლოების მიერ ბანდიტიზმისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ” რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1997 წლის 17 იანვრის 1 დადგენილებაში განმარტებული იყო, რომ ბანდის სიმყარეს მოწმობს ისეთი ნიშნები, როგორებიცაა მისი შემადგენლობის სტაბილურობა, წევრებს შორის მჭიდრო კავშირი, მათი ქმედებების შეთანხმებულობა, დანაშაულებრივი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების მუდმივობა, მისი არსებობის ხანგრძლივობა და ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა [148].

- ვ. ბიკოვის აზრით, ბანდის სიმყარე ნიშნავს: ჯგუფის ფსიქოლოგიური სტრუქტურის ფორმირებას, ლიდერის, ორგანიზატორის, სულისჩამდგმელის გამოკვეთას; დანაშაულის ჩადენისას როლების განაწილებას; დანაშაულის ჩასადენად მომზადებას; დანაშაულის ჩადენისას და მის დასაფარავად რთული ხერხების



გამოყენების შესაძლებლობას; ჯგუფში მკაცრი დისციპლინის დაცვას; ჯგუფში პირადი ურთიერთობების საქმიან ურთიერთობებად გარდაქმნას, რაც დანაშაულის თანამონაწილეობით ჩადენას ეფუძნება; ჯგუფში ერთიანი ფასეულობით-ნორმატიული ორიენტაციის გამომუშავებას; დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ჯგუფის სტრუქტურაში პირის მდგომარეობის გათვალისწინებით განაწილებას; ჯგუფში სპეციალური ფულადი ფონდის შექმნას [84.19-20].

- სიმყარე ითვალისწინებს თანამონაწილეთა შორის მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ, მყარ კავშირს, აგრეთვე ჯგუფის ყველა წევრის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ განუსაზღვრელი რაოდენობის დანაშაული ჩაიდინონ [107.18].

- სიმყარის მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი მახასიათებლები:

ა) ორგანიზებულობის მაღალი ხარისხი (ერთობლივი საქმიანობის მიზნების ფორმულირება და განსაზღვრა, დანაშაულებრივ ქმედებათა დაგეგმვა, დანაშაულის ჩასადენად მატერიალურად, შეიარაღებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა, ჯგუფის შიგნით არსებული, არცთუ იშვიათად მკაცრი დისციპლინა; ორგანიზატორთა აქტიური საქმიანობა და ა.შ.);

ბ) ბანდის შემადგენლობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სტაბილურობა (საჭიროების შემთხვევაში, ახალი თანამონაწილეების მოზიდვა);

გ) საქმიანობის თავისებური, ინდივიდუალური ფორმებისა და მეთოდების არსებობა (თავდასხმის ობიექტების განსაზღვრის განსაკუთრებული მეთოდიკა, თავდასხმის ჩადენის ხერხების სპეციფიკა და ბანდის წევრთა ქცევა, მიმალვის, დანაშაულის ჩადენის ადგილიდან კვალის დაფარვის უზრუნველყოფა და ა.შ.);

დ) დანაშაულებრივი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების მუდმივობა (თავდასხმის შემუშავებული და შემოწმებული ხერხები, ბანდის წევრთა შორის მყარი ვალდებულებების გადანაწილება; სამართალდამცავი ორგანოების ტანსაცმლის ფორმისა და ატრიბუტიკის გამოყენება და ა.შ.) [56.89-112].

ამ შეხედულებას ნაწილობრივ ეთანხმება ზოგიერთი ქართველი მეცნიერიც. ზ. მჭავანაძის აზრით, თუ წინასწარი შეთანხმებით მოქმედი დანაშავეთა ჯგუფი

შეიძლება შეიქმნას ერთი დანაშაულის ჩასადენად და მისთვის არ არის გამოკვეთილი ხანგრძლივობა და დანაშაულებრივი საქმიანობის მყარი მიზანი, ბანდისათვის ეს მომენტები შედარებით გამოკვეთილი და დახვეწილია. თუ ორგანიზებული ჯგუფი სპეციალურად შერჩეულ დამნაშავეთა, დარგობრივ სპეციალისტთა და ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში ფეხმოკიდებული ადამიანებისაგან ყალიბდება მუდმივი და მონოლითური არსებობის გათვლით, სუბორდინაციული დამორჩილებითა და სტრუქტურული მართვით, ბანდა ამ ნიშნებს მოკლებულია. იგი არის საერთო აზრით გაერთიანებულ პირთა მყარი ჯგუფი, რათა გარკვეულ ზონაში ჩაიდინონ რამდენიმე დანაშაული [8.280].

ო. გამყრელიძის აზრით, ჯგუფის სიმყარე იმას ნიშნავს, რომ ჯგუფში შემთხვევითი შეკავშირება კი არ არის ორი ან მეტი კაცისა, არამედ იგი შექმნილია დანაშაულებრივი საქმიანობისათვის. ჯგუფი მყარია, ესე იგი, ის კი არ დაიშლება ერთი დანაშაულის ჩადენის შემდეგ, არამედ გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში [1.290].

სიმყარე ჯგუფისა თავის გამოხატულებას იმით პოულობს, რომ მისი მონაწილენი ვარაუდობენ არა ცალკეული დანაშაულებრივი ხელყოფის ჩადენას, რომლის შემდეგაც ჯგუფმა უნდა შეწყვიტოს თავისი არსებობა, არამედ მათ გამიზნული აქვთ მუდმივად ან დროებით განახორციელონ საქმიანობა, რომელიც დანაშაულებრივ მოქმედებათა არაერთგზისობაზეა გაანგარიშებული. ამიტომ სიმყარე ჯგუფისა სწორედ თავდასხმათა სიმრავლეს გულისხმობს. აღნიშნული მოსაზრება ო. გამყრელიძემ გამოიყენა თვითმფრინავის გატაცების საქმის ანალიზისას [74.7-8].

როგორც ზემორე ხსენებული მ. კორმნი მიუთითებს, რიკოს კანონმა სასამართლოებს საკითხის ფართო ახსნა-განმარტების საშუალება მისცა, რაც მეტად სახიფათოა, რადგან კანონი მიზნის მისაღწევად ნებისმიერი მტკიცებულების გამოყენებას უწყობს ხელს. არ არსებობს არც ერთი სისხლის სამართლის

კანონმდებლობა, რომელიც ასეთ მიდგომას ითვალისწინებდეს. სისხლის-სამართლებრივი აქტები ცალსახად უნდა იყოს დაწერილი, ხოლო სხვა, რაიმე სახის გაურკვევლობა ეჭვმიტანილის სასარგებლოდ განიმარტება. ნორმის ზუსტი განსაზღვრის მაგივრად პრაქტიკაში საკითხის თავისუფალი ინტერპრეტაცია მკვიდრდება. არსებული კანონის შემოღება იმის გამო, რომ მტკიცებულებების მოგროვება ძნელდება, არაა გამართლებული. კანონმდებლობაში თავისუფალი ინტერპრეტაციის დამკვიდრება მეტად სახიფათოა. ეს საფრთხე იმაში მდგომარეობს რომ თავისუფლება შეიძლება უკონტროლოზად გარდაიქმნას [160].

სიმყარის ნიშნის “თავისუფალი ინტერპრეტაციის” კონცეფცია გამოყენებულ იქნა 1983 წლის 18 ნოემბერს თვითმფრინავის გატაცების სუბსუმციისას. მაშინ ჩადენილი ქმედება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე (ბანდიტიზმი) და 242<sup>2</sup> (საჰაერო ხომალდის გატაცება) მუხლებით დააკვალიფიცირა. ამ სუბსუმციით 1984 წლის 13 აგვისტოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ (თემურ გერსამიას თავმჯდომარეობით) დაასაბუთა გამოტანილი განაჩენი. 78-ე მუხლის არსებობის დასაბუთებისათვის თ. გერსამია წერდა: “ბანდიტური ჯგუფი შეიძლება შეიქმნას ერთი დანაშაულის (გაუპატიურება, ბანკზე, შემსალაროზე თავდასხმები და ა.შ.) ჩასადენად” [74.7-8].

საკითხის ისტორიული ექსკურსისას უკვე აღვნიშნეთ, რომ აღნიშნულ შეხედულებას არ ეთანხმებოდნენ რევოლუციამდელი რუსი მეცნიერები. ტრადიცია საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების გამოცემის შემდეგ დაირღვა [154]. ბრძანებულების მე-2 პუნქტით “ორგანიზებული ჯგუფი” და “შაიკა” გაიგივებული იყო. აღნიშნული დებულების კრიტიკული განხილვისას ო. გამყრელიძე აღნიშნავდა, რომ ორგანიზებული ჯგუფი” არ არის მყარი ჯგუფი და ის შეიძლება დაიშალოს ერთი დანაშაულის ჩადენის შემდეგ. რაც შეეხება “შაიკას”, ის დანაშაულებრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი სახეა და ამიტომ მყარი ჯგუფია, რომელიც იქმნება მრავალი დანაშაულის ჩადენისათვის. როგორც

აღნიშნეთ, ამ ბრძანებულებით “ორგანიზებული ჯგუფი” “შაიკას” გაუთანაბრდა. ესე იგი, “შაიკა” განისაზღვრა ისეთ დანაშაულებრივ ჯგუფად, რომლის აუცილებელი ნიშანი არ არის დანაშაულთა სიმრავლე. 1947 წლის ბრძანებულების კონსტრუქცია საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის პირმშო იყო. ო. გამყრელიძე მართებულად აღნიშნავს, რომ პოლიტიკურმა მომენტმა გამოდევნა მეცნიერული ელემენტი – ჯგუფის “სიმყარე”. ამრიგად, რეპრესიის გაძლიერებას შეეწირა მეცნიერებაში შემუშავებული ცნება “შაიკისა” [74.4].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის განმარტებისას ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ იტალიური სიტყვა “ბანდა” Banda (რუს. Шайка, გერმ. die Bande) მყარი დანაშაულებრივი ჯგუფია, რადგან ის ერთზე მეტი დანაშაულის ჩასადენად იქმნება. ამიტომ იგი არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ბანდა შეიძლება მხოლოდ ერთი თავდასხმისათვის შეიქმნას [1.290].

დასკვნის სახით ისევ ო. გამყრელიძის შეხედულებას მოვიყვანთ. ის ეთანხმება მ. კოვალიოვს, რომელიც მართებულად აღნიშნავს, რომ უცხოური სიტყვა “ბანდა” რუსულ ენაზე ნიშნავს “შაიკას”. ასე რომ, რაც ზემოთ ითქვა შაიკის ცნებაზე, იგივე ითქმის ბანდაზეც. ამ მოსაზრების გამოთქმის შემდეგ ის თვითმფრინავის გატაცების საქმეს უბრუნდება და აღნიშნავს: თ. გერსამიას მტკიცება, რომ სადავოდ წარმოგვიდგინოს ბანდის ცნება საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში, ვერ ჩაითვლება სარწმუნოდ, რადგან ის ავტორები, რომლებიც ბანდის ცნების ტრადიციულ გაგებას უარყოფენ, მეცნიერულ დასაბუთებას კი არ ეყრდნობიან, არამედ, როგორც ვნახეთ, შიშველ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ მოტივს ეფუძნებიან. ის პოლემიკა, რომელიც საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ბანდის ცნების გამო მიმდინარეობს, არ არის მეცნიერული პოლემიკა. ის მხოლოდ მეცნიერული პოლემიკის სუროგატია, არსებითად კი, როგორც ვთქვით, პოლიტიკით არის განსაზღვრული. ამიტომ სასამართლოს არ ჰქონდა უფლება ამ მეცნიერული სუროგატის გამოყენებისა, რათა გაეძლიერებინა რეპრესია. ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ თვითმფრინავის გამტაცებლებს არ უნდა ჰქონოდათ

წარდგენილი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლი, რადგან მათ მიერ შექმნილი დანაშაულებრივი ჯგუფი არ მოიცავდა ბანდის ნიშნებს. ეს ჯგუფი შეიქმნა ერთი დანაშაულის ჩასადენად, რაც თ. გერსამიას მტკიცების საწინააღმდეგოდ, არ შეიძლება ჩაითვალოს ბანდიტურ ჯგუფად [74.7].

სიმყარე ბანდის ისეთი ნიშანია, რომელიც ორგანიზებული ჯგუფის მხოლოდ ამ ფორმას ახასიათებს. როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობების ანალიზმა გვიჩვენა, დასავლეთის ქვეყნები ამ კონსტრუქციას არ იცნობენ. ორგანიზებული ჯგუფის საერთო ცნებაში აღრეულია ერთი და მრავალი დანაშაულის ჩადენისათვის შექმნილი ჯგუფების ნიშნები. მეტიც, სპეციალურად არ არის გამოყოფილი ორგანიზებული ჯგუფის სიმყარის ცნება. გარდა ამისა, არ შეიძლება დავეთანხმეთ რუსულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ “ბანდიტიზმის” კონსტრუქცია კოდექსში შემორჩენილი საბჭოური მოდელია.

სიმყარის ნიშანს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გერმანელი მეცნიერები ა. ფოიერბახი და კ. გროლმანი ამუშავებდნენ და ე.წ. შაიკის ცნებას გამოყოფდნენ. ამ პოზიციას ეთანხმებოდნენ ნ. ნეკლიუდოვი, ნ. ტაგანცევი, ი. ფონიციკი და სხვ. რევოლუციამდელი მეცნიერები. “სიმყარის” ინსტიტუტი ცნობილი იყო სისხლის სამართლის მეფის დროინდელი კანონმდებლობისათვის (1885 წლის გამოცემა), რომლის 923-ე და 924-ე მუხლებში “შაიკა” განხილულია, როგორც რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად შექმნილი ჯგუფი [49.156;55.121].

ბანდიტიზმის საბჭოთა მოდელი 1947 წლამდე რევოლუციამდელი მეცნიერების პოზიციას ინარჩუნებდა და კანონმდებლობაში აგრძელებდა უფრო ადრეულ გერმანელ მეცნიერთა შრომებში მოცემულ ტრადიციას, რასაც ცნობილი რუსი მეცნიერი ნ. ტაგანცევი გვამცნობს [47.584;].

დასკვნის სახით უნდა ავლნიშნოთ, რომ ბანდა ერთზე მეტი დანაშაულის ჩასადენად იქმნება, ბანდის სიმყარე ამას ნიშნავს. როგორც ავლნიშნეთ, შესაძლებელია ეს საკითხი სადავო გახდეს, რადგან სსკ-ს 224-ე მუხლში ლაპარაკია “თავდასხმაში მონაწილეობაზე” და არა “თავდასხმებში მონაწილეობაზე”, როგორც

ეს იყო გათვალისწინებული 1960 წლის კოდექსში. მაგრამ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ აქ ადგილი აქვს 1960 წლის კოდექსის ნორმაში მოცემული დეფინიციის გრამატიკულ შესწორებას. ქართულ ენაში ზოგიერთ შემთხვევაში მრავლობითი ხასიათის მოვლენა მხოლოდით რიცხვში გამოიხატება.

2.2.3. *ბანდის შეიარაღება*. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლი ბანდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშნად მის შეიარაღებას განიხილავს. ბანდის ნიშნის, შეიარაღების, ინტერპრეტაციისას ნაშრომში ერთიანი მართლწინააღმდეგობის ცნება უნდა გამოვიყენოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბანდის ამ ნიშნის დადგენისას გათვალისწინებულია როგორც “იარაღის შესახებ” კანონის, ისე კულტურის ნორმების (Kulturnormen) მოთხოვნა მაგალითად, „არა კაც კლა“, „არ იპარო“, და სხვ. (ათი მცნება).

ამ საკითხზე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებია გამოთქმული. ძირითადად შეინიშნება იარაღის ცნების ინტერპრეტაციის სიმრავლე, რომელიც “იარაღის შესახებ” კანონის გამოყენებისას გვხვდება.

ბანდის შეიარაღების ნიშნის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს “იარაღის შესახებ” კანონი. “იარაღის შესახებ” საქართველოს კანონის (14.05.2014 რედ) მე-2 მუხლის თანახმად, იარაღი არის მოწყობილობა ან საგანი, რომელიც კონსტრუქციულად განკუთვნილია ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ან/და გასანადგურებლად. იქვე განმარტებულია იარაღის სახეებიც [134].

ბანდის ნიშნის “შეიარაღების” განსაზღვრისას საჭიროა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოება. ბანდისათვის დამახასიათებელია ის, რომ ჯგუფის წევრებს აქვთ როგორც ქარხნული წესით დამზადებული, ისე კუსტარული (თვითნაკეთი) ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღი, მათ შორის, სატყორცნი იარაღი, სხვადასხვა ასაფეთქებელი მოწყობილობა, აგრეთვე გაზისა და პნევმატური იარაღი. ამ მოსაზრებას იზიარებენ საზღვარგარეთის ის ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობაში ბანდიტიზმი ცალკე მუხლად არის გათვალისწინებული.

იურიდიულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით რუს მკვლევართა მიერ, განიხილება საკითხი: უნდა იქნეს თუ არა მიჩნეული ბანდად ჯგუფი, რომელიც არ არის შეიარაღებული ცეცხლსასროლი იარაღით, მაგრამ შეიარაღებულია ფიწლებით, დანებით, ნიჩბებით და ა.შ. მაგ. ვ. პინჩუკს მიაჩნია, რომ ბანდის შეიარაღება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას გულისხმობს [102.106-115].

ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან შეიარაღების გავრცელება უმეტესად ბანდის მოქმედების სოციალურ-ისტორიულ პირობებზეა დამოკიდებული. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ბანდაში ცეცხლსასროლი იარაღის არქონა სულაც არ ნიშნავს, რომ დაჯგუფებას არა აქვს შეიარაღების ნიშანი. მაგალითად, გასული საუკუნის 20-იანი წლების ბანდების მოქმედების ისტორია გვიჩვენებს, რომ ხშირად ტყეში გახიზნული გლეხების შეიარაღებას ფიწლები, დანები, ნიჩბები და ცულები წარმოადგენდა. გლეხები თავს ესხმოდნენ სასოფლო საბჭოებს, ძარცვავდნენ მაღაზიებს, მოსახლეობას. ზოგიერთ დაჯგუფებაში ცეცხლსასროლი იარაღი არც კი იყო. თუმცა ამ ჯგუფებს ბანდის სახე ჰქონდა.

ომის დროს, XX საუკუნის 40-იან წლებში და ომის შემდგომ პერიოდში ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღება ტიპიური იყო. თანამედროვე პერიოდში, როგორც ამას ბანდიტიზმთან ბრძოლის ფაქტები გვიჩვენებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბანდები იარაღებიან და ახორციელებენ თავდასხმას ყველაზე თანამედროვე იარაღით, მათ შორის, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, ყუმბარტყორცნებით, ტყვიამფრქვევებით, დისტანციური მართვის ელექტრონული ასაფეთქებელი მოწყობილობებით და ა.შ. მაშასადამე, შეიარაღების ნიშანს შეიარაღების საშუალების თავისებურება არ განსაზღვრავს.

შეიარაღების ხერხი ისტორიულად იცვლება. ამასთან დაკავშირებით დ. საველიევის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ შეიარაღების ნიშანი (ისტორიული ცვალებადობის გამო) არ არის ბანდის ტიპიური ნიშანი [107.4-27]. ასეთი მიდგომა მცდარია, რადგან ბანდიტიზმის ობიექტური მხარის შეიარაღების ნიშნის გარეშე აღწერა რთულია.

“ბანდის” განსაზღვრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ამ ტიპის ჯგუფისათვის შეიარაღება მხოლოდ მეორე ნიშანთან, სიმყარესთან ერთად არის დამახასიათებელი. ამიტომ მნიშვნელოვანია არა მარტო ის, რომ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს აქვს იარაღი, არამედ ისიც, რომ ეს იარაღი მრავალჯერადი თავდასხმის განსახორციელებლადაა გამიზნული. ვ. კომისაროვს მიაჩნია, რომ ბანდის წევრს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ბანდის რომელიმე წევრს გააჩნია იარაღი და რომ ბანდის სხვა წევრებმა იციან და გაცნობიერებული აქვთ ამ იარაღის გამოყენების შესაძლებლობა [95.45]. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბანდის შეიარაღების მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხი ბრალის დონეზე წყდება და ამიტომ ქმედების ობიექტურ შემადგენლობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. როგორც მ. ტურავა აღნიშნავს, ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხი არის ნორმატიული კომპონენტი, რომელსაც შეიცავს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ინდივიდუალური ბრალი [10.417-418]. იარაღის მრავალჯერადი გამოყენების გაცნობიერების საკითხი ბრალის დონეზე უნდა გადაწყდეს. გარდა ამისა, ბრალის დონეზე ყურადღება უნდა გამახვილდეს ბანდის წევრების მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ფლობის ფაქტზე და ა.შ.

ზოგიერთი მეცნიერი “შეიარაღების” ნიშანს იმის მიხედვით განსაზღვრავს, თუ რა ზიანი აქვს მიყენებული პირის ჯანმრთელობას. მაგალითად, ა. ანდრეევას და გ. ოვჩინიკოვას მიაჩნიათ, რომ თუ იარაღს არ შეუძლია მნიშვნელოვანი ფიზიკური ზიანი მიაყენოს ჯანმრთელობას, რთულია ისაუბრო შეიარაღებაზე, მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბანდა იყენებს პნევმატურ იარაღს, რომლის დაზიანების ძალა 4,5 მილიმეტრის ყალიბით, ხოლო ტყვიის სიჩქარე წამში არანაკლებ 150 მეტრით განისაზღვრება [81.81-83].

ეს მოსაზრება გარკვეულწილად მისაღებია, რადგან ბანდას უნდა გააჩნდეს ნებისმიერი იარაღი, რომელსაც გააჩნია ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების საშუალება. მაგრამ “უვარგისი იარაღის” საკითხი ეხება არა ბანდიტიზმის სუბმუსმციას, არამედ ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულის



სუბსუმციას. მაგალითად, ჩადენილია ყაჩაღობა ან ძარცვა, როდესაც ბანდამ უვარგისი იარაღი გამოიყენა. ეს საკითხი ეხება არა ბანდიტიზმის სუბსუმციას, არამედ ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულის სუბსუმციას. ამიტომ მართებულად აღნიშნავენ ი. მელნიკოვა და ტ. უსტინოვა, რომ ორგანიზებულ ჯგუფში მხოლოდ უვარგისი იარაღის ან ისეთი საგნების არსებობას, რომლებიც იარაღის იმიტაციაა, არ შეუძლია შეადგინოს ბანდის ისეთი სავალდებულო ნიშანი, როგორცაა შეიარაღება[35.33]. მართლაც, შესაძლებელია ისეთი სიტუაცია, როდესაც შეიარაღებული ბანდის წევრები, მაგალითად, საწყობზე თავდასხმისას, იყენებენ საგანს, რომელიც იარაღის იმიტაციას ქმნის, კერძოდ, სათამაშო იარაღებსა და ნიღბებს. ამ დროს ქონების უკანონოდ დაუფლების მიზანი მაინც მიღწეულია, მაგრამ ეს საკითხი არ ეხება ბანდიტიზმის სუბსუმციას.

ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადსაღებია ბანდის მიერ ჩადენილი ყაჩაღობის შემთხვევა. როგორც წესი, იარაღის გამოყენებით თავდასხმა ყოველთვის ყაჩაღობად უნდა დაკვალიფიცირდეს, მაშინაც კი, როცა ნივთის გადაცემის მოთხოვნისას დამნაშავე დაზარალებულს იარაღს არ უმიზნებს და არც გასროლით ემუქრება. მთავარია, დაზარალებული ხედავდეს, რომ დამნაშავე შეიარაღებულია. ცხადია, დამნაშავემაც იცის, რომ იარაღით თრგუნავს დაზარალებულის ნებას, რაც აადვილებს ქონების დაუფლების შესაძლებლობას. ამასთანავე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარა ყაჩაღობის დროს უნდა იყოს რეალური და არა მოჩვენებითი. ერთი მხრივ, დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ თავისი მოქმედებით რეალურ საფრთხეს უქმნის დაზარალებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ხოლო, მეორე მხრივ, დაზარალებულიც უნდა გრძნობდეს, რომ მისი სიცოცხლე ან ჯანმრთელობა საფრთხეშია, თუ თავდამსხმელის მოთხოვნას არ შეასრულებს და ქონებას არ გადასცემს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით წამოიჭრება საკითხი: როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავეს ხელთ აქვს იარაღი, რომელიც ცოცხალი მიზნის დაზიანებისათვის გამოუსადეგარია, მაგალითად, ტექნიკურად გაუმართავი ან თუნდაც სათამაშო იარაღი, რომელიც გარეგნულად სავსებით ჰგავს ნამდვილს და რომელსაც ასეთად აღიქვამს კიდევ დაზარალებული.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მართებულადაა აღნიშნული, რომ უვარგისი იარაღით თავდასხმა ობიექტურად არ ქმნის საშიშროებას დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის თანახმად, ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია სწორედ ადამიანის „სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა“. ქმედება მხოლოდ დაზარალებულის სუბიექტური წარმოდგენით კი არ უნდა იყოს საშიში მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, არამედ ობიექტურადაც.

ყაჩაღობის დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა რეალურ და არა მოჩვენებით საფრთხეს უნდა უქმნიდეს დაზარალებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. უვარგისი იარაღით თავდასხმისას კი ასეთი რეალური საფრთხე არ არსებობს. ამიტომ ეს ქმედება ყაჩაღობის შემადგენლობაში ვერ თავსდება. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, ყაჩაღობასთან ერთად, უვარგისი იარაღით თავდასხმისთვისაც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას. პროექტის 185-ე მუხლით ისჯებოდა „უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თუ თავდამსხმელმა იცოდა, რომ იყენებდა უვარგისი იარაღს, ხოლო დაზარალებულმაც ის ნამდვილად იარაღად აღიქვა“. სამწუხაროდ, ეს მუხლი პროექტის საბოლოო ვარიანტში არ იქნა შეტანილი. სასამართლო პრაქტიკას კი ასეთი ქმედება ყაჩაღობად მიაჩნია. თ. ებრალიძის აზრით, უმჯობესი იქნებოდა ტექნიკურად გაუმართავი ან სათამაშო იარაღით თავდასხმის შემთხვევები დაკვალიფიცირებულიყო როგორც ძარცვა ძალადობით. ოღონდ სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ უვარგისი იარაღით თავდასხმა გაცილებით უფრო დამთრგუნველად მოქმედებს დაზარალებულზე, ვიდრე ძარცვის ტიპური შემთხვევები. დაზარალებულს ჰგონია, რომ მისი სიცოცხლე რეალურ საფრთხეშია. ეს კი აადვილებს თავდამსხმელისათვის ქონების გადაცემის შესაძლებლობას. ამიტომ დამნაშავე 178-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს [77.84-87].

განვიხილოთ შემდეგი საკითხი: შეიძლება თუ არა შეიარაღება ბანდის ნიშნად იქნეს მიჩნეული, როდესაც ბანდა ფლობს იარაღის დაშლილ შემადგენელ ნაწილებს, ასაფეთქებელ მასალას მოხსნილი დეტონატორებით, უვარგის იარაღს, მის მაკეტებს, იარაღის იმიტირებულ საგნებს და ა.შ. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ასეთი მაგალითები არ არის. ისინი რუსეთში გვხვდება. ჯერ კიდევ „იარაღის დატაცების შესახებ“ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1991 წლის 29 მარტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ იარაღის შემადგენელი ნაწილების, კომპლექსში არსებული დეტალების ქონა საკმარისია იმისათვის, რომ ბანდამ მომავალში გამოიყენოს იარაღი და საბრძოლო მასალა. ამიტომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბანდის შეიარაღებასთან [144].

ასევე გასარკვევია, ბანდიტიზმის დროს იარაღად მიჩნეული იქნება თუ არა პისტოლეტი ტყვიების გარეშე, რომელიც დანაშაულის ჩადენისას იყო გამოყენებული. ამ საკითხზე ზოგიერთ მეცნიერს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომელიც ურთიერთგამომრიცხავ არგუმენტებს ეყრდნობა. ფ. ბრაუნის და ა. ტოლკაჩენკოს აზრით, შეიარაღებაზე არ შეიძლება ვისაუბროთ, თუ ბანდა ფლობს მაკეტს. მაგრამ შეიარაღებაზე საუბარი შეიძლება მაშინ, თუ პისტოლეტში საბრძოლო მასალა იყო, მაგრამ ტყვიები გასროლისათვის უვარგისი აღმოჩნდა [83. 10-11]. როგორც ჩანს, ამ შეხედულებაში არეულია ორი სხვადასხვა საკითხი: იარაღის ვარგისობა და თავდასხმისათვის არსებული შეიარაღება. ბანდის ნიშნის, შეიარაღების, დასადგენად მნიშვნელობა არ აქვს, რა სახით ინახავს ბანდა იარაღს. რაც შეეხება თავდასხმისათვის იარაღის ვარგისობის საკითხს, იგი ბანდის მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულის სუბსუმციისას უნდა გადაწყდეს.

განვიხილოთ კიდევ ერთი საკითხი, რომელიც იარაღის შენახვას ეხება. ბანდის წევრებს შეიძლება ჰქონდეთ იარაღი შემდგომი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის ჩასადენად. მათ შეუძლიათ იარაღი თავდასხმისას გამოიყენონ. იმას ადარ აქვს მნიშვნელობა, გამოყენებული იყო თუ არა იგი ადამიანთა სიცოცხლის მოსასპობად ან ობიექტის ასაფეთქებლად თუ სხვა. სსკ-ს 223-ე მუხლთან მიმართებაში გ. მამულაშვილი და მ. ლეკვეიშვილი აღნიშნავენ, რომ ეს დანაშაული თავის თავში მოიცავს იარაღის მართლსაწინააღმდეგო მოპყრობასთან

დაკავშირებულ ქმედებას და დამატებითი კვალიფიკაცია სსკ-ს მუხლით საჭირო არ არის [7.469]. აღნიშნული შეფასება ვრცელდება აგეთვე სსკ-ს 224-ე მუხლზეც.

ცხოვრებაში ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა პირი იარაღს ბანდაში შესვლამდეც ატარებს [18.376-395]. მოიცავს თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლი ამ შემთხვევას თუ ასეთი ქმედება კოდექსის 236-ე და 224-ე მუხლების ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს? აქ გასათვალისწინებელია, რომ იარაღის ტარება განგრძობადი დანაშაულია და შეიძლება პირის სურვილით ან სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის შედეგად შეწყდეს. თუ პირი განაგრძობს იარაღის ტარებას, როდესაც ბანდის წვერი ხდება, საქმე გვაქვს შეიარაღების ნიშანთან, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლითაა გათვალისწინებული და შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით სუბსუმცია გამორიცხულია.

2.2.4. *ბანდის შექმნა*. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია ბანდიტიზმის ორი ფორმა: მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა მოქალაქეებზე ან ორგანიზაციებზე თავდასხმის განხორციელების მიზნით და ამ ჯგუფის (ბანდის) ხელმძღვანელობა. 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, რომელშიც ბანდების ორგანიზებაზე იყო საუბარი, საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის პირველი ნაწილი მოიცავს ახალ ტერმინს “შექმნას” და გამოყოფს ბანდიტიზმის ფორმას ბანდის ხელმძღვანელობის სახით.

ბანდის შექმნა ითვალისწინებს ნებისმიერ ქმედებას, რომლის შედეგადაც უნდა ჩამოყალიბდეს ორგანიზებული მყარი შეიარაღებული ჯგუფი მოქალაქეებზე ან ორგანიზაციებზე თავდასხმის მიზნით. ეს შეიძლება იყოს თანამონაწილეთა მოძებნა, დანაშაულებრივ საქმიანობაზე შეთანხმება, დაფინანსება, იარაღით, საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა, ტრანსპორტით უზრუნველყოფა, საქმიანობის დაგეგმვა, ბანდის წევრებს შორის როლების გადანაწილება და ა.შ. სხვა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისაგან განსხვავებით, ბანდის შექმნა არის ისეთი აქტივობა, რომლის

შედეგია ორგანიზებული, მყარი, შეიარაღებული ჯგუფის წარმოქმნა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ეს ჯგუფი მოქალაქეებზე ან ორგანიზაციებზე თავდასხმის მიზნით იქმნება.

ბანდის შექმნისაკენ მიმართული ქმედებები მრავალფეროვანია, თუმცა თითოეულ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია საბრალდებო დასკვნაში მიუთითოს, კონკრეტულად რით გამოიხატა მოცემული ქმედება. შეიარაღებული ბანდის შექმნის კონსტატაცია კონკრეტულ მტკიცებულებათა მითითებით ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს მტკიცებულებებს, რომლებიც კონკრეტულ თავდასხმებში ბანდის წევრთა და ხელმძღვანელთა ბრალეულობას ასაბუთებს.

იმ ქვეყნებში, სადაც „ბანდიტიზმის“ ნორმა ცალკეა გამოყოფილი, საგამომიებო პრაქტიკის განზოგადებამ აჩვენა, რომ ბანდის შექმნის ტიპური ვარიანტები არსებობს. პირველი ვარიანტი ბანდის შექმნის სტადიას ასახავს. ამ მიმართულებით განხორციელებულ მოქმედებებს მიეკუთვნება:

- თავდასხმის სავარაუდო ობიექტების განსაზღვრა;
- იმ პირთა წრის დადგენა, რომელთაც, თავიანთი ფიზიკური, ინტელექტუალური მონაცემებით, შესწევთ უნარი, განახორციელონ თავდასხმები ან ბანდიტიზმის შემადგენლობაში შემავალი სხვა საქმიანობა;
- ასეთი პირების დანაშაულებრივ ჯგუფად გაერთიანების საფუძვლის ფორმირება (ანგარება, მუქარა, რაიმე პირადი მოტივების გამოყენება და სხვა);
- იარაღის შერჩევა და მისი ბანდაში გამოჩენის გზები (შეძენა, დამზადება და სხვა);
- ბანდის დაფინანსების წყაროების დადგენა.

შესაძლებელია მოხდეს ჯგუფის ტრანსფორმაცია, მისი დანაშაულებრივ ქმედებათა ჩადენის პროცესში. (მაგ. ქურდობის, ძარცვის, გამოძალვის და ა.შ) ბანდად

გარდაქმნისას ჯგუფი ხარისხობრივად იცვლება: იკვეთება ლიდერი ანუ ხელმძღვანელი და იმ პირთა უმრავლესობა, რომელიც მას უშუალოდ ემორჩილება, დანაშაულებრივი ჯგუფის ბანდად გარდაქმნის დამადასტურებელი ნიშნებია მისი სიმყარე და შეიარაღება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ბანდის შექმნა დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას მოიცავს, რადგანაც სწორედ ამ მომენტიდან ბანდა მზადაა ჩაიდინოს თავდასხმა დასახული მიზნების მისაღწევად. აქედან გამომდინარე, უკვე ბანდის შექმნის სტადიაზე უნდა გამოიყოს ბანდის ისეთი ნიშნები, როგორც არის სიმყარე და შეიარაღება და მისი შექმნის სპეციალური მიზანი – თავდასხმების განხორციელება. ამ ნიშნებზე უკვე საფუძვლიანად ვისაუბრეთ.

რუსულ მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დანაშაულებრივი ჯგუფისა და მისი სიმყარის მტკიცებისადმი მიდგომა უნდა ემყარებოდეს ბანდის, როგორც არაფორმალური ჯგუფის, გაგებას, რომელიც გარკვეული სახითაა ორგანიზებული და საქმიანობის ერთადერთ “სუბიექტად” გამოდის.

ბანდა ერთიანი, მთლიანი წარმონაქმნია. გარკვეული ქმედებების ჩადენისას ბანდა სტაბილურ და დასახული ამოცანების მუდმივად შემსრულებელ ჯგუფად გვევლინება. ამიტომ, ი. ტიშუნინას აზრით, ბანდის სიმყარის მტკიცების გარდა, მტკიცებულებების სახით შეიძლება გამოვიყენოთ არაკრიმინალური ხასიათის კავშირების მტკიცებულებები, რომლებიც ბანდის შიგნით არსებულ ურთიერთობებს გამოხატავს, მაგალითად, მათი დასაფლავებაზე ან ქორწილში ერთად ყოფნის ან ჩვეულებრივი ცხოვრების შესახებ არსებული კინო, ფოტო, ვიდეო და სხვა მასალები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კონსპირაციული ხასიათის ფაქტებს: მეტსახელებს, ამსრულებლებსა და ხელმძღვანელებს შორის “მეკავშირეებს,” ჟარგონს და ა.შ. [111.3-35].

მიგვაჩნია, რომ მოცემულ თვალსაზრისში აღრეულია საკითხისადმი კრიმინალისტიკური და სისხლისსამართლებრივი მიდგომები. ჯგუფში ურთიერთობათა სტაბილურობის დადგენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ გამოძიებამ ბანდის კვალი დაადგინოს. მაგრამ ამ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნა ბანდის სიმყარის შესახებ. ბანდაში არსებული ურთიერთობების ამსახველი მტკიცებულებების გამოვლენა სწორედ მის დადგენას უნდა ემსახურებოდეს. თუ გამოძიება ბანდაში არსებული ურთიერთობებით შემოიფარგლება, მაშინ მეტად გართულდება, მაგალითად, ყაჩაღთა ჯგუფისა და ბანდიტური ჯგუფის გამიჯვნა.

აქ სხვა მომენტია მნიშვნელოვანი: ბანდა სხვადასხვა დანაშაულის ჩასადენად ყალიბდება. შესაბამისად, ჯგუფის სტაბილურობა მის სიმყარეზე დამოკიდებული და არა პირიქით. გამოძიებამ ყველა შემთხვევაში უნდა დაადგინოს ის ფაქტები, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ ჯგუფი სხვადასხვა დანაშაულის ჩასადენად ემზადება. თავად ბანდის წევრთა ჩვენებები, ნივთმტკიცებები, მოწმეთა ჩვენებები და ა.შ. უკვე ჯგუფის შექმნის სტადიაზე სიმყარის ფაქტს უნდა ამტკიცებდეს.

პრაქტიკაში შეიძლება მოხდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც ბანდის წევრთა დაკავებისას მათ იარაღი, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი საშუალებები ვერ აღმოუჩინეს, მაგრამ მოწმეთა ჩვენებებით დადგინდა, რომ ბანდის წევრები კავშირებს ამყარებენ იარაღის შესაძენად ან დასამზადებლად. ამგვარი მტკიცებულებები შეიძლება იყოს მარშრუტის რუკები, იარაღის სქემები, წერილები და სხვა ნივთმტკიცებები. ნათელია, რომ მოცემულ შემთხვევაში გვაქვს ბანდიტური ჯგუფის შექმნის ნიშნები.

შესაძლებელია სხვა ვარიანტიც: ბანდის წევრთა ნაწილს აქვს იარაღი, რომლის შესახებაც უმრავლესობამ არაფერი იცის. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში ბანდის შექმნის სტადიაზე შეიარაღების მტკიცების მნიშვნელოვანი მომენტია შეიარაღების თაობაზე ბანდის წევრთა ინფორმირება, ბანდის წევრთა შეიარაღების ფაქტის

შესახებ არსებული ინფორმაცია, იარაღის შექმნისა და შენახვის ადგილის, თავდასხმების დროს იარაღის გამოყენების, აგრეთვე იარაღის ერთი ადგილიდან სხვაგან გადაადგილების ფაქტების დადგენა და ა.შ.

ყველა შემთხვევაში გამოძიებამ უნდა გამოკვეთოს მტკიცებულება, რომელიც უკვე ბანდის შექმნის სტადიაზე ავლენს ჯგუფის სიმყარის ნიშნებს. ამიტომ ასეთ საკითხთა გარკვევის პრაქტიკა ხშირად მიმართავს ე.წ. თემატურ დაკითხვებს ბანდის კუთვნილი ტრანსპორტის შესახებ ან ბანდის წევრთა დახასიათებისას, მათი ურთიერთობების, მათი სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების თაობაზე და ა.შ. ამავე მიმართულებით მნიშვნელოვანია ჯგუფის შექმნის დრო, იმ პირთა წრის დადგენა, რომლებმაც ბანდას იარაღი მიჰყიდეს, მათი წინასწარი შეცნობის ფაქტი და ა.შ.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბანდის ნიშნების დადგენისას მნიშვნელოვანია მისი ძირითადი ნიშნის, სიმყარის დადგენა. ამ მიმართულებით გასარკვევია აგრეთვე არაერთი საკითხი, კერძოდ, იყო თუ არა იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოცდა; ბანდის წევრებისათვის სროლის სწავლება; ბანდის წევრთა შორის ფუნქციების გამიჯვნისა და სპეციალიზაციის არსებობა და ა.შ. ბანდის შექმნის სტადიაზე ამ საკითხების დადგენას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

თუ იარაღი ამოღებული არ ყოფილა ან/და დამნაშავენი უარყოფენ მისი გამოყენების ფაქტს ან აცხადებენ, რომ იარაღი უვარგისი (გაუმართავი ან იარაღის იმიტაცია) იყო, ბანდის შეიარაღების მტკიცებისათვის პრიორიტეტული ხდება იარაღის გამოყენების მატერიალური კვალი როგორც თავდასხმებისას, ისე ჯგუფის შექმნის სტადიაზე [111.3-35].

ჯგუფის შექმნის დადგენისას მნიშვნელოვანია მყარი შეიარაღებული ჯგუფის შექმნის სპეციალური მიზნის მტკიცება. ამ მიმართულებით ფაქტები საშუალებას იძლევა, კრიმინალური მყარი შეიარაღებული ჯგუფი სხვა სახის ჯგუფებისაგან



განვასხვავოთ [94.47-48]. ბანდის შექმნის ნიშნების დადგენას გარკვეული თავისებურება ახასიათებს. თუ ბანდა დანაშაულებრივი საქმიანობის დაწყებამდე გამოვლინდება, მაშინ შექმნის მიზანს მყარი ჯგუფის შექმნის კონსპირაციულობა, მისი შეიარაღება დაადასტურებს. ასეთი ჯგუფის სავარაუდო საქმიანობის მიმართულების დადგენა მისი “სპეციალიზაციის” დადგენაა.

ბანდის საქმიანობის დაწყების შემდეგ მისი გამოვლენა ბევრად აადვილებს მისი შექმნის მიზნის მტკიცებას, რამდენადაც მიზანი ფაქტობრივად რეალიზებულია და შესაძლებელია რეალიზაციის ამა თუ იმ კვალის დადგენა. ბანდის შექმნის დროის განსაზღვრა შესაძლებლობას იძლევა, აღვნიშნოთ კონკრეტულ ქმედებათა მოცულობა, პერსონალური შემადგენლობა და დანაშაულებრივი საქმიანობის დაწყება.

### **2.3. ბანდის ხელმძღვანელობა.**

*ბანდის ხელმძღვანელობა* ნიშნავს გარკვეული წევრის მიერ, როგორც ბანდის დანაშაულებრივი საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების, ისე ბანდის მიერ კონკრეტული თავდასხმების ჩადენის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას. შექმნილი ბანდის ხელმძღვანელობა შეიძლება გამოიხატოს მისი დანაშაულებრივი საქმიანობის განსაზღვრით, ბანდის მიერ თავდასხმებისათვის ობიექტებისა და ხერხების შერჩევით, პირად შემადგენლობასთან “აღმზრდელობითი” მუშაობის ჩატარებით, ბანდის ურჩი წევრების დასჯით, დაზარალებულთა და მოწმეთა ფიზიკური ლიკვიდაციით, დატაცებული ქონების დაფარვისა და მისი შემდგომი რეალიზაციის გადაწყვეტილებების მიღებით და ა.შ.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ბანდიტიზმის მოცემული ფორმების აღწერისას იყენებდა სიტყვებს “ბანდის ორგანიზაცია”. აღნიშნული ასპექტით, “შეიარაღებული ბანდის ორგანიზაცია” შეიძლებოდა სხვადასხვა

ქმედებისათვის ბანდის შექმნით, ახალი წევრების გადმოხრებით, ჯგუფის საქმიანობის გეგმის შემუშავებით, იარაღის შექმნით, ცალკეული დანაშაულების ჩადენის ხელმძღვანელობით, ბანდის მონაწილეთა შორის როლების გადანაწილებით გამოხატულიყო.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, “შეიარაღებულ ბანდაში” ნავარაუდევია იყო ბანდის შექმნისა და განმტკიცებისაკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება. იმ პერიოდისათვის სასამართლო პრაქტიკა იქიდან ამოდიოდა, რომ ბანდის ხელმძღვანელობა, იმის გამო, რომ მისი შექმნის შემდეგ იწყება, უნდა შემოიფარგლოს არა ორგანიზაციის შემადგენლობით (თუ მას გავიგებთ, როგორც ბანდის შექმნას), არამედ ბანდაში მონაწილეობის შემადგენლობით. აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის 90-იანი წლების საბჭოთა მოდელი რუსეთში შენარჩუნდა. სახელდობრ, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმი “ბანდიტიზმის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ” 1993 წლის 21 დეკემბრის 9 დადგენილებაში მიუთითებდა, რომ “შეიარაღებული ბანდის ორგანიზებაში” უნდა გავიგოთ ნებისმიერი ქმედება, რომლის შედეგადაც თავდასხმების ჩადენის მიზნით მყარი შეიარაღებული ბანდის შექმნა, ხოლო “ბანდაში მონაწილეობაში” – ისეთი ქმედებებიც, როგორცაა “ხელმძღვანელობა”.

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ორგანიზატორად მიჩნეულია ის, “ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობს მის ჩადენას”. ანალოგიური პოზიცია უკავია საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსს, რომლის 24-ე მუხლის პირველ ნაწილში ვკითხულობთ: “ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას”.

ამიტომ, კანონის პირდაპირი მითითების ძალით, ორგანიზატორული საქმიანობა მთლიანად მოიცავდა როგორც ბანდის შექმნას, ისე მის ხელმძღვანელობას. როგორც ვვარაუდობდით, განსხვავება არც ისე არსებითია, რადგანაც ბანდიტიზმის ამ

ფორმებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დიფერენცირებული არ არის. იგი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ სასჯელის ინდივიდუალიზაციისას, როცა ჩადენილ დანაშაულში თითოეული დამნაშავეს როლს ითვალისწინებენ.

მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ბანდის შემქმნელის (ორგანიზატორის) და ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის დიფერენცირება გარკვეულწილად ფორმალური ხასიათისაა. როგორც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების სასამართლო-საგამომძიებო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, პრაქტიკოსი მუშაკები ბანდის “შექმნას” და “ხელმძღვანელობას” პირობითად ანსხვავებენ და მათი რეალური განსხვავება არანაირად არ მოქმედებს ბანდის შემქმნელებისა და ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის დიფერენცირებაზე. მიგვაჩნია, რომ უნდა დადგინდეს მათ შორის განსხვავება და შესაბამისად, უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი [81.10-11].

224-ე მუხლში “შექმნა” და “ხელმძღვანელობა” ცალ-ცალკე შემთხვევით როდია მოცემული. ამდაგვარი დაყოფა თვით ბანდიტიზმის ბუნებითაა განსაზღვრული. ბანდის შექმნა უკვე დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობაა, მაშინ, როცა, მაგალითად, ქურდობისა და სხვა სახის დანაშაულთა ჩასადენად ორგანიზებული ჯგუფის შექმნა კვალიფიცირდება, როგორც მომზადება. ჯგუფის შექმნის სტადიაზე შესაძლოა ჯგუფის ხელმძღვანელის ფიგურა გამოიკვეთოს, მაგრამ ის შეიძლება უკვე დანაშაულთა ჩადენის პროცესშიც გამოიყოს. როგორც წესი, ჯგუფის შემქმნელები და ხელმძღვანელები ერთი და იგივე პირები არიან, თუმცა შესაძლებელია სხვა სიტუაციებიც, როდესაც, მაგალითად, ერთნი ქმნიან ბანდას, მეორენი კი ხელმძღვანელობენ მას (გამოჩნდა უფრო ძლიერი ლიდერი, შემქმნელები სხვა საქმეების გამო სისხლისსამართლის პასუხისმგებაში არიან მიცემულნი ან სულაც დატოვეს ბანდის შემადგენლობა).

ბევრად რთულია იმ შემთხვევების სამართლებრივი შეფასება, როდესაც ბანდის შემქმნელები და ხელმძღვანელები ჩადენილ თავდასხმებში ერთდროულად მონაწილეობენ. პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები აბსოლუტური უმრავლესობაა. რამდენადაც ბანდის შექმნა და ხელმძღვანელობა სისხლის სამართლის კოდექსის ერთი ნაწილითაა გათვალისწინებული, ხოლო ბანდამი ან მის მიერ ჩადენილ თავდასხმებში მონაწილეობა – სხვა ნაწილით, დანაშაულთა ერთობლიობის საკითხი დგება. ეს საკითხი, ქართული სამეცნიერო ლიტერატურისგან განსხვავებით, რუსულ ლიტერატურაშია განხილული. ამიტომ იძულებულნი ვართ, მასზე შევჩერდეთ, ვინაიდან სამეცნიერო თვალთახედვით, ის მეტად საინტერესოა.

რუსულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში განსაკუთრებით სადისკუსიოა დებულება, რომ რამდენადაც ბანდის ორგანიზება და მისი ხელმძღვანელობა, აგრეთვე თავდასხმების განხორციელებისას მასში მონაწილეობა “ბანდიტიზმის” მუხლის სხვადასხვა ნაწილით არის გათვალისწინებული და მაშასადამე, დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედებებია, ჩადენილ თავდასხმებში მონაწილეობისას ბანდის ხელმძღვანელის ან ორგანიზატორის ქმედებები რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით (ბანდიტიზმი) უნდა დაკვალიფიცირდეს. გ.ბორზენკოვი და ვ. კომისაროვი ვარაუდობენ, რომ ასეთ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობა შეუძლებელია, რადგან გვაქვს ერთი და იგივე დანაშაული, ოღონდ სხვადასხვა ფორმით გამოხატული. სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების გამოყოფა განპირობებულია არა დანაშაულთა სახესხვაობით, არამედ კანონმდებლის მისწრაფებით, პირის დანაშაულში მონაწილეობის ხასიათიდან გამომდინარე, მოახდინოს ბრალეულ პირთა პასუხისმგებლობის დიფერენციაცია [16.203-204].

ბანდის შექმნა, მისი ხელმძღვანელობა, მის მიერ ჩადენილ თავდასხმებში მონაწილეობა ერთი და იმავე დანაშაულის – ბანდიტიზმის გამოხატვის სხვადასხვა ფორმას წარმოადგენს. ამიტომ, ზემოთ ხსენებული მეცნიერების აზრით,

მოცემულ შემთხვევაში ამ ნაწილების ერთობლიობა ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორმაგ პასუხისმგებლობას ნიშნავს, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის დებულებებს, სადაც სამართლიანობის პრინციპზეა საუბარი [16.203-204].

ამგვარი მიდგომის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ბანდიტიზმისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის “სუბიექტები” არიან როგორც ბანდის ორგანიზატორები და ხელმძღვანელები, ისე მისი წევრები. ერთადერთი გამიჯვნა ის არის, რომ ბანდის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელისათვის სასჯელის უფრო მკაცრი ზომაა გათვალისწინებული. ამიტომ ბანდის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ქმედებები რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მხოლოდ 209-ე მუხლის პირველი ნაწილით უნდა დაკვალიფიცირდეს და ამ ქმედებათა დამატებითი შეფასება 209-ე მუხლის მე-2 ნაწილით საჭირო აღარ არის [16.203-234]. აღნიშნული მოსაზრება სადავოა, რადგან თავდასხმაში მონაწილეობა და ბანდის შექმნა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ბანდის ორგანიზატორი შეიძლება თავდასხმაში არც მონაწილეობდეს.

სულ სხვაგვარად უნდა დადგეს საკითხი, როდესაც ორგანიზატორი ბანდიტურ თავდასხმაში მონაწილეობს. ბანდის მიერ ჩადენილ თავდასხმებში მონაწილეობა დანაშაულის სულ სხვა შემადგენლობაა. როგორც ავღნიშნეთ, ბანდის ხელმძღვანელი შესაძლოა სულაც არ მონაწილეობდეს თავდასხმაში და მონაწილეობდეს მის ცალკეულ ეპიზოდებში. ხომ შეიძლება ბანდის ხელმძღვანელი არც კი მონაწილეობდეს თავდასხმაში, მაგრამ მისი განზრახვა მოიცავდეს თავდასხმის ფაქტს. როგორ მოვიქცეთ? აქ დანაშაულის ქმედებათა ერთობლიობით სუბსუმცია სულაც არ ნიშნავს სამართლიანობის პრინციპის დარღვევას. პირიქით, თანამიმდევრულად ხორციელდება “დანაშაულთა ერთობლიობის” ინსტიტუტი.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება: ნათელია, რომ ბანდის ხელმძღვანელობა ბანდის ორგანიზაციული დანაშაულებრივი საქმიანობის დაგეგმვას, მატერიალური უზრუნველყოფისა და კონკრეტულ დანაშაულთა ჩადენის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას ნიშნავს. იგი შეიძლება გამოიხატებოდეს ბანდაში ახალი წევრების მიღებით, ბანდიტური ორგანიზაციის წევრების დასჯით, ბანდის უსაფრთხოების უზრუნველყოფით, თავდასხმის ობიექტების შერჩევით და ა.შ. ეს ქმედებები თავდასხმებში მონაწილეობის შემადგენლობისაგან ნამდვილად განსხვავდება.

ბანდის ორგანიზების ან ხელმძღვანელობის შემადგენლობა დამთავრებულად მიიჩნევა იმ მომენტიდან, როცა პირი დათანხმდება ბანდის ხელმძღვანელის ან მეთაურის ფუნქციების შესრულებაზე, რაც ბანდის ნებისმიერი საქმიანობით უნდა დადასტურდეს. ამასვე შეიძლება მივაკუთვნოთ ბანდის შემადგენლობაში ხელმძღვანელის ფუნქციების შესრულება, ანუ ცალკეული ოპერაციების ხელმძღვანელობა, დანაშაულებრივი აქტების დაგეგმვა, ცალკეული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობა და ა.შ. [41.125].

ბანდის ხელმძღვანელობის საკითხი პრაქტიკაში უნდა ეყრდნობოდეს ობიექტურად შემოწმებულ მტკიცებულებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდება დაუსაბუთებელია. მაგალითის სახით მოვიყვანოთ ზვიად გამსახურდიას საქმეს, რომელსაც სრულიად დაუსაბუთებლად წარედგინა ბანდიტიზმის ბრალდება:

1992 წ. 4 იანვარს საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე 7492801. ბრალდების თანახმად, ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობას უწევდა ბანდიტურ თავდასხმებს. კერძოდ, 1992 წლის 17 ივნისს ქ. გროზნოში გამოსცა დანაშაულებრივი ბრძანებულება ვალტერ შურდიას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულად დანიშვნის შესახებ. ზ. გამსახურდიას პირადი განკარგულებით და ინსტრუქციით ვ. შურდიას დაევალა ხელსაყრელ მომენტში, ყოფილ დეპუტატებთან და სხვა ერთგულ

თანამზრახველებთან ერთად მოეხდინა არსებული ხელისუფლების ძალადობით დამხობა, რისთვისაც უნდა ეწარმოებინა მერყევი ელემენტების მოსყიდვა-გადაბირება. წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად განეხორციელებინა დივერსიული და ტერორისტული აქტები, ბანდიტური თავდასხმები სახელმწიფო მმართველობის ორგანოებზე, საწარმო-დაწესებულებებზე, სახელმწიფო ორგანიზაციებზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სხვა მნიშვნელოვან სასიცოცხლო ობიექტებზე მათი მოშლისა და განადგურების მიზნით.

ბანდიტური თავდასხმების მოწყობა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა შეთქმულებმა დაამთავრეს 1992 წლის 24 ივნისს, ქ. დაგომისში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. შევარდნაძის და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბ. ელცინის შეხვედრის თარიღს, რათა ჩაეშალათ უმაღლეს დონეზე ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკება. ყოფილი პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებულმა თანამზრახველებმა 1992 წლის 24 ივნისს, გამთენიისას, ერთდროულად მოახდინეს ბანდიტური თავდასხმები, კერძოდ: თავს დაესხნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების 2052 ოპერატიულ პოლკს, განაიარაღეს დაცვა, გაიტაცეს 241 ცალი "კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატი მჭიდებითა და საბრძოლო მასალით, ხელის ტყვიამფრქვევი ტყვია-წამლით, ერთი საბრძოლო ტანკი, ორი ჯავშანტრანსპორტიორი, ორი სატვირთო ავტომანქანა "კამაზი" და ერთი "ზილ-131"; ავტომატური იარაღით დაცხრილეს ფუნიკულიორის პლატოზე მდებარე ტელეანძა და დაჭრეს ანძის შენობის დამცველი ერთი მილიციელი. ავტომატური იარაღის გამოყენებით განახორციელეს შეიარაღებული შეტევა და აიღეს ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქ. 68-ში მდებარე საქტელერადიო დეპარტამენტის შენობა, საიდანაც დაახლოებით 6-დან 8 საათამდე გავიდნენ ეთერში და გადასცემდნენ ზ. გამსახურდიას მიმართვას ეროვნული გვარდიისადმი, რომელიც წინასწარ იყო გამოქვეყნებული გაზეთ "თავისუფალ საქართველოს" 1992 წლის 20 ივნისის პირველ ნომერში; რადიოთი გამომსვლელები მოუწოდებდნენ ხალხს შეიარაღებისაკენ და არსებული

ხელისუფლების ძალადობით დამხობისაკენ. თავდამსხმელებმა დაანგრეს და დალწეს შენობის ფასადი და ვიტრაჟები, გაანადგურეს და გაიტაცეს ძვირადღირებული აპარატურა, მაგრამ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იმავე დღეს ჩაშლილი და აღმოფხვრილ იქნა ეროვნული გვარდიის, "მხედრიონის", მილიციის და შინაგანი ჯარების მიერ განხორციელებული საბრძოლო ოპერაციის შედეგად, რა დროსაც ტელერადიო დეპარტამენტის შენობაში დაკავებულ და განიარაღებულ იქნენ შეთქმულები.

ბანდიტური თავდასხმის ლიკვიდაციის პროცესში წარმოებული საბრძოლო მოქმედების დროს დაიღუპა ერთი გვარდიელი და ხუთი თავდამსხმელი. ბრალდების მიხედვით, აღნიშნული ქმედებებით, ზ. გამსახურდიამ ჩაიდინა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, გათვალისწინებული დანაშაული, მათ შორის ბანდიტიზმი. კერძოდ, ზ. გამსახურდიამ მოაწყო შეიარაღებული ბანდების ორგანიზება, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობა დაავალა გოჩა ბახიას, ვახტანგ (ლოთი) ქობალიას, ჯემალ ქობალიას, ზაურ ქობალიას, ზურაბ ნაროუმვილს და სხვებს, რომლებიც ძირითადად მოქმედებდნენ და მძიმე დანაშაულს ჩადიდნენ დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთის რეგიონში. ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ, 1992 წლის 9 მარტს, შეიარაღებული ბანდიტური თავდასხმები ჩაიდინა ზუგდიდის ქალაქისა და რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებებსა და სასტუმრო "ეგრისზე", სადაც ღამეს ათევდნენ საქართველოს ეროვნული გვარდიის მეზობლები. ბანდიტებმა ატვობატური იარაღებიდან წარმოებული სროლებით დაცხრილეს სამივე შენობა, დაწვეს სასტუმრო "ეგრისი", მოკლეს 3 გვარდიელი: დ. კულუმბეგოვი, ვ. კაციტაძე, მ. ჩუგნაძე; დროებით დააკავეს გვარდიელები რ. ფონია და ვ. ეხვია, ასევე პოლიციის ოფიცრები: გ. ნიჭარაძე, კ. თოდუა და ჯ. ქოჩუა; გაიტაცეს პოლიციის კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღი და მიიძალნენ. ბანდიტურ თავდასხმას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ვახტანგ და ჯემალ ქობალიები.



ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ 1992 წლის 29 იანვარს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ქვედა ჩხოროწყუს ტერიტორიაზე ავტომატური იარაღებით განახორციელა თავდასხმა ჩხოროწყუს შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებზე, რა დროსაც გაიტაცეს ტაბელური ავტომატური იარაღი და სამსახურებრივი ავტომანქანა.

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ 1992 წლის 30 იანვარს, ჩხოროწყუს რაიონში ჩაიდინა ავტომატური იარაღით შეიარაღებული თავდასხმა ამავე რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაზე და ამავე განყოფილების უფროსის ომეხ მაღანიას საცხოვრებელ სახლზე.

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ 1992 წლის 20 თებერვალს, დაახლოებით 03 საათსა და 45 წუთზე, ქ. ზუგდიდში ავტომატური იარაღებით განახორციელა თავდასხმა "ვაზ-2121" მარკის ავტომანქანაზე, რომლითაც პატრულირებას ახორციელებდნენ ეროვნული გვარდიის წევრები; ადგილზე დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მოკლეს გვარდიის წევრები გურამ წივწივაძე და ვაჟა ჯალიაშვილი, ხოლო ვალერი ბაქრაძემ სხეულის დაზიანება მიიღო.

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ 1992 წლის 22 აპრილს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ფოჩხელის ტერიტორიაზე ავტომატური იარაღით ჩაიდინა თავდასხმა წალენჯიხის რაიონის მიმართულებით მიმავალ "ვაზ-24"-ის მარკის ავტომანქანაზე, რომელსაც მართავდა შეიარაღებული ფორმირება "ავაზას" წევრი ჯონი შანავა, რომელიც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ იქნა მოკლული.

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ 1992 წლის 10 მაისს, დაახლოებით 21:00 საათზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში შეიარაღებული თავდასხმა განახორციელა მოქალაქე ჯ. მაქაცარიასზე, რომელსაც წაართვეს "რაფი-322"-ის მარკის ავტომანქანა. დაახლოებით 21 საათსა და 30 წუთზე, სოფელ ახალსოფელში

იმავე ბანდის წევრები არ დაემორჩილნენ პიკეტზე მყოფი საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას, გაეჩერებინათ ავტომანქანა; გაქცევის მიზნით, ბანდის წევრებმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს მათ. სროლის შედეგად სხეულის დაზიანება მიაყენეს შინაგანი ჯარების ლეიტენანტს დავით ჩერქეზიშვილს.

2004 წლის 18 ივნისს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა გამოსცა დადგენილება „პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ“. დადგენილების თანახმად, ცალკეულ ეპიზოდებში არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, ხოლო ზოგიერთ ეპიზოდში არ არის ქმედება მართლსაწინააღმდეგო. გაანალიზებული მტკიცებულებებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ შესაბამის მტკიცებულებათა გარეშე ზ. გამსახურდიას უსაფუძვლოდ შეერაცხა საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის, ბანდიტიზმის ჩადენა. [133].

როგორც ვხედავთ, ზ. გამსახურდიას ბანდიტიზმის ბრალდება პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე წარედგინა, ამიტომ იურიდიული თვალსაზრისით, მასზე სრულიად დაუსაბუთებლად მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

#### **2.4. ბანდაში მონაწილეობა**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილით ბანდიტიზმის ორი ფორმაა გათვალისწინებული: 1) ბანდაში მონაწილეობა და 2) ბანდის თავდასხმებში მონაწილეობა. განვიხილოთ ეს ფორმები დაწვრილებით.

როდესაც ვსაუბრობთ “ბანდაში მონაწილეობა”-ზე, აქ იგულისხმება ბანდის ინტერესებისათვის მრავალფეროვანი ქმედებების შესრულება: იარაღით აღჭურვა, დაფინანსება, ტრანსპორტით უზრუნველყოფა და ა.შ. ზოგადი წესის თანახმად, პირები პასუხს აგებენ ბანდაში მონაწილეობისათვის, აგრეთვე ბანდის ყველა დანაშაულისათვის, რომლებშიც ისინი მონაწილეობდნენ. ბანდაში მონაწილეობა შეიძლება იყოს მისი წევრობა, მასთან მიკუთვნება, ბანდის სტრუქტურაში მუდმივი, გარკვეული როლისა და ფუნქციების ან ერთჯერადი დავალებებისა და ამოცანების დაკისრება.

ამასთანავე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ “ბანდაში მონაწილეობა” და “ბანდის თავდასხმებში მონაწილეობა” სპეციალურადაა განცალკევებული. ეს იმით არის განპირობებული, რომ ბანდაში მონაწილეობა შეიძლება სულაც არ იყოს დაკავშირებული თავდასხმებში მონაწილეობასთან. ბანდის ინტერესებისათვის შეიძლება განხორციელდეს დაფინანსება, იარაღით მომარაგება, თავდასხმების განსახორციელებლად ობიექტების მოძიება, ტრანსპორტით უზრუნველყოფა, სამართალდამცავი ორგანოების კორუმპირებულ მუშაკებთან კონტაქტების დამყარება და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ შემდეგი საკითხი: როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს იმ პირთა ქმედებები, რომლებიც არ არიან ბანდის შემადგენლობაში და არ მონაწილეობენ თავდასხმებში, მაგრამ ბანდას ერთჯერად დახმარებას უწევენ (ეხმარებიან ტრანსპორტით, მოიძიებენ იარაღს, მიუთითებენ თავდასხმის ობიექტზე და ა.შ.). ლ. პროხოროვის და მ. პროხოროვას მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც თანამონაწილეობა. ამასთანავე, წარუმატებლადაა მიჩნეული პირთა დაყოფა ბანდის წევრებად და იმ პირებად, რომლებიც მონაწილეობენ ბანდის მიერ განხორციელებულ დანაშაულებში, მაგრამ ბანდის წევრები არ არიან [149]. საკითხისადმი ასეთი მიდგომა მიუღებელია.

ბანდიტური ჯგუფი ყოველთვის ორგანიზებული ჯგუფია. აქ არ არის აუცილებელი თანამონაწილეობის ფაქტის განსაკუთრებულად მტკიცება. სხვა საკითხია, როგორ დავასაბუთებთ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას. თუ პირი არ არის ბანდის წევრი, მაგრამ იცის, რომ სწორედ ბანდას უწევს დახმარებას, მისი ქმედებები უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ბანდაში მონაწილეობა, მაგრამ თუ მან ერთჯერადად გასწია ასეთი დახმარება და არ იცის, რომ ბანდის დავალებას ასრულებს, მან პასუხი უნდა აგოს ბანდის მიერ ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, კერძოდ, დახმარებისათვის. მაგალითად, პირმა მსხვერპლის მოძრაობის მარშრუტი დაადგინა და ეს ინფორმაცია მიაწოდა ბანდის წევრს, რომელიც მას ბანდის წევრობას უმაღლავდა. აშკარაა, რომ აქ გვაქვს მკვლელობის მცდელობაში დახმარება, თუნდაც იგი ბანდის მიერ იყოს ჩადენილი.

მეტად საკამათოა ვ. ბიკოვის დასკვნა, რომ ბანდაში მონაწილეობა გულისხმობს ბანდის რიგითი წევრების საქმიანობის ხანგრძლივობას, რომელიც აგრეთვე შეიძლება კონკრეტული ბანდიტური თავდასხმებით გამოიხატოს [84.19-20]. საკითხის ამგვარად დასმა “ბანდიტიზმის” კონსტრუქციის თვალთახედვით, არაკორექტულია. “ბანდაში მონაწილეობა” განსხვავდება “ბანდის თავდასხმებში მონაწილეობისაგან”. მათი დეტალური გამიჯვნა მეტად მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის დასადგენად. კერძოდ, ბანდაში მონაწილეობა დამთავრებულ შემადგენლობადაა მიჩნეული, ხოლო ბანდის თავდასხმაში მონაწილეობა, რომელიც მკვლელობით ან სხვა დანაშაულითაა გამოხატული, ამ სხვა დანაშაულის შემადგენლობას ქმნის. როგორც ვხედავთ, ამ საკითხში დაბნეულობის შეტანა კატეგორიულად დაუშვებელია, რამდენადაც კანონი აყალიბებს ბანდიტიზმის შემადგენლობას, საუბრობს ბანდის ორგანიზებაზე და მასში მონაწილეობაზე, აგრეთვე ბანდის მიერ ორგანიზებულ თავდასხმებში მონაწილეობაზე. ბანდის ორგანიზატორების, ბანდის მონაწილეების და შესაბამისად, ბანდის მიერ განხორციელებულ თავდასხმებში მონაწილეების პასუხისმგებლობა საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლით დგება. ჩადენილი დანაშაულის ფაქტი კი დამატებით უნდა დაკვალიფიცირდეს.

კოდექსის 224-ე მუხლი ბანდაში მონაწილეობისათვის პასუხისმგებლობას პირდაპირ არ აკავშირებს ბანდის შექმნის ვადებსა და ქმედებებთან. თუმცა ნათელია, რომ დამახასიათებელი ნიშანი, “სიმყარე”, უკვე მეტყველებს ბანდის არსებობის ხანგრძლივობაზე. ისმება კითხვა: შეუძლია თუ არა სასამართლოს, გააუქმოს განაჩენი იმ მოტივით, რომ დამნაშავენი ხანმოკლე პერიოდში – ერთ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში მოქმედებდნენ, რის გამოც ჯგუფის წევრებმა ვერ მოასწრეს ხელმძღვანელის შერჩევა და ლიდერის გამოყოფა. ბუნებრივია, ასეთი გადაწყვეტილების მიღება მართებული არ იქნებოდა.

ა. პოკამესტოვი აღნიშნავს, რომ განაჩენში ყურადღება უნდა ჰქონდეს დათმობილი იმ ფაქტს, რომ დამნაშავენი ერთ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში მოქმედებდნენ, მაგრამ ჩაიდინეს არაერთი დანაშაული ერთი და იმავე შემადგენლობით და იმ გარემოებებში, როცა მათ გადანაწილებული ჰქონდათ ბანდის წევრების როლები და დანაშაულის ყველა ეპიზოდში იარაღი იყო გამოყენებული [41.125].

## **2.5. ბანდის თავდასხმებში მონაწილეობა**

ამ ნიშანზე საუბრისას რუსეთის მეცნიერები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ “თავდასხმებში მონაწილეობა” მოიცავს ჯგუფის დაფინანსებას, იარაღის მოძიებას და ა.შ. ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან “ბანდაში მონაწილეობა” და “თავდასხმაში მონაწილეობა” გაიგივებულია [113.79-80].

საქართველოს კანონმდებლობაში კი ორივე შემადგენლობა სსკ-ს 224-ე მუხლის მე-2 ნაწილითაა გათვალისწინებული, მაგრამ მათ შორის განსხვავება მაინც უნდა დადგინდეს, ბრალის ორმაგი ფუნქციის გათვალისწინებით. ბრალის ეტაპზე

ვლინდება, რომ “თავდასხმაში მონაწილეობა” უფრო მძიმე შემთხვევაა, ვიდრე “ბანდაში მონაწილეობა” [137].

ამ საკითხის საილუსტრაციოდ მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 58 განჩინება. მსჯავრდებულ ლ. ს.-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ს., ითხოვს თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2006 წლის 3 აპრილის განაჩენის, როგორც უკანონოს, გაუქმებას და მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ საქმის შეწყვეტას შემდეგი მოტივებით: განაჩენი საქართველოს სსსკ-ის 503-ე–509-ე მუხლების მოთხოვნათა იგნორირებით არის გამოტანილი. გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ ვარაუდს ემყარება, რადგან ლ. ს.-ის ბრალეულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოპოვებული არ ყოფილა. სასამართლომ არ იმსჯელა, რატომ უარყო მსჯავრდებულის სასარგებლო მტკიცებულებები. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ლ. ს. იყო ბანდის წევრი; გაუგებარია, როგორ მოხდა ბანდაში მისი გაწევრიანება. ლ. ს. არ იყო ბანდის წევრი. იგი არც იცნობდა მ. მ.-ს, ზ. შ.-ს და აწ გარდაცვლილ ს. ჭ.-ს. საქმეში არსებული სატელეფონო საუბრების დეტალურ-წუთობრივი ნუსხის მიხედვით, ლ. ს.-ის ორ მობილურ ტელეფონზე არ არის დაფიქსირებული ზ. შ.-ის, მ. მ.-ისა და ს. ჭ.-ს არც ერთი სატელეფონო ზარი, რაც გამორიცხავს ლ. ს.-ის მონაწილეობას მყარ შეიარაღებულ ჯგუფში.

ადვოკატის მოსაზრება სასამართლომ არ გაიზიარა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ქმედების საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის არაა აუცილებელი, რომ პირი გაწევრიანდეს მყარ, შეიარაღებულ ჯგუფში – ბანდაში. აღნიშნული მუხლით ქმედების დაკვალიფიცირებისათვის საკმარისია, რომ პირმა მონაწილეობა მიიღოს ბანდის მიერ მოწყობილ თუნდაც ერთ თავდასხმაში [137].

ადვოკატის მოსაზრება არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, რადგან “ბანდის წევრობა” და “ბანდიტურ თავდასხმაში მონაწილეობა” ერთმანეთისგან განსხვავდება.

თავდასხმაში მონაწილე პირი შეიძლება არ იყოს ბანდის წევრი, მაგრამ მას გაცნობიერებული ჰქონდეს ეს ფაქტი. ამიტომ სასამართლომ სწორად გაამახვილა ყურადღება თავდასხმაში მონაწილეობის ფაქტზე. დაცვის მხარეს ეს მომენტი გამორჩა და არასწორად გაამახვილა ყურადღება მხოლოდ ბანდაში მონაწილეობის ფაქტზე.

მნიშვნელოვანია ბანდიტურ თავდასხმაში არასრულწლოვნის მონაწილეობის საკითხი. ეს საკითხი წინააღმდეგობრივად არის გადაწყვეტილი, მაგალითად, რუსეთის კანონმდებლობაში. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლში მოცემულია დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელთა ჩადენისთვისაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 14 წელია; ამასთანავე, აღნიშნულია, რომ ბანდიტიზმისათვის პასუხისმგებლობა მხოლოდ 16 წლიდან დგება.

ამ საკანონმდებლო გადაწყვეტილებამ შეიძლება პრაქტიკაში გარკვეული სირთულეები წარმოშვას. მაგალითად, თუ 14 წლის პირი მონაწილეობს ბანდაში, ის პასუხს არ აგებს ბანდიტიზმისათვის. ვ. დიუნოვის მოსაზრებით, აღნიშნული ნორმა ხელს უწყობს ახალგაზრდების კრიმინალიზაციას, რადგან ბანდამ შეიძლება გაითვალისწინოს კანონის ეს ხარვეზი და ბანდაში სპეციალურად “დაიქირაოს” 16 წელს მიუღწეველი პირები ცალკეული დავალებების შესასრულებლად [22.374].

შეუძლებელია აგრეთვე დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომ ჩადენილ თავდასხმებში მონაწილეობა ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც პირი არ არის ბანდის წევრი, მაგრამ ერთ ან რამდენიმე თავდასხმაში მონაწილეობს. მაგალითად, ტაქსის მძღოლი, რომელმაც ბანდიტები მიიყვანა დანაშაულის ჩადენის ადგილამდე, პირადად მონაწილეობს დაცულ ობიექტზე განხორციელებულ თავდასხმაში, შემდეგ კი დატაცებულ საქონელს ბანდის დისლოკაციის ადგილზე გადაზიდავს და ამისათვის გასამრჯელოდ ნაძარცვის ნაწილს იღებს [22.374]. ეს განცხადება ბურუსითაა მოცული. ბანდაში მონაწილეობის საკითხი ქმედების სუბიექტური მხარის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს, რაზედაც შემდგომ ვისაუბრებთ.

## თავი III

### ბანდიტიზმის სუბიექტური შემადგენლობა

#### §1. საკითხის დასმა

საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის (მაგ. რუსეთის) ბანდიტიზმის მკვლევართა მიერ, ბრალის ფორმებად აღიარებულია განზრახვა და გაუფრთხილებლობა [18.374; 32.496;53.199]. ჩვენ საპირისპირო პოზიცია გვიკავია, რომელიც ბრალის ნორმატიულ თეორიას ემყარება.

ფსიქოლოგიურ თეორიაში “ბრალი” განმარტებულია, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებასა და შედეგიან დელიქტებში დამდგარ შედეგისადმი. დღეს ეს თეორია უარყოფილია, რადგან გაუფრთხილებლობის, განსაკუთრებით დაუდევრობის, დროს ასეთი ფსიქიკური კავშირი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს [1.173].

“ბრალის” ასეთი დეფინიცია გაბატონებული იყო გერმანელი მეცნიერის რაინჰარდ ფრანკის ნაშრომის გამოქვეყნებამდე. ამ დრომდე განზრახვა და გაუფრთხილებლობა



ბრალის ორი ფორმა გახლდათ. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში სამართლიანად მიაჩნდათ, რომ მხოლოდ განზრახვა შეიძლებოდა ყოფილიყო ბრალის სახე, თუ მას ფსიქოლოგიური თეორიის პოზიციიდან შევხედავდით, რადგან მხოლოდ განზრახვის დროს არსებობს პირის ნამდვილი ფსიქიკური კავშირი მის მიერ ჩადენილი ქმედებით გამოწვეულ შედეგთან [66.28-29].

ნორმატიული თეორია კი “ბრალს” განმარტავს, როგორც გასაკიცხაობას. ამ თეორიის მიხედვით, ბრალი წმინდა შეფასებითი, წმინდა ნორმატიული კატეგორიაა. ფსიქოლოგიური ელემენტი, რომელიც ბრალის ფსიქოლოგიური ცნების შინაარსს ამოწურავს, ფინალისტებმა (ჰანს ველცელი – გერმანელი მეცნიერი, სამართლის ფინალური სკოლის დამაარსებელი მეოცე საუკუნის 50-ანი წლებიდან) ქმედების შემადგენლობის ეტაპზე გადაიტანეს, რის შედეგადაც ბრალი წმინდა შეფასება გახდა, ხოლო განზრახვა და გაუფრთხილებლობა, როგორც შეფასების ობიექტი, ქმედების შემადგენლობის ნიშნებად იქცა.

ამ თეორიის თანახმად, განზრახვა, ისევე, როგორც გაუფრთხილებლობა, არის მოსამართლის მიერ პირის გაკიცხვის ერთ-ერთი კრიტერიუმი და არა ბრალის შინაარსის ამომწურავი კატეგორია (ფსიქოლოგიური თეორიით, ბრალი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გვარეობითი ცნებაა). ამა თუ იმ ქმედების განზრახ ჩამდენი უფრო მკაცრად იკიცხება, ვიდრე იმავე ქმედების გაუფრთხილებლობით ჩამდენი. ე.ი. განზრახვის დროს ბრალის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე გაუფრთხილებლობის დროს [8.260-263].

როგორც ო. გამყრელიძე აღნიშნავს, „საქართველოს 1999 წლის კოდექსი განზრახვას ბრალის ფორმად აღარ მიიჩნევს, ყოველ შემთხვევაში, ამაზე პირდაპირი მითითება კოდექსში არ გვხდება. მიუხედავად ამისა, მე-9 მუხლის მიხედვით, განზრახვის ინტელექტუალური მომენტი მოიცავს არა მარტო ქმედებისა და შედეგის ფაქტობრივი ხასიათის, არამედ შემადგენლობის ამ ნიშნების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გაცნობიერებასაც, მაგრამ ქმედების

მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება განზრახვის კი არა, ბრალის ნიშანია” [1. 182].

ბანდიტიზმი პირდაპირი განზრახვით ხორციელდება. ამ საკითხთან დაკავშირებით ო. გამყრელიძე აღნიშნავს: „აუცილებელ თანამონაწილეობას გულისხმობს აგრეთვე ბანდიტიზმი... თანამონაწილეობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი” [1.272-274]. ო. გამყრელიძე თ. წერეთლის მოსაზრების საპირისპიროდ აღნიშნავს: „ავტორი აშკარად ცდება, როცა დამხმარის მოქმედებას ევენტუალურ განზრახვად აფასებს. მთავარი ის კი არ არის, დამხმარეს პირადად სურდა თუ არ სურდა მსხვერპლის მოკვლა. მთავარია, რომ მან რევოლვერი ათხოვა კაცს, ვისაც მსხვერპლის მოკვლის მიზანი ჰქონდა. ვინაიდან ამსრულებელი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით და ასრულებდა განზრახი მკვლელობის უმართლობას, დამხმარეც, როცა დათანხმდა ამსრულებლის თხოვნას და რევოლვერი გადასცა მას, ამავე უმართლობას სჩადის, ესე იგი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, რადგან დაეთანხმა მის განზრახვას” [1.274].

სანამ ამ საკითხს გავარკვევდეთ, დეტალურად გამოვყოთ და განვიხილოთ აღნიშნული საკითხისადმი ნორმატიული თეორიის პოზიცია. განზრახვა არის დანაშაულის ელემენტი სუბიექტური შემადგენლობისა, რომელიც სამ კომპონენტია:

*პირველი კომპონენტია* განზრახვის ინტელექტუალური მომენტი. ის, პირველ რიგში, ქმედების გათვალისწინებას ეხება. პირს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს, რას მოქმედებს, როგორ ხერხს ხმარობს მიზნის მისაღწევად. მაგალითად, ბანდიტურ ჯგუფში გაწევრიანების შემთხვევაში პირს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს ჯგუფის არსი და მიზანი. თუ ის ბანდის დავალებას ასრულებს და მკვლელობას სჩადის, მისი განზრახვის ინტელექტუალური მომენტი, ქმედებასთან ერთად, შედეგს და ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივ კავშირს უნდა მოიცავდეს.

პირდაპირი განზრახვისათვის საკმარისია, რომ მოქმედი პირი ბანდის ამოცანათა შესრულების შესაძლებლობას ითვალისწინებდეს. არ არის აუცილებელი,

მაგალითად, ბანდის წევრს სჯეროდეს, რომ ბანდაში მისი წევრობა აუცილებლად ერთი კრიმინალური “საქმიანობის” სახით განხორციელდება. საკმარისია, იგი ბანდის შესაძლებლობას ითვალისწინებდეს და ბანდიტური თავდასხმის განხორციელება სურდეს. ამასთანავე, არ არის აუცილებელი, რომ მოქმედ პირს წარმოდგენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების ნიშნები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, პირდაპირ განზრახვას მიეკუთვნება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირს, მართალია, არ სურდა თავისი ქმედების შედეგის დადგომა, მაგრამ ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. მაგალითად, იმ მიზნით, რომ გამომძიებელმა ბანდის წევრის სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტოს, ბანდიტები აწყობენ ეზოში აფეთქებას, რათა გამომძიებელი შეაშინონ. ბანდის წევრებს არ სურთ გამომძიებლის ოჯახის წევრების დახოცვა, თუმცა წარმოდგენილი აქვთ მათი დაღუპვის გარდაუვალობა. ამ დროს ბანდა ყველას მიმართ პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. ამ შემთხვევაში სურვილი პირდაპირ არ არის გამოხატული, მაგრამ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ დამნაშავეს ამ შედეგის განხორციელება არ უნდოდა. ეს შემთხვევა ამით განსხვავდება არაპირდაპირი განზრახვისაგან.

*მეორე კომპონენტი*ა ნებელობა, სურვილი იმისა, რასაც დამნაშავე სჩადის. ჩვენს

თემასთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ პირს უნდა სურდეს ბანდის მიზნების განხორციელება. მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შემადგენლობის ყველა ნიშნის განხორციელების სურვილი აქტიურად უნდა იყოს გამოხატული და გამოძიებამ ან სასამართლომ ეს სურვილი საგანგებოდ უნდა დაადგინოს. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლი ითვალისწინებს თავდასხმის მიზნით შეიარაღებულ ჯგუფში მონაწილეობას. სრულიადაც არ არის აუცილებელი შემადგენლობის ამ ნიშნების განხორციელების სურვილის დადგენა. საკმარისია, გამოძიებამ დაამტკიცოს დამნაშავეს მიერ იმის ცოდნა, რომ ის ბანდაში მონაწილეობს.

მესამე კომპონენტია მართლწინააღმდეგობის შეგნება. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში ეს კომპონენტი ფსიქოლოგიური თეორიის ფარგლებში განიხილება. ქართული სისხლის სამართლის დოქტრინის თანახმად, ამ საკითხს ბრალის თეორიის (Schuldtheorie) ფარგლებში იხილავენ. აღნიშნულ თეორიას იზიარებს მ. ტურავაც. იგი მიუთითებს, რომ განზრახვის ცნების საკანონმდებლო დეფინიციის (სსკ-ის მე-9 მუხლი) მოცემულ კატეგორიაში “მართლწინააღმდეგობის შეგნება” არ მოიაზრება წმინდა სამართლებრივი შეცდომის სახით, ანუ არ წარმოადგენს შეცდომას აკრძალვაში, რომელიც განზრახვისაგან დამოუკიდებელი ბრალის ცალკე კომპონენტია (სსკ-ის 36-ე მუხლი), არამედ განზრახვის მესამე კომპონენტია მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით [10.266-275]. ამასთან დაკავშირებით ცნობილი გერმანელი მეცნიერი კლაუს როქსინი აგრეთვე აღნიშნავს, რომ საკმარისია პირს წარმოდგენილი ჰქონდეს თავისი ქმედების სოციალური ბოროტება, მისი ამორალურობა [69.798].

ბრალის თეორიის ფარგლებში მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხის გადაწყვეტას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საკმარისია ქმედების შემადგენლობის დონეზე დადგინდეს, რომ პირს ფაქტობრივი გარემოებებისადმი გარკვეული დამოკიდებულება აქვს. მაგალითად, ბანდიტიზმის გამოძიებისას საკმარისია იმის დადგენა, რომ პირმა იცის ბანდაში მონაწილეობის ფაქტობრივი გარემოებები და აქვს თავდასხმის ნებელობა. მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით ბრალის ეტაპზე დგინდება. მაშასადამე, ბრალის ეტაპზე განზრახვა არის არა ფსიქიკური დამოკიდებულება, არამედ ინდივიდუალური გაკიცხვის კრიტერიუმი და შესაბამისად, ბრალის ხარისხს განსაზღვრავს.

ყოველივე აღნიშნულიდან ჩანს, რომ “ბანდიტის განზრახვის” დადგენა ორ ეტაპიანია. პირველ ეტაპზე დგინდება დამნაშავეს დამოკიდებულება ფაქტობრივი გარემოებებისადმი. გამოძიება ამით ამთავრებს ზოგადი სურათის მონახაზს. მეორე ეტაპზე სასამართლო უბრუნდება ამ საკითხს, მაგრამ ინდივიდუალური გაკიცხვის პოზიციიდან. აქ მოწმდება განზრახვის შესახებ მონაცემები და დგინდება ბრალი.

განზრახვისადმი აღნიშნული მიდგომა ქართული სისხლის სამართლის დოქტრინის ნოვაციაა და არსებითად განსხვავდება საბჭოთა მოდელისაგან, რომელიც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში დღესაც არსებობს.

## §2. განზრახვა

ბანდიტიზმის სუბიექტური მხარის შემადგენლობა პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. შეიარაღებული ბანდის პირდაპირი განზრახვის შინაარსში შედის პირის შეგნება, რომ ორგანიზებას უწევს შეიარაღებულ ბანდას სახელმწიფო, საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და საწარმოებზე, აგრეთვე ცალკეულ პირებზე თავდასხმების ჩასადენად და სურვილი იმისა, რომ ორგანიზება გაუწიოს ასეთ ჯგუფს. თუმცა ბანდა შეიძლება სპეციალურ მიზანს ისახავდეს. ეს შეიძლება იყოს არა მარტო ორგანიზაციისა და მოქალაქის ქონების უშუალოდ დაუფლება, არამედ ასევე მკვლელობა, გაუპატიურება, გამოძალვა, სხვისი ქონების განადგურება ან დაზიანება და ა.შ.

შეიარაღებულ ბანდაში მონაწილეობისას პირდაპირი განზრახვა ითვალისწინებს პირის მიერ იმის შეგნებას, რომ იგი შეიარაღებული ბანდის წევრია და სურვილს, იყოს ბანდის წევრი.

შეიარაღებული ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმებში მონაწილეობის პირდაპირი განზრახვის შინაარსი იქნება პირის მიერ ამ თავდასხმებში საკუთარი მონაწილეობის ფაქტის შეგნება და აღნიშნულ თავდასხმებში მონაწილეობის სურვილი. თუ პირი მონაწილეობს შეიარაღებული ბანდის მიერ განხორციელებულ თავდასხმაში და არა აქვს შეგნებული, რომ ამ თავდასხმას შეიარაღებული ბანდა ახორციელებს, პასუხისმგებლობა უნდა დადგეს იმ დანაშაულისათვის, რომელიც პირადად მან ჩაიდინა, მაგალითად, ყაჩაღობისათვის, ანგარების მიზნით მკვლელობისათვის და სხვა.

განზრახვის შინაარსი დამნაშავის როლზე, უფრო ზუსტად, ბანდიტიზმის გამოვლენის კონკრეტულ ფორმაზეა დამოკიდებული. ბანდის შექმნისას და მისი ხელმძღვანელობისას დამნაშავის განზრახვის შინაარსში შედის იმის შეგნება, რომ იგი ქმნის მყარ შეიარაღებულ ჯგუფს მოქალაქეებზე ან ორგანიზაციებზე თავდასხმების განსახორციელებლად ან ახორციელებს ბანდის ხელმძღვანელობას და სურს ეს. მყარ შეიარაღებულ ჯგუფში (ბანდაში) მონაწილეობის განზრახვა ითვალისწინებს პირის შეგნებას საკუთარი თავის ბანდისადმი მიკუთვნების შესახებ და ამ ბანდის წევრობის სურვილს. ბანდაში შესვლისას პირს შეგნებული აქვს, რომ ბანდასთან ერთად, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ დანაშაულებრივ ქმედებას ჩაიდენს. იმ პირის განზრახვის შინაარსში, რომელიც არ არის ბანდის წევრი, მაგრამ მონაწილეობა აქვს მიღებული ბანდის მიერ განხორციელებულ თავდასხმებში, მოცემულია ამ თავდასხმებში საკუთარი მონაწილეობის ფაქტის შეგნება და მათში მონაწილეობის სურვილი. ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომ პირი, რომელიც არ არის ბანდის წევრი და მის თავდასხმებში მონაწილეობს, შეიძლება არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდეს, ე.ი. ის მხოლოდ შეგნებულად უშვებს, რომ ამ ჯგუფის მიერ განხორციელებულ თავდასხმებში მონაწილეობს [52.92-95]. ბანდასთან მიმართებით მხოლოდ პირდაპირი განზრახვა უნდა არსებობდეს. თუმცა ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით შეიძლება არაპირდაპირი განზრახვა იყოს. ეს არის არსებითი განსხვავება და საჭიროა მისი გათვალისწინება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლში საუბარია იმაზე, რომ მყარი შეიარაღებული ჯგუფი თავდასხმების ჩადენის მიზნით იქმნება. ამიტომ ეს დანაშაული მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება იქნეს ჩადენილი. ბანდის ორგანიზატორული ფუნქციების შესრულებისას არ შეიძლება საქმე გვქონდეს არაპირდაპირ განზრახვასთან, რადგან პირი, რომელიც ორგანიზებას უწევს ბანდას და ხელმძღვანელობს მას, არ შეიძლება შეგნებულად უშვებდეს და მით უმეტეს, გულგრილად ეკიდებოდეს მის ქმედებებს. იგი თავისი ქმედებებით ადასტურებს, რომ სურს მის წინაშე დასმული ამოცანების განხორციელება. ეს სურვილი შემდეგი ქმედებებით გამოიხატება: ორგანიზება გაუწიოს ბანდას, უხელმძღვანელოს მას,

მონაწილეობა მიიღოს მასში. სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციაში მიზნის ხსენება იმას ნიშნავს, რომ ყველა ეს ჩადენილი ქმედება გამორიცხავს მათ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენას. ბანდის ორგანიზატორის განზრახვის შინაარსში მოცემულია იმის შეგნება და სურვილი, რომ იქმნება შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც მომავალში თავს უნდა დაესხას მოქალაქეებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

როდესაც ბანდიტიზმის სუბიექტურ შემადგენლობას ვეხებით, კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი. ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ ბანდიტიზმი გულისხმობს აუცილებელ თანამონაწილეობას. ამ დანაშაულის თავისებურება არის ის, რომ მისი დამთავრება შეუძლებელია თანამონაწილეობის გარეშე. ეს დანაშაული აუცილებლად მოითხოვს თანამონაწილეობას [1.192]. თანამონაწილეობა კი მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი.

ბანდის ხელმძღვანელობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის პირველი ნაწილი) და მის მიერ განხორციელებულ თავდასხმებში მონაწილეობა ფორმალური შემადგენლობებია. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგენად საკმარისია, განხორციელდეს ნორმით გათვალისწინებული არამართლზომიერი ქმედებები, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ პირი თავის ქმედებებს არაცნობიერად ეკიდება. პირს სურს მათი განხორციელება და მისთვის გასაგებია, რომ ეს ქმედებები საზოგადოებისათვის საშიში და არამართლზომიერია. “ფორმალურ” დანაშაულებში მართლწინააღმდეგობის შეგნება მხოლოდ ჩადენილ მოქმედებას ან უმოქმედობას მოიცავს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლში ჩამოთვლილ ქმედებათა პირდაპირი განზრახვა შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული იყოს, რადგანაც იგი მკაფიო და ერთადერთი შედეგისკენ – ბანდის შექმნის, მისი ხელმძღვანელობის და თავდასხმებში მონაწილეობისკენ – არის მიმართული.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბანდიტიზმი, რომელიც კავშირშია თავდასხმებთან, ხორციელდება არა იმდენად თვით თავდასხმის აქტის განხორციელების გამო,

როგორც ძალადობრივი ქმედება, რამდენადაც სხვა მიზნების მისაღწევად, რომლებიც კანონში, მრავალფეროვნების გამო, არ არის მითითებული. მაგალითად, ბანდიტური თავდასხმისას შესაძლებელია დაზარალებულს სხვადასხვა სიმძიმის ზიანი მიადგეს, მოხდეს სიცოცხლის ხელყოფა ან სხვისი ქონების მისაკუთრება. ბანდიტური თავდასხმა უმეტესად სწორედ სხვისი ქონების მისაკუთრებისათვის ხორციელდება. ბანდის წევრთა დამოკიდებულება ყველა ამ შედეგისადმი შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს: სხვისი ქონების მისაკუთრება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი. სიცოცხლის ხელყოფა ან სხეულის დაზიანება შეიძლება მოხდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით. მაგალითად, როდესაც დამნაშავე მსხვერპლს უმიზნებს, შესაძლოა იგი შეგნებულად უშვებდეს მის სიკვდილს ან სურდეს ეს შედეგი, რამდენადაც მისთვის ყველაზე მთავარია, გასროლით მსხვერპლის პარალიზება მოახდინოს და მას წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა მოუსპოს. როდესაც პირი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, მას შეიძლება სურდეს სრულიად განსაზღვრული შედეგის დადგომა, მაგალითად, სიკვდილი ან სხვადასხვა სიმძიმის ზიანის მიყენება. ასეთ შემთხვევაში განზრახვა მარტივად იქნება განსაზღვრული და პირი პასუხს აგებს კონკრეტული, სასურველი შედეგის დადგომისათვის.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებებს, მათი ჩადენაც დაუშვებელია არაპირდაპირი განზრახვით, რამდენადაც არაპირდაპირი განზრახვა ითვალისწინებს შედეგის დაშვებას ან მისდამი გულგრილ დამოკიდებულებას. იგულისხმება შედეგი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას დგება.

ბანდიტური თავდასხმის სუბსუმციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განზრახვის სახის დადგენას. თუ დამნაშავე, თანაზომიერი ხარისხით უშვებდა როგორც სიკვდილის დადგომას, ისე ჯანმრთელობის დაზიანებას, მაშინ იმ შემთხვევაში, როდესაც იარაღის გასროლის შედეგად მოხდა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და პირი უშვებდა ასეთ შედეგს სიკვდილთან ერთად, მისი ქმედება არ



შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც მკვლელობის მცდელობა, რადგან დამნაშავეს განზრახვა სხეულის დაზიანებასაც მოიცავდა. ბანდიტიზმის დროს “ჯანმრთელობის დაზიანება” “თავდასხმებში” მოაზრებული არ არის. ამიტომ ასეთი შემთხვევა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის გარდა, დამატებით სუბსუმციას მოითხოვს. თუ პირი დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობისათვის მარტივი განზრახვით მოქმედებდა, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მკვლელობა, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისი ქვეპუნქტით და იმავე კოდექსის 109-ე მუხლით.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ დანაშაულის სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ჩადენის საკითხზე. მაგალითად, დანაშაულის ორგანიზატორი, რომელიც სახელმწიფო ან არასახელმწიფო ორგანიზაციის თანამდებობის პირია და რომლის უფლებამოსილებას განეკუთვნება მის მფლობელობაში არსებული იარაღის განკარგვა და კონტროლი, იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას და ბანდის წევრებს იარაღით ამარაგებს; ბანდის წევრი, რომელიც კომერციულ ორგანიზაციაში დარაჯად მუშაობს, დაცვის სიგნალიზაციას თიშავს და ამით ბანდას შენობაში შეღწევას და იქ არსებული ფასეულობების ამოღებას უადვილებს.

მთავარია, რომ პირს, რომელიც ასეთ ქმედებებს სჩადის, შეგნებული ჰქონდეს, რომ სწორედ მისი განსაკუთრებული თვისებები, დაკავშირებული სამსახურებრივ უფლებამოსილებებთან, გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა ჩასადენად და სურს გამოიყენოს ეს უფლებამოსილებანი.

თუ ადამიანი თანამდებობის პირია, ან აქვს გარკვეული სამსახურებრივი უფლებამოსილებები, მაგრამ ისინი არ გამოიყენა დანაშაულებრივი თავდასხმებისას, თუმცა ბანდაში მონაწილეობდა, არ შეიძლება მისი ქმედებები მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს.

შესაძლებელია შეიქმნას ისეთი სიტუაცია, როცა პირის სამსახურებრივ უფლებამოსილებებს სხვები გამოიყენებენ და მიუთითებენ, თითქოს მისი განკარგულებით მოქმედებდნენ. ასეთ შემთხვევაში სამსახურებრივი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომლის უფლებამოსილებაც მისი ნებართვის გარეშე იქნა გამოყენებული, არ შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში კოდექსის აღნიშნული მუხლის შესაბამისად, რადგამ მას არ სურდა თავისი უფლებამოსილების გამოსაყენებლად ნებართვის გაცემა. რასაკვირველია, ყველა ასეთ შემთხვევაში საკითხი დანაშაულთა ერთობლიობით არ წყდება. პრობლემა იმ ნიშან-თვისების სწორად სუბსუმციაშია, რომელიც ერთ-ერთ თანამონაწილეს მიეკუთვნება. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში საუბარია ბანდის წევრების ქმედების სუბსუმციაზე, თუ მათ შეგნებული აქვთ, რომ ამსრულებელი თავის სამსახურებრივ მდგომარეობას დანაშაულის ჩასადენად იყენებს და სურს ეს.

დანაშაულის ჩადენისათვის ბანდის წევრის პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლით არის არა კოლექტიური, არამედ ინდივიდუალური. ამიტომ ბანდის წევრმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ იმ დანაშაულებისათვის, რომლებიც მოცული იყო მისი ცნობიერებით (შეგნებით).

თუ პირს, რომელიც დანაშაულებრივ ჯგუფში, კერძოთ ბანდაში მონაწილეობს, არ აქვს შეგნებული ეს და მისთვის არავის მიუწოდებია ინფორმაცია, რომ ბანდის და არა სხვა ჯგუფის წევრია, დაუშვებელია მისი ბანდის წევრად განხილვა. ასეთი პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მკვლელობის მცდელობა ან ყაჩაღობა ან/და სხვა დამთავრებული დანაშაული. ყველა ასეთ შემთხვევაში პირი პასუხს აგებს იმ ქმედებისათვის, რომელიც მას შეგნებული აქვს.

საჭიროა დანაშაულებრივი ჯგუფის მონაწილე ყოველი პირი ჯგუფში ნების დათრგუნვის გარეშე შედიოდეს, შეგნებული ჰქონდეს, რომ ნებაყოფლობით შედის ბანდაში თავდასხმების ჩასადენად, და სურდეს ეს, ე.ი. საკუთარი არჩევანის მიხედვით მოქმედებდეს. გამორიცხული არ არის, რომ ადამიანის ბანდაში ჩართვისას გამოყენებულ იქნეს ბრძანება, ან მუქარა, ან ფიზიკური ძალადობა,

მაგრამ ეს უნდა იყოს ბანდაში ჩართვის ხერხი მანამ, სანამ მას არ შეეზღუდება ქმედების თავისუფლება. ადამიანის ქცევას შეგნებული, ნებელობითი ხასიათი აქვს. პირი ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და სასჯელს, თუ მას აქვს შესაძლებლობა, შეიგნოს ჩასადენი ქმედების არსი და ობიექტური მნიშვნელობა, ე.ი. თუ ჩადენილ ქმედებებში თავისი გამოხატულება ჰპოვა შეგნებამ და ნებამ. ნების სავალდებულო თვისებაა თავისუფლება. ჩადენილ ქმედებაში ნების მონაწილეობა მხოლოდ მის გაკიცხვას არ ითვალისწინებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის მიერ თავისი შეგნების ფარგლებში და კონკრეტულ გარემოებებში არჩეული ქცევის აქტია.

თუ ადამიანი, რაღაც გარემოებათა ძალით, თავისუფალი არ არის თავისი ქცევის გარეგანი აქტის შერჩევაში, ამასთანავე, თუ მასზე გარკვეული ძალები ზეწოლას ახორციელებენ, მაშინ დაუშვებელია ქცევის არათავისუფალი შერჩევა დანაშაულად განვიხილოთ, თუნდაც იგი კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობას შეიცავდეს.

თუ ბანდის წევრმა მკვლელობა იძულებით ჩაიდინა, იგი პასუხს აგებს მხოლოდ ბანდაში მონაწილეობისათვის და არა მკვლელობისათვის, თუ იმყოფება ტრაგიკული კოლიზიის მდგომარეობაში.

იმ პირის მიმართ, რომელსაც ბანდაში ან მის მიერ განხორციელებულ თავდასხმებში აზამენ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფიზიკური იძულება, რომელიც გამოიხატება ცემით, წამებით ან ისეთ ქმედებათა ჩადენით, რომლებმაც შეიძლება პირის სიკვდილი გამოიწვიოს, მაგალითად, ყელში ხელის წაჭერა დასახრჩობად. ასეთ სიტუაციაში ადამიანის ნება პარალიზებულია; მას არა აქვს არჩევანის შესაძლებლობა, თუმცა მისთვის გასაგებია, რომ ის ქმედება, რომელსაც მისგან მოითხოვენ, მართლსაწინააღმდეგოა. ბანდაში მონაწილეობაზე თანხმობის მიღება ასეთ მდგომარეობაში არ შეიძლება დანაშაულად იქნეს განხილული; პირი უნდა გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. თუ ფიზიკური ძალადობა ისეთი ხასიათისაა, რომ იგი პირს შესაძლებლობას აძლევდა, თავისი ქმედება თვითონ აერჩია, ე.ი. იყო დროის შუალედი ფიზიკური ძალადობის

ჩადენასა და მისგან მოთხოვნილი ქმედების ჩადენას შორის (მაგალითად, პირს მონაწილეობა უნდა მიეღო თავდასხმაში, რომელიც მეორე დღისთვის იგეგმებოდა, და მას შეეძლო მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისათვის ან სხვაგვარად აერიდებინა თავი თავდასხმისათვის), მაშინ ეს პირი უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში თავდასხმაში მონაწილეობის შემთხვევაში, თუმცა მის მიმართ ჩადენილი ფიზიკური იძულება შეიძლება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად იქნეს განხილული.

ბანდაში ჩასაბმელი პირის მიმართ შეიძლება ფსიქიკური ზეწოლაც განხორციელდეს. ფსიქიკურმა იძულებამ შესაძლოა პირს თავისი ქმედების შეგნება და მისი მართვის შესაძლებლობა დააკარგვინოს, მაგალითად, მაშინ, როდესაც მას ოჯახის განადგურების მუქარით აიძულებენ იმ ობიექტის განლაგების რუკა ან კოორდინატები მოიპოვოს, რომელზეც იგეგმება თავდასხმა.

ბანდიტიზმისათვის პასუხისმგებლობის სავალდებულო პირობაა მთლიანად ბანდის წევრთა მიერ იმის შეგნება, რომ ბანდა ფლობს იარაღს და შეუძლია თავდასხმისას მისი გამოყენება. თუ ბანდის მიერ განხორციელებულ თავდასხმაში მონაწილე პირისათვის არ არის ცნობილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მას არ ჰქონდა შეგნებული, რომ ბანდასთან ერთად მოქმედებდა, მის ქმედებებში დანაშაულის შემადგენლობა გამორიცხულია. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დგება იმ დანაშაულისათვის, რომელიც ფაქტობრივად იქნა ჩადენილი (მკვლელობა, ყაჩაღობა და ა.შ.).

მაშასადამე, ბანდის მონაწილის განზრახვის ინტელექტუალური ელემენტებია როგორც თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობის, ისე თანამონაწილეთა ქმედებების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის შეგნება და ერთობლივი დანაშაულებრივი შედეგის გათვალისწინება. განზრახვის ნებელობით ელემენტს ერთობლივი დანაშაულებრივი შედეგის დადგომის სურვილი ქმნის. ბანდის თითოეული მონაწილის განზრახვა არ მოიცავს მხოლოდ საკუთარი მართლსაწინააღმდეგო ქცევის ობიექტურ პროცესებს; ამას ემატება იმის შეგნება,

რომ დანაშაულში სხვა პირებიც მონაწილეობენ და სურს მათთან ერთად მოქმედება.

ორგანიზების შეგნება უნდა მოიცავდეს იმის გაგებას, რომ იგი აერთიანებს რამდენიმე პირის ძალისხმევას შეიარაღებული თავდასხმების განხორციელების მიზნით ბანდის შესაქმნელად. პირი, რომელიც არ არის ბანდის წევრი, მაგრამ მონაწილეობა მიიღო ბანდის მიერ ორგანიზებულ თავდასხმაში და შეგნებული აქვს მონაწილეობის ფაქტი, ბანდითური ფორმირების წევრად მიიჩნევა.

ბანდის ხელმძღვანელს ესმის, რომ იგი მყარი შეიარაღებული დაჯგუფების მონაწილეა, ხელმძღვანელობს მას, კერძოდ, გეგმავს ახალ დანაშაულებს, იძლევა მითითებებს თავდასხმის ახალი ობიექტების მოსამზადებლად, თვითონ იზიდავს ბანდის ახალ წევრებს ან ამას ბანდის სხვა წევრებს ავალებს და სურს ამ ქმედებების განხორციელება.

შეიარაღებული ბანდის თავდასხმები სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებებზე, საწარმოებზე ან ცალკეულ პირებზე, ჩვეულებრივ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების ან/და მოქალაქეთა პირადი საკუთრების დანაშაულებრივი მისაკუთრების მიზნით ხორციელდება. მაგრამ შეიარაღებულმა ბანდამ თავდასხმები შეიძლება სხვა მიზნებითაც განახორციელოს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლში ბანდითიზმის შემადგენლობის აღწერისას მითითებული არ არის თავდასხმების მიზანი. მიზანი შეიძლება უამრავი იყოს, მაგალითად, ხულიგნობა, გაუპატიურება, ბადრაგის ქვეშ მყოფ პირთა გათავისუფლება და სხვა.

პირი, რომელმაც შექმნა ბანდა ან ხელმძღვანელობს მას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის შესაბამისად, პასუხს აგებს ბანდის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ ისინი მისი განზრახვითაც არის მოცული. 224-ე მუხლის შესაბამისად, ბანდითიზმის კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება იქნეს ჩადენილი. ისმის კითხვა:

რომელ დანაშაულებრივ ქმედებებთან მიმართებითაა დასადგენი პირდაპირი განზრახვა? მიგვაჩნია, რომ პირდაპირი განზრახვით მოცული უნდა იქნეს ბანდის შექმნის საერთო მიზანი – ბანდის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს სურთ დაწესებულებებზე, საწარმოებზე, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებზე თავდასხმების განხორციელება. ხოლო კონკრეტული თავდასხმის მიმართ განზრახვა, მაგალითად, ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფისას, შეიძლება პირდაპირიც იყოს და არაპირდაპირიც, რაც მოითხოვს დანაშაულთა ერთობლიობით სუბსუმციას როგორც თავდასხმაში მონაწილეებისათვის, ისე ბანდის შემქმნელისა და ხელმძღვანელისათვის. ბანდიტიზმის სუბიექტური მხარის გაგებასთან დაკავშირებით მრავალი პრაქტიკულად მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრება.

თუ ბანდის წევრი ნებისმიერი სახით მონაწილეობდა მკვლელობაში (დაზარალებულის მიმართ ფიზიკურ ძალადობას იყენებდა, მსხვერპლს იტყუებდა, მკვლელებს ტრანსპორტით უზრუნველყოფდა და ა.შ.), ყველა თანამონაწილის ნამოქმედარი დანაშაულთა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს. რამდენადაც ბანდა წინასწარი შეთანხმებით ორგანიზებული ჯგუფია, მის წევრებზე გადანაწილებული როლები არ უნდა ახდენდეს გავლენას მკვლელობაში თანამონაწილეობის სახეზე. ის წინასწარი შეთანხმებით მკვლელობის ერთდროულად შემსრულებელ პირთა ჯგუფად უნდა განიხილებოდეს. თუ ბანდის წევრები არანაირად არ მონაწილეობდნენ თავდასხმაში, რომელსაც მკვლელობა მოჰყვა, ისინი პასუხს აგებენ ბანდიტიზმისათვის. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში გადასაწყვეტია საკითხი, მოიცავდა თუ არა ბანდიტის განზრახვა მკვლელობის ფაქტს.

რამდენადმე სხვაგვარად უნდა გადაწყდეს იმ პირის ქმედების სუბსუმციის საკითხი, რომელიც არ არის ბანდის წევრი. თუ ასეთი პირი ბანდის წევრებთან ერთად მონაწილეობდა ადამიანზე თავდასხმაში, რომელიც განზრახ იქნა მოკლული, იგი პასუხს აგებს მხოლოდ მკვლელობის ჯგუფურად ჩადენისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი). აქ გადასაწყვეტია ქმედების

სუბიექტური მხარის საკითხი. მიგვაჩნია, რომ სუბსუმცია ასეთივე უნდა იყოს იმ შემთხვევებშიც, როდესაც პირი, რომელიც არ არის ბანდის წევრი, ბანდის მიერ შეკვეთილ მკვლელობას ასრულებს. მართალია, თვითონ ბანდას თავდასხმა არ განუხორციელებია, მაგრამ დაქირავებული მკვლელი ხომ გამოიყენა. უნდა მივიჩნიოთ, რომ იგი მონაწილეობდა ბანდის მიერ მომზადებულ და ორგანიზებულ თავდასხმებში. ამიტომ მისი ქმედებები ბანდიტიზმის შემადგენლობას და შეკვეთილი მკვლელობის შემადგენლობას მოიცავს.

თუ პირი, რომელიც არ არის ბანდის წევრი, არ ასრულებს მკვლელობის ობიექტურ მხარეს, არ ახორციელებს მსხვერპლის სიცოცხლის ხელყოფისაკენ მიმართულ ფიზიკურ ძალადობას, უშუალოდ არ მონაწილეობს მკვლელობაში, მაგრამ ერთჯერად დახმარებას უწევს ბანდას (მაგალითად, ბანდიტები წინასწარ მკვლელობის ადგილზე მიჰყავს, უთმობს მათ ბინას და ა.შ.), ასეთი პირი უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მკვლელობის დამხმარე, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ ორგანიზებულ შეიარაღებულ ბანდას მკვლელობაში ეხმარება. თუ პირი ბანდას სისტემატურად ეხმარება, რაც ბანდის არსებობას და თავდასხმების განხორციელებას უზრუნველყოფს, იგი არსებითად ბანდის წევრად იქცევა.

### **§3. მიზნის და მოტივის პრობლემა ბანდიტიზმის სუბსუმციის დროს**

#### **3.1. თავდასხმა როგორც ბანდის მიზანი.**

ბანდიტიზმის სუბსუმციისას ყველაზე პრობლემურია ბანდიტური თავდასხმის ცნება. თავდასხმის საკითხი იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. ძირითადად ორი მიმართულება შეინიშნება: პირველს უნდა მივაკუთვნოთ კონცეფცია, რომლის თანახმად „თავდასხმის“ ცნება მოიცავს ბანდის მიერ ჩადენილ დანაშაულს, მეორეს კი უნდა მივაკუთვნოთ კონცეფცია, რომელსაც საპირისპირო პოზიცია უკავია.

ამ კონცეფციის თანახმად, ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაული „თავდასხმაში“ არ შედის.

როგორც აღნიშნეთ, „თავდასხმის“ კონსტრუქციის ადგილი ბანდიტიზმის შემადგენლობაში ბოლომდე არაა გააზრებული. ამის შედეგად მეცნიერებაში წარმოიშვა კითხვა: მოიცავს თუ არა „თავდასხმის“ ცნება იმ ქმედებებს, რომლებიც კოდექსის კერძო ნაწილის სხვადასხვა ნორმითაა გათვალისწინებული? მაგალითად, როცა ბანდას თავდასხმის პროცესში აჰყავს მძევალი, სჩადის მკვლელობას ან ჯანმრთელობის დაზიანებას და ა.შ., მოიცავს თუ არა „თავდასხმის“ ცნება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას ან ყაჩაღობას თუ ისინი ამ ცნების გარეთ უნდა იქნეს მოაზრებული?

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ნ. თოდუას მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სანქცია მნიშვნელოვნად მსუბუქია იმავე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სანქციაზე. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას თორმეტიდან ოც წლამდე, ხოლო მეორე ნაწილი – რვიდან თორმეტი წლამდე [7.594]. ამ კონსტრუქციასთან დაკავშირებით კრიტიკული მოსაზრება იმის გამოა გამოთქმული, რომ სანქციის დამძიმების მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლი დანაშაულთა ერთობლიობით სუბსუმციას მოითხოვს, თუ ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმას თან ახლავს ისეთი დანაშაულების ჩადენა, როგორცაა: ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება, ძალმომრეობითი სქესობრივი დანაშაული, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ძალმომრეობითი დანაშაული და სხვა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ “სისხლის სამართლის კერძო ნაწილის” სახელმძღვანელოში აღნიშნული მოსაზრების თანახმად, საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ უნდა ჩაითვალოს მართებულად, რადგანაც ბანდის მიერ მოწყობილი თავდასხმა სხვა არაფერია, თუ არა რაიმე ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა, და მისი სამართლებრივი შეფასება 224-ე მუხლშივე უნდა მოხდეს. თუკი ყოველგვარ ძალმომრეობით დანაშაულს ცალკე მუხლით მივცემთ სუბსუმციას, მაშინ საერთოდ რა მიზანი აქვს 224-ე მუხლის არსებობას. ამდენად, ამ მუხლის ორ ნაწილად გაყოფა გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს [7.595].



მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი არგუმენტაცია მიუღებელია, რადგან არ ითვალისწინებს თავდასხმის ცნების თავისებურებას. ბანდის შექმნა 224-ე მუხლში ძირითადი შემაღგენლობაა. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილში კი იგულისხმება, რომ ბანდას შეუძლია ობიექტურად და სუბიექტურად შექმნას საშიში გარემო, რომელსაც რეალურად შეიძლება მოჰყვეს ფიზიკური ძალადობა დაზარალებულის მიმართ, თუ იგი წინააღმდეგობის გაწევას ეცდება. ბანდიტური ჯგუფის მუქარა აუცილებლად გულისხმობს კონკრეტულ ადრესატს, რადგან დაზარალებულის მიერ აღქმული მუქარა არის ინფორმირება იმის თაობაზე, რომ მის მიმართ ძალადობის გამოყენების რეალური საშიშროება არსებობს. თავდასხმა კი შეიძლება იმ ფორმითაც მოხდეს, როცა დაზარალებული არ ფიქრობს და არც შეიძლება ფიქრობდეს საშიშროებაზე (სამალავიდან დამიზნება, უკნიდან დანით მიპარვა და ა.შ.). მსგავს შემთხვევაში ძალადობა ჯერ კიდევ არაა გამოყენებული; არც მუქარაა, რომელსაც დაზარალებული რეალურ საშიშროებად აღიქვამდა, ხოლო თავდასხმა, მიუხედავად ყველაფრისა, რეალურად არსებობს. თავდამსხმელი მზადაა გამოიყენოს ძალადობა არა მარტო დაზარალებულის, არამედ სხვა ნებისმიერი პირის მიმართ, თუ ისინი წინააღმდეგობის გაწევას, დანაშაულის განცხადებას ან ნივთის გატაცებისათვის ხელის შეშლას შეეცდებიან [6.25-30].

სსკ-ს 224-ე მუხლით აღწერილი ქმედება წარმოადგენს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს. როგორც თ. ცქიტიშვილი აღნიშნავს, “აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში კანონმდებელი დასჯადად აცხადებს საკუთრივ მოქმედებას, რომელიც ხასიათდება საშიში თვისებებით. დანაშაულის შემაღგენლობა მთავრდება საკანონმდებლო შემაღგენლობაში, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში კანონმდებელი დასჯადად აცხადებს საკუთრივ მოქმედებას, რომელიც საშიში თვისებებით ხასიათდება. დანაშაულის შემაღგენლობა მთავრდება საკანონმდებლო შემაღგენლობაში აღწერილი ქმედების განხორციელებით და არ მოითხოვს შემდგომი შედეგის დადგომას ხელყოფის ან კონკრეტული საფრთხის სახით. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები მოიცავს ისეთ მოქმედებებს, რომელთა შემთხვევაში არც რეალური ხელყოფა და არც დაცული სამართლებრივი

სიკეთისათვის კონკრეტული საფრთხე არ უნდა არსებობდეს. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები ისეთ დელიქტებს ეწოდება, რომლებშიც საშიში სიტუაცია ქმედების შემადგენლობის ნიშანს კი არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ მოტივია, საფუძველია სისხლის სამართლის ნორმის არსებობისა” [79.196-225].

როგორც აღნიშნავს თ. ცკიტიშვილი, “აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების დროს კანონმდებელმა განსაზღვრული ქმედება იმდენად საშიშად მიიჩნია, რომ უარი თქვა კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებლობაზე. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს კანონმდებელი მაშინ მიმართავს, როცა საქმე ეხება განსაკუთრებული მნიშვნელობის სამართლებრივი სიკეთის დაცვას. რაც უფრო მნიშვნელოვანია სამართლებრივი სიკეთე, მით უფრო გამართლებულია კონკრეტული საფრთხის ნაცვლად აბსტრაქტული საფრთხის აკრძალვა. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს ასევე მიიჩნევენ ზენდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაცვის საკანონმდებლო მექანიზმადაც”. [79.196-225].

“აბსტრაქტული საფრთხის დანაშაულებში საფრთხე პრეზუმირებულია თვით კანონმდებლის მიერ. ასეთი შემადგენლობის შექმნის დროს, კანონმდებელი აღიარებს, რომ სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში აღწერილ ქმედებას ზოგადად, ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისად, შეუძლია ზიანი მიაყენოს სამართლით დაცულ განსაზღვრულ ინტერესს. ამიტომ, სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის ხელყოფის კონკრეტული ობიექტისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნის დადგენა და არც მისი უარყოფა. სასამართლოსთვის ასეთი უფლების მიცემა იქნებოდა კანონის რევიზია და დაუპირისპირდებოდა კანონმდებლის ნებას ქმედების დასჯაზე, რომლის ტიპიურად საშიში ხასიათი თვითონ დაადგინა. ამ მოსაზრებით აბსტრაქტული საფრთხის დანაშაული მიეკუთვნება ე.წ. ფორმალურ დანაშაულებს” [79.196-225].

ჩვენ კრიტიკულად განვიხილავთ მოსაზრებას, რომ ბანდის მიერ მოწყობილი თავდასხმა სხვა არაფერია, თუ არა რაიმე ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა. ასეთი მიდგომა არ ითვალისწინებს თავდასხმის თავისებურებას. უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ შეცდომას საქართველოს სასამართლო ორგანოებიც უშვებენ. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული პ. შ-ძის, ა.

ჭ.-შვილის, გ. ბ-ის და სხვათა საქმე ( 1423,9.12.08). ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... რამდენიმე მცხოვრებმა პირმა შექმნეს ბანდიტური დაჯგუფება, რომელმაც ხუთზე მეტი თავდასხმა განახორციელა. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ 2007 წლის განაჩენით მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 30 წლით 224-ე, 117-ე, 118-ე, 186-ე და 144-ე მუხლების საფუძველზე. საკასაციო საჩივარში მსჯავრდებულთა ინტერესების დამცველები აღნიშნავენ, რომ როდესაც ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმას თან ახლავს სხვადასხვა ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა, ქმედება ყველა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ-ის 224-ე მუხლით და დამატებითი სუბსუმცია შესაბამისი მუხლებით არ არის საჭირო. საკასაციო პალატა დაეთანხმა კასატორებს, ვინაიდან როდესაც ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმას თან ახლავს სხვადასხვა ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა (მოცემულ შემთხვევაში - მძევლად ხელში ჩაგდების მომზადება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ-ის 224-ე მუხლით და შესაბამისი მუხლებით დამატებითი სუბსუმცია საჭირო არ არის.

მიუღებელია ასევე ძალადობისა და თავდასხმის გაიგივება. ძალადობა შეიძლება ადამიანის მიმართ და არა ორგანიზაციის მიმართ. შენობის ან დაწესებულების მიმართ ძალადობის გამოყენება ნონსენსია. ორგანიზაციაზე თავდასხმა კი შესაძლებელია.

ბანდიტური თავდასხმის ბუნების განსაზღვრისას ზოგიერთი მეცნიერი ქმედების ობიექტის ანალიზს მიმართავს. მაგალითად, რუს მეცნიერს, ნ. კუზნეცოვას მიაჩნია, რომ ბანდის მიერ ჩადენილ დანაშაულთა (მკვლევლობების გარდა) ობიექტები ბანდიტიზმის ობიექტში შემადგენელი კომპონენტების სახით შედის და ამიტომ კარგავს დამოუკიდებლობას. მისი აზრით, თავდასხმის ცნება ნებისმიერ ძალადობრივ დანაშაულს მოიცავს. მაგალითად, ნ. კუზნეცოვა ფიქრობს, რომ ყაჩაღობის ობიექტი კარგავს დამოუკიდებლობას, რადგანაც ბანდიტიზმის შემადგენელ ობიექტში შედის. ანალოგიურად მსჯელობს იგი ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ბანდიტები იპარავენ და ცეცხლს უკიდებენ მანქანას და ა.შ. მეორე მხრივ, მეცნიერის აზრით, ზოგიერთ შემთხვევაში გამორიცხულია „ობიექტების

შთანთქმის“ პრინციპის გამოყენება. მაგალითად, ბანდის წევრი შურისძიების მოტივით, საკუთარი ინიციატივით წვავს თავისი ნათესავის ავტომანქანას [28.274-280].

გამოთქმულ მოსაზრებას შეიძლება ნაწილობრივ დავეთანხმეთ. დანაშაულის ზოგიერთი შემადგენლობა ორ ან მეტ უშუალო ობიექტს ითვალისწინებს. მათ შორის არის გარკვეული კავშირი, რომელიც ნორმის კონსტრუქციით არის დადგენილი. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება (ყაჩაღობა) მიმართულია როგორც საკუთრების, ისე პიროვნების წინააღმდეგ. ტერორიზმი ითვალისწინებს აფეთქებას, ცეცხლის წაკიდებას, სხვა ქმედებებს, რომლებიც ადამიანთა სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ან/და საზოგადოებისათვის სხვა საშიშ შედეგს იწვევს და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როდესაც ბანდიტურ თავდასხმაზე ვსაუბრობთ, უნდა ვიგულისხმოთ საშიში გარემოს შექმნა, რომელსაც შეიძლება დანაშაულიც მოჰყვეს. ამ „გარემოს“ არსებობას გარკვეული თავისებურება ახასიათებს. ბანდიტური თავდასხმა შეიძლება ნებისმიერი დანაშაულის გზით განხორციელდეს. მაგალითად, ერთ ეპიზოდში დამნაშავე მსხვერპლს პოლიეთილენის პარკს ჩამოაცემევს ან ძალის გამოყენებით თავს წყალში ჩააყოფინებს, რათა მისგან საჭირო ინფორმაცია მიიღოს. მეორე ეპიზოდში კი ბანდა ღამით ბინაში შეცვივდება და მსხვერპლს თავს არტყმევინებს კედელზე, ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას მიაყენებს და ა.შ. ამ შემთხვევებში თავდასხმა სხვადასხვა სახის დანაშაულის გზით არის განხორციელებული, მაგრამ იმის მტკიცება, რომ თავდასხმა ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულია, სწორი არ იქნებოდა. ბანდიტური თავდასხმა და ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაული ერთმანეთს არ ემთხვევა. ამიტომ ამ შემთხვევაში ობიექტების შთანთქმაზე საუბარი არ შეიძლება.

მიგვაჩნია, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ბანდამ შეიძლება ნებისმიერი დანაშაული ჩაიდინოს. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ ბანდისათვის ტიპურია ან მკვლელობის, ან ყაჩაღობის, ან ცეცხლის წაკიდების და თავდასხმის განხორციელების სხვა რომელიმე ხერხი. ბანდიტური თავდასხმის განსახორციელებლად შეიძლება ნებისმიერი დანაშაული იქნეს

გამოყენებული. დანაშაული, როგორც თავდასხმის გამოვლინების ხერხი, შესაძლოა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შედეგად იცვლებოდეს. ერთ სიტუაციაში ბანდისათვის ხელსაყრელია სიცოცხლის მოსპობა, ხოლო სხვა სიტუაციაში – ყაჩაღობა და ა.შ. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული დანაშაული არ არის თავდასხმის განხორციელების სპეციფიკური კომპონენტი.

თავდასხმის მართლწინააღმდეგობის განსაზღვრისას ქართველი კანონმდებლის პოზიცია მთლიანად ემთხვევა გერმანული დოქტრინის პოზიციას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის §32-ის თანახმად, თავდასხმა (Angriff) სამართლებრივი სიკეთისთვის შეგნებული საშიშროებაა [192]. ამასთან დაკავშირებით გერმანელი მეცნიერები ორ პრობლემას წყვეტენ. პირველი მათგანი მიეკუთვნება უკვე განხორციელებულ ქმედებათა შეფასებას, მეორე – თავდასხმის შედეგის შეფასებას. ამასთანავე, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ დეტალს. გერმანელ მეცნიერთა აზრით, თავდასხმა მაშინ წყდება, როცა იგი სიკეთის უშუალო ხელყოფაში გადაიზრდება [68.101-102]. მაგალითად, ბანდიტურმა ჯგუფის წევრმა ჩაიღინა მკვლელობა და ა.შ.

ა. რაროგას, ა. ჩუჩაევის მოსაზრების თანახმად, კანონმდებელმა „თავდასხმის“ ცნებაზე უარი უნდა თქვას და „ძალადობის“ ცნება უნდა შემოიღოს, რადგან თავდასხმა ყოველთვის ძალადობის გამოყენების გზით ხორციელდება [52.343-350; 42.496]. საპირისპირო პოზიცია უკავია პაგაპოვს, რომელსაც მიაჩნია, რომ თავდასხმა არის ბანდის მიერ განხორციელებული მუქარა [80.11]. მაგრამ, როგორც მომდევნო ანალიზი გვიჩვენებს, თავდასხმის ცნების დაზუსტების ცდა ზუსტი დეფინიციის მოცემით არ სრულდება, რადგან ეს ცნება უფრო ბუნდოვანი და გაურკვეველი ხდება.

თუ „ძალადობის“ კონცეფციის მომხრეთა პოზიციას დავეთანხმებით, ლოგიკურად მივდივართ აბსურდულ დასკვნამდე, რომ ორგანიზაციის ცემა შესაძლებელია. ცემა ხომ ძალადობის კომპონენტია. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება გავიზიაროთ მოსაზრება, რომ თავდასხმასა და ძალადობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

მაგრამ ეს სულაც არ გამორიცხავს (რადგან ისინი ერთმანეთს მთლიანობაში მაინც არ ემთხვევიან) ძალადობის თავდასხმისაგან დამოუკიდებლობას [113.79-81]. სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული, რომ ძალადობა თავდასხმასთან არ უნდა გაეაიგივოთ [15.462].

თუ „მუქარის“ კონცეფციის მომხრეთა პოზიციას დავეთანხმებით, არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რადგან ორგანიზაციის მიმართ მუქარა უნდა დაგუშვათ. მუქარა ძალადობის გამოყენებით შეიძლება ორგანიზაციის ხელმძღვანელის წინააღმდეგ იყოს მიმართული, თუმცა ორგანიზაციასთან მიმართებით შესაძლებელია სხვა აქტები: ქონების განადგურება, საქონლის მოხვეჭა და ა.შ. ნათელია, რომ ორგანიზაციის ქონების განადგურების მუქარა და პირის მიმართ ძალადობის გამოყენება თავისი ბუნებით სხვადასხვა აქტია.

აღსანიშნავია, რომ ძალადობისა და თავდასხმის გაიგივება არ ითვალისწინებს ქმედების ობიექტური შემადგენლობის თავისებურებას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი დანაშაულის უმთავრესი და მნიშვნელოვანი ნიშნის – ქმედების შემადგენლობის (Tatbestand) დადგენას მოითხოვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბანდიტიზმის ყველა ობიექტური და სუბიექტური ნიშანი უნდა გვაინტერესებდეს, რომლებიც მხოლოდ კანონშია აღწერილი.

თუ შესაბამის ნორმას მივმართავთ, ვნახავთ, რომ “ბანდიტიზმის” დეფინიციაში აღწერილია სწორედ “თავდასხმა” და არა “ძალადობა”. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლში (ყაჩაღობა) კი თავდასხმის განსხვავებულ ინტერპრეტაციას ვხედავთ. ამ მუხლის მიხედვით, თავდასხმა ჩადენილი უნდა იყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დანაშაულის ნიშანი – ქმედების შემადგენლობა, ნათელი ხდება შემდეგი კაზუსის ამოხსნისას: თუ ჯგუფი სახლში ყაჩაღური თავდასხმისათვის შეიჭრა, მაგრამ მცხოვრებლები იქ არ დახვდნენ, ყაჩაღობის შემადგენლობა განხორციელებულად არ უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ქმედების ობიექტური შემადგენლობა არ შესრულებულა.

თუმცა ანალოგიურ სიტუაციაში ბანდიტური თავდასხმა განხორციელებულად იქნება მიჩნეული, რადგან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის თანახმად, “თავდასხმა” აუცილებლად არ მოითხოვს ძალადობის გამოყენებას. თავდასხმა შესაძლებელია ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის გარეშე, მაგალითად, ქონების განადგურების გზით და სხვა.

თავდასხმა შეიძლება გამოიხატოს არა მარტო ძალადობით, არამედ ასევე ქონების, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო საშუალების განადგურებით (აფეთქებები ოფისში, ბინაში, ავტომობილების დაწვა, სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება და ა.შ.). ამიტომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბანკზე, საწარმოზე, ბინაზე ბანდიტური თავდასხმა განხორციელდა, თუნდაც იქ არ აღმოჩენილიყვნენ ადამიანები და მათ მიმართ ძალადობა არ გამოყენებულყო [80.19].

თავდასხმისა და ძალადობის გაიგივების მომხრეთა აზრით (ი. სკურატოვის, ვ. ლეხედავას და სხვ.), თავდასხმა ძალადობის ან ძალადობის გამოყენების მუქარის გარეშე სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას კარგავს. თავდასხმა, რომელიც არ არის დაკავშირებული დამნაშავეს აგრესიულ ძალადობრივ ქცევასთან, ყოველგვარ აზრს მოკლებულია [27.141]. ერთი წუთით დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ვუპასუხოთ კითხვას: ძალადობის რომელი აქტია ბანდიტების თავდასხმის სპეციფიკური ფორმა? ხომ შეიძლება თავდასხმა განხორციელდეს ცემით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლი), წამებით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლი), ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლები) და ა.შ. ამ კითხვაზე პასუხები მათ კვლევებში არ მოიძებნება.

თავდასხმის ცნების ირგვლივ დისკუსია “სასამართლოების მიერ ბანდიტიზმისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონმდებლობის გამოყენების

პრაქტიკის შესახებ” რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1997 წლის 17 იანვრის დადგენილების მიღების შემდეგ გამწვავდა. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლი (ბანდიტიზმი), რომელიც ადგენდა პასუხისმგებლობას ბანდების შექმნისათვის, მათი ხელმძღვანელობისათვის ან მათ მიერ ჩადენილ თავდასხმებში მონაწილეობისათვის, არ ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ბანდის წევრის მიერ ჩადენილი ქმედებებისათვის, რომლებიც დამოუკიდებელ შემადგენლობას ქმნის. დადგენილების თანახმად, ასეთ შემთხვევებში უნდა ვიხელმძღვანელოთ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის დებულებით, რომლის მიხედვითაც, დანაშაულთა ერთობლიობისას პირი პასუხს აგებს ყოველი ცალკე აღებული დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმის ან/და ნორმის ნაწილის მიხედვით.

აღნიშნული დადგენილების მოთხოვნამ რუსულ მეცნიერებაში ურთიერთ საპირისპირო მიდგომები წარმოშვა. კერძოდ, ერთი მიდგომის მიხედვით, ბანდიტიზმის ნორმამ უნდა მოიცვას სხვა შემადგენლობა, რომელიც ადგენს უფრო ნაკლები სიმძიმის პასუხისმგებლობას, ვიდრე ბანდიტიზმის ნორმა ითვალისწინებს. მაგალითად, მკვლელობისათვის სანქცია უფრო მკაცრია, ვიდრე ბანდიტიზმისათვის. ამიტომ საქმე გვაქვს დანაშაულთა ერთობლიობასთან [87.25].

მოცემული დებულების პრაქტიკულ რეალიზაციას დანაშაულის სუბსუმციისას სერიოზული დაბნეულობისაკენ მიყვავართ. ასეთ მეცნიერულ დებულებას ალბათ ვერ გამოვიყენებთ. მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ჯგუფურად ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სანქციაა შვიდიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 224-ე მუხლის მე-2 ნაწილი ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობისათვის სანქციად რვიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამასთანავე, ასეთი მიდგომა “ბანდიტური თავდასხმის” კონსტრუქციას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.



ეჭვს არ იწვევს, რომ თავდასხმა შესაძლოა ძალადობრივი იყოს, მაგრამ “ძალადობის” კონსტრუქცია აუცილებლად არ გულისხმობს ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებას. ხომ შეიძლება, ბანდიტი ცემით შემოიფარგლოს და ისე მიაღწიოს მიზანს. როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? სანქციის სიმძიმის განსაზღვრისათვის კრიტერიუმად ჯანმრთელობის დაზიანების გამოყენება საკითხის გადაწყვეტაში ალოგიზმებს წარმოშობს. ასეთ შემთხვევაში წამებაც (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლი) და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაც (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლი) ბანდიტიზმთან ერთობლიობას არ ქმნის, რაც კატეგორიულად არ უნდა დაგუშვათ.

ამ ნორმებით გათვალისწინებული აქტები თავიანთი შინაარსით სხვადასხვაგვარია. პიროვნების მიმართ ძალადობა შეუძლებელია ცემის გარეშე. აღსანიშნავია, რომ თავდასხმის სუბსუმციის დროს ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ხარისხს მნიშვნელობა არა აქვს. ანალოგიურად უნდა ვიმსჯელოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლების გამოყენებაზე. მაგალითად, ბანდიტური ძალადობრივი თავდასხმა შეიძლება წამების გარეშე განხორციელდეს, თუმცა მიზნის მისაღწევად ამ საშუალების გამოყენებაც შესაძლებელია.

სხვა მიდგომის მიხედვით, ბანდიტური თავდასხმის ცნების გარკვევისათვის გასათვალისწინებელია მთელისა და ნაწილის კონკურენციის პრინციპი. ყაჩაღობასთან, ძარცვასთან და სხვა დანაშაულებთან შედარებით უფრო ფართოა და სრული, მაგალითად, მასობრივი არეულობის და ხულიგნობის, ან ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ობიექტი. ამ მიდგომის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ერთ-ერთი დანაშაულის ობიექტი შეიძლება მეორე დანაშაულის ნაწილი იყოს, ისევე, როგორც ერთი დანაშაულის ობიექტური მხარე – მეორე დანაშაულის ობიექტური მხარის ფრაგმენტი [28.25]. თუმცა ამ გადაწყვეტილებასაც არ შეუძლია მოგვცეს თავდასხმის ადეკვატური ცნება, რადგან შემოთავაზებული გადაწყვეტილება ზემოთ განხილულ მიდგომას იმეორებს.

ჯანმრთელობისათვის განზრახ მიყენებული ზიანი რეალურად შეიძლება ბანდიტური ძალადობის ფრაგმენტი იყოს. თუმცა აქ არ მოქმედებს “მთელისა და ნაწილის კონკურენციის” ინსტიტუტი, რადგანაც ჯანმრთელობისათვის მძიმე დაზიანების მიყენება არ შეიძლება ქმედების ობიექტური მხარის შემადგენელი ელემენტი იყოს. კანონში არ არის იმაზე მითითება, რომ ბანდიტური თავდასხმა აუცილებლად ჯანმრთელობისათვის მძიმე დაზიანების მიყენების გზით უნდა განხორციელდეს და ა.შ.

ამ მხრივ საინტერესოა გერმანელ მეცნიერთა ი. ვესელსისა და ვ. ბოილკეს, მოსაზრება. მათი აზრით, შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როდესაც განხორციელებული შემადგენლობა აუცილებლად არ მოიცავს ამის შემდეგ განხორციელებულ სხვა ქმედების შემადგენლობას. მაშასადამე, გვხვდება კონსუმფციის შემთხვევა (ლათინური სიტყვიდან “Consumptio”, რაც “მოთხოვნას”, “გამოყენებას” ნიშნავს) [73.276]. გერმანელ მეცნიერთა აღნიშნული შეხედულება ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან თავდასხმისას ბანდამ შეიძლება პიროვნებას ჯანმრთელობას მძიმე დაზიანება მიაყენოს, მაგრამ შესაძლოა ასეთ საშუალებას არც მიმართოს. ანალოგიურად, ბანდამ შეიძლება მიმართოს მკვლელობას, როგორც მიზნის მიღწევის საშუალებას, მაგრამ შესაძლებელია სულაც არ გამოიყენოს ასეთი საშუალება და ა. შ. ამიტომ ბანდის მიერ ჩადენილ დანაშაულს თავდასხმასთან კონსუმფციური ურთიერთობა აქვს. თავდასხმის განხორციელების ფორმა ნებისმიერი დანაშაული შეიძლება იყოს.

ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ კონკრეტულ დანაშაულში არ არის თავდასხმის სპეციფიკური ნიშნები, რადგან თავდასხმა შეიძლება განხორციელდეს როგორც მკვლელობის, ისე ყაჩაღური თავდასხმის ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების გზით. ფილოსოფიური კუთხით რომ შევხედოთ, ეს დანაშაულები თავდასხმის გამოვლინების ფორმას ქმნის. თავდასხმა შეიძლება განხორციელდეს როგორც ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, ისე მკვლელობის ფორმით. ბანდიტურ

თავდასხმასთან გვექნება საქმე როგორც ყაჩაღობის ჩადენისას, ისე იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას აყენებენ.

როგორც ჩანს, ნებისმიერი დანაშაული საკმარისია იმისათვის, რომ ქმედებათა ერთობლიობით სუბსუმცია მოვახდინოთ. ამასთანავე, ბანდიტური თავდასხმის არსი უცვლელია, თუმცა იცვლება მისი განხორციელების ფორმები: რკინიგზის ლიანდაგების განადგურება; ბიზნესმენტა რეკეტი, რათა მათ ბანდიტებს ფული გადაუხადონ; თანამდებობის პირის მოშორება მისი სახლის აფეთქების საშუალებით; საწარმოს დამფუძნებლისადმი მუქარა ძალადობით ან ავტოგასამართი სადგურის აფეთქების გზით ქონების განადგურება; ოჯახის წევრების მიმართ მუქარა, რათა ხელმძღვანელმა პირმა რამდენიმე თვით არ განახორციელოს საინვესტიციო ფონდის საქმიანობა; მერობის კანდიდატზე ფსიქიკური ზემოქმედება, რათა მან მოხსნას თავისი კანდიდატურა და მოუწოდოს საკუთარ ამომრჩევლებს, მხარი ბანდისათვის სასურველ კანდიდატს დაუჭირონ; შინაგან საქმეთა სამმართველოს სპეციალური დანიშნულების ბატალიონის უფროსზე თავდასხმის ცდა ბანდის წევრის გათავისუფლების მიზნით; მოსამართლეზე თავდასხმის ცდა, რათა მან უარი თქვას ბანდის ერთ-ერთი ლიდერის მიმართ აღმკვეთი ზომის გამოყენებაზე და ა.შ.

უფრო მეტიც, ბანდამ შეიძლება ისეთი ეკონომიკური დანაშაული ჩაიდინოს, რომელსაც თავდასხმასთან არანაირი კავშირი არა აქვს, მაგალითად ქურდობა არ არის თავდასხმის ფორმა და ა.შ.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლი არ მოიცავს 109-ე, 117-ე და სხვა მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს. მთლიანისა და ნაწილის კონკურენციის წესები შეიძლება მაშინ გამოყენებულიყო, თუ დავუშვებდით, რომ მაგალითად, მკვლელობა ბანდიტური თავდასხმის განხორციელების ერთადერთი ხერხია. მაშინ შეგვეძლო გვემტკიცებინა, რომ ბანდიტური თავდასხმის ნორმა მკვლელობის შესახებ ნორმას

მოიცავს. თუმცა ასეთი ლოგიკა არ შეიძლება გამოვიყენოთ ბანდიტური თავდასხმის მიმართ, რადგანაც იგი შეიძლება მკვლელობის ჩადენის გარეშე განხორციელდეს, მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ან სხვა დანაშაულის გზით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბანდიტურ თავდასხმასთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაშიც, როდესაც აფეთქებენ ან წვავენ ოფისს, ბინას, ავტომანქანას, ხოლო მოქალაქეები ამ დროს არ ზარალდებიან. თავდასხმა შეიძლება განხორციელდეს ყაჩაღური თავდასხმისას ან ძარცვისას, დაწესებულებაზე ან მოქალაქეებზე თავდასხმისას, მატარებლის გაჩერებისას ან რკინიგზის ლიანდაგების დაზიანებისას, მიუხედავად იმისა, ამ თავდასხმას მკვლელობები და ძარცვები მოჰყვებოდა თუ არა. ანალოგიურად იცვლება თავდასხმის ფორმა საავადმყოფოზე თავდასხმისას ან მძევლების აყვანისას, ბანკზე შეიარაღებული თავდასხმისას და ა.შ.

თავდასხმის ცნების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი დამთავრება აუცილებლად არ გულისხმობს დანაშაულის გარკვეული ტიპის განხორციელებას. თავდასხმა შეიძლება განხორციელდეს ყაჩაღობით, მაგრამ შეიძლება არასოდეს განხორციელდეს მკვლელობის სახით და ა.შ. თავდასხმის თავისებურება ის არის, რომ მასში არ მოიაზრება გარკვეული ტიპის დანაშაული, როგორც სხვა შემთხვევაში. მაგალითად, “ქრთამის მიღება” შეუძლებელია მოაზრებულ იქნეს “ქრთამის მიცემის” ფაქტთან შეფარდების გარეშე და ა.შ. ქრთამის აღება ქრთამის მიუცემლად არ შეიძლება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლთან მიმართებით სხვა მდგომარეობა გვაქვს. ბანდიტური თავდასხმა შეიძლება იყოს ძარცვის გარეშე, მკვლელობის გარეშე და ა.შ.

თავდასხმა არის აგრესიული, არამართლზომიერი ქმედება, რომელიც რეალურ და უშუალო საფრთხეს ქმნის. ბანდიტიზმის დროს თავდასხმა შეიძლება მრავალი ფორმით გამოიხატოს. ბანდიტური თავდასხმისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო ფიზიკური, არამედ ასევე ფსიქიკური ძალადობა, რომელიც დაზარალებულის მიმართ დაუყოვნებელი ფიზიკური ძალის გამოყენების მუქარით გამოიხატება. მაგალითად, შეიარაღებული ბანდის წევრებმა შეამტვრიეს ფანჯრები,

კარები და შეცვივდნენ შენობაში, სადაც ხალხია. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს თავდასხმასთან, დაზარალებულზე ფსიქიკური ძალადობის ზეგავლენით, თუნდაც დაზარალებულის მიმართ არ ყოფილიყო გამოყენებული ფიზიკური ძალადობა.

მაშასადამე, ბანდის მიზანი სწორედ თავდასხმაა, ხოლო დროისა და ადგილის შესაბამისად შერჩეული კონკრეტული დანაშაული თავდასხმის განხორციელების ხერხია. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის დეფინიციას, რომელშიც “ბანდიტიზმი” განსაზღვრულია, როგორც ორი ან მეტი პირის ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფში (ბანდაში) გაერთიანება დანაშაულის ჩადენის მიზნით. აღნიშნული ნორმის ტექსტი ყოველთვის წარმოშობს კითხვას: რომელი დანაშაულის ჩადენაა ბანდის მიზანი? ამ შემთხვევაში ლატვიელ კანონმდებელს შემოაქვს ე.წ. არაფრისმთქმელი ცნება, რომელიც არ შეესაბამება ბანდიტური თავდასხმის ბუნებას.

თავდასხმის ცნებასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ქართველ მეცნიერს, რამაზ კვარაცხელიას. მისი ნაშრომი ყაჩაღობას ეძღვნება, მაგრამ მასში თავდასხმის ცნება საინტერესოდ არის გაშუქებული. რ. კვარაცხელია მართებულად აღნიშნავს, რომ კვლევის თვალსაზრისით ყოველ დანაშაულში არსებული თავდასხმა მოითხოვს თავისებურ განმარტებას, რადგან თითოეული დანაშაულის ბუნება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სიტყვა “თავდასხმა” არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკურ მოქმედებას, რომელიც გამოიხატება ადამიანის მოქმედებით. ის შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა სახით, ოღონდ გააჩნია კონკრეტულ სიტუაციასა და დანაშაულის ხასიათს. რ. კვარაცხელიას აზრით, თავდასხმა წარმოადგენს დაზარალებულზე ძალდატანებით ზემოქმედებას, მისი წინააღმდეგობის დასათრგუნად სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით. თავდასხმა არის მოქმედება, რომელსაც თან ერთვის ძალადობა ან ძალადობის მუქარა. ამიტომ თავდასხმა მოიცავს ორ მომენტს: 1) დაზარალებულთან უეცარ, მოულოდნელ, უშუალო შეხვედრას; 2) ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის მოთხოვნის წაყენებას [6.25-30].

აღნიშნული მოსაზრება შეიძლება ბანდიტური თავდასხმის დახასიათებისას გამოვიყენოთ. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თავდასხმა შესაძლებელია მოხდეს წინასწარ მოფიქრებული გეგმით ან შემთხვევით. თავდასხმისას აუცილებელია ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარის ან ასეთი ძალადობის გამოყენება. პირველ შემთხვევაში ხდება ძალადობის მუქარა ადამიანის ფსიქიკაზე უშუალო ზემოქმედების გზით, ხოლო მეორე შემთხვევაში – ძალადობა ადამიანის სხეულზე უშუალო შეხების გზით. თავდასხმა ფაქტობრივად იწყება დაზარალებულთან შეხვედრით და მისთვის გარკვეული მოთხოვნის წაყენებით, რომელსაც ახლავს ჯანმრთელობისათვის ან სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა, რომელიც დაზარალებულის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ჯანმრთელობისათვის ან სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით მთავრდება.

აქვე მნიშვნელოვანია შემდეგი მოსაზრება. კერძოდ, იმისათვის, რომ მოთხოვნა დაზარალებულის იძულების საშუალება გახდეს, აუცილებელია თავდამსხმელმა ფსიქიკური ძალადობა გამოიყენოს. თუ ამან შედეგი არ გამოიღო და დაზარალებულმა თავდამსხმელს არ გადასცა მოთხოვნილი ნივთი, თავდამსხმელი ძალადობაზე გადადის. ამიტომ “თავდასხმაში” შეიძლება ვიგულისხმოთ ობიექტურად და სუბიექტურად საშიში გარემოს შექმნა, რომელსაც რეალურად შეიძლება მოჰყვეს ფიზიკური ძალადობა დაზარალებულის მიმართ, თუ იგი წინააღმდეგობის გაწევას ეცდება. თავდასხმაში ჩამალული ძალადობის საშიშროება შეიძლება სწრაფად განხორციელდეს დაზარალებულზე ფიზიკური ზემოქმედების გზით. ე.ი. თავდასხმა ყოველთვის უთავსდება ისეთ ძალადობას, რომელსაც თავდამსხმელი ძალადობის ან იარაღის გამოყენებით ან/და უშუალოდ ძალადობის გამოყენების მუქარით ახორციელებს.

ბანდიტურ თავდასხმასთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაში, თუ ის რომელიმე სხვა დანაშაულში არ გადაიზარდა, მაგალითად, ჩასაფრების ან ჯანმრთელობისათვის

საშიში ძალადობის მუქარის დროს. ბანდიტური ჯგუფის მუქარა აუცილებლად გულისხმობს კონკრეტულ ადრესატს, რადგან დაზარალებულის მიერ აღქმული მუქარა არის ინფორმირება იმის თაობაზე, რომ მის მიმართ ძალადობის გამოყენების რეალური საშიშროება არსებობს. როგორც ავღნიშნეთ, თავდასხმა შეიძლება იმ ფორმითაც მოხდეს, როცა დაზარალებული არ ფიქრობს და არც შეიძლება ფიქრობდეს საშიშროებაზე (სამალავიდან დამიზნება, უკნიდან დანით მიპარვა და ა.შ.). მსგავს შემთხვევაში ძალადობა ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული; არც მუქარაა, რომელსაც დაზარალებული რეალურ საშიშროებად აღიქვამდა, ხოლო თავდასხმა, მიუხედავად ყველაფრისა, რეალურად არსებობს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ყოველთვის ყველა ძალადობა არ ხორციელდება თავდასხმის ფორმით; ძალადობა თავდასხმაში მხოლოდ იმ შემთხვევებში გადადის, როდესაც ის რაღაცით უთავსდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევას. თავდამსხმელი მზადაა გამოიყენოს ძალადობა არა მარტო დაზარალებულის, არამედ სხვა ნებისმიერი პირის მიმართ, თუ ისინი წინააღმდეგობის გაწევას, დანაშაულის განცხადებისათვის ან ნივთის გატაცებისათვის ხელის შეშლას შეეცდებიან.

ბანდიტური თავდასხმის მართლწინააღმდეგობა იმაშიც ჩანს, რომ ის არის არა ერთ აქტიანი მოქმედება, რომელიც ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის გამოყენებით ამოიწურება, არამედ დაზარალებულზე ზემოქმედების პროცესი, რომელშიც იმალება რეალური საშიშროება ძალადობის გამოყენებისა მთელ გარკვეულ დროის მონაკვეთში, სანამ თავდასხმა გრძელდება. ამიტომ “თავდასხმა” არის ცნება, განუყრელად დაკავშირებული ძალადობასთან, მაგრამ მაინც არ არის მასთან გაიგივებული. სწორედ ამიტომ საუბრობს კანონი თავდასხმაზე (ყაჩაღობის შემთხვევაში – ძალადობით ჩადენილზე).

ჩვენ ვიზიარებთ რ. კვარაცხელიას მოსაზრებას, რომ თავდასხმად შეიძლება ვაღიაროთ ისეთი მოქმედება, რომელიც დაზარალებულისათვის უეცრად, უშუალოდ მოთხოვნის წაყენებით ხასიათდება და რომელსაც თან ახლავს

ჯანმრთელობისათვის ან სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა ან ასეთი ძალადობის გამოყენება [6.25-30].

## თავი IV

### ბანდიტიზმის სუბსუმციის სპეციალური საკითხები

§1. ბანდიტიზმის გამიჯვნა მსგავსი დანაშაულების შემადგენლობათაგან



ბანდიტურ თავდასხმას შეიძლება წინ უძღოდეს მუქარა. მაგალითად, ბანდა შესაძლოა სიცოცხლის მოსპობით, ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით ან ქონების განადგურებით იმუქრებოდეს. ყველა შემთხვევაში ბანდის მუქარის შედეგად ნებისმიერ პირს შეიძლება გაუჩნდეს მისი განხორციელების დასაბუთებული შიში. უკვე ის ფაქტი, რომ ასეთი მუქარა ბანდიტური ჯგუფიდან მომდინარეობს, მოსახლეობაში იწვევს შიშს [58.18-38]. მაშასადამე, ნათელია, რომ მაშინ, როცა ბანდის წევრებს ჯერ კიდევ არ გამოუყენებიათ ფიზიკური ძალადობა, არსებობს ფსიქიკური ძალადობა, რომელიც დაზარალებულისკენაა მიმართული. ამიტომ გასარკვევია, როგორ უნდა განხორციელდეს სუბსუმცია ამ შემთხვევაში.

მუქარა არის მოქმედება, როდესაც იმას, ვისაც სიცოცხლის მოსპობით ან ჯანმრთელობის დაზიანებით ან/და ქონების განადგურებით ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლი). ბანდიტური ჯგუფის წევრის მუქარა შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი ან სატელეფონო საუბრით, წერილის მიწერით, იარაღის დემონსტრირებით და ა.შ. მუქარა შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლი მხოლოდ სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ან/და ქონების განადგურების დაპირების შედეგად წარმოშობილ საფუძვლიან შიშს ითვალისწინებს. გასაგებია, რომ ბანდიტური ჯგუფის მუქარა მეტად საფუძვლიანია. მაგრამ როგორ უნდა განვახორციელოთ სუბსუმცია, თუ ბანდიტი არ შეუდგა შეპირებული მუქარის განხორციელებას, ან იმ შემთხვევაში, როდესაც ის შეუდგა მუქარის განხორციელებას? მაგალითად, მაშინ, როდესაც ჯგუფი ვინმეს ჩაუსაფრდა.

ქართველი მეცნიერები (ო. გამყრელიძე და სხვ.) აღნიშნავენ, რომ თუკი დამმუქრებელი რეალურად შეუდგა შეპირებული მუქარის განხორციელებას, ე.ი. სიცოცხლის მოსპობას, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების მომზადებას ან მის მცდელობას, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება არა მუქარის მუხლით (სსკ-ის 151-ე მუხლი), არამედ შესაბამისი დანაშაულის (მკვლელობა,

ჯანმრთელობის დაზიანება, ნივთის დაზიანება ან განადგურება) მომზადებით ან მცდელობით. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს სხვა სამართლებრივი სიკეთის – სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების უფლების – ხელყოფას და ა.შ. ამიტომ ქმედებაც, შესაბამისად, სხვა მუხლით დაკვალიფიცირდება. როგორც კი დამმუქრებელი შეუდგება შეპირებული მუქარის განხორციელებას (მაგალითად, სიცოცხლის მოსპობა, შესაბამისად, მკვლელობისათვის მზადება), მუქარა მაშინვე გადაიზრდება შესაბამისი დანაშაულის მომზადებაში ან მცდელობაში. სწორედ ამიტომ აღარ არის საჭირო მუქარის მუხლზე დამატებით მითითება და ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს შესაბამისი დანაშაულის მომზადებით ან მცდელობით.

ასევე აღნიშნულია, რომ, როგორც იძულების, ისე მუქარის დროს, როდესაც იგი არის რომელიმე სხვა დანაშაულის შემადგენელი ნაწილი, უპირატესობა მიენიჭება მთელ ნორმას და ქმედება დაკვალიფიცირდება შესაბამისი მუხლით ისე, რომ მუქარის მუხლზე მითითება საჭირო არ არის. მაგალითად, მუქარა არის გაუპატიურების შემადგენლობის ნაწილი. ამიტომ ასეთ დროს ქმედება დაკვალიფიცირდება გაუპატიურების მუხლით და მუქარის მუხლზე მითითება საჭირო აღარ არის [2.284-286].

ბანდიტიზმის სუბსუმციის დროს ეს ზოგადი მოთხოვნა გათვალისწინებული უნდა იყოს. ბანდიტური თავდასხმა შეიძლება განხორციელდეს მუქარის სახითაც, რომლის ობიექტია ადამიანის ფსიქიკური ხელშეუხებლობა, მისი სიმშვიდე და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლება. მაგრამ მუქარა შესაძლოა არც იყოს ბანდიტური თავდასხმის შემადგენელი ნაწილი. ზოგჯერ მუქარამ შეიძლება ხელი შეუშალოს თავდასხმის განხორციელებას. მაგალითად, ბანდიტი ჩაუსაფრდა მეწარმეს მოკვლის მიზნით. მისი აზრით, ეს დანაშაული ფარულად უნდა განხორციელდეს, რადგან მუქარა ან მისი ზრახვების სხვა აქტიური გამოვლინება ხელს შეუშლის მისი მიზნის განხორციელებას. მეწარმემ შეიძლება დაცვა დაიქირაოს, სამართალდამცავ ორგანოებს მიმართოს და ა.შ. სხვა დროს ბანდისათვის უფრო უპრიანი იქნება მუქარის ხერხი. ამ შემთხვევაში ქმედება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირდება და 151-ე მუხლზე (მუქარა) მითითება საჭიროა. მაგრამ თუ ბანდიტი მუქარის განხორციელებას შეუდგება, მუქარა მაშინვე გადაიზრდება შესაბამისი დანაშაულის მომზადებაში ან მცდელობაში. ამ შემთხვევაში ქმედება დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ საქმე გვაქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობასთან? ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან/და ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან დაკავშირებით ქმედების სპეციალური შემადგენლობაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლთან შედარებით. ამიტომ გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე და 365-ე მუხლები.

განვიხილოთ ბანდიტიზმის ჯგუფური ყაჩაღობისაგან გამიჯვნის პრობლემა. ეს საკითხი საფუძვლიანად არის განხილული რ. კვარაცხელიას ნაშრომში. ამიტომ მის მოსაზრებას მთლიანად მოვიყვანთ [6.162-163].

მეცნიერი აღნიშნავს, რომ ბანდიტიზმისაგან ყაჩაღობის გამიჯვნის პრობლემა წამოიჭრება მაშინ, როდესაც საკითხი ეხება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ ყაჩაღურ თავდასხმას. ამიტომ აუცილებელია ამ ორი ქმედების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის მიხედვით, ბანდიტიზმი – ეს არის “მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა ან ხელმძღვანელობა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით, აგრეთვე ასეთ ჯგუფში (ბანდაში) ან მის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობა”.

კანონში პირდაპირ არის მითითებული პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზანი. ზ. მუჯანაძის აზრით, ბანდიტიზმის ობიექტური მხარე გამოიხატება სხვისი ქონების უკანონოდ ხელში ჩაგდებაში [8.282]. რ. კვარაცხელია არ ეთანხმება ზ. მუჯ-

ვანაძის მოსაზრებას, ვინაიდან არ შეიძლება ბანდიტიზმის ობიექტური მხარე მარტო ქონების ხელში ჩაგდება იყოს. ბანდიტური თავდასხმა გათვლილია უფრო შორს გამიზნულ და მასშტაბურად დიდ გეგმებზე. ასეთი შეიძლება იყოს ორგანიზაციის ფუნქციონირების შეწყვეტა თანამშრომლებზე თავდასხმის და დაშინების გზით, ასევე ისეთი ქმედებების ჩადენა, რომლებიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უშიშროებასა და წესრიგს [6.162-163]. გარდა ამისა, ბანდის ყველა წევრს თუ არა, ერთს მაინც უნდა ჰქონდეს იარაღი ანუ ბანდა შეიარაღებული უნდა იყოს. ასევე ბანდა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

ა) მონაწილეთა რაოდენობა. ბანდა შედგება ორი ან მეტი წევრისაგან;

ბ) ბანდის წევრების ერთმანეთთან კავშირის სიმყარე. იგი შეკრულია დიდი ხნის განმავლობაში. თუმცა შესაძლებელია ის არც იყოს დიდი ხნის განმავლობაში შეკრული. ამასთანავე, ჯგუფი მყარია მაშინ, როდესაც ჯგუფში მყოფ ადამიანებს აქვთ გარკვეულ ტერიტორიაზე რამდენიმე დანაშაულის ჩადენის მიზანი. ჯგუფური დანაშაულების საშიშროება მეტად მაღალია და შესაბამისად, კოდექსში მაკვალიფიცირებელ გარემოებად არის დასახელებული. [6.162-163].

ბანდასა და ორგანიზებულ ჯგუფს შორის დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ ყაჩაღობის ჩადენისას ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღობა რადიკალურად განსხვავდება ბანდიტიზმისაგან. ჯერ ერთი, ყაჩაღობის დროს ჯგუფის მიზანი ნივთის მისაკუთრებაა და სწორედ ამ მიზნით არის ის ორგანიზებული, ხოლო ბანდის ან მისი შექმნის მიზანი პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმაა. ყაჩაღობის დროს ნივთის მისაკუთრება თავდასხმის გზით ხდება, მაგრამ შეიძლება ეს ორგანიზებული ჯგუფი არ იყოს შეიარაღებული და შესაძლოა ჯგუფის წევრები ადამიანზე ფიზიკური ზემოქმედების ისეთ ილეთებსა და საშუალებებს ფლობდნენ, რომლებიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მეორე, ორგანიზებული ჯგუფის შექმნა ნივთის მისაკუთრების მიზნით არის ყაჩაღობის მომზადება, ხოლო ბანდის შექმნა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის

მიზნით – ბანდიტიზმი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბანდას შეიძლება ჰქონდეს ორგანიზებულობის ნიშანი ანუ ის გარკვეული დარგის სპეციალისტთა, საგანგებოდ შერჩეულ დამნაშავეთა და სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ ადამიანთა ჯგუფი იყოს.

განვიხილოთ ბანდისაგან უკანონო შეიარაღებული ფორმირების გამიჯვნის პრობლემა. ბანდიტურ დაჯგუფებასა და უკანონო შეიარაღებულ ფორმირებას მრავალი საერთო თვისება აქვს, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაც არსებობს. უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ საერთო ნიშნები:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე და 224-ე მუხლებში განიხილება უკანონო შეიარაღებული ფორმირების ნაირსახეობები – შესაბამისად, უკანონო ფორმირება და მყარი შეიარაღებული ჯგუფი (ბანდა). ორივე შემთხვევაში ხდება იარაღის თვითნებური გამოყენება;

- უკანონო შეიარაღებულ ფორმირებას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1. იგი აუცილებლად შედგება პირთა ჯგუფისაგან; 2. მას ჰყავს ხელმძღვანელი, რომლის ბრძანება ფორმირების წევრისათვის სავალდებულოდ ითვლება; 3. ეს ფორმირება აუცილებლად უნდა იყოს შეიარაღებული (ცეცხლსასროლი, ცივი იარაღით). ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, იარაღი ფორმირების წევრებს კანონიერად აქვთ შეძენილი თუ უკანონოდ. მთავარია ის, რომ თვით ფორმირებაა უკანონო (მაგალითად, უკანონო შეიარაღებული ფორმირება შეიძლება შექმნან პოლიციის ან სამხედრო ნაწილის თანაშრომლებმა, რომლებსაც იარაღი კანონიერად აქვთ შეძენილი). ასეთივე თვისებები გააჩნია ბანდიტურ დაჯგუფებას [7.469].

- უკანონო შეიარაღებული ფორმირების (ლაშქრის, გაერთიანების, რაზმის ან სხვ. ჯგუფის) შექმნა ნიშნავს ამ ფორმირებისთვის წევრების შეგროვებას, მათ გადმოზიდვას, იარაღის შეძენას, შეკრების ადგილის მოძიებას, საკუთარი წესდების შექმნას და ა.შ. ასეთი ფორმირების ხელმძღვანელობა გულისხმობს მის წევრებს შორის ფუნქციების განაწილებას, ბრძანების გაცემას, მისი შესრულების კონტროლს, სამოქმედო გეგმის შემუშავებას, ურჩ წევრთა დასჯას და ა.შ. შესაძლებელია ერთმა

პირმა შექმნას შეიარაღებული ფორმირება, ხოლო სხვამ უხელმძღვანელოს მას. ასევე შესაძლებელია ორივე ეს ფუნქცია ერთმა პირმა შეასრულოს. ამ შემთხვევაში მას ბრალად უნდა წაეყენოს, როგორც ამ ფორმირების შექმნა, ისე მისი ხელმძღვანელობა, რაც ზეგავლენას მოახდენს სასჯელზე. უკანონო შეიარაღებული ფორმირების ხელმძღვანელს პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ ფორმირების მიერ ჩადენილი ყველა ქმედებისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა (იმის მიუხედავად, თავად ის მონაწილეობდა თუ არა ამ ქმედებაში). ბანდიტურ დაჯგუფებას ეს თვისებაც ახასიათებს;

- დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა. იგი დამთავრებულად მიიჩნევა შეიარაღებული ფორმირების უკანონოდ შექმნის მომენტიდან, ან იმ დროიდან, როცა პირი ასეთი ფორმირების ხელმძღვანელობას დაიწყებს. მძიმე შედეგის დადგომა სავალდებულო არ არის. ანალოგიურად უნდა შეფასდეს ბანდიტური დაჯგუფებაც;

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი პირი 14 წლის ასაკიდან. ეს მოთხოვნა კოდექსის 224-ე მუხლზედაც ვრცელდება [7. 470];

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობისათვის. ასეთ მონაწილეობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც პირი რომელიმე უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის წევრი გახდება და ხელმძღვანელის დავალების შესრულებას დაიწყებს. ამასთანავე, მან ნამდვილად უნდა იცოდეს, რომ ეს ფორმირება უკანონოდ არსებობს და შეიარაღებულია. ეს მოთხოვნა კოდექსის 224-ე მუხლზედაც ვრცელდება;

განვიხილოთ განსხვავებები:

- სუბიექტური კუთხით, იგი პირდაპირი განზრახვით ხასიათდება: პირს შეგნებული

აქვს, რომ უკანონოდ ქმნის რომელიმე შეიარაღებულ ფორმირებას და სურს ეს მოტივი და მიზანი არ არის ამ დანაშაულისათვის მაკვალიფიცირებელი. მაგრამ განსხვავებაც არსებობს. კერძოდ, არ შეიძლება უკანონო შეიარაღებული ფორმირების მიზანი პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მოწყობა იყოს. სწორედ ამ მიზნით განსხვავდება იგი ბანდისაგან. ასევე არ შეიძლება მისი მიზანი ტერორისტული დანაშაულის ჩადენა იყოს. ასეთი მიზნის არსებობისას ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლით დაკვალიფიცირდება;

- უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნის მიზანი შეიძლება კრიმინალური ქმედების ჩადენა კი არ იყოს, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის საკუთარი ძალებით დაცვა, ქვეყნის ფაქტობრივად დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება, სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიზანი თავისთავად არც დანაშაულებრივია და არც ზნეობის საწინააღმდეგო, მისი მიღწევის ხერხი (უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა) მართლ-საწინააღმდეგოა. ბანდიტური ჯგუფის მიზანი ყოველთვის კრიმინალური ხასიათისაა;

- როგორც აღნიშნავენ, კანონში არ არის პირდაპირი მითითება ამ ფორმირების სიმყარის შესახებ, მაგრამ არ შეიძლება შეიარაღებულ პირთა ჯგუფი ჩაითვალოს ფორმირებად, თუ მის მიზანს ერთჯერადი საქმიანობა წარმოადგენს. ამდენად, სიმყარე ანუ ხანგრძლივი დროით თანამშრომლობა, ამ ფორმირების ერთ-ერთ ნიშნად უნდა ჩაითვალოს [7.469]. ზოგადად ეს მოსაზრება დავას არ იწვევს. მაგრამ მაინც გასარკვევია, როგორ უნდა გავიგოთ სიმყარის ცნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე და 224-ე მუხლების კონტექსტში.

კოდექსის 223-ე მუხლთან დაკავშირებით სიმყარე თავად ჯგუფის სტაბილურობას ნიშნავს. სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს 224-ე მუხლთან მიმართებით. ამ შემთხვევაში სიმყარის ცნება სხვანაირად უნდა გავიგოთ. ბანდიტური ჯგუფი მრავალი დანაშაულის ჩასადენად იქმნება. ამაშია მისი სიმყარის თვისება.

განვიხილოთ ბანდიტური ჯგუფის წევრობის ქურდული სამყაროს წევრობისაგან

(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup> მუხლი) გამიჯვნის პრობლემა. “ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ” საქართველოს კანონის (20.12.2005) თანახმად, ქურდული სამყარო არის პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი და აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად, რომლის მიზანია დამინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზებით მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება. ქურდული სამყარო გარკვეულწილად ბანდიტურ სამყაროს ემსგავსება: ამგვარი დაჯგუფების წევრობა განპირობებულია კრიმინალური სამყაროს წესებით, რომლებიც წევრისათვის სავალდებულოა. მონაწილეობა კი გულისხმობს აქტიურ მოქმედებას, რომელიც ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნებიდან გამომდინარეობს. მიუხედავად ამისა, ეს მსგავსება ზოგადია, რადგან მათ შორის განსხვავებებიც არსებობს:

- ბანდიტური ჯგუფისათვის აუცილებელი ნიშანია შეიარაღება, რაც ქურდული სამყაროსთვის დამახასიათებელი არ არის;
- ბანდის მიზანია თავდასხმების მოწყობა, ქურდული სამყარო კი უფრო მოგების მიღებასა და მის გადანაწილებაზეა ორიენტირებული. თავდასხმის მომენტი ქურდული სამყაროსთვის აუცილებელი არ არის;
- სპეციალური წესი მხოლოდ კონკრეტული ბანდის ფარგლებში მოქმედებს, ხოლო ქურდული წესები ქურდებისათვის საყოველთაო ხასიათისაა; უფრო მეტიც, ბანდაში სპეციალური წესი შეიძლება მხოლოდ ხელმძღვანელმა დააწესოს, ქურდული წესები კი სტიქიურად, კონკრეტული კრიმინალის გარეშე დგინდება;
- ქურდული სამყაროს მიზანია სარგებლის მიღება, რაც ბანდისთვის დამახასიათებელი არ არის. [7.475].

აღნიშნული განსხვავებები განაპირობებს იმას, რომ, თუ ქურდული სამყაროს წევრი მონაწილეობს ბანდაში, პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის



კოდექსის 223-1 და 224-ე მუხლებით უნდა დადგეს.

განვიხილოთ ბანდიტურ ჯგუფში მონაწილეობის რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობისაგან (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224<sup>1</sup> მუხლი) გამიჯვნის პრობლემა. 2004 წლის 24 ივნისის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილს დაემატა 17<sup>1</sup> მუხლი – “რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი”, ხოლო 2006 წლის 25 ივლისის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილს დაემატა 224<sup>1</sup> მუხლი – “რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა”.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 17<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, რეკეტი არის შემოსავლის (მაგალითად, ფულის) ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად (არანაკლებ სამჯერ) მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ ეს დანაშაული განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში (ამ დროში არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა). კოდექსის 224<sup>1</sup> მუხლის თანახმად კი, რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა ნიშნავს დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) რეკეტული დაჯგუფების საქმიანობის წარმართვას ან სხვაგვარ მონაწილეობას რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში, აგრეთვე დავების უკანონოდ გადაწყვეტას ან მონაწილეობას დავების უკანონოდ გადაწყვეტაში რეკეტულ დაჯგუფებათა ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირს შორის.

როგორც ჩანს, რეკეტი ბანდიტიზმისაგან მიზნით განსხვავდება. ბანდიტიზმის შემადგენლობაში ძირითადი მიზანია თავდასხმა, ხოლო ქონებრივი სარგებლის მიღება არის ბანდის ერთ-ერთი, ე.წ. ლოკალური მიზანი. რეკეტისათვის კი ეს მიზანი შემადგენლობის ძირითადი ელემენტია.

გარდა ამისა, ბანდიტიზმის დამთავრება შეუძლებელია თანამონაწილეობის გარეშე, რაც არ არის ტიპური რეკეტის დროს, რომელიც შეიძლება ერთპიროვნულადაც

განხორციელდეს. ამიტომ სადავოა მოსაზრება, რომ განზრახი დანაშაულის არაერთგზისი ჩადენა რეკეტად რომ ჩაითვალოს, რეკეტის საქმიანობა უნდა იყოს არა მარტო არაერთგზისი, არამედ ორგანიზებულიც (ორგანიზებული ჯგუფის ცნება მოცემულია 27-ე მუხლის მე-3 ნაწილში). ამიტომ რეკეტად ჩაითვლება არაერთგზისი და ორგანიზებულად მითვისების ჩადენა ორჯერ ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში [7.482]. ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 17<sup>1</sup> მუხლის შინაარსს, რადგან რეკეტის დამთავრება შეიძლება როგორც ერთპიროვნული ამსრულებლობის დროს, ისე თანამონაწილეობით.

განვიხილოთ ბანდიტიზმის ტერორიზმისაგან გამიჯვნის პრობლემა. იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში “ბანდიტიზმისა” და “ტერორიზმის” განსაზღვრებები გარკვეულწილად განსხვავდება. ბანდის შექმნა და ხელმძღვანელობა კოდექსის 224-ე მუხლის პირველ ნაწილშია აღწერილი, ბანდაში მონაწილეობა კი – მე-2 ნაწილში. ტერორისტულ აქტს 323-ე მუხლი ეხება, ხოლო ტერორისტული ორგანიზაციის შექმნას, ხელმძღვანელობას და მასში მონაწილეობას – 327-ე მუხლი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის თანახმად, ტერორისტული აქტი არის აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით.

ანალოგიური განსაზღვრებაა მოცემული “ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონში (27.06.2007). კანონის თანახმად, ტერორიზმი არის ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან

მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ან/და მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის.

აღნიშნული შემადგენლობები ერთმანეთისგან არაერთი ნიშნით განსხვავდება. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს უშუალო ობიექტის საკითხი. ბანდიტიზმის დროს ქმედება მიმართულია დაზარალებულის წინააღმდეგ, რომელთანაც დამნაშავე უშუალო კონტაქტში შედის. ტერორიზმის დროს კი დაზარალებული, როგორც წესი, დისტანცირებულია დამნაშავისაგან. ტერორისტი საზოგადოების ფართო ფენებზე ზემოქმედებს.

საინტერესოა ამსრულებლის თავისებურება. ტერორისტული აქტი შეიძლება ერთმა ამსრულებელმა განახორციელოს. ბანდიტიზმის წინაპირობა კი მხოლოდ თანამონაწილეობაა.

აღსანიშნავია, რომ ორივე შემადგენლობა ფინალურია. ამიტომ განსხვავება შემადგენლობის ისეთ მნიშვნელოვან ელემენტშიც უნდა ვეძებოთ, როგორიცაა მიზანი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლში აღწერილია სამი სპეციალური მიზანი: მოსახლეობის დაშინება, ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სახელმწიფოს სტრატეგიული, პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესის ხელყოფა. ტერორისტის მოქმედება გამიზნულია იმისთვის, რომ შიშის ზარი დასცეს საზოგადოებას და აიძულოს მესამე პირი (სახელმწიფო მართვის ორგანო და სხვა), მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება. ბანდის მოქმედების შედეგად მოსახლეობაში შეიძლება შიში წარმოიშვას, მაგრამ მისი წარმოშობა არ არის ბანდის ძირითადი მიზანი; აქ მთავარია თავდასხმა.

ორივე შემთხვევაში ობიექტური შემადგენლობა განსხვავდება ასევე სხვა ნიშნებით. ტერორიზმი შეიძლება გამოიხატოს მნიშვნელოვანი ობიექტების აფეთქებით, ხანძრით განადგურებით ან ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილვით, რომელიმე ობიექტის წყლით დატბორვით, ჩამონგრევით, ავარიით და ა.შ. დანაშაული დამთავრებულად ითვლება, თუ განხორციელდა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები, ან შეიქმნა საფრთხე მათი ჩადენისა, ადამიანთა დაღუპვისა ან მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანისა [10.487-493].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის განმარტებისას ქართველი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ დანაშაული ფორმალურია და დამთავრებულად ჩაითვლება ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის (მისი ხელმძღვანელობის) ან მასში გაწევრიანების მომენტიდან. ამ ორგანიზაციის მიერ კონკრეტული ტერორისტული აქტის განხორციელება სცილდება ამ შემადგენლობის ფარგლებს და იგი დამოუკიდებელ სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს [7.110]. აღნიშნულ შეხედულებას უნდა დავუმატოთ შემდეგი მოსაზრება: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის თანახმად, ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობა გატანილია 224-ე მუხლის შემადგენლობიდან. ამიტომ ადვილად დგება ქმედებათა ერთობლიობის საკითხი. სულ სხვა სიტუაციაა ტერორიზმის სუბსუმციის დროს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის დისპოზიციაში კონკრეტულ ქმედებათა ჩამონათვალია მოცემული. ამიტომ ისინი დამატებით სამართლებრივ შეფასებას არ მოითხოვენ.

მოკლედ შევვხოთ ქმედების ხერხის თავისებურებას. ბანდისათვის შეიარაღების სახე მნიშვნელოვანი არ არის. ტერორიზმის დროს კი მნიშვნელობა აქვს სპეციალური იარაღის გამოყენებას. თავისი საშიშროების გამო ზოგიერთი მათგანი ცალკე ნორმაშია (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 324-ე და 324<sup>1</sup> მუხლები და სხვა) გამოყოფილი.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი პრობლემა: როგორ უნდა შეფასდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც ტერორისტული აქტი ჯგუფურადაა ჩადენილი?

ტერორისტული აქტის ჯგუფურად ჩადენას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს. კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, აქ არ უნდა ვივარაუდოთ ორგანიზებული ჯგუფი, რადგან მისთვის არსებობს სპეციალური ნორმა, რომელიც გათვალისწინებულია კოდექსის 327-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობა), რომელიც ტერორისტული აქტის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენას გულისხმობს. 323-ე მუხლით განსაზღვრული ნორმა 327-ე მუხლით დადგენილ ნორმასთან შედარებით ზოგადია. სპეციალურ ნორმას კი ამ შემთხვევაში უპირატესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ უნდა განვასხვავოთ ქმედებები, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

## **§2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი**

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს პირი ქმედების შემადგენლობას ახორციელებს მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად, ე.ი. სჩადის დანაშაულს. იგი არ წარმოადგენს ბრალის გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებას, არამედ წარმოადგენს მხოლოდ სასჯელისაგან პერსონალური გათავისუფლების საფუძველს [10.259-263]. ერთი სიტყვით, დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტის დროს დანაშაული ჩადენილია; ამიტომ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძველზე ხდება; ამით კანონმდებელი დამნაშავეს უკანდახვევის საშუალებას აძლევს; გამოჩენილი გერმანელი იურისტის, ა. ფოიერბახის, ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, კანონმდებელი დამნაშავეს “ოქროს ხიდს” უშენებს უკან დასაბრუნებლად იმ შემთხვევისათვის, თუ ის დანაშაულის გაგრძელებაზე უარს იტყვის (“ოქროს ხიდის” თეორია) [1.171].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, პირი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ის დანაშაულეზრივ საქმიანობას ნებაყოფლობით შეწყვეტს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე.

მყარი შეიარაღებული ჯგუფის შექმნა თავდასხმის მიზნით ფაქტობრივად დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედებაა, მაგრამ მომეტებული საშიშროების გამო იგი დამოუკიდებელ დანაშაულად გამოცხადდა. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: დასაშვებია თუ არა ასეთ შემთხვევაში „უკან დაბრუნების“ საშუალება? აძლევს თუ არა დამნაშავეს ფორმალური შემადგენლობა უკანდახვევის საშუალებას?

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლთან დაკავშირებით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი სპეციალურად არაა განხილული. ამ მუხლის თაობაზე კრიტიკული მოსაზრება აქვს გამოთქმული ი. დვალიძეს. იგი სტატიაში „დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება“, რომელიც „ალმანახის“ 2004 წლის 14-ში გამოქვეყნდა, აღნიშნავს, რომ სსკ-ის 21-ე მუხლის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება როგორც მომზადების, ისე მცდელობის სტადიაზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის თავიდან აცილებას. მაშასადამე, ნებაყოფლობით ხელის აღების არსებობა-არარსებობის საკითხის გადაწყვეტისას ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქციას, თუ როდის ითვლება დანაშაული იურიდიულად დამთავრებულად. მაგალითად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება პირს არ შეუძლია სსკ-ის 224-ე მუხლით (ბანდიტიზმი) ან სსკ-ის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (აგრესიული ომის დაგეგმვა და მომზადება) გათვალისწინებული დანაშაულების განხორციელებისას. ამ იდეას ი. დვალიძე დანაშაულის პროვოკაციის საკითხთან დაკავშირებითაც ავითარებს და აღნიშნავს, რომ, რამდენადაც დანაშაულის პროვოკაცია ფორმალური დანაშაულია, ამდენად, წამქეზებელთან შედარებით აგენტ-პროვოკატორისათვის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მნიშვნელოვნად შეზღუდულია: წამქეზებელს სრული იურიდიული უფლება აქვს, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელი აიღოს მას შემდეგ, რაც მან დანაშაულის ჩასადენად სხვა დაიყოლია, ჯერ კიდევ არ განხორციელებულა დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ყველა ნიშანი და შეგულიანებულ ადამიანს ნებაყოფლობით და საბოლოოდ გადაარწმუნებს დანაშაულის ჩადენისაგან.

ანალოგიურ სიტუაციაში ამგვარი შესაძლებლობა აგენტ-პროვოკატორს საერთოდ არ გააჩნია, რადგან სხვისი დაყოლებისთანავე დანაშაულის პროვოკაცია დამთავრებულ დანაშაულად ითვლება [4.123].

როგორც ვხედავთ, ი. დვალაძე სხვადასხვა შემთხვევის ანალიზისას კატეგორიულად უარყოფს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის გამოყენებას ფორმალურ შემადგენლობასთან მიმართებით. ამიტომ ყველაზე მეტ სირთულეს თეორიასა და პრაქტიკაში მაინც დანაშაულის შეწყვეტის ნებაყოფლობითობის საკითხი წარმოადგენს. ეს საკითხი დაწვრილებით განვიხილოთ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. ვრცელდება თუ არა აღნიშნული მუხლის მოთხოვნა იმ შემთხვევაზე, როდესაც პირმა ნებაყოფლობით შეწყვიტა ბანდიტურ ჯგუფში საქმიანობა (მონაწილეობა) და ჩააბარა იარაღი; ამასთანავე, მას თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღია და არ ჩაუდენია ქმედება, რომელიც სხვა დანაშაულის ნიშნებს მოიცავს? მაგალითად, მანქანით იარაღის გადატანის დროს დამნაშავეს მოულოდნელად შეიპყრობს დასჯის შიში და მიღებული გადაწყვეტილების შედეგად სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადდება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მას პასუხისმგებლობა ეკისრება ბანდაში მონაწილეობისათვის, მაგრამ მან ეს მონაწილეობა ნებაყოფლობით შეწყვიტა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მას პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს.

სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იმსჯელოს ამ საკითხზე. მაგალითად, თუ ჩასაფრება ბანდის წევრებმა იმის გამო შეწყვიტეს, რომ იმ ადგილას შემთხვევით გაჩერდა მანქანა, საიდანაც მძღოლმა მგზავრები გადმოსხა, რათა მანქანა შეეკეთებინა, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან არ გვექნება საქმე.

ნებაყოფლობითობის გარდა, აუცილებელია იმის დადგენა, რომ დამნაშავემ დაწყებული დანაშაული დროებით კი არ მიატოვა, არამედ საბოლოოდ შეწყვიტა ის. თუ დადგინდა, რომ დამნაშავემ დაწყებული დანაშაულის დამთავრება უფრო მოხერხებული დროისათვის გადადო, მაშინ ის პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდება [1.172-173]. ბანდიტური ჯგუფის შექმნა თავისი მომეტებული საშიშროების გამო დამოუკიდებელი დანაშაულია. ამიტომ ნებაყოფლობით ხელის აღებაზე შეგვიძლია ვისაუბროთ ე.წ. მომზადების უფრო ადრინდელ სტადიაზე, მაგალითად, თუ პირმა ბანდის შექმნამდე განაცხადა უარი ჯგუფში მონაწილეობაზე, საბოლოოდ შეწყვიტა თანამონაწილეთა მოძიება და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს. ეს საკითხი ხშირად დგება იმ შემთხვევაში, როდესაც ბანდის წევრი დანაშაულს სჩადის, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ო. გამყრელიძის წიგნიდან:

ბანდის წევრმა მსხვერპლს მოკვლის მიზნით ტყვია ესროლა და დაჭრა. შემდეგ მას აღარ უსვრია, თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა. ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მკვლელობის მცდელობისათვის, მაგრამ პასუხს აგებს ჯანმრთელობის დაზიანებისათვის. გარდა ამისა, ის პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ბანდის წევრმა მსხვერპლს მოკვლის მიზნით თოფი ესროლა, მაგრამ ვერ მოარტყა, მეორე სროლაზე კი ნებაყოფლობით თქვა უარი. ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მკვლელობის მცდელობისათვის და პასუხს აგებს მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლით – სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც დამნაშავეს მსხვერპლის სიკვდილის მიმართ პირდაპირი განზრახვა აქვს. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლს, ამ მუხლით



პასუხისმგებლობისაგან ის არ გათავისუფლდება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილში ყურადღება თანამონაწილის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზეა გამახვილებული: დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა. დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება ან/და ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება.

იმისათვის, რომ შესრულდეს ამ ნორმის მოთხოვნა, ბანდის ორგანიზატორმა და წამქეზებელმა აქტიურად უნდა იმოქმედონ; მათ ხელი უნდა შეუშალონ ბანდის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას. ხელის შეშლის მრავალი ხერხი არსებობს, მათ შორის, პოლიციისათვის დროული შეტყობინება, მსხვერპლის გაფრთხილება და ა.შ. თუ ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და ფსიქიკურმა დამხმარემ თავიანთი მოქმედებით ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრება, მაშინ მათ მიერ მიღებული ზომები სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას შეიძლება მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად [1.176].

გასარკვევია რჩევა-დარიგებით ფსიქიკური დახმარების გაწევის საკითხი. დამხმარემ ყველა ზომა უნდა მიიღოს იმისათვის, რომ ბანდა არ შეიქმნას და ორგანიზატორმა არ ისარგებლოს მისი რჩევით. ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ, ამ თვალსაზრისით დამხმარე წამქეზებელს უთანაბრდება და ამიტომ, წამქეზებლის მსგავსად, მასაც მოეთხოვება, რომ ბოლომდე არ მიიყვანოს დანაშაული. სწორედ ასეთ დახმარებას გულისხმობს 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი [1.174].

სულ სხვაგვარად უნდა გადაწყდეს დაპირების გზით დანაშაულის დაფარვის საკითხი. ფსიქიკურმა დამხმარემ უარი უნდა თქვას შეპირებულ ქმედებაზე ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე. ეს საკითხი გარკვეულ სირთულეებს იწვევს და ამიტომ ჩვენ დეტალურად შევხებით მას. დანაშაულის დაფარვის დაპირება შეიძლება შეეხოს ჯგუფის შექმნის სტადიას, თავდასხმაში მონაწილეობას და ბანდის მიერ ჩასადენ დანაშაულს. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი მომენტი: თუ „დანაშაულის დაწყების“ მომენტად დანაშაულის მომზადებას ჩავთვლით, მაშინ „შეპირება“ უკვე მომზადებაა. ამიტომ შეპირებაზე უარი შესაძლებელია მომზადების შემდეგაც, მაგრამ იმ მომენტამდე, ვიდრე ამსრულებელს ჯერ კიდევ შეუძლია უკან დახევა. დანაშაულის დაფარვის შეპირებაზე უარით დამხმარე ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის სტიმულს უკარგავს, იმ სტიმულს, რომელიც მან ამსრულებელს დაფარვის შეპირებით მისცა [1.175].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმას, ვინც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის განხორციელებისათვის ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, მაგრამ შემდეგ თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი; მაგალითად, დამნაშავემ ბანდის შექმნის მიზნით მოამზადა თანამზრახველების სია, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და მათაც გადააფიქრებინა, ვისაც ამ თემაზე ესაუბრა.

ცალკე განხილვის საგანია დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტა თანამსრულებლობის და შუალობითი ამსრულებლობის დროს. აქ ვხეებით ბანდის იმ ეპიზოდს, როდესაც იგი დანაშაულს ახორციელებს. თანამსრულებლობის დროს ეს უმთავრესად უმოქმედობითაა შესაძლებელი; მაგალითად, ერთმა გააკავა დარაჯი, ხოლო მეორემ გააგრძელა ოქროს და ფულის ძებნა, მაგრამ ნივთის დაუფლებამდე გამკავებელმა გაათავისუფლა დარაჯი და ამით ამსრულებელს დახმარება შეუწყვიტა, თუმცა ამსრულებელმა დამოუკიდებლად განაგრძო ნივთის დაუფლება.

ამ შემთხვევაში, თანამსრულებელი გათავისუფლდება მარცვისათვის პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ პასუხს აგებს ბანდაში მონაწილეობისათვის.

შუალობითი ამსრულებლობის დროს, პირიქით, დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტა მოქმედებას მოითხოვს. აქ იგულისხმება ისეთი ვითარება, როდესაც ამსრულებელმა უკვე აამოქმედა “ცოცხალი იარაღი”; მაგალითად, კაცმა მცირეწლოვანს თოფი გადასცა და დაარიგა, სად უნდა მივიდეს და ვის უნდა ესროლოს. დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტა აქ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დამნაშავე მცირეწლოვანს თოფს უკანვე გამოართმევს ან სხვაგვარად შეუშლის ხელს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას. მაგრამ თუ ამსრულებელი ბანდის წევრია, ამ დროს დგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. დაბოლოს, უნდა გვახსოვდეს, რომ თანამონაწილეს (ორგანიზატორს, წამქეზებელს, დამხმარეს) არ დაეკისრება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა თუ მან ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთი განახორციელა:

- გადაარწმუნა ამსრულებელი, ან სხვაგვარად შეუშალა ხელი და არ მისცა დანაშაულის დამთავრების საშუალება;
- არ შეასრულა ამსრულებლისათვის შეპირებული ქმედება;
- დანაშაულის დამთავრებამდე დამხმარემ დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული საშუალება;
- ამსრულებელმა არ გამოიყენა დამხმარის იარაღი ან სხვა საშუალება [10.276-278].

ზოგადად, გასათვალისწინებელია, რომ დანაშაულის თანამონაწილეთაგან წამქეზებელი ყველაზე რთული და მრავალმხრივი ფიგურაა. წაქეზება ყოველთვის არის სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად. ამიტომ, ფართო გაგებით, წამქეზებლობა შუალობით ამსრულებლობასაც მოიცავს. მაგრამ საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტექსტი დანაშაულში თანამონაწილეობას გულისხმობს.

ზოგჯერ “სხვისი დაყოლიება” ისე ესმით, თითქოს ეს ნიშნავს ამსრულებლის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ წამქეზებლობა დანაშაულის დამხმარის წაქეზებით გამოიხატოს. მაგალითად, ვინმე აქეზებს ნაცნობს, მკვლელობის ამსრულებელს თოფი ათხოვოს. ესეც სხვისი დაყოლიებაა დანაშაულის ჩასადენად, რაც შესაბამისად უნდა შეფასდეს. ასევე შესაძლებელია ორგანიზატორის წაქეზება. ლიტერატურაში ხშირად გვხვდება მსჯელობა წამქეზებლის წაქეზების იურიდიულ სუბსუმციაზე.

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს წამქეზებლობის ინტელექტუალური ანუ ფსიქიკური დახმარებისაგან განსხვავებას. წამქეზებელია ის, ვინც ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადამწყვეტ მოტივს უქმნის. წამქეზებელმა ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება უნდა მიაღებინოს და უნდა შეუქმნას დანაშაულის ჩადენის ისეთი ძლიერი მოტივი, რომელიც მნიშვნელოვან ბიძგს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებისათვის.

ფსიქიკური დამხმარის მოქმედება, წამქეზებლობასთან შედარებით, ნაკლები მნიშვნელობისაა. ფსიქიკური დამხმარე ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას განუმტკიცებს. მაგალითად, წამქეზებლის ზემოქმედებით კაცმა მკვლელობა გადაწყვიტა, მაგრამ ეძებს დამფარავს. გამოჩნდა დამხმარე, რომელმაც მას, მკვლელობის შემთხვევაში, დაფარვა აღუთქვა [1.195-197].

## თავი V

### ბანდიტიზმის მართლწინააღმდეგობა და ბრალი

#### §1. ბანდიტიზმის მართლწინააღმდეგობა

აღნიშნულ თავში ჩვენ განვიხილავთ მართლწინააღმდეგობისა და ბრალის საკითხებს, რომლებიც ზოგად მნიშვნელოვანია, როგორც ბანდიტიზმის, ასევე სხვა განზრახი დანაშაულისათვის.

ბანდიტიზმის მეორე ნიშანია მართლწინააღმდეგობა. თუმცა საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში, ბელორუსში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ა.შ.) ბანდიტიზმის მეორე ნიშნად მართლწინააღმდეგობა არ განიხილება. ის ქმედების შემადგენლობასთან არის გაიგივებული, მეორე ნიშნად კი საზოგადოებრივი საშიშროებაა აღიარებული [44.79-80]. აღნიშნული მოდელი

აგრძელებს საბჭოთა დოქტრინის შეხედულებებს, რასაც არაერთი სირთულე მოჰყვება.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ მართლწინააღმდეგობისა და ქმედების შემადგენლობის გაიგივება ალოგიზმს მოიცავს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლში აღწერილი ქმედება ტიპიურად მართლსაწინააღმდეგოა. მაგრამ შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ქმედება მართლზომიერი იყოს. მაგალითად, ბანდიტური თავდასხმისას ბანდის ერთ-ერთმა წევრმა მოკლა ბანდის წევრი, რომელიც თავის მხრივ ცდილობდა, რომ დაზარალებულის ოჯახის მცირეწლოვანი ბავშვები დაეხოცა.

მართლწინააღმდეგობისა და ქმედების შემადგენლობის გაიგივება ღიად ტოვებს არაერთ საკითხს: თუ მართლწინააღმდეგობის ან მართლზომიერების საკითხი პირდაპირ არ არის დაკავშირებული ქმედების შემადგენლობასთან, მაშინ რა ფუნქცია აკისრია ქმედების შემადგენლობას, რომელიც კანონშია აღწერილი? რა არის ბანდიტიზმის მართლწინააღმდეგობა და რა მიმართება აქვს მას ქმედების შემადგენლობასთან? დაბოლოს, თუ ბანდიტიზმის მართლწინააღმდეგობის საკითხი ცალკე განხილვას მოითხოვს, მაშინ როგორ უნდა დადგინდეს ის? როგორც აღვნიშნეთ, ეს პრობლემატიკა ბანდიტიზმის მკვლევარებს უყურადღებოდ რჩებათ. ამიტომ უნდა შევეხოთ საქართველოში გაბატონებული ნორმატიული თეორიის დებულებებს და ისინი ბანდიტიზმის ნიშნების გაგებისათვის უნდა გამოვიყენოთ.

ა. რაროგას აზრით, ბანდიტი სჩადის ქმედებას, რომელიც კოდექსით აკრძალულია [42.496]. როგორც ო. გამყრელიძე აღნიშნავს, ქმედების სამართლებრივი შეფასების დროს მხედველობაშია მისაღები ამ ქმედების ჩადენის აკრძალვა, რომელიც სისხლის სამართლის კანონის გარეთაა. მართლწინააღმდეგობის დადგენა ნიშნავს იმის დადგენას, დაარღვია თუ არა კაცმა აკრძალვა. დამნაშავე ასრულებს (და არ არღვევს) სისხლის სამართლის კანონს, ანუ ქმედების შემადგენლობას და არღვევს ნორმას, აკრძალვას, რომელიც სისხლის სამართლის კანონის გარეთაა [1.84]. ამიტომ

ბანდიტური თავდასხმისას პირი ასრულებს სსკ-ს 224-ე მუხლით გათვალისწინებულ ნორმას.

მეორე პრობლემა მართლწინააღმდეგობისა და საზოგადოებრივი საშიშროების გაიგივებას ეხება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა ეს გაიგივება უარყო. გაბატონებულმა ნორმატიულმა თეორიამ მართლწინააღმდეგობა დანაშაულის მეორე ნიშნად გამოაცხადა ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, უარყოფილ იქნა საკითხის უაზრო იდეოლოგიზაცია. მეორე, მნიშვნელოვანი მიზეზი კი ამ ნიშნის პრაქტიკული გამოყენების საჭიროებაა.

როგორც ო. გამყრელიძე აღნიშნავს, კოდექსში მართლწინააღმდეგობის ცნების შემოტანა მოხდა იმის გამო, რომ პრაქტიკულად მისი გამოყენება გაცილებით უფრო მოსახერხებელია, ვიდრე საზოგადოებრივი საშიშროებისა. მაგალითად, ამ ცნებას შეეძლო პროცესზე შეექმნა ერთგვარი სირთულე ბრალის მტკიცების დროს. როგორც ცნობილია, ბრალის აუცილებელი ელემენტია მართლწინააღმდეგობის შეგნება. დამნაშავეს კი შეეძლო ეთქვა, რომ მას არ ჰქონდა საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება დანაშაულის ჩადენის დროს (ვთქვათ, ჩადენილია პოლიტიკური ტერორი, მოკლულია საშიში დამნაშავე და სხვ.). მას ჰქონდა რწმენა, რომ მოქმედებდა საზოგადოების სასარგებლოდ [1.85-87].

მართლწინააღმდეგობის ცნების პრაქტიკული მნიშვნელობა დაკავშირებულია იმ საზომის გამოყენების საშუალებასთან, რომელიც სისხლის სამართლის კანონის გარეთაა. მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართლის კანონის გარეთ არსებობს. ამიტომ ქმედების მართლწინააღმდეგობა სამართლის სხვა ნორმებისა და კულტურის ნორმების საფუძველზე უნდა დადგინდეს. მაგალითად, ბანდიტური ჯგუფის შეიარაღების მართლწინააღმდეგობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც “იარაღის შესახებ” კანონი, ისე რელიგიურ-კულტუროლოგიური აკრძალვა “არა კაც კლა”, რომელიც სიცოცხლის მოსპობისა- თვის ნებისმიერი საშუალების გამოყენებას კრძალავს.

ბანდიტიზმის მართლწინააღმდეგობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ასევე შემდეგი მოსაზრებები: ქმედების მართლწინააღმდეგობა არის ფორმალური ცნება, რომლის მძიმე და მსუბუქ მართლწინააღმდეგობებად დახარისხება არ შეიძლება. ქმედება კი შეიძლება საზოგადოებრივად მეტად საშიშიც იყოს და ნაკლებად საშიშიც. ქმედება ან ეწინააღმდეგება სამართალს ან არ ეწინააღმდეგება. არ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ერთი ქმედება ნაკლებად ეწინააღმდეგებოდეს სამართალს, ხოლო მეორე – მეტად.

ქართველი მეცნიერი ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ „საზოგადოებრივი საშიშროება მართლწინააღმდეგობის მატერიალური გამოხატულებაა. ამ ცნების გვერდით, აღნიშნავს ავტორი, ჩვენ შემოგვაქვს სისხლისსამართლებრივი უმართლობის ცნება, რომელიც მოიცავს დანაშაულის ორ ნიშანს: 1) სისხლის სამართლის კანონით აღწერილ ქმედებასა და 2) მართლწინააღმდეგობას“ [1.171].

ო. გამყრელიძის აზრით, უმართლობას უკვე აქვს ხარისხები: „მეტი სიმძიმის უმართლობა და ნაკლები სიმძიმის უმართლობა. მაგალითად, ორი კაცის მკვლელობა უფრო მძიმე უმართლობაა, ვიდრე ერთი კაცის მკვლელობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორი კაცის მკვლელობა საზოგადოებრივად უფრო საშიშია, ვიდრე ერთი კაცის მკვლელობა“ [1.171]. აქედან გამომდინარეობს, რომ სსკ-ის 224-ე მუხლში აღწერილი ქმედება და მის გარეთ არსებული აკრძალვა საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ ბანდიტიზმის უმართლობის ხარისხზე.

განვიხილოთ კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ეხება ბანდიტიზმის მართლწინააღმდეგობას. მართლწინააღმდეგობის დადგენა სსკ-ის 224-ე მუხლის შემთხვევაში დაკავშირებულია ამ ნორმაში აღწერილი შემადგენლობის ბუნებასთან.

ბანდიტიზმი, როგორც წესი, მიეკუთვნება კლასიკურ დელიქტთა წრეს. მართლწინააღმდეგობა ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს ნეგატიურად და არა პოზიტიურად. ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონით დადგენილი ქმედების შემადგენლობა მართლსაწინააღმდეგოა ყველა შემთხვევაში, თუ არ



არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება (აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა და სხვ.).

თუ მაგალითად, ქმედების შემადგენლობის დადგენის დროს (მოწმეთა დაკითხვა და სხვ.) ამოტივტივდა რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც გამომძიებელს მიანიშნებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობაზე, ის ვალდებულია ამ კუთხით გაამახვილოს ყურადღება და გულდასმით შეამოწმოს საქმის ყველა მასალა. ამ დროს გამოძიება ამოწმებს, არის თუ არა ქმედება მართლსაწინააღმდეგო. სხვა შემთხვევაში კლასიკური დელიქტის შემადგენლობის დადგენა თავისთავად, ავტომატურად მიანიშნებს, რომ ქმედება ჩადენილია მართლსაწინააღმდეგოდ. მაშასადამე, თუ არ არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მაშინ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

საერთოდ, მოქმედებს შემდეგი წესი: გამოძიება ჯერ დაადგენს სისხლის სამართლის კანონში აღწერილ ქმედებას თავისი ობიექტური და სუბიექტური მხარეებით; შემდეგ დაადგენს ამ ქმედების მიმართებას სამართალთან და, თუ მივა იმ დასკვნამდე, რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, დაიწყებს ბრალის დადგენას; თუ ქმედება განზრახაა ჩადენილი, შეაფასებს ამ განზრახვას იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეერაცხება ის მის ავტორს ბრალად. თუ ქმედება განზრახველადაა ჩადენილი, მაშინ შეფასების ობიექტია დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგის მიმართ. ამ დროსაც შეფასება შეიძლება იყოს უარყოფითი, რასაც ჩვენ გაუფრთხილებლობას ვუწოდებთ ან დადებითი, რაც ბრალს გამორიცხავს [1.88].

რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის ნიშნის დადგენას ბლანკეტურ შემადგენლობებში, აქ გამოძიება უნდა ეყრდნობოდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ დადგენილ ქცევის წესს და პოზიტიურად უნდა დაასაბუთოს, რომ ბრალდებულს (განსასჯელს) დარღვეული აქვს ამ “წესების” რომელიმე მუხლი. აქ მართლწინააღმდეგობის ნიშნის დადგენა, კლასიკური შემადგენლობისაგან განსხვავებით, პოზიტიური და არა ნეგატიური გზით ხდება. მიუხედავად ამისა,

პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების სისტემა აქაც ისევე მოქმედებს, როგორც კლასიკურ შემადგენლობებში [1.84-86].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლთან მიმართებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბანდიტიზმის მართლწინააღმდეგობა მხოლოდ პოზიტიურად უნდა დადგინდეს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბანდამ თავდასხმის დროს რაიმე ეკოლოგიური დანაშაული ჩაიდინა, მაგალითად, ტყეს წაუკიდა ცეცხლი იმ მიზნით, რომ ახლომდებარე სახლებიდან მოსახლეობა გაქცეულიყო და ამით ბანდას ბინების გაქურდვის საშუალება მისცემოდა და ა.შ., ვერ ვიტყვით, რომ ამგვარი დანაშაულის ჩადენისას ბანდამ დაარღვია გარკვეული წესი (ბლანკეტური ნორმა) და ამიტომ მართლწინააღმდეგობა ნეგატიური გზით უნდა დადგინდეს.

ბანდის წევრმა შეიძლება განახორციელოს როგორც კლასიკური დელიქტის შემადგენლობა (მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება, გაუპატიურება, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და სხვა), ისე ე.წ. ბლანკეტური დელიქტის შემადგენლობა (სავალუტო ოპერაციების წესის დარღვევა, ავტოტრანსპორტის მოძრაობის წესის დარღვევა და სხვა). ამიტომ ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენისას შემადგენლობათა ეს თავისებურებანი უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ამიტომ არ შეიძლება გამოვრიცხოთ ისეთი შემთხვევაც, როდესაც ბანდამ ჩაიდინა დელიქტი, რომლის მართლწინააღმდეგობა ნეგატიური გზით უნდა შეფასდეს. ბანდიტური თავდასხმა თავისი ბუნებით კლასიკურ დელიქტთა შემადგენლობებს მიეკუთვნება და პოზიტიურად უნდა იქნეს დადგენილი. მაგალითად, გატაცებული მანქანა ბანდამ თავდასხმისათვის გამოიყენა, მაგრამ დანაშაულის ადგილიდან მიმალვისას ავარია მოახდინა, რის შედეგადაც ფეხით მოსიარულე გარდაიცვალა. ამ შემთხვევაში მოძრაობის წესების დარღვევის მართლწინააღმდეგობას არავითარი კავშირი არა აქვს განხორციელებული თავდასხმის მართლწინააღმდეგობასთან.

ასევე აღსანიშნავია, რომ თავდასხმის მართლწინააღმდეგობისა და ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულის მართლწინააღმდეგობის დადგენის პროცედურა, ქმედების

შემადგენლობიდან გამომდინარე, სხვადასხვა საშუალებას ითხოვს. მაგალითად, გფრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით თავდასხმის მართლწინააღმდეგობის საკითხი ცალკე მუხლში არ განიხილება, არამედ უკავშირდება ქურდობას, მარცვას, მკვლელობას და სხვა შემდგენლობას, რომელსაც ბანდა სჩადის [67.606-607]. ამიტომ ბანდის მართლწინააღმდეგობის საკითხი ცალკე არ განიხილება. რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, აქ ბანდის მართლწინააღმდეგობის საკითხი დამოუკიდებლად განიხილება და არ არის დაკავშირებული ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულის მართლწინააღმდეგობასთან.

## **§2. ბრალი ბანდიტიზმის დროს**

თანამედროვე სისხლის სამართალში პრობლემურ საკითხებს მიკუთვნება სისხლისსამართლებრივი ბრალი. ამ საკითხზე ძალიან ბევრია დაწერილი როგორც ძველ, ისე ახალ იურიდიულ ლიტერატურაში, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი, უპირველეს ყოვლისა, ბრალის ცნება და შესაბამისად, მისი ადგილი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა “ბრალს” დანაშაულის შემადგენლობის მესამე ნიშნად მოიაზრებს და მიაჩნია, რომ ეს ფაქტი არავითარ ეჭვს არ შეიძლება იწვევდეს. ამ მოსაზრების მიუხედავად, თვით სისხლის სამართლის კოდექსი არც კი განსაზღვრავს ბრალის ცნებას, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს ბრალის მნიშვნელობა და მისი ადგილი კანონმდებლობაში, აგრეთვე ბრალის ნორმატიული თეორიის მნიშვნელობა ბანდიტიზმის გაგებისათვის. ამრიგად, ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული დოქტრინის მიხედვით, ბანდიტიზმის მესამე ნიშანია ბრალი.

პოსტაბჭოთა რესპუბლიკების მეცნიერებაში დღესაც ბრალის ფსიქოლოგიური თეორია მოქმედებს. ამ თეორიის თანახმად, როგორც ს. ალექსევი აღნიშნავს,

ბრალი არის განზრახვა და გაუფრთხილებლობა [13.86-88]. ამის შედეგად წარმოიშობა არაერთი საკითხი, რომლებიც უყურადღებოდ რჩება.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრალისა და სუბიექტური შემაღენლობის გაიგივება წინააღმდეგობას აწყდება, როდესაც საჭიროა სხვადასხვა ფაქტის ახსნა, მაგალითად, ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას. ბრძანების გამცემი წამქეზებელია, ხოლო ბრძანების შემსრულებელი – დანაშაულის ამსრულებელი. ამსრულებელი განზრახ მოქმედებს: მას შეცნობილი აქვს, რომ სამართლებრივ სიკეთეს აზიანებს, და ითვალისწინებს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობას. ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ამისა, ბრძანების შემსრულებელს ბრალი არ მიუძღვის სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაში, იგი შეურაცხია ამ უმართლობის მიმართ. ასე რომ, ბრალი არ ყოფილა შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება; ბრალი თურმე სულ სხვა კომპონენტისგან შედგება [75.36].

მოვიყვანთ სხვა ფაქტს, როდესაც განზრახვა არის, მაგრამ ბრალი – არა. ვგულისხმობთ ტრაგიკული კოლიზიის შემთხვევას. სსკ-ის 34-ე მუხლის თანახმად, ადამიანს არ შეერაცხება თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუ მას არ შეეძლო გაცნობიერებინა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა ან თუმცა შეეძლო მისი გაცნობიერება, მაგრამ არ ჰქონდა უნარი, ემოქმედა სხვაგვარად. ასე უნდა მოხდეს ქმედების შეფასება და მაშასადამე, ბრალის დადგენა, როდესაც ეს ქმედება განზრახ არის ჩადენილი [75.45].

აღსანიშნავია კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი კრიტიკული მოსაზრება, რომელიც ნორმატიული თეორიის მომხრეთა მიერ გამოთქმულია ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიასთან დაკავშირებით. ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად სუბიექტური შემაღენლობის განსაზღვრისას ერთ კალათაშია თავმოყრილი სხვადასხვა მომენტი, რაც გაუმართლებელია. ამ თეორიის მიხედვით გამოდის, რომ დაუდევრობას აქვს სუბიექტური შემაღენლობა. სინამდვილეში, როგორც მ. ტურავა აღნიშნავს, დაუდევრობის შემთხვევაში მას სუბიექტური შემაღენლობა არ გააჩნია.

ამდენად, შემადგენლობის ეტაპზე მხოლოდ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების დადგენა უნდა მოხდეს [10.557-558].

როგორც ვხედავთ, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია ვერ ხსნის მრავალ ფაქტს და, ამავე დროს, ვერ ადგენს განზრახვის ადგილს დანაშაულის ცნებაში. რაც შეეხება საქართველოს ახალი კოდექსის მოქმედების დროს, აქ საკითხისადმი მიდგომა შეიცვალა. ახალი კოდექსის მიხედვით, ბრალი არის შეფასებითი, ნორმატიული კატეგორია (უარყოფილია ბრალის ფსიქოლოგიური თეორია) [1.88-89;10.404].

ბრალი არის ბრალდებულის (განსასჯელის) გაკიცხვა ჩადენილი უმართლობის გამო. გაკიცხვის შემთხვევაში უმართლობის უარყოფითი შეფასება ინდივიდუალურ, პერსონალურ დონეზე ხდება, მაშინ, როდესაც უმართლობა ობიექტური, არაპერსონალური შეფასებაა. ასე რომ, სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების შეფასება ორსაფეხურიანია, ანუ ორ საფეხურად მიმდინარეობს: ჯერ ფასდება ქმედება ობიექტური სამართლის მიხედვით, იმის დასადგენად, ეწინააღმდეგება თუ არა ის მოქმედ სამართალს, ესე იგი, არის თუ არა ის მართლ-საწინააღმდეგო.

მოცემული თავის პირველ პარაგრაფში განვიხილეთ ბანდიტიზმის შეფასების პირველი საფეხური – მართლწინააღმდეგობა. აქ საქმე გვაქვს უმართლობის არაპერსონალურ შეფასებასთან. ბანდიტური თავდასხმის აღწერისას გამოიკვეთა, რა ნიშნით ეწინააღმდეგება ბანდიტური თავდასხმა მოქმედ სამართალს.

ამის შემდეგ უმართლობა ბრალის დასადგენად პერსონალურ დონეზე ფასდება. ქმედების შემადგენლობის დადგენის დროს განზრახვა ფაქტობრივი გარემოებების ცოდნისა და სურვილის სახით დგინდება. მაშასადამე, ბანდიტის განზრახვა ქმედების დონეზე დგინდება.

ნორმატიული თეორიის მიხედვით, რომელიც თანამედროვე ეტაპზე გაბატონებულ მოძღვრებას წარმოადგენს, ბრალი არის მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღ-

მდეგო ქმედებისათვის. მოკლედ, ამ ფორმულის მიხედვით ბრალი არის გასაკიცხაობა და არა პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი. ე.ი. ნორმატიული თეორიის თანახმად ბრალი მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც მოსამართლე დაადგენს პირის ბრალეულობას (ჩადენილი ქმედების გასაკიცხაობას), ბრალდების წაყენება წინასწარი გამოძიების დროს არის მხოლოდ ვარაუდი, რომ მოსამართლე ბრალდებულს სამართლებრივად გაკიცხავს. ბრალის პრინციპს, კანონიერების პრინციპთან ერთად, აქვს კონსტიტუციური მნიშვნელობა, იგი პირდაპირ გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, სწორედ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ დაისაჯოს, როცა არსებობს მისთვის მართლსაწინააღმდეგო შედეგის ინდივიდუალურ ბრალად შერაცხვის სამართლებრივი საფუძველი.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ბრალი არის შეფასებითი, ნორმატიული კატეგორია. ამით პირდაპირ არის უარყოფილი ბრალის ფსიქოლოგიური თეორია. ამაზე მეტყველებს ასევე ის ფაქტიც, რომ კოდექსის 9 თავი ეძღვნება ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. ბრალის ფსიქოლოგიური თეორიისათვის ასეთი გარემოებები არ არის დამახასიათებელი. ფსიქოლოგიური თეორიის ერთ-ერთი მთავარი სისუსტე სწორედ ის გახლავთ, რომ ამ თეორიით ძნელია იმის ახსნა, თუ რატომ არის პირი არაბრალეული საპატიებელი გარემოებების დროს, მაშინ როდესაც მან სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა განზრახ და მართლსაწინააღმდეგოდ მოახდინა.

წმინდა ნორმატიული თეორიის მიხედვით, ბრალი ახდენს პირის პერსონალურ გაკიცხვას იმისთვის, რომ მან უარი არ თქვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე, მაშინ როცა შეეძლო არ ჩადენა დანაშაული. შესაბამისად ამ სიტუაციაში მისი ნებელობითი ქცევა არ არის ისეთი რასაც მისგან სამართალი მოითხოვს, თუმცა შეეძლო მართლზომიერად მოქცეულიყო, სწორედ სხვაგვარად მოქცევის შესაძლებლობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი უმართლობის მისი

ჩამდენისთვის შერაცხვის საფუძველს. გაკიცხვის საგანი არის უპირველესად, მოქმედების ჩადენის ნება და მისი მეშვეობით მთელი მოქმედება.

თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიის მიხედვით ბრალი არის პირის მოქმედების ნეგატიური ღირებულებითი შეფასება. ბრალის ხარისხზეა დამოკიდებული სასჯელის სიმკაცრე. განზრახვის დროს ბრალის ხარისხი უფრო მაღალია გაუფრთხილებლობასთან შედარებით და ა.შ.

აქედან გამომდინარე, ბანდიტურ ჯგუფში მონაწილე პირის ბრალი მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ მან მართლსაწინააღმდეგო ქმედება შემდეგი პირობების არსებობისას ჩაიდინა:

- ბრალისუნარიანობის (შერაცხადობის) მდგომარეობაში;
- მართლწინააღმდეგობის შეგნებით;
- განზრახი ბრალით, რომელიც წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობას ფართო გაგებით;
- ბრალისათვის დამახასიათებელი პერსონალური ნიშნების არსებობის შემთხვევაში [10.417-419].

გაბატონებული ქართული დოქტრინის მიხედვით, ბრალუნარიანობას განსაზღვრავს პირის შერაცხადობა, ხოლო შერაცხადობის საკითხი დაკავშირებულია არა დანაშაულის სუბიექტთან, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხთან.

შერაცხვაუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ასაკი. ზოგიერთი უცხოელი მკვლევარი ამ საკითხს სუბიექტის ნიშნების დადგენისას განიხილავენ, ხოლო სუბიექტს – შემადგენლობის ელემენტად [13.86-88]. ნორმატიული თეორიის საფუძველზე ასეთი მიდგომა ქართულ მეცნიერებას მცდარად მიაჩნია. ჯერ ერთი, ამ მიდგომის შედეგად წარმოიშობა ასაკისა და შეურაცხაობის გამიჯვნის მცდარი პრობლემა; ვერ საბუთდება, რატომ დასჭირდა კანონმდებელს ასაკის ცალკე გამოყოფა [75.45].

გარდა ამისა, ამგვარი მიდგომის შედეგად ვითარდება ასევე მცდარი დებულება, თითქოს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა პირის ბრალუნარიანობაზეა დამოკიდებული. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დამოკიდებული არ არის პირის ბრალუნარიანობაზე. მაშასადამე, მისი ჩადენა სულით ავადმყოფსაც შეუძლია.

სისხლის სამართალში პირის ქმედუნარიანობა მყარად არის გამიჯნული მისი ბრალუნარიანობისაგან. ქმედუნარიანობის დროს დგინდება პირის უნარი, შეუძლია თუ არა განახორციელოს სხეულებრივი გადაადგილება გარესამყაროში. სულით ავადმყოფსა და ბავშვსაც შეუძლია, იყოს ქმედუნარიანი, თუ მას თავის ნებელობით შეუძლია წარმართოს საკუთარი სხეულებრივი მოძრაობა.

„ქართული სისხლის სამართალი ბრალის ნორმატიული მოძღვრებით შერაცხადობა-შეურაცხაობის პრობლემას, როგორც ბრალუნარიანობის განმსაზღვრელ გარემოებას, თვით ბრალის ეტაპზე განიხილავს. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დამოკიდებული არ არის პირის ბრალუნარიანობაზე. მაშასადამე, მისი ჩადენა შეუძლია სულით ავადმყოფსაც. სისხლის სამართალში პირის ქმედუნარიანობა მყარად არის გამიჯნული მისი ბრალუნარიანობისგან. ქმედუნარიანობის დროს დგინდება პირის უნარი, შეუძლია თუ არა განახორციელოს სხეულებრივი გადაადგილება გარე სამყაროში. სულით ავადმყოფსა და ბავშვსაც შეუძლია, იყოს ქმედუნარიანი, თუ მას თავის ნებელობით შეუძლია წარმართოს საკუთარი სხეულებრივი მოძრაობა. ბრალუნარიანობის დროს კი, წყდება საკითხი, იყო თუ არა პირი ნორმის ვარგისი ადრესატი, რომელსაც აქვს ნების თავისუფლება და თავის ნებაზე ბატონობის უნარი, რომელსაც ემყარება პერსონალური გასაკიცხაობა“ [10.418].

„ბრალუნარიანობას განსაზღვრავს პირის შერაცხადობა, ხოლო ზოგადად ბრალის გამომრიცხველი გარემოებებია: შეურაცხაობა, კერძოდ, ასაკის გამო (სსკ-ის მუხლი 33-ე), ფსიქიკური დაავადების გამო (სსკ-ის 34-ე მუხლი); სამართლებრივი შეცდომა (სსკ-ის 36-ე მუხლი); მოქმედება ბოროტი განზრახვისა და როცა ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა დასჯადია, ინდივიდუალური გაუფრთხილებლობის



გარეშე (სსკ-ის 36-ე მუხლის ანალოგიით); ბრძანების ან განკარგულების შესრულება (სსკ-ის 37-ე მუხლი). სსკ-ის 38-ე მუხლში მოცემულია ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებანი. შეზღუდული შერაცხადობა კი, წარმოადგენს არა ბრალის გამომრიცხველ, არამედ მის შემამსუბუქებელ გარემოებას (სსკ-ის 35-ე მუხლი)” [10.419]

ო. გამყრელიძე მართებულად აღნიშნავს, რომ ე.წ. სუბიექტის კონცეფციის ფარგლებში ასაკი შერაცხვაუნარობის ცნების გარეთაა გამოტანილი და არსად არ არის ახსნილი ასაკის ბუნება, მისი არსი [75.8-46]. ყველა ავტორი მხოლოდ იმაზე მსჯელობს, როდის, რომელი ასაკიდან აწესებდა კანონმდებელი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და არავინ არ მსჯელობს იმაზე, რატომ უკავშირდება პასუხისმგებლობა ამა თუ იმ ასაკის მიღწევას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, პირი ბრალუნარიანი თოთხმეტი წლის ასაკიდან ხდება და შესაბამისად, ბანდიტიზმისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დროიდან უნდა დადგინდეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლის მიხედვით, თოთხმეტიდან თვრამეტე წლამდე პირი არასრულწლოვანად ითვლება.

ო. გამყრელიძის აზრით, არასრულწლოვანება, როგორც შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობა, ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებაა. ამიტომ არის, რომ მოქმედმა კოდექსმა არასრულწლოვანის პასუხისმგებლობას ცალკე (მეხუთე) კარი დაუთმო და გაითვალისწინა შეღავათები არასრულწლოვანი დამნაშავეს მიმართ. მაგალითად, არასრულწლოვანს არ შეიძლება დაენიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა კი შეიძლება დაენიშნოს არა უმეტეს ათი წლისა. მხოლოდ თექვსმეტიდან თვრამეტე წლამდე ასაკის არასრულწლოვანს დაენიშნება ათ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ არაუმეტეს თხუთმეტი წლისა.

კოდექსის ამ კარში არასრულწლოვანის სხვა შეღავათებიცაა გათვალისწინებული. თუკი ჩვენ ზემოთ ნათქვამს გავითვალისწინებთ და ვიტყვით, რომ

არასრულწლოვანება თავისთავად წარმოადგენს შეზღუდულ შერაცხადობას, მაშინ აქ უნდა ვაღიაროთ სრული შერაცხადობის ორმაგი შეზღუდვის მდგომარეობა. 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თავისთავად არასრულწლოვანება წარმოადგენს შეზღუდულ შერაცხადობას, რასაც ემატება მისი ფსიქიკური დაავადება, რომელიც კიდევ უფრო ზღუდავს პიროვნების შერაცხვის უნარს. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელი უფლებას აძლევს სასამართლოს, გაათავისუფლოს არასრულწლოვანი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და დაუნიშნოს მას სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება. თუმცა ამ ღონისძიების დანიშვნა სავალდებულო არ არის, რადგან კანონი ამას იმპერატიულად არ მოითხოვს. ამას გვაფიქრებინებს კანონმდებლის ფორმულა – სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება [75.25].

ამ მოსაზრებას იზიარებს მერაბ ტურავაც. იგი აღნიშნავს, რომ შეზღუდული შერაცხადობა – ეს ის შემთხვევაა, როცა არასრულწლოვანს არ შეუძლია სრულად გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ან/და უხელმძღვანელოს მას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ არასრულწლოვანის ე.წ. შეზღუდულ ბრალუნარიანობაზე, როგორც პასუხისმგებლობის შესაძლებელ გამომრიცხველ გარემოებაზე (სსკ-ის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილი) [10.423].

განვიხილოთ მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხი (ვიწრო გაგებით). ქართული მეცნიერება ამ შემთხვევაში სამართლებრივ (იურიდიულ) შეცდომას გულისხმობს. ამ საკითხის რეგლამენტაცია ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნულია: “ის, ვინც არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის, აკრძალულია, არ დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეცდომა მისატყვებელია. შეცდომა მისატყვებელია, თუ შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას. როცა შეცდომა მისატყვებელი არ არის, პირს

შიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხი- ლებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება ამ კოდექსით”.

ამასთანავე, ბანდიტის მიერ ჩადენილი დანაშაულის სუბსუმციის დროს გასა- თვალისწინებელია ქმედების შემადგენლობის შეცდომები, რომლებიც სცილდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლის ფარგლებს. საკითხის მოდელირებისათვის მ. ტურავას მიერ მოყვანილ მაგალითს მოვიშველიებთ. დავუშვათ, რომ ბანდის წევრმა ესროლა ტყვია ბ.-ს. ტყვია ასცდა მას და მოხვდა ბენზინის ცისტერნას, რის შედეგადაც მოხდა აფეთქება და დაიწვა ბ. [10.230]. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის გარდა, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 108-ე მუხლით და ა.შ.

განვიხილოთ მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის შემთხვევა (ფართო გაგებით), რომელიც გულისხმობს ფაქტობრივ შეცდომას. ფაქტობრივ შეცდომას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე მუხლის სახით არ ითვალისწინებს, როგორც ეს მიღებულია გფრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის §16-ში [10.507-508]. მ. ტურავას აზრით, ეს საკითხი წყდება სსკ-ის მე-9 და მე-10 მუხლების ფარგლებში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგადად გერმანული და ქართული დოქტრინები ამ საკითხში ერთმანეთს ემთხვევა. გერმანული დოქტრინის მიხედვით, გამოიყოფა: შეცდომა ობიექტში (*error in obiecto vel persona*), შეცდომა ქმედების ფაქტობრივ გარემოებებში (*aberratio ictus*) და შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში (*Kausalverlauf*) [10.507-508].

*Error in obiecto vel persona*-ს შემთხვევა მაშინ იქნება, როდესაც ბანდის წევრს თავდასხმისას დაწესებულების დაცვის მუშაკი უნდა მოეკლა და ტყვია იმავე დაწესებულების მომსახურე პერსონალს მოხვდა. აქ შეცდომას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან სამართლებრივი სიკეთე თანაბარია. *Aberratio ictus*-ის შემთხვევასთან კი მაშინ გვექნება საქმე, როცა ა.-ს ბ. უნდა მოეკლა, დაუმიზნა მას, მაგრამ ცუდი დამიზნების შედეგად ტყვია გამვლელს მოხვდა. გერმანული მეცნიერი კრისტიან კიული აღნიშნავს, რომ სასამართლო პრაქტიკაში მიღებულია სუბსუმციის ასეთი

ვარიანტი: მკვლელობის მცდელობა ბ.-ს მიმართ და გაუფრთხილებლობითი მკვლელობა გამვლელის მიმართ [23.175]. ამ მოსაზრებას ქართველი მეცნიერებიც იზიარებენ. Kausalverlauf-ის შემთხვევა კი შემდეგში მდგომარეობს: ა.-მ ესროლა ბ.-ს ტყვია; ბ.-ს ასცდა, მოხვდა ბენზინის ცისტერნას, რომელიც აფეთქდა და ბ. დაიწვა. მიუხედავად იმისა, რომ პირმა შეცდომა დაუშვა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში, არის განზრახვი მკვლელობა, რადგან არ მომხდარა არსებითი გადახრა მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვის განვითარებაში [10.509].

სპეციალურ განხილვას იმსახურებს შეცდენის შემთხვევა, როდესაც სრულწლოვანი პირი „ცოცხალ იარაღად“ არის გამოყენებული. პირველად ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ო. გამყრელიძემ. ამიტომ ვეცდებით გამოვიყენოთ მისი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლთან მიმართებით.

ავტორის გამოკვლევაში ათვლის წერტილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის კრიტიკული განხილვა. ამ მუხლის თანახმად, შუალობითი ამსრულებელია ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ნორმის ამ კონტექსტიდან გამომდინარეობს, რომ „ცოცხალი იარაღი“ არ დაისჯება. ეს დებულება გამართლებულია, თუ “დანაშაული” ჩაიდინა მცირეწლოვანმა ან ფსიქიკურად დაავადებულმა. მაგრამ არსებობს ისეთი შემთხვევაც, როდესაც „ცოცხალ იარაღად“ გამოყენებულია სრულწლოვანი პირი. მაგალითად, ერთ-ერთი საწარმოს დირექტორი ა. „ხარკს“ არ უხდიდა ბანდიტურ დაჯგუფებას. მისი შეშინების მიზნით ბანდამ გადაწყვიტა გამოეყენებინა ვინმე წარსულში ნასამართლელი, უმუშევარი ბ. ბანდამ შეაცდინა ბ. და არ გაუმხილა მას ნამდვილი მოტივი. ამის ნაცვლად მიზეზად იყო დასახელებული ის გარემოება, რომ ა. ხვდებოდა ერთ-ერთი მეგობრის ცოლს და აუცილებელია მისი შეშინება. ბ.-მ სცემა

ა.-ს და მიაყენა მას სხეულის მძიმე დაზიანება. როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი?

ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ იმას, ვინც შეაცდინეს და „ცოცხალ იარაღად“ გამოიყენეს, მართალია, არ დაეკისრება პასუხისმგებლობა განზრახი მკვლელობისათვის (ჩვენს მაგალითში: სხეულის მძიმე დაზიანებისათვის – ზ.ე.), თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ იგი დაისაჯოს გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის (სხეულის მძიმე დაზიანებისათვის – ზ.ე.). სსკ-ის 36-ე მუხლის თანახმად, როცა შეცდომა მისატყვევებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის. შეცდომა ამ შემთხვევაში შეცდენის შედეგი შეიძლება იყოს, როცა ადამიანი „ცოცხალ იარაღად“ არის გამოყენებული. ო. გამყრელიძე წერს: წარმოიდგინეთ ამ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც გაიგებს, რომ ის შეაცდინეს და ადამიანი მოაკვლევინეს, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის [76.16].

დაბოლოს, გადასაწყვეტია საკითხი, რომელიც სპეციალურ ამსრულებელს ეხება. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელმაც თანამდებობა ბანდიტიზმისათვის გამოიყენა [38.496; 60.199]. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ამ ნიშანს არ ითვალისწინებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველ იურისტებს გარკვეული პოზიცია უკავიათ. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი თინათინ წერეთელი აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის დამძიმების შემთხვევაში გასათვალისწინებელია გარემოება, რომელიც დაკავშირებულია ამსრულებლის პიროვნებასთან და გარემოება, რომელიც დაკავშირებულია ამსრულებლის ქმედებასთან.

თ. წერეთელის აზრით, თუ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წმინდა პირადი ხასიათი აქვს, ე.ი. დაკავშირებულია ამსრულებლის პიროვნებასთან, ამ გარემოებამ არ უნდა დაამძიმოს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა, თუნდაც იგი

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში იყოს შეტანილი. საკითხის სხვაგვარად გადაჭრა იქნებოდა აქცესორული პასუხისმგებლობის უკიდურესი გამოვლინება, პასუხისმგებლობა სხვისი და არა საკუთარი ბრალისა და საკუთარი საშიშროების ხარისხის მიხედვით.

ამიტომ თ. წერეთელი არ ეთანხმება მ. შნაიდერს და მ. კოვალიოვს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ წამქეზებელმა და დამხმარემ პასუხი უნდა აგონ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განმეორებით გატაცებისათვის, თუ ამსრულებელი ასეთ გატაცებას განმეორებით სჩადის, ხოლო წამქეზებელი და დამხმარენი ამ დანაშაულს პირველად სჩადიან. დანაშაულის განმეორებით ჩადენა წმინდა პირადი გარემოებაა. კანონმდებელს ის სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად მიაჩნია იმის გამო, რომ დანაშაულის განმეორებით ჩადენა პიროვნების მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას მოწმობს. ზოგჯერ დანაშაულის გამეორებით ჩადენა იმას ადასტურებს, რომ სუბიექტს მიდრეკილება აქვს დანაშაულისაკენ, რომ მას დანაშაულებრივი ჩვევები გამოუმუშავდა და ამიტომ მის გამოსასწორებლად მკაცრი სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებაა საჭირო. ასეთივე წმინდა პირადი დამამძიმებელი გარემოებაა დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიმართ კანონმდებელს მრავალი ღონისძიება აქვს შემუშავებული.

ასეთი პირის მიერ დანაშაულის ჩადენა არა მარტო გაძლიერებულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს, არამედ მას სხვა ხასიათის ღონისძიებებიც მოჰყვება, მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში განსაკუთრებული რეჟიმის შექმნა, პირობით ვადამდე განთავისუფლების შეუძლებლობა და ა.შ. განა მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ეს წმინდა პირადი დამამძიმებელი გარემოებანი ისეთი პირისათვის შეგვერაცხა, რომელიც ასეთ განსაკუთრებულ საზოგადოებრივ საშიშროებას არ ამჟღავნებს და რომლის მიმართაც პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი წესების გამოყენება არის საკმარისი? წმინდა პირადი დამამძიმებელი გარემოებების თანამონაწილეებისათვის შერაცხვა ეწინააღმდეგება სასჯელის

ინდივიდუალიზაციის პრინციპს, რომელიც განუხრელად ტარდება ჩვენს სისხლის სამართალში.

სულ სხვაა ისეთი დამამძიმებელი გარემოება, რომელიც დაკავშირებულია არა უშუალოდ ამსრულებლის პიროვნებასთან, არამედ ქმედებასთან, მაგალითად, დანაშაულის ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობით ჩადენა. ასეთი გარემოება, ბუნებრივია, თანამონაწილესაც შეიძლება შეერაცხოს. თუ წამქეზებელი ფულის დაპირებით დაიყოლიებს სხვას მკვლელობის ჩასადენად, ან თუ დამხმარე ხელს უწყობს ამსრულებელს ანგარებით მკვლელობაში, წამქეზებელი და დამხმარე პასუხს უნდა აგებდნენ კვალიფიციური მკვლელობისათვის. თავისთავად ცხადია, თანამონაწილემ შეიძლება პასუხი აგოს დამამძიმებელი გარემოებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან იცოდა ასეთი გარემოების არსებობის შესახებ.

ზემოხსენებულ გარემოებათა გამო თ. წერეთელს სწორად მიაჩნია რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსის დებულება აღნიშნულ საკითხზე: “გარემოებანი, რომელნიც შეეხებიან ერთ-ერთი თანამონაწილის პიროვნებას და რომელნიც ათავისუფლებენ სასჯელისაგან, ამძიმებენ ან ამსუბუქებენ მას, არ გავრცელდება დანარჩენ თანამონაწილეებზე”.

თ. წერეთელი აღნიშნავს, რომ ის საკითხი, თუ რა ზეგავლენას ახდენს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე ერთ-ერთი თანამონაწილისათვის დამახასიათებელი პირადი გარემოებანი, განხილულ იქნა სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის VII კონგრესზე ათენში. კონგრესმა ამ საკითხზე შემდეგი რეზოლუცია მიიღო: “მკვეთრად პირადი გარემოებანი (Строго личные обстоятельства), რომელნიც გამორიცხავენ, ამძიმებენ ან ამსუბუქებენ პასუხისმგებლობას ან სისხლის-სამართლებრივ სასჯელს, მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ თანამონაწილის მიმართ, რომელსაც ეს გარემოება შეეხება”. სასურველია, რომ ასეთი შინაარსის ნორმა გათვალისწინებულ იქნას საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში [12.218-219].

როგორც ვხედავთ, თანამონაწილეობის ინსტიტუტი სავსებით უმკლავდება აღნიშნულ სპეციალურ ნიშანს. ამიტომ ბანდიტიზმის მუხლში მისი სპეციალური შემოღება გამართლებული არ არის.

არის კიდევ ერთი მოსაზრება. როგორც მ. ტურავა აღნიშნავს, ქართული სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს ბრალისათვის დამახასიათებელი პერსონალური ნიშნების არსებობას (სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი), რის გამოც საჭიროა ბრალის სტრუქტურაში ამ კომპონენტების ცალკე გამოყოფა [10.417]. როგორც ვხედავთ, სპეციალური ნიშნის გამოყოფა ბრალის სტრუქტურის პრობლემაა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლის მე-3 ნაწილი ზედმეტია.

## **დასკვნა და რეკომენდაციები**

1. ბანდიტიზმის ცნებაში გარკვევისათვის საჭიროა მისი ისტორიული წარმოშობის ცოდნა, რადგან ამ მიდგომის შემდეგ ირკვევა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ბანდიტიზმის ნორმის შენარჩუნების აუცილებლობა. ამ მიმართულებით გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ “სიმყარის” ნიშნით ბანდის (“შაიკის”) ორგანიზებული ჯგუფისაგან გამიჯვნის პირველი ცდა ბავარიის, ჰანოვერის, ესენის, ბრაუნშვაიგის პარტიკულარული გერმანული კოდექსებმა ზოგად ნაწილში განახორციელეს.

2. აუცილებელია თანმიმდევრულად იყოს დაცული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის R/96/8 სპეციალური რეკომენდაციის (“დანაშაულობასთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის პოლიტიკა შეცვლილ ევროპაში”) (სტრასბურგი, 5.09.1996)



მოთხოვნა, რომლის თანახმად ბანდიტური ჯგუფი და ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფი მკვეთრად უნდა იყოს ერთმანეთისგან გამიჯნული.

3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის გათვალისწინებით აუცილებელია ბანდიტიზმის დეფინიციის ცალკე მუხლის სახით შენარჩუნება. სსკ-ის 224-ე მუხლის შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქმედების ისეთი ნიშნების გათვალისწინება, როგორებიცაა:

- 1) არსებობს ჯგუფი (ორი ან მეტი პირი);
- 2) ბანდა არის მყარი ჯგუფი;
- 3) ბანდა ყოველთვის არის შეიარაღებულ პირთა ჯგუფი;
- 4) ბანდა იქმნება თავდასხმის მიზნით;

6. იმისათვის, რომ ზუსტად დადგინდეს ბანდიტიზმის ობიექტური შემადგენლობა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას შემდეგი მოთხოვნები:

ა) ბანდიტიზმის შემადგენლობა ფორმალური ხასიათისაა; ნაშრომში გაზიარებულია თ. ცქიტიშვილის მოსაზრება, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში კანონმდებელი დასჯადად აცხადებს საკუთრივ მოქმედებას, რომელიც საშიში თვისებებით ხასიათდება;

ბ) ქმედების შემადგენლობაში შედის მიზანი, როგორც კონსტიტუციური ნიშანი. ამიტომ თავდასხმა, როგორც ბანდის მიზანი, ბანდიტიზმის შემადგენლობის მნიშვნელოვან ელემენტად უნდა განიხილებოდეს;

გ) ამსრულებლის საკითხი განხილული უნდა იქნეს არა ობიექტური შემადგენლობის დახასიათებისას, არამედ ბრალის ნაწილში, რადგან პირის ასაკი, ფსიქიკური დაავადება და სხვა საკითხები დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობასთან:

7. სსკ-ის 224-ე მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, ბანდიტიზმის ობიექტური მხარის ელემენტებს მიეკუთვნება:

- ქმედების ობიექტი (სამართლებრივი სიკეთე),
- მყარის შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა.
- ბანდის ხელმძღვანელობა.
- ბანდაში მონაწილეობა
- ბანდის თავდასხმებში მონაწილეობა

8. ქმედების ობიექტური მხარის საფუძვლიანი დახასიათებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ ქმედების ობიექტის თავისებურება. ამ მიმართულებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს კანონმდებლობის ანალიზს, განსაკუთრებით კი საქართველოს კონსტიტუციას. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ბანდიტიზმის ობიექტში უნდა ვიგულისხმოთ: 1) სახელმწიფოს უშიშროება, 2) საზოგადოების უშიშროება და 3) მოქალაქეთა უშიშროება. ამ კონტექსტში მოიაზრება ასევე საზოგადოებრივი წესრიგი.

აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ ბანდიტიზმის უშუალო ობიექტები არიან ორგანიზაციები და ცალკეული პირები.

9. ბანდის ნიშნების ინტერპრეტაციისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ბანდის სტრუქტურის თავისებურება არ განაპირობებს ბანდის სპეციფიკას. ამ საკითხთან დაკავშირებით კრიტიკულად უნდა იქნეს განხილული სსკ-ის 27-ე მუხლის შენიშვნა, რომელიც კანონმდებელმა 2006 წლის 25 ივლისს შემოიღო. ამ შენიშვნის მოდელი გადმოტანილია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მეორე მუხლიდან, რომელმაც გარკვეულწილად რიკოს კანონი გაიმეორა. ამ კანონში სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფის ცნება არ უკავშირდებოდა თანამონაწილეობის ინსტიტუტს; საკმარისი იყო ნებისმიერი შემხებლობა ბანდასთან.

აღნიშნულ შენიშვნას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და იგი ზედმეტია შემდეგი გარემოების გამო: სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილი მთლიანად მოიცავს ისეთ ჯგუფს, რომლის წევრებს შორის როლები ფორმალურად არ არის განაწილებული. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი კი განსაზღვრავს ორგანიზებული ჯგუფის ფორმას, რომელშიც იგულისხმება როლების განაწილება და სხვა. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს აქვს მძლავრი ბერკეტი – თანამონაწილეობის ინსტიტუტი, რომელიც სასამართლოს პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის განხორციელების საშუალებას აძლევს.

10. ბანდის ძირითად სპეციფიკურ ნიშნად უნდა იქნეს განხილული ჯგუფის “სიმყარე”. დისერტაციის ავტორის აზრით, ამ ნიშნის ინტერპრეტაციისას საჭიროა შემდეგი დებულებების გათვალისწინება:

- რიკოს კანონისაგან განსხვავებით, “სიმყარის” შინაარსი სსკ-ის 27-ე მუხლში დაკავშირებულია ქმედებასთან და არა კრიმინალური ჯგუფის სტრუქტურასთან. როგორც ნაშრომში კრიტიკულად არის აღნიშნული, რიკოს კანონში “ჯგუფთან კავშირი” მეტად ბუნდოვანი ცნებაა და მთლიანად სასამართლოს თვალთახედვაზე დამოკიდებული. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, ნებისმიერი პირი, მათ შორის, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი, პასუხისმგებელია ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. საერთო შეთანხმებისა და შეპირების შესახებ მტკიცებულებათა შეგროვების ნაცვლად, პროკურორისათვის საკმარისია მხოლოდ იმის მტკიცება, რომ ეს პირი დანაშაულებრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდა და ეთანხმებოდა დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებს, გარკვეული მონაწილეობა მიეღო ამ ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულში. ამიტომ სიმყარის ცნება რიკოს კანონში ინტერპრეტირებულია, როგორც ჯგუფთან კავშირი და არა როგორც განუსაზღვრელად დანაშაულის ჩადენა;

- შესაბამისად, უარყოფილი უნდა იქნეს რიკოს კანონის არგუმენტაცია, რომლის თანახმად 1) თანამონაწილეობის ინსტიტუტი კრიმინალების სისხლისსამართლებრივ

პასუხისგებაში მიცემას აძნელებს; 2) დანაშაულებრივი დაჯგუფების რთული სტრუქტურა ხშირად საგამომიებო ორგანოებს მისი ორგანიზატორის ან ხელმძღვანელის დადგენის საშუალებას არ აძლევს. მეტად დახლართული და კონსპირაციულია ჯგუფის წევრთა კავშირები; 3) კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ბრალდებამ უნდა დაამტკიცოს, რომ პირს კავშირი აქვს კრიმინალურ ჯგუფთან, რომელმაც რამდენიმე რეკეტული აქტი უნდა განახორციელოს;

- უარსაყოფია პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ზოგიერთი მეცნიერის გამოკვლევებში განვითარებული “სიმყარის” ინსტიტუტის შერეული კონცეფცია, რომლის თანახმად, სიმყარე ითვალისწინებს თანამონაწილეთა შორის მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ, მყარ კავშირს, აგრეთვე ჯგუფის ყველა წევრის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ჩადენილ იქნეს განუსაზღვრელი რაოდენობის დანაშაული. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ასეთი მიდგომა სასამართლო პრაქტიკისათვის ღიად ტოვებს საკითხს: როგორ უნდა გავიგოთ “სიმყარე”, თუ ჯგუფი განუსაზღვრელი რაოდენობის დანაშაულის ჩასადენადაა შექმნილი, მაგრამ მისი წევრები დროთა განმავლობაში იცვლებიან. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ მიდგომას გარკვეულწილად ზ. მჭავანაძეც იზიარებს;

- დისერტაციის ავტორი იზიარებს ო. გამყრელიძის პოზიციას, რომ ჯგუფის “სიმყარე” სწორედ თავდასხმათა სიმრავლეს გულისხმობს. ჯგუფი მყარია, ესე იგი, ის ერთი დანაშაულის ჩადენის შემდეგ კი არ დაიშლება, არამედ გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ დროის მონაკვეთში;

11. დისერტაციის ავტორის აზრით, ბანდის სპეციფიკური ნიშნის, “შეიარაღების”, ანალიზისას სასამართლო პრაქტიკამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკვანძო საკითხები:

- შეიარაღების ხერხად მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღი არ უნდა მოიაზრებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თავდასხმის სხვა საშუალებები “შეიარაღების” ნიშნის

გარეთ იქნება გატანილი და ამის გამო ვერ განხორციელდება ბანდიტიზმის სუბსუმცია;

- ბანდის შეიარაღება დამახასიათებელია მხოლოდ მეორე ნიშანთან – სიმყარესთან ერთად; ამიტომ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს აქვს იარაღი, არამედ ისიც, რომ ეს იარაღი მრავალჯერადი თავდასხმის განხორციელებისთვისაა გამიზნული;

- მცდარია კონცეფცია, რომლის თანახმად, “შეიარაღების” ნიშანი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა ზიანი მიადგა პირის ჯანმრთელობას. დისერტაციის ავტორის აზრით, სასამართლო პრაქტიკამ უნდა გაითვალისწინოს, რომ “შეიარაღების” ნიშანი არ განისაზღვრება მიყენებული ზიანის ხარისხით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო იძულებული იქნება, ბანდის შეიარაღებაზე მხოლოდ მაშინ იმსჯელოს, როდესაც მან იარაღი გამოიყენა. ისეთი შემთხვევა კი, როდესაც ბანდამ იარაღი თავდასხმის მიზნით შეიძინა, მაგრამ ჯერჯერობით არ გამოუყენებია, ბანდიტიზმის სუბსუმციის გარეთ დარჩება. ბანდიტიზმის სუბსუმციის დროს ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულის საკითხი არ უნდა დადგეს, რადგან ბანდიტიზმის შემადგენლობა ფორმალურ ხასიათს ატარებს;

- ბანდიტიზმის სუბსუმციის პრობლემაა ისეთი შემთხვევა, როდესაც ბანდა ფლობს იარაღის დაშლილ შემადგენელ ნაწილებს, ასაფეთქებელ მასალას მოხსნილი დეტონატორებით, უვარგის იარაღს, მის მაკეტებს, იარაღის იმიტირებულ საგნებს და სხვა. ამ მიმართულებით სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ იარაღის შემადგენელი ნაწილების, კომპლექსში არსებული დეტალების ქონა საკმარისია იმისათვის, რომ ბანდამ მომავალში გამოიყენოს იარაღი და საბრძოლო მასალა; ამიტომ ამ შემთხვევაში გვაქვს ბანდის “შეიარაღება”;

- ბანდიტიზმის სუბსუმციის პრობლემაა ასევე იარაღის შენახვის შემთხვევის შეფასება. ამ მიმართულებით სასამართლო პრაქტიკამ უნდა გაითვალისწინოს, რომ

ბანდის წევრებს შეიძლება იარაღი ჰქონდეთ შემდგომი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის ჩასადენად. მათ შეუძლიათ იარაღი თავდასხმისას გამოიყენონ. მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, გამოყენებულ იქნა თუ არა იგი ადამიანთა სიცოცხლის მოსასპობად ან ტრანსპორტის გასაჩერებლად, ობიექტის, ხიდის ან რკინიგზის ასაფეთქებლად და სხვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ “შეიარაღების” ნიშანი ყველა შემთხვევას მოიცავს და ამიტომ სსკ-ის 236-ე მუხლით დამატებით სუბსუმციას არ საჭიროებს;

- ბანდიტიზმის სუბსუმციის პრობლემაა ასევე ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი იარაღს ბანდაში შესვლამდეც ატარებს. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ იარაღის ტარება განგრძობადი დანაშაულია და შეიძლება შეწყდეს პირის სურვილისამებრ ან/და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის შედეგად. თუ პირი აგრძელებს იარაღის ტარებას, როცა ბანდის წევრი ხდება, მაშინ საქმე გვაქვს “შეიარაღების” ნიშანთან, რომელიც სსკ-ის 224-ე მუხლითაა გათვალისწინებული და შესაბამისად, ქმედებათა ერთობლიობით დაკვალიფიცირება გამორიცხებულია;

12. თავდასხმა არის ბანდის, როგორც ორგანიზებული ჯგუფის, მიზანი. დისერტაციის ავტორის აზრით, ამ ნიშნის ანალიზისას სასამართლო პრაქტიკამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკვანძო საკითხები:

- “თავდასხმაში” შეიძლება ვიგულისხმოთ საშიში გარემოს ობიექტურად და სუბიექტურად შექმნა, რომელსაც შესაძლოა რეალურად მოჰყვეს ფიზიკური ძალადობა დაზარალებულის მიმართ, თუ იგი ეცდება წინააღმდეგობის გაწევას სამალავიდან დამიზნების, უკნიდან დანით მიპარვის და სხვა მსგავს შემთხვევაში. ძალადობა ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული, არ არის არც მუქარა, რომელსაც დაზარალებული რეალურ საშიშროებად აღიქვამდა, ხოლო თავდასხმა, მიუხედავად ყველაფრისა, რეალურად არსებობს; ამიტომ თავდასხმისა და ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულის ცნებები ერთმანეთს არ ემთხვევა. ამ ფაქტზე მიუთითებს

სსკ-ის 224-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით დადგენილი სანქციები. ნორმის მე-2 ნაწილში კი იგულისხმება, რომ ბანდას შეუძლია ობიექტურად და სუბიექტურად შექმნას საშიში გარემო; ამიტომ მასში პირველ ნაწილთან შედარებით მსუბუქი სანქციაა გათვალისწინებული;

- სასამართლო პრაქტიკაში არ უნდა დამკვიდრდეს თავდასხმისა და ძალადობის გაიგივების კონცეფცია. ამ სიტუაციების შეფასებისას სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ შესაძლებელია საშიში გარემოს შექმნის ისეთი შემთხვევა, რომელსაც შესაძლოა რეალურად მოჰყვეს ფიზიკური ძალადობა დაზარალებულის მიმართ. ამ მიმართულებით სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ თავდასხმა ძალადობას რეალურად არ ემთხვევა. გარდა ამისა, ეს გაიგივება არ ითვალისწინებს, რომ თავდასხმის ობიექტი შეიძლება იყოს ორგანიზაცია, ძალადობის ობიექტი კი – ადამიანი. ძალადობა შეიძლება ორგანიზაციის ხელმძღვანელზე და არა შენობის მიმართ;

- ბანდიტიზმის სწორი სუბსუმციის დროს სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ბანდამ შეიძლება ნებისმიერი დანაშაული ჩაიდინოს. ძნელია იმის მტკიცება, რომ ამ ბანდისათვის ტიპურია ან მკვლელობის, ან ყაჩაღობის, ან ცეცხლის წაკიდების თუ თავდასხმის რომელიმე სხვა ხერხი. პრაქტიკაში გასათვალისწინებელია, რომ ბანდიტური თავდასხმის რეალიზაციისათვის შეიძლება ნებისმიერი დანაშაული იქნეს გამოყენებული. ამ მიმართულებით დისერტაციის ავტორი იზიარებს გერმანელ მეცნიერთა მოსაზრებას, რომლის თანახმად შესაძლებელია, რომ ერთი დანაშაულის განხორციელებისათვის დამნაშავე სხვა დანაშაულს სჩადის, მაგრამ განხორციელებული შემადგენლობა აუცილებლად არ მოიცავს ამის შემდეგ განხორციელებულ სხვა ქმედების შემადგენლობას. ბანდაში მონაწილეობა დანაშაულია, მაგრამ ბანდის მიერ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაული უკვე სხვა შემადგენლობაა. თავისი მიზნის მისაღწევად ბანდამ შეიძლება ნებისმიერი დანაშაული გამოიყენოს, რაც თავდასხმასა და ჩადენილ დანაშაულს შორის კონსუმფციურ კავშირს ქმნის. გფრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე

მუხლის თანახმად, თავდასხმა (Angriff) არის შეგნებული საშიშროება სამართლებრივი სიკეთის მიმართ. ამ ნორმის განმარტებისას გერმანელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ თავდასხმა მაშინ წყდება, როდესაც იგი სიკეთის უშუალო ხელყოფაში გადაიზრდება;

13. სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია იმ საკითხების გამოჯვანა, რომლებიც სუბსუმციას და სასჯელის დანიშვნას ეხება. ამ მიმართულებით სასამართლო პრაქტიკაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სსკ-ის 224-ე მუხლის პირველი ნაწილის თავისებურება. ბანდის ხელმძღვანელობა ნიშნავს იმ გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ბანდის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის დაგეგმვასთან, ორგანიზებასა და მატერიალურ უზრუნველყოფასთან, ისე კონკრეტულ დანაშაულთა განხორციელებასთან. იგი შეიძლება გამოიხატოს ახალი წევრების მიღებით, ბანდიტური ორგანიზაციის ნორმების დარღვევის გამო მისი წევრების დასჯით, ბანდის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომათა შემუშავებით, თავდასხმის დაგეგმვით, თავდასხმის ობიექტთა შერჩევით და სხვა. შესაძლებელია, რომ პირი, რომელიც ბანდას ქმნის, მას არც კი ხელმძღვანელობდეს; ამიტომ სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელია “ბანდის შექმნის” მომეტებული საშიშროება “ბანდის ხელმძღვანელობასთან” შედარებით;

14. სპეციფიკურად წყდება ბანდის მიერ განხორციელებულ თავდასხმებში მონაწილეობის საკითხი. აქ სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ ორი გარემოება: პირველი დაკავშირებულია თავდასხმაში მონაწილეობასთან. თავდასხმის აქტი ხორციელდება ჩასაფრებით, სამალავიდან დამიზნებით, უკნიდან დანით მიპარვით და სხვა; მაგრამ თავდასხმა ხშირად უეცრად გადადის კონკრეტულ დანაშაულში (მეორე მომენტი). ამ შემთხვევაში ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულის დასრულების მომენტი მისი შემადგენლობის ბუნებაზეა



დამოკიდებული. ყველა მოცემული საკითხი იქიდან გამომდინარე წყდება, თუ რა სახის დანაშაულს სჩადიოდა ბანდა;

15. ბანდიტიზმის სუბიექტური შემადგენლობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხორციელდება. ბანდიტიზმი აუცილებლად გულისხმობს თანამონაწილეობას, რომელიც მარტო პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი; მაგრამ ბანდის წევრის მიერ ჩადენილი დანაშაული შეიძლება არაპირდაპირი განზრახვით ან გაუფრთხილებლობითაც განხორციელდეს. ასეთ შემთხვევაში ქმედება ქმედებათა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს;

16. სსკ-ის 24-ე მუხლის თანახმად, ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისთვის ან ხელმძღვანელობისთვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაშიც ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა;

17. ბანდიტიზმის სუბსუმციის დროს სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ბანდაში მონაწილეობის დადგენისთვის მოტივს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ბანდიტიზმის სუბიექტური მხარის ძირითადი ელემენტია თავდასხმის მიზნის განხორციელება. ამრიგად, სსკ-ის 224-ე მუხლში განსაზღვრულია უმართლობის ის ტიპი, რომელსაც აფუძნებს მიზანი და არა მოტივი;

18. ბანდიტიზმის სუბსუმციის სპეციალური საკითხია ბანდიტიზმის სხვა დანაშაულის შემადგენლობისაგან გამიჯვნა. სსკ-ის 151-ე და 224-ე მუხლების გამიჯვნისას სასამართლო პრაქტიკაში გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ

თავდასხმა შეიძლება განხორციელდეს მუქარის სახით, რომლის ობიექტია ადამიანის ფსიქიკური ხელშეუხებლობა, სიმშვიდე და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლება; მაგრამ მუქარა შეიძლება არც იყოს ბანდიტური თავდასხმის შემადგენელი ნაწილი;

19. ანალოგიური მიდგომაა სსკ-ის 365-ე მუხლთან მიმართებით. ამიტომ სასამართლოებმა სსკ-ის 224-ე და 365-ე მუხლები უნდა გამოიყენონ;

20. სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვანია ბანდიტიზმის ყაჩაღობისაგან (სსკ-ის 179-ე მუხლი) გამიჯვნის პრობლემა. ამ მიმართულებით პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ყაჩაღობის დროს ჯგუფის მიზანი ნივთის მისაკუთრებაა და სწორედ ამ მიზნით არის ის ორგანიზებული, ხოლო ბანდის ან მისი შექმნის მიზანი პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმაა;

21. ბანდიტიზმის სუბსუმციის დროს სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ უკანონო შეიარაღებული ფორმირების (სსკ-ის 223-ე მუხლი) მიზანი არ შეიძლება იყოს პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმა. სწორედ მიზნით განსხვავდება იგი ბანდიტიზმისაგან. ამგვარი ფორმირების მიზანი ასევე არ შეიძლება იყოს ტერორისტული დანაშაულის ჩადენა. ასეთი მიზნის არსებობისას ქმედება სსკ-ის 327-ე მუხლით დაკვალიფიცირდება;

22. სასამართლო პრაქტიკაში მეტად მნიშვნელოვანია ქურდული სამყაროს წევრობისაგან (სსკ-ის 223<sup>1</sup> მუხლი) ბანდიტური ჯგუფის წევრობის გამიჯვნის საკითხი. სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ბანდის მიზანი თავდასხმების მოწყობაა, ქურდული სამყარო კი უფრო მოგების მიღებისა და მისი გადანაწილებისაკენ არის მიმართული;

23. სასამართლო პრაქტიკაში ასევე მნიშვნელოვანია რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობისაგან (სსკ-ის 224<sup>1</sup> მუხლი) ბანდიტურ ჯგუფში მონაწილეობის

გამიჯვნის საკითხი. ამ შემთხვევაში სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ რეკეტი ბანდიტიზმისაგან მიზნით განსხვავდება. ბანდიტიზმის შემადგენლობაში ძირითადი მიზანია თავდასხმა. ქონებრივი სარგებლის მიღება ბანდის ერთ-ერთი, ე.წ. ლოკალური მიზანია, რეკეტისათვის კი ეს მიზანი შემადგენლობის ძირითადი ელემენტია;

